# ხელოვნება 9

## მასწავლებლის წიგნი



ნანა იოსელიანი
სოფიო ქებურია

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს.

სულაკაურის გამომცემლობა

## სარჩევი

შესავალი ..... 5
მასწავლებლის წიგნის შესახებ ..... 6
რეკომენდაცია ნაწარმოების აღწერის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის თაობაზე: ..... 8
სახელმძღვანელოს შინაარსი ..... 18
კომპლექსური დავალებების ცხრილი ..... 21

**თემატური მატრიცები**

ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲑᲚᲝᲙᲘ „ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“

**თემა 1: „მოდერნიზმის სათავეებთან“ ..... 22**
**თემა 2: „პოსტიმპრესიონიზმი და მისი მემკვიდრეები“ ..... 54**
**თემა 3: „XX ს-ის სახვითი გრამატიკა“ ..... 93**

ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲑᲚᲝᲙᲘ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“

**თემა 4: „ხელოვანი და სახელმწიფო“ ..... 117**
**თემა 5: „საზოგადოება და პიროვნება“ ..... 129**
**თემა 6: „საზოგადოებრივი არქიტექტურა და დიზაინი“ ..... 152**

# შესავალი

**ძვირფასო მასწავლებელო,**

წარმოგიდგენთ ხელოვნების IX კლასის სახელმძღვანელოს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის, რაც მათ წლების განმავლობაში თქვენი დახმარებით დაინახეს, აღმოაჩინეს, განიცადეს, ისწავლეს და შეიყვარეს, დიდხანს გაჰყვეთ ცხოვრების გზაზე. არ დაივიწყონ, რომ სამყარო მშვენიერია თავისი მრავალფეროვნებით; ახსოვდეთ წარსული და იზრუნონ მომავალზე; გაუფრთხილდნენ გარემოს და პატივი სცენ საზოგადოებისა თუ ცალკეული პიროვნების ინტერესებს.

თითოეული ჩვენგანი და ყველანი ერთად ვქმნით იმ გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ. როგორი სამყარო გვინდა? როგორ საზოგადოებად ვყალიბდებით? როგორ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი? სწორედ ესაა ხელოვნების საგნის სწავლების საბოლოო მიზანი.

მე-9 კლასის მოსწავლეები უკვე აღარ არიან პატარები. ამიტომ გადავწყვიტეთ, მათ წინაშე არა მხოლოდ სახალისო, არამედ საჭირბოროტო საკითხებიც წამოგვეჭრა. ვფიქრობთ, მოზარდები ასე უკეთ გააცნობიერებენ პასუხისმგებლობას, რომელიც სულ ორიოდე წელიწადში უნდა იტვირთონ მეგობრების, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე.

ვეცადეთ, ხელოვნების ისტორია გაგვემდიდრებინა მრავალფეროვანი მაგალითებით, რათა მოსწავლეებმა წარსულის მაგალითების საფუძველზე თავად გამოიტანონ დასკვნები და გადაწყვიტონ, როგორ სამყაროში სურთ ცხოვრება. მთავარია, დაინახონ ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რაც, ერთი შეხედვით, უწყინარი ფაქტით იწყება და საბოლოოდ საყოველთაო ტენდენციაში გადაიზრდება. ვეცადეთ, გვეჩვენებინა, რომ ამა თუ იმ კონკრეტული ხელოვანის შემოქმედებაში სახვითი ელემენტის – ფერის, ხაზის, ფორმის თუ შუქ-ჩრდილის სპეციფიკა საბოლოოდ, ეპოქის, გარემოში არსებული ატმოსფეროსა და საზოგადოების სულისკვეთებიდან გამომდინარეობს.

ხელოვნების ისტორიაში ყველაფერი მძივივითაა ასხმული, ყველაფერი ერთმანეთზეა დაშენებული, აწმყო წარსულიდან მომდინარეობს. ამ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში კანონზომიერებების დანახვა მხოლოდ ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრებითაა შესაძლებელი. ამიტომ წინამდებარე სახელმძღვანელოს მაგისტრალური ხაზი თანამიმდევრულად მიუყვება ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვან საკვანძო ეტაპებს.

VII კლასის სახელმძღვანელო ძველი ცივილიზაციებისა და ანტიკური სამყაროს ხელოვნებას გასდევს, VIII კლასისა – შუა საუკუნეებს, აღორძინების ხანასა და ბაროკოს. ცხადია, ორივე კლასში ეს მასალა თანამედროვე პარალელების მოშველიებით მიმდინარეობს.

IX კლასის სახელმძღვანელო დავუთმეთ XIX-XXI საუკუნეების ხელოვნებას – მოსწავლეები კლასიციზმის, რეალიზმისა და რომანტიზმის გავლით გაეცნობიან მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქების საკვანძო მიმდინარეობებს. სამივე წიგნი პარალელურად ეხება საქართველოში მიმდინარე სახელოვნებო პროცესებს და XXI ს-ის ხელოვნების რამდენიმე წარმომადგენელს. ამგვარად, სამი წლის განმავლობაში მოსწავლეებს წარმოდგენა შეექმნებათ კაცობრიობის შემოქმედებით საქმიანობაზე ოდითგან და დღემდე.

მე-8 კლასის სახელმძღვანელოში საკმაოდ დიდი დრო დავუთმეთ ნაწარმოებების ანალიზისა თუ შედარებითი ანალიზის საკითხს, შევაიარაღეთ მოსწავლეები საამისოდ შესაბამისი დეტალური

კითხვარებით. წელს ამას მოსწავლის წიგნში ნაკლები ადგილი ეთმობა. მოსწავლის სახელმძღვანელოში შარშანდელი კითხვარები აღარ გავიმეორეთ. ჩავთვალეთ, რომ მოსწავლეებმა ისინი უკვე აითვისეს. ცალკეული ნამუშევრებისა თუ ხელოვანთა შემოქმედების შედარება-ანალიზი წარმოვადგინეთ მხოლოდ დავალებების სახით, დაწვრილებითი მითითებების გარეშე. სამაგიეროდ, მე-9 კლასის სახელმძღვანელო დავუთმეთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც თავისთავად წარმოშობს სააზროვნო კითხვებსა და თემებს მსჯელობისთვის. მთელი მასალა აწყობილია ისე, რომ სახელმძღვანელოს ნებისმიერ მონაკვეთში მასწავლებელმა შეძლოს თავად შესთავაზოს მოსწავლეებს მაგ. ერთმანეთის მომდევნო ორი პერიოდის, ერთი პერიოდის/მიმდინარეობის წარმომადგენელთა ნაწარმოებების ან სხვადასხვა მიმდინარეობათა შედარება-ანალიზი, რისი მითითებებიც მასწავლებლის წიგნში საკმარისადაა წარმოდგენილი.

თუ წინა კლასების სახელმძღვანელოებში ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი სახვითი საშუალებების კუთხით კეთდებოდა, IX კლასის სახელმძღვანელოში აქცენტი გავაკეთეთ სახვითი ენის პარალელურად ნაწარმოების აზრობრივი თუ ემოციური კუთხით ანალიზზე, რაც თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებისა და მთლიანად სამყაროს აღსაქმელად და გასაგებად ბევრად მნიშვნელოვანია. ამ მიზნით უფრო ფართოდ გავშალეთ ყოველი მიმდინარეობის წარმოქმნის მიზეზები და გავლენები ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის თანხლებით. ყოველი ცვლილების მიზეზისა და შედეგის უკეთ წარმოსაჩენად ჩავუღრმავდით იმ ხელოვანების ბიოგრაფიის საკვანძო მომენტებსა და პიროვნულ მახასიათებლებს, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით შეცვალეს სამყარო.

## მასწავლებლის წიგნის შესახებ:

**შესავალი დავალებები**

თითქმის ყველა გაკვეთილს წინ უძღვის გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული დავალება-შეკითხვა. მისი მიზანია გაააქტიუროს მოსწავლის წინარე ცოდნა, გამოცდილება, გაუღვივოს ინტერესი, განაწყოს მოსწავლე შეთავაზებული მასალის ანალიტიკურად აღქმისთვის. დავალება უბიძგებს მოსწავლეს, ტექსტის წაკითხვამდე ვიზუალურად აღიქვას მასალა, დამოუკიდებლად დააკვირდეს, დაფიქრდეს, აღმოაჩინოს ის, რის შესახებაც ინფორმაციას მიიღებს ტექსტის წაკითხვის შედეგად. მასწავლებელს შეუძლია დავალებაში დასმული შეკითხვები გამოიყენოს სადისკუსიოდ. ასეთი მსჯელობა დაეხმარება მოსწავლეს გაკვეთილის დასასრულისთვის, საკუთარი დასკვნებისა და მიღებული ცოდნის საფუძველზე ჩამოიყალიბოს თემასთან დაკავშირებული მკაფიო წარმოდგენები.

**დავალებები**

შემოთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები და სააზროვნო შეკითხვები მიზნად ისახავს გავუღვივოთ მოზარდებს:

- ხელოვნების ნაწარმოების ემოციური აღქმის უნარი;
- დაკვირვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- თვითგამოხატვისთვის სხვადასხვა ტექნიკის შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- სამუშაოს თანამიმდევრობის დაგეგმვისა და ჩანაფიქრიდან სასრულ ეტაპამდე მიყვანის უნარი;

- საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა;
- ჩამოვუყალიბოთ წარმოდგენა სამყაროს ერთიანობის შესახებ;
- ხელი შევუწყოთ ინტერესიანი, მოაზროვნე, შემოქმედებითი, ტოლერანტული პიროვნების ჩამოყალიბებას.

ვინაიდან მასწავლებლის წიგნში მოცემული დავალებების რაოდენობა აღემატება მოსწავლის წიგნში არსებული დავალებების რაოდენობას, მასწავლებლის წიგნში დამატებით დავალებებს არ გააჩნია ნომრები.

მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებული დავალებების სიუხვე საშუალებას მოგცემთ შეარჩიოთ და მოარგოთ აქტივობები თქვენს პირობებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მატერიალურ ბაზას, ხელი შეუწყოთ კლასში მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს, პოზიტიური ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას. ასევე, საშუალება მოგეცემათ ერთი და იგივე გაკვეთილისთვის შემოთავაზებული, სხვადასხვა სირთულის დავალებები გაანაწილოთ მოსწავლეებზე მათი შესაძლებლობისა თუ სურვილის მიხედვით.

კლასში დავალებების განაწილებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ: სსსმ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

სსსმ მოსწავლისთვის უნდა მოხდეს დავალებების ადაპტაცია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია (ინსტრუქციის, გარემო პირობების, შეფასების, დროისა და გრაფიკის აკომოდაცია), ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება.

ვეცადეთ, აქტივობები დაგვეგეგმა ისე, რომ მოსწავლემ განივითაროს ანალიტიკური, კვლევითი, საკომუნიკაციო, სოციალური და საორგანიზაციო უნარები. წლევანდელ სახელმძღვანელოშიც დიდი ადგილი ეთმობა სააზროვნო კითხვებს, დებატებს, პრაქტიკულ აქტივობებს. ფაქტობრივად, ყველა მიმდინარეობის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ ამ მიმდინარეობის მახასიათებლების გამოყენებით ნამუშევრის (ხატვა, კოლაჟი, მოდელირება, კონსტრუირება, ძერწვა...) შექმნა.

თითოეული მიმდინარეობა წინ წამოსწევს ამა თუ იმ სახვით საშუალებას ან ხერხს. ამიტომ, მათი შესწავლისას, მოსწავლეები საფუძვლიანად მუშაობენ მიმდინარეობის არსებით მახასიათებლებზე – შესაბამის საშუალებებსა და ხერხებზე. შესაბამისად, თითოეული სახვითი საშუალება წლის ბოლომდე მუშავდება სიღრმისეულად. მოსწავლეები აღმოაჩენენ ამ საშუალებებისა და ხერხების მრავალფეროვან შესაძლებლობებს.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია თემატური ბლოკების ფარგლებში დამუშავებული თემების მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და მათზე პასუხები, მსჯელობის პროცესში დასმული კითხვები და მათზე პასუხები, პრაქტიკული დავალებები და მათი ეტაპობრივი ინსტრუქციები, გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, დამატებითი რესურსების ჩამონათვალი აქტიური ბმულებით, შეფასების ინდიკატორები და შეფასების ამოსაბეჭდი ფორმები.

ყოველ თემას ახლავს კომპლექსური დავალებები და მათთან დაკავშირებული დეტალური მითითებები, რომელთა შეფასების (სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით დახარისხებული კრიტერიუმებით) სქემები მოცემულია შესაბამისი მატრიცების ქვემოთ.

სასურველია, ყოველი თემის დასაწყისშივე მასწავლებელმა გააცნოს მოსწავლეებს თემის ბოლოს შესასრულებელი კომპლექსური დავალების პირობა, რათა მოსწავლეებმა თავიდანვე გაიაზრონ, თუ რას ემსახურება მოცემული თემის შესწავლა.

სასურველია, ყოველი ნაწარმოების ანალიზისას, ყურადღება გამახვილდეს რომელიმე ერთ, ძირითად, წამყვან ან გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ მახასიათებელზე, რომელიც უნდა დამუშავდეს სიღრმისეულად, თუ შესაძლებელია, პრაქტიკული აქტივობის მოშველიებით.

მოსწავლის სახელმძღვანელოში ხშირად იპოვით მითითებებს რუბრიკაში „მიაქციე ყურადღება“, სადაც მინიშნებულია, თუ კონკრეტული გაკვეთილის თემიდან გამომდინარე, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ნაწარმოებების ანალიზის თუ უბრალოდ მისი დათვალიერების დროს.

## რეკომენდაცია ნაწარმოების აღწერის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის:

„ხელოვნება უნდა ანიჭებდეს ბედნიერებას და სიხარულს, სხვა შემთხვევაში ის უსარგებლოა“.

***ვასილი პოლენოვი***

ეს გამონათქვამი არ უნდა აღვიქვათ ისე, თითქოს ხელოვნება ადამიანის გამხიარულებას უნდა ემსახურებოდეს. სიხარული და ბედნიერება მოაქვს იმ აღტაცებას, რომელიც ადამიანს ხელოვნების ნაწარმოების წვდომით, გაგებით, შემეცნებით ეუფლება.

რა საჭიროა ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი? ხომ არ ჩაკლავს ხელოვნების ნიმუშის შრეებად, ცალკეულ ელემენტებად დაშლა-დახარისხება ნაწარმოების ემოციურ, ცოცხალ აღქმას?

თუ ნაწარმოების ანალიზი არ წარმოადგენს მისი შინაარსის, სახვითი ხერხებისა და საშუალებების მშრალ აღწერას, იგი არა მარტო არ უშლის აღქმის უშუალობას, ნაწარმოების ხილვით მიღებულ განცდებს, არამედ ეხმარება ადამიანს დაინახოს ის, რაც ზედაპირზე არ ჩანს, უფრო ღრმად ჩასწვდეს ნაწარმოების არსს, ამოიკითხოს ავტორის ჩანაფიქრი.

თუ მოსწავლეებს მივაჩვევთ დაინახონ, აღიქვან და გაიგონ ხელოვნების ნაწარმოები ქვემოთ მოყვანილი სისტემის მიხედვით, ეს გამომუშავებული მიდგომა მათ გამოადგებათ ნაწარმოების ანალიზისას, ასევე საკუთარი ნამუშევრის შექმნისას. ეს კი დაეხმარება მასწავლებელს მიიყვანოს მოსწავლეები შეფასების აბსტრაქტულ დონემდე. მოსწავლეთა შეფასებისას, ქვემოთ მოყვანილი

გეზის მიმცემი რჩევები საშუალებას მისცემს მასწავლებელს განსაზღვროს მათი მიღწევების დონე. ასეთივე სამსახურს გაუწევს მასწავლებელს თემატური მატრიცების ბოლოს მოცემული, კომპლექსური დავალებების შეფასების ფორმები.

ხელოვნების ნაწარმოების აღქმა იწყება ემოციით. პირველი, რასაც ნაწარმოების შემხედვარე „ვიჭერთ", არის მისი ხასიათი - საზეიმო ან ლირიკული, ხალისიანი ან სევდიანი, ხმაურიანი ან მდუმარე... თუ ნაწარმოებმა მნახველზე ვერ მოახდინა შთაბეჭდილება, მისი ანალიზი მოსალოდნელ შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომ, სასურველია, ანალიზის დასაწყისი ყოველთვის დაეთმოს ამ ემოციის „ჩავლებას". სწორედ ჩვენსა და ნაწარმოებს შორის გაბმული უხილავი ძაფი გაგვიადვილებს ანალიზის ლაბირინთებში მოგზაურობას.

პირველი შეკითხვა, რასაც მოსწავლემ ხელოვნების ახალ ან უკვე ნაცნობ ნიმუშთან შეხვედრისას უნდა უპასუხოს, არის თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ ნაწარმოებმა. ემოციური უნდა იყოს ანალიზის დასკვნითი ნაწილიც, როდესაც მოსწავლის პირვანდელი შთაბეჭდილება უკვე გამყარებულია ნაწარმოების სიღრმისეული წვდომით.

ხელოვნების ნაწარმოების აღქმა ხდება რამდენიმე ეტაპად – ემოციური შთაბეჭდილება, შინაარსის წაკითხვა, ანალიზი, ქვეტექსტის ინტერპრეტაცია და შეფასება. ნაწარმოების ანალიზისას, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს კომპოზიციაზე, როგორც ნაწარმოების მაორგანიზებელ საშუალებაზე.

**კონტექსტი:**

რაც მეტ ინფორმაციას ფლობს მოსწავლე იმის შესახებ, თუ რა პირობებში იქმნებოდა კონკრეტული ნაწარმოები - ეპოქა, კულტურა, რელიგია, ტრადიციები, ხელოვანის წარმომავლობა და ხასიათი, მით უფრო საინტერესო და გასაგები ხდება ნაწარმოები.

**ნაწარმოების აღწერა:**

სახვითი ხელოვნების ნიმუშის ანალიზი იწყება მისი აღწერით. ნაწარმოების აღწერა წარმოადგენს იმ ხილულის დაფიქსირებას, რაც ჩანს სურათის, ქანდაკების თუ არქიტექტურული ნაგებობის „ზედაპირზე". ჭეშმარიტი ხელოვანის ნაწარმოებში შემთხვევითი არაფერია - აღწერისას ყველა დეტალი, ყველაზე უმნიშვნელოც კი მნიშვნელოვანია. ნაწარმოებში არსებული დეტალების ჩამოთვლა ამახვილებს მოსწავლის ყურადღებას, რაც იწვევს ინტერესს, დაინახოს რაც შეიძლება მეტი. ამ დროს მოსწავლე უნებურად იწყებს ფიქრს, დასახელებული დეტალების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ცალკეული გამოსახულების, მონასმის ან ფერის განხილვა არაფერს მოგვცემს, თუ მათ ურთიერთკავშირს არ განვიხილავთ. სურათის ზედაპირზე გაბნეული დეტალების კავშირების გააზრებას მივყავართ კომპოზიციური წყობის ანალიზთან.

**ფერწერული ნაწარმოების კომპოზიცია:**

ხელოვანები სურათზე საგნებისა და პერსონაჟების ამა თუ იმ კომპოზიციურ წყობას სასურველი განწყობის შესაქმნელად მიმართავენ. გაწონასწორებული, სიმეტრიული კომპოზიციების სწორხაზოვანი, წრიული, ოთხკუთხა ან სამკუთხა წყობა მარადიულის, სრულყოფის, სიმყარის, სიმშვიდის განწყობას ქმნის. ასეთ კომპოზიციებში ფიგურები სტატიკურია, მოძრაობაშიც კი გარინდული.

1.  2.  3. 

1. რაფაელი, „სიქსტეს მადონა", 1513წ.
2. ლეონარდო და ვინჩი, „მადონა ჩვილით და წმ. ანა", 1501წ.
3. პოლ გოგენი, „მაჰანა ნო ატუა" (ღვთაების დღე), 1894წ.

თუ წონასწორობა დარღვეულია, კომპოზიცია დიაგონალური, წრიული ან ასიმეტრიულია, სურათი ცოცხლდება, ხდება დინამიკური. ასეთი სურათები მაყურებელს აფორიაქებს, მეტ საფიქრალს უჩენს. ასიმეტრიული, დიაგონალური კომპოზიციები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს მოქმედება სურათის გარეთ გრძელდება, სიუჟეტი სცდება მის ჩარჩოებს.

1.  2. 

3.  4. 

1. ვასილი სურიკოვი, „ბოიარინია მოროზოვა", 1887წ.
2. პიერ ოგიუსტ რენუარი, „მენავეების საუზმე", 1881წ.
3. ანრი მატისი, „ცეკვა" 1909წ.
4. ჯაკომო ბალა, „მოტოციკლისტის ფორმა და ხმაური", 1913წ.

აქედან დასკვნა - ასიმეტრია, დიაგონალური კომპოზიცია, მოძრაობის, სიუჟეტური კულმინაციის ასახვას ემსახურება. სტატიკა, სიმეტრია, წონასწორობა კი სიმყარის, სიმშვიდის გადმოცემის ხერხებია.

აქედან დასკვნა - ასიმეტრია, დიაგონალური კომპოზიცია, დინამიკის, დრამის, სიუჟეტური ხაზის ასახვას ემსახურება. სტატიკა, სიმეტრია, წონასწორობა კი სიმყარის, სიმშვიდის გადმოცემის ხერხებია.

კომპოზიციის ანალიზისას პირველ ნაბიჯად უნდა განისაზღვროს, თუ რა დატვირთვა აქვს სურათის ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ფორმატს. მაგ. ხატები უმეტესად ვერტიკალურია. ასევე ვერტიკალური ფორმატისაა პორტრეტებიც. რელიგიურ ნაწარმოებებში ვერტიკალური ფორმატი მიწიერისა და ზეციერის სიმბოლურ გაყოფას ემსახურება. პორტრეტის ვერტიკალურ ფორმატს კი ფეხზე მდგომი ან მჯდომარე ადამიანის პოზა განსაზღვრავს. პეიზაჟი უფრო ხშირად ჰორიზონტალური ფორმატისაა, რაც ხედის პანორამული აღქმის საშუალებას იძლევა.

გარდა ფორმებისა, სურათის კომპოზიციის ელემენტებია ჰორიზონტის ხაზის მაღალი, დაბალი ან საშუალო მდებარეობა; წინა და უკანა ხედებზე გამოსახულებათა რაოდენობა; მათი ურთიერთშეფარდება ზომასა და ფერში (მაგ. არქიტექტურული გარემოსა და ფიგურების მასშტაბური შეფარდება განსაზღვრავს, რომელია მათ შორის მთავარი. მაგ., ქალაქურ პეიზაჟში წამყვანია არქიტექტურა, ადამიანები კი ამ გარემოს ავსებენ. ყოფითი ჟანრის სურათებში მთავარი ადამიანია, არქიტექტურა კი ფონის როლს ასრულებს).

ფერწერული ნაწარმოების კომპოზიციისა და ხასიათის ანალიზისას თანაბრად მნიშვნელოვანია ფერისა და განათების როლი. ფერით იქმნება განათება - სინათლეც და სიბნელეც, რომლებიც კომპოზიციას შინაარსობრივ და ზოგჯერ სიმბოლურ დატვირთვასაც ანიჭებენ.

**ნაწარმოების ქვეტექსტი და სიმბოლოები:**

სიმბოლოების ინტერპრეტაცია ისევ გვაბრუნებს სურათის დეტალებთან. აქ ჩვენი ამოცანაა ხელოვანის მინიშნებების, ჩვეულებრივ საგნებში, პერსონაჟთა პოზასა თუ ჟესტში ჩამალული ფარული მნიშვნელობის, ქვეტექსტის ამოცნობა. ვინაიდან სიმბოლოების ამოცნობა გამოცდილებასა და სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ამ ეტაპზე ჯობია მხოლოდ ხილული, საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოების ამოცნობით შემოვიფარგლოთ (მაგ. ვაშლი, მტრედი, თევზი, კრავი, საათი, კიბე, სინათლე-სიბნელე და სხვა).

## ნაწარმოების შინაარსი:

ხშირად ერთი შეხედვით ნაცნობ ისტორიულ თუ მითურ სიუჟეტში ხელოვანი უფრო ღრმა, გლობალურ იდეას აქსოვს (მაგ., ბიბლიურ სიუჟეტზე შექმნილ რემბრანდტის სურათში „უძღები შვილის დაბრუნება“ ავტორი სიუჟეტურ აქცენტს მამისა და შვილის ემოციურ შეხვედრაზე აკეთებს, ხოლო მეორეხარისხოვანი, თითქმის უჩინარი პერსონაჟების რეაქცია ამ შეხვედრის დრამატულობაზე გვიმახვილებს ყურადღებას).

სიუჟეტი და კომპოზიციური წყობა ერთმანეთისგან განუყოფელია - სიუჟეტი განსაზღვრავს კომპოზიციურ თავისებურებებს, სურათის კომპოზიცია კი ხილული ნიშნებით აზუსტებს სიუჟეტს - განსაზღვრავს მისი წაკითხვის მიმართულებასა და რიტმს, აქცენტით ამახვილებს ყურადღებას საჭირო დეტალებზე, რაც გვიადვილებს ავტორის ჩანაფიქრის წვდომას, სურათის ფარული აზრის ამოცნობას.

შინაარსი განსაზღვრავს ნაწარმოების ჟანრს - ისტორიულს, ბატალურს, რელიგიურს, ყოფითს და სხვა.

აქვს თუ არა შინაარსი ნატურმორტს? პეიზაჟს? პორტრეტს? აბსტრაქციულ ნამუშევარს?

ისტორიული ან ყოფითი ჟანრის სურათები რაღაც ისტორიას, ამბავს მოგვითხრობენ. პორტრეტი პიროვნების შესახებ გვიამბობს, მის განცდებს, ხასიათს, წარმომავლობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის როლს გვიჩვენებს. ნატურმორტი ნივთების საშუალებით აღწერს ეპოქას, ადამიანის ინტერესების სფეროს, მოგვითხრობს კადრს მიღმა არსებული სამყაროს შესახებ. აბსტრაქციულ სურათებში მხატვარი ხაზების, ფორმებისა და ფერის ურთიერთმიმართებით ჩვენს ქვეცნობიერს, გრძნობებს, ლოგიკას მიმართავს.

**შეკითხვები ნაწარმოების ემოციური აღქმისთვის:**

- რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე ნაწარმოებმა?
- რა ხასიათისაა ნაწარმოები?
- რა შეგრძნებების გამოწვევას ისახავდა მიზნად ავტორი?
- რა შეგრძნებები გაგიჩნდა შენ?
- რა შეგრძნებები გაუჩნდება ადამიანს ასეთ შენობაში? (არქიტექტურა)
- როგორ განსაზღვრავს შენს ემოციურ შთაბეჭდილებას ნაწარმოების ზომა/ფორმატი/მასშტაბი/ფერი/განათება?

**შეკითხვები ნაწარმოების აღწერისთვის:**

- ჩამოთვალე, რას ხედავ:
- რა/ვინ არის გამოსახული?
- როგორი გარემოა?
- აღწერე, რას დაინახავს ამ ნაგებობის წინ/ინტერიერში მდგარი ადამიანი (არქიტექტურული ნაგებობის შემთხვევაში)?
- შენი ჩამონათვალიდან რა არის მნიშვნელოვანი და რა - უმნიშვნელო?
- რა არის ყველაზე მთავარი?
- რატომ თვლი, რომ ეს არის მთავარი?
- რა ხერხით მიგვანიშნა ავტორმა, რომ ეს არის მთავარი?
- კომპოზიციურად როგორაა დაჯგუფებული გამოსახულებები?

- როგორაა განაწილებული ფერები კომპოზიციაში?
- რა დატვირთვა აქვს ფერს და განათებას კომპოზიციაში?
- როგორ შეეფარდება ნაგებობის ფორმები ერთმანეთს და გარემოს (არქიტექტურის შემთხვევაში)?
- როგორია სკულპტურის/სკულპტურული ანსამბლის ზომა, პროპორციები, ფორმები, ფიგურათა ჟესტიკულაცია, პოზა?

**შეკითხვები ნაწარმოების ინტერპრეტაციისთვის:**
- რისი თქმა სურდა ხელოვანს? რა იყო მისი მიზანი – რომელიმე პიროვნებისადმი ან რაიმე მოვლენისადმი დამოკიდებულების, იდეის, საკუთარი პოზიციის, შთაბეჭდილების თუ განწყობის, ემოციის გადმოცემა?
- არის თუ არა ნაწარმოებში სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი ნივთები, ან სხვა რაიმე მინიშნება?
- აქვს თუ არა რამე სიმბოლური დატვირთვა ნაწარმოების კომპოზიციურ წყობას, ნაწარმოებში გამოყენებულ ფერებსა და შუქ-ჩრდილს?
- რას გამცნობს ნაწარმოების სათაური? როგორ  შეეფერება სათაური ნაწარმოების შინაარსს?
- რისი ხაზგასმა სურდა ამ ხერხით (ფორმატი, ჰორიზონტის ხაზი, ფერი, განათება) ნაწარმოების ავტორს?
- ეპოქის ხელოვნების რომელ ძირითად მახასიათებლებს ხედავ ამ ნაწარმოებში? მოცემული ეპოქისთვის დამახასიათებელი რომელი მხატვრული ხერხები, მასალა, ტექნიკა გამოიყენა ხელოვანმა? რაში გამოვლინდა ეს მის ნაწარმოებში?
- რა ეფექტს მიაღწია ხელოვანმა მასალის, ტექნიკის, სახვითი საშუალებებისა (ელემენტების) და ხერხების (პრინციპების) ამგვარად გამოყენებით?
- რა ხასიათისაა ნაწარმოები (რეალისტური, პირობითი, აბსტრაქტული, სიმბოლური, მორალისტური, თხრობითი, საზეიმო, მშვიდი, ლირიკული, იდილიური, ხალისიანი, სევდიანი, დრამატული, ექსპრესიული, ირონიული, გროტესკული, სატირული, დოკუმენტური, სტილიზებული, დეკორატიული და სხვ.)?

**მხატვრობასთან მიმართებაში:**
- რას მოგვითხრობს ეს ნაწარმოები?
- წარმოიდგინე, რას აკეთებდნენ პერსონაჟები მანამდე და რას გააკეთებენ მერე?
- რა განწყობა გეუფლება ამ ნაწარმოების ყურებისას?

**არქიტექტურასთან მიმართებაში:**
- როგორ ფიქრობ, რა დანიშნულების შეიძლება იყოს ეს ნაგებობა?
- სცადე წარმოიდგინო, რას შეიძლება აკეთებდნენ ადამიანები ამ შენობაში?
- როგორ იგრძნობენ ადამიანები თავს ამ შენობის ინტერიერში?

**ქანდაკებასთან მიმართებაში:**
- **როგორ ფიქრობ, რას წარმოადგენ**და ეს პიროვნება?
- როგორად წარმოგვიდგინა ის ავტორმა?
- რა დეტალებით გაუსვა ხაზი მის **ხასიათს?**
- **წარმოიდგინე, რას გააკეთებდა ეს ქანდაკება, ცოცხალი რომ იყოს?**

**ნაწარმოების ანალიზის დასკვნითი ნაწილი უნდა დაეთმოს შეგროვილი ინფორმაციის გაერთიანებას, ნაწარმოების მთლიანობის აღქმას.**

**ექსპერიმენტისთვის შესთავაზეთ მოსწავლეებს (წარმოსახვით, ან ხელის დაფარებით) გადააადგილონ, გაზარდონ ან გააქრონ სურათის რომელიმე დეტალი. ამ ექსპერიმენტის შედეგად მოსწავლეები დაინახავენ, თუ როგორ იცვლება სურათის ხასიათი და შინაარსი, რამდენად გააზრებულია სურათის ყოველი ელემენტის ადგილი, ფერი თუ ზომა. სწორედ ამ ეტაპზე მოხდება სურათის არსის გააზრება, ავტორის ჩანაფიქრით აღფრთოვანება.**

**ანალიზის უნარის გამომუშავება-გამყარებისთვის სასარგებლოა სხვადასხვა ნაწარმოებზე საუბრისას მუდმივად გამოიყენოთ ერთი და იგივე მიდგომა და შეკითხვები, რათა მოსწავლეები მიეჩვიონ ნაწარმოების აღქმისა და შეფასების თანამიმდევრობას. მნიშვნელოვანია, მათ ისწავლონ:**

- ნაწარმოების დეტალური აღწერა;
- ნაწარმოების მოკლე აღწერა - მხოლოდ მთავარის დაფიქსირება;
- იერარქიული თანამიმდევრობის აგება (რა არის ნაწარმოებში უფრო მთავარი და რატომ);
- სახვითი ენის დახასიათება;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

სხვადასხვა მოსწავლესთან მიმართებაში, მათი ხასიათის, ინტერესების და უნარების გათვალისწინებით, ერთი და იგივე ნაწარმოების გარჩევისას, შეიძლება მიმართოთ განსხვავებულ მეთოდებს.

წერილობითი ანალიზის შემთხვევაში მოსწავლემ წერილობით უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და დამოკიდებულება, გამოთქვას ვარაუდი; უპასუხოს წერილობით ჩამოყალიბებულ შეკითხვებს.

ზეპირსიტყვიერ ანალიზს მოსწავლე აკეთებს მასწავლებლისა და სახელმძღვანელოში არსებული მინიშნებების დახმარებით; იცავს თანამიმდევრობას.

თუ ანალიზის პროცესი შედის ჩიხში, ანალიზი კეთდება ზედაპირულად, მექანიკურად, უმეტეს შემთხვევაში ამის მიზეზი ნაწარმოებისადმი მოსწავლეთა გულგრილი დამოკიდებულებაა. იმისთვის, რომ მოაწონოთ, დააინტერესოთ მოსწავლეები ნაწარმოებით, რომელმაც არ მოახდინა მათზე შთაბეჭდილება, შეიძლება მიმართოთ ნაწარმოების აღქმის უფრო აქტიურ, „მსახიობურ" მეთოდს: შესთავაზეთ მათ ნაწარმოებში წარმოსახვითი გასეირნება - წარმოიდგინონ თავი ამ სურათის სამყაროში. სცადონ მიიღონ ნაწარმოებში გამოსახული პერსონაჟების პოზები, გამომეტყველება, გააცოცხლონ სურათში გამოსახული სიტუაცია, წარმოსახვითი ურთიერთობა დაამყარონ სხვა პერსონაჟებთან. წარმოიდგინონ, როგორ მოიქცევიან ისინი. შესთავაზეთ აქტივობა „გასეირნება პეიზაჟში" ან „ფრენა აბსტრაქტულ სივრცეში"... ასეთი „გასეირნების" დროს, მიმანიშნებელი შეკითხვები „როგორ სამყაროში მოხვდი?", „რას ხედავ?", „რა შეიძლება შეგემთხვეს ამ ადგილას/სივრცეში?" და სხვა, დაეხმარება მათ ნაწარმოების ხასიათის შეგრძნებასა და საინტერესო აღმოჩენების გაკეთებაში.

## ნაწარმოების გარჩევის გეგმა:

**საფეხური 1 – მონაცემები:**

- ხელოვანის ვინაობა (სახელი, გვარი, სადაურია, სად მოღვაწეობდა, რომელ ეპოქაში (საუკუნე, წლები);
- ნაწარმოების სათაური;
- დარგი, მასალა, ტექნიკა, ჟანრი;
- ადგილმდებარეობა;
- ისტორიული/რელიგიური/კულტურული/სოციალური კონტექსტი – რა ვითარებაში შეიქმნა ნაწარმოები? რა ხდებოდა იმ დროს იმ ქვეყანაში, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ხელოვანზე? როგორი იყო იმ ეპოქის წამყვანი მხატვრული ტენდენციები? იმ პერიოდში, ძირითადად, რა აინტერესებდათ ხელოვანებს? რომელ მიმდინარეობას, სტილს განეკუთვნება ნაწარმოები? რა მასალა/ტექნიკა იყო იმ პერიოდში ხელმისაწვდომი და გავრცელებული?

**საფეხური 2 - აღწერა:**

აღწერე, რას ხედავ. დაიწყე იმით, რაც პირველ რიგში იპყრობს ყურადღებას, შემდეგ გადადი მეორეხარისხოვანი დეტალების აღწერაზე:

- როგორი გარემოა (ბუნება, ურბანული ან სოფლის გარემო, ინტერიერი, საგნები)?
- რა დროა (დღე, ღამე, წელიწადის დრო, თანამედროვე დრო თუ წარსული)?
- ვინ არიან გამოსახულნი (ასაკი, სოციალური ფენა, ჩაცმულობა, პოზა, გამომეტყველება, რა ატრიბუტები (ნივთები) აქვთ?)
- რა ხდება (რას აკეთებენ პერსონაჟები, როგორ განწყობაზე არიან)?

**საფეხური 3 – ანალიზი:**

დააკვირდი, სახვითი ხელოვნების რომელი საშუალებები და ხერხები განსაზღვრავს ნამუშევრის თავისებურებას? გაამახვილე ყურადღება მხოლოდ იმ ელემენტებსა და პრინციპებზე, რომლებიც წამყვანია ნაწარმოების ხასიათის შესაქმნელად.

**სახვითი ხელოვნების საშუალებები:**

ხაზი, ფერი, ტონი, გრადაცია, ფორმა/დეფორმაცია, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა, ფონი.

**სახვითი ხელოვნების ხერხები:**

კომპოზიცია, ჰარმონია/მთლიანობა, მრავალფეროვნება, აქცენტი, კონტრასტი, წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, რიტმი, პროპორცია/დისპროპორცია, რაკურსი, პერსპექტივა (ჰაეროვანი/ხაზოვანი), ხედვის წერტილი, მასშტაბი, ორნამენტი (პატერნი, განმეორებადი ფორმა).

**საფეხური 4 – ინტერპრეტაცია:**

- რისი თქმა სურდა ხელოვანს? რა იყო მისი მიზანი – ისტორიული მოვლენისადმი დამოკიდებულების, იდეის, საკუთარი პოზიციის, შთაბეჭდილების, განწყობის, ემოციის გადმოცემა?
- ეპოქის ხელოვნების რომელ ძირითად მახასიათებლებს ხედავ ამ ნაწარმოებში? მოცემული ეპოქისთვის დამახასიათებელი რომელი მხატვრული ხერხები, მასალა, ტექნიკა გამოიყენა ხელოვანმა? რაში გამოვლინდა ეს მის ნაწარმოებში?

- რა ეფექტს მიაღწია ხელოვანმა მასალის, ტექნიკის, სახვითი საშუალებებისა (ელემენტების) და ხერხების (პრინციპების) ამგვარად გამოყენებით?
- რა ხასიათისაა ნაწარმოები (რეალისტური, პირობითი, აბსტრაქციული, სიმბოლური, მორალისტური, თხრობითი, საზეიმო, მშვიდი, მყუდრო, ლირიკული, იდილიური, ხალისიანი, სევდიანი, ტრაგიკული, დრამატული, ექსპრესიული, გროტესკული, სატირული, დოკუმენტური, დეკორატიული და სხვ.)?

**საფეხური 5 – შეფასება:**
- რით გამოირჩევა ეს ნაწარმოები გამორჩეული ავტორის სხვა ნამუშევრებისგან?
- წინარე ეპოქების ხელოვნებიდან რას შეეძლო გავლენა მოეხდინა ამ ნაწარმოებზე? რაში გამოიხატა ეს გავლენა?
- მანამდელი ეპოქის ნაწარმოებებთან შედარებით რა არის მასში ახალი?
- მოახდინა თუ არა ამ ნაწარმოებმა გავლენა თანადროულ ან მომდევნო პერიოდის ხელოვნებაზე? რაში გამოიხატა ეს გავლენა?
- მოგწონს ეს ნაწარმოები თუ არა? რატომ?
- როგორ ფიქრობ, იმსახურებს ის შედევრის წოდებას? რატომ არის სასურველი, რომ ის ხალხმა ნახოს? დაასაბუთე შენი აზრი.

**დასკვნა: გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება – რას ფიქრობ ამ ნაწარმოებზე?**

**ფერწერული ნაწარმოების ანალიზის სპეციფიკა:**
**გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები:**
- ნამუშევრის ფორმატი;
- წერის მანერა;
- ხაზი (შტრიხი, კონტური), ფერი, ფორმა (ბუნებრივი და გეომეტრიული, სიბრტყობრივი და მოცულობითი), კოლორიტი, შუქ-ჩრდილი, ტონი და ტონალური გრადაცია, ფაქტურა. კომპოზიცია: როგორ არიან განლაგებული სურათის ელემენტები, წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, კონტრასტი, აქცენტი, ხედვის წერტილი (რაკურსი), პერსპექტივა, თანაფარდობა, მასშტაბი, პროპორცია, რიტმი, ორნამენტი.

**რა ხასიათისაა სურათი:**
- რეალისტური;
- სტილიზებული, უტრირებული, დეკორატიული;
- აბსტრაქციული (უსაგნო, განზოგადებული);
- სიმბოლური (ფარული, ნაგულისხმევი ქვეტექსტის მქონე);
- მორალისტური;
- თხრობითი, საზეიმო, იდილიური (მყუდრო), ლირიკული, ტრაგიკული, დრამატული, ექსპრესიული, სატირული;
- რა იდეას გამოხატავს სურათი?
- რა ემოციას აღძრავს სურათი?

**ქანდაკების ანალიზის სპეციფიკა:**

- ჟანრი: პორტრეტი (ფიგურა, ბიუსტი, ცხენოსანი...), მითოლოგიური, ალეგორიული, რელიგიური, ისტორიული, ყოფითი, ანიმალისტური;
  - ქანდაკების სახეობა:
  - მრგვალი
  - მონუმენტური (ძეგლი, მემორიალი, მონუმენტი, ობელისკი, კოლონა...)
  - ცალკე მდგომი/არქიტექტურული ანსამბლის ნაწილი
  - რელიეფი (კონტრრელიეფი, ბარელიეფი, ჰორელიეფი)
  - მცირე პლასტიკა
  - კინეტიკური
- მასალა: (ქვა, ხე, თიხა, ლითონი და სხვა)
- სახვითი საშუალებები და ხერხები: ფორმა, ფაქტურა, ფერი, პროპორცია, სტატიკა-დინამიკა, წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია. კონტრასტი, რიტმი, აქცენტი, ორნამენტი (პატერნი, განმეორებადი ფორმა).

**რა ხასიათისაა ქანდაკება:**

- რეალისტური
- სტილიზებული
- საზეიმო
- ფსიქოლოგიური
- ექსპრესიული
- ლირიკული
- დრამატული
- სატირული
- აბსტრაჰირებული (განზოგადებული)
- სიმბოლური (ფარული, ნაგულისხმევი ქვეტექსტის მქონე)
- დეკორაციული

**არქიტექტურული ძეგლის/ნაგებობის ანალიზის სპეციფიკა:**

- დანიშნულება (საკულტო, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, ლანდშაფტის, ადმინისტრაციული, საწარმოო, თავდაცვითი)
- მასალა (ქვა, აგური, ხე, რკინა-ბეტონი, მინა და სხვა)
- მხატვრული ხერხები (ფორმა, ფაქტურა, კომპოზიცია, წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია, პროპორცია, მასშტაბი, რიტმი, დეკორატიული ელემენტები (ორნამენტი, პლასტიკური და სკულპტურული დეკორი)
- კონსტრუქციის თავისებურებები, არქიტექტურული დეტალები, რომლებიც განაპირობებენ ნაგებობის სტილს, რომელიმე ცივილიზაციის/კულტურის კუთვნილებას.
- როგორ შეესაბამება ნაგებობა თავის ფუნქციას?
- როგორ ერგება იგი გარემოს?
- რა გავლენას ახდენს ნაგებობა ადამიანებსა და გარემოზე?

## რეკომენდებული წყაროები:

ე. ჰ. გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012: https://bit.ly/31NFJnJ
მსოფლიო ხელოვნება, ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მერიდიანი, 2010;
ხელოვნების ისტორია (XVIII საუკუნიდან დღემდე), მ. სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 2018;
XX ს-ის ხელოვნება, ქ. კინწურაშვილი, 2020;
ხელოვანთა ნამუშევრები და მათ შესახებ სტატიები იხ.: https://artchive.ru/artists
სახვითი ხელოვნების ციფრული ბაზა: https://www.wga.hu
ონლაინ სასკოლო ენციკლოპედიური ლექსიკონების აქტიური ბმულები:
მსოფლიო კულტურა და ხელოვნება: http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=47
ხელოვნება, მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგ. ნ. მაჭარაშვილი, თბ., მერიდიანი, 2004 წ.: http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=7

## სახელმძღვანელოს შინაარსი

**თემატური ბლოკი** „გარემო და ხელოვნება" წარმოდგენილია თემებით:

**1. „მოდერნიზმის სათავეებთან"** განიხილავს იმპრესიონიზმის მიმდინარეობის ჩამოყალიბების ისტორიას, მისი წინამორბედებისა და წარმომადგენლების შემოქმედებას. მოცემული თემის მიზანია, მოსწავლეებმა ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე შეძლონ XIX ს-ის მხატვრულ მიმდინარეობებსა და უცხო გავლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, მათი აღქმა ისტორიულ კონტექსტში; იმპრესიონიზმის სახვითი მახასიათებლებისა და მხატვრული გამოცდილების საფუძველზე, სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შექმნილ ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილებების გადმოცემა;

**2. „პოსტიმპრესიონიზმი და მისი მემკვიდრეები"** განიხილავს, როგორ წამოსწია წინ პოსტიმპრესიონიზმმა სამყაროს სუბიექტური აღქმა და შემდგომში რა განშტოებები (მიმდინარეობები) წარმოშვა ამ ძიებებმა. მოცემული თემის მიზანია, მოსწავლეებს განუვითარდეთ გამბედაობა, გადმოსცენ მათ მიერ სუბიექტურად აღქმული სინამდვილე; გააცნობიერონ და ნამუშევარში გამოიყენონ სახვითი ხელოვნების საბაზისო ელემენტების - ხაზის, ფერისა და ფორმის მხატვრული შესაძლებლობები, რაშიც მათ დაეხმარება ისეთი მიმდინარეობების მხატვრული მიგნებები და გამოცდილება, როგორებიცაა პოსტიმპრესიონიზმი, არ ნუვო, ნაივი, ფოვიზმი, ექსპრესიონიზმი და კუბიზმი. ამასთანავე, მოსწავლეებს განუვითარდებათ გახსნილობა უცხო, განსხვავებული კულტურებისადმი, რომელთა გავლენებიც იჩენს თავს ამ მიმდინარეობებში. მოსწავლეები გააცნობიერებენ მსოფლიო ომებით განპირობებული ისტორიული ვითარების გავლენას ხელოვანთა შემოქმედებაზე.

**3. „XX საუკუნის სახვითი გრამატიკა"** განიხილავს, თუ როგორ შეცვალა გარემო ტექნიკურმა პროგრესმა, ინდუსტრიალიზაციამ, ცხოვრების რიტმის აჩქარებამ, სამეცნიერო აღმოჩენებმა და თუ როგორ შეიმუშავეს ხელოვანებმა თავისი დროის შესატყვისი სახვითი ენა, როგორ მოიპოვეს ხაზმა, ფერმა, ფორმამ სრული დამოუკიდებლობა სამყაროსადმი დამოკიდებულების წარმოსაჩენად. ფუტურიზმისა და აბსტრაქციის წარმომადგენელთა ნამუშევრების ანალიზისა და შედარების საფუძველზე მოსწავლეები გააცნობიერებენ ტექნიკური პროგრესის გავლენას ხელოვნებაზე. ასევე, თემის მიზანია, მოსწავლეები დაეუფლონ მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკას და შეძლონ ნამუშევარში თავისი დროის შესატყვისი იდეების ასახვა.

# თემატური ბლოკის „გარემო და ხელოვნება“ გაკვეთილების მიმდევრობა მოსწავლის წიგნში:

## თემა 1. მოდერნიზმის სათავეებთან


1. თავისუფალი ხელოვნების ეპოქა გვ. 5
2. აკადემიზმი და კლასიციზმი გვ. 8
3. ვინ გაუკვალა გზა იმპრესიონისტებს გვ. 10
   „ბარი ფოლი-ბერჟერი“ გვ 16
4. იმპრესიონიზმის წინამორბედნი გვ. 18
5. იმპრესიონიზმის დაბადება გვ. 22
6. წამიერი აღქმა გვ. 34
   ფოტოგრაფიის გავლენა გვ. 36
   ტექნიკური გადახვევა გვ. 38
7. ფერადი ჩრდილები გვ. 40
   ისტორიული გადახვევა გვ. 44
8. იაპონიზმი გვ. 46
   პოეტური გადახვევა გვ. 50
9. ლითოგრაფიის ისტორია გვ. 52


## თემა 2. პოსტიმპრესიონიზმი და მისი მემკვიდრეები


10. პოსტიმპრესიონიზმი - ჯაჭვის მძლავრი რგოლი გვ. 58
11. არ ნუვო და ლოტრეკი გვ. 62
12. ეგზოტიკური ხედვა გვ. 68
    გოგენის ველური სამოთხე გვ. 70
13. ველურები გვ. 73
14. ვინსენტი გვ. 82
15. ექსპრესიონიზმი გვ. 88
    ლურჯი მხედარი გვ. 90
    „ლურჯი მხედრის“ ამორძალი გვ. 92
16. მწუხარების ხმა გვ. 93
    ედვარდ მუნკი გვ. 96
    კარლო კაჭარავა გვ. 98
17. სეზანი და კუბიზმი გვ. 100
    კოლაჟი გვ. 106


## თემა 3. XX ს-ის სახვითი გრამატიკა


18. რიტმი და კომპოზიცია გვ. 110
19. აჩქარებული სამყარო გვ. 114
    ატომის ერა გვ. 118
20. აბსტრაქცია გვ. 120
    შავი კვადრატი გვ. 122
21. ფერი და მეტი არაფერი გვ. 124
    ვერა ფაღავა გვ. 128
22. სატელიტური პეიზაჟი გვ. 130
    თემატური ბლოკის ეპილოგი გვ. 132
    დროის ხაზი პიკასოსთან ერთად გვ. 133

**თემატური ბლოკი** „საზოგადოება და ხელოვნება“ წარმოდგენილია თემებით:

**4. „ხელოვანი და სახელმწიფო“** განიხილავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ხელოვნების მიმართ – იდეოლოგიის, ტოტალიტარიზმის პირობებში ხელოვანის შემოქმედებითი თავისუფლების საკითხებს. მოცემული თემის მიზანია, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს ჰუმანური ღირებულებები, რათა მათ სწორედ ჰუმანიზმის პოზიციებიდან შეაფასონ ისტორიული (პოლიტიკური თუ სოციალური) ვითარება; შეძლონ სახვითი ხელოვნების მეშვეობით, ნამუშევარში საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.

**5. „საზოგადოება და პიროვნება“** წარმოაჩენს, თუ რა ფორმით ვლინდება XX ს-ის ხელოვნებაში პირადული და საზოგადოებრივი ინტერესები. ხელოვანს, როგორც პიროვნებას და როგორც საზოგადოების წევრს, საკუთარი ნააზრევი, როგორი პირადულიც არ უნდა იყოს ის, საბოლოოდ საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს. თემის მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს თავისი სათქმელი, დაინახოს, რა აინტერესებთ მის თანატოლებს; შეძლოს შექმნას ნამუშევარი, რომელიც წარმოაჩენს მათ საერთო სათქმელს. მოსწავლეს მოუწევს თავად გადაჭრას მხატვრული ამოცანა, იპოვოს შესაბამისი სახვითი ენა, მასალა, ტექნიკა, რათა გააჟღეროს თაობის სათქმელი მოზარდებისთვის გასაგები, მისაღები ფორმით, რაშიც დაეხმარება მოცემულ თავში შემოთავაზებული ხელოვანთა შემოქმედებითი ძიებების მაგალითები.

**6. „საზოგადოებრივი არქიტექტურა და დიზაინი“** წარმოაჩენს, თუ როგორ ვლინდება XX საუკუნის არქიტექტურასა და დიზაინში ხელოვანის ესთეტიკური ხედვა, როგორ ემსახურება ეს ორი დარგი საზოგადოების ინტერესებს და როგორ განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრების წესს. მოცემული თავის მიზანია, მოსწავლე დააფიქროს თავისი დროის გამოწვევებზე, საზოგადოებრივ მოთხოვნაზე, მოძებნოს ამ მოთხოვნის შესატყვისი მხატვრული სტილი და შექმნას არქიტექტურული/დიზაინერული პროექტი, რომელშიც თანაბრად გაითვალისწინებს თანატოლთა მოთხოვნებსა და ინტერესებს.

## თემატური ბლოკის „საზოგადოება და ხელოვნება“ გაკვეთილების მიმდევრობა მოსწავლის წიგნში:

### თემა 4. ხელოვანი და სახელმწიფო


23. ფიროსმანი გვ. 138
24. იდეოლოგიის წნეხის ქვეშ გვ. 142
25. საშიში ხელოვნება გვ. 150
26. იატაკქვეშა ხელოვნება გვ. 156
27. რეალიზმიდან აბსტრაქციისკენ გვ. 157

აბსტრაქციიდან კონცეპტუალიზმისკენ გვ. 158

## თემა 5. საზოგადოება და პიროვნება

28. სიურეალიზმი და მისი ფესვები გვ. 162
რენე მაგრიტი გვ. 166
ჟოან მირო გვ. 169
29. პოპ არტი გვ. 170
30. XX საუკუნე - ქანდაკების ახალი ერა გვ. 174
კამილ კლოდელი გვ. 176
იაკობ ნიკოლაძე გვ. 178
ქართველი მოქანდაკე ქალები გვ. 180
31. ახალი ფორმის ძიება გვ. 184
32. ქანდაკება საქართველოში გვ. 194

## თემა 6. საზოგადოებრივი არქიტექტურა და დიზაინი

33. აგორადან მონიტორამდე გვ. 202
34. ფუნქცია თუ ფორმა? გვ. 206
35. სტილი და ხელწერა გვ. 214
36. მდიდრული უბრალოება გვ. 222
ფინალური პროექტი გვ. 223
ეპილოგი გვ. 219

## კომპლექსური დავალებების ცხრილი:

| | თემა: | კომპლექსური დავალება: |
|---|---|---|
| თემატური ბლოკი: „გარემო და ხელოვნება“ | | |
| 1 | იმპრესიონიზმის სათავეებთან | ფერწერული პეიზაჟი პლენერზე |
| 2 | პოსტიმპრესიონიზმი და მისი მემკვიდრეები | კულტურათა გადაკვეთა |
| 3 | მე-20 ს-ის სახვითი „გრამატიკა“ | მე-20 ს-ის სახვითი გრამატიკა |
| თემატური ბლოკი: „საზოგადოება და ხელოვნება“ | | |
| 4 | ხელოვანი და სახელმწიფო | პოსტერი „შემოქმედებითი თავისუფლება“ |
| 5 | საზოგადოება და პიროვნება | მემორიალი |
| 6 | საზოგადოებრივი არქიტექტურა და დიზაინი | XXI ს-ის იდეალური სკოლა |
| | ფინალური პროექტი „ვირტუალური გამოფენა“ | |

თემატური მატრიცა 1

**თემატური ბლოკი:** **გარემო და ხელოვნება**
**თემა:** **მოდერნიზმის სათავეებთან**
**გაკვეთილები:** **1 - 9** **საათების რაოდენობა:** **11 + 1 სთ.**

**საამიზნე ცნებები და ქვეცნებები:**
**სახვითი ხელოვნების ელემენტები:** ხაზი; ფერი (ძირითადი, კონტრასტული); შუქ-ჩრდილი; ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.
**სახვითი ხელოვნების პრინციპები:** კომპოზიციური განაწილება, ხედვის წერტილი.
**დარგები:** დაზგური ფერწერა, გრაფიკა;
**ჟანრები:** პეიზაჟი, ყოფითი და სხვ.
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ფერწერა; მონასმი; გრაფიკა; ციფრული ტექნოლოგიები.
**ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი და მათი მხატვრული მახასიათებლები:** აკადემიზმი, კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი, იაპონური მხატვრობა.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**
- XIX ს-ის ხელოვნების მიმდინარეობები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.
- XIX ს-ში მიმდინარე მოვლენებმა (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი და ა.შ.) გარემოსა და ხელოვნებაში რადიკალური ცვლილებები გამოიწვია.
- ხელოვანი თავის შემოქმედებაში ასახავს გარემოში მიმდინარე ცვლილებებს.
- წარსულზე დაკვირვება წარმოგვიჩენს მემკვიდრეობითობისა და ცვლილებების მუდმივ მონაცვლეობას.
- წარსულის მხატვრული გამოცდილების გაცნობა დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ თანამედროვეობა და ამ ცოდნის საფუძველზე მივიღოთ ახლებური შემოქმედებითი გადაწყვეტილებები.
- ძველი ტრადიციები ასაზრდოებენ თანამედროვე მიდგომებს.
- განსხვავებული კულტურების გაცნობა საკუთარი კულტურის უკეთ გაგებასა და გამდიდრებაში გვეხმარება.

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**
- რა ძირეული სხვაობაა XIX საუკუნის ხელოვნების მიმდინარეობებს შორის. რა არის ამის მიზეზი?
- გარემოს რა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა XIX საუკუნის ხელოვანთა მსოფლმხედველობაზე?
- როგორ რეაგირებს ხელოვანი მიმდინარე მოვლენებზე და რა ფაქტორები ახდენს გავლენას ნაწარმოების იერსახეზე?
- რატომაა მნიშვნელოვანი წარსულის ცოდნა და რას გვასწავლის წარსული თანამედროვეობის შესახებ?
- რითაა საინტერესო ხელოვანთა შემოქმედებითი გამოცდილების გაცნობა?
- როგორ შემიძლია გამოვიყენო ძველი ტრადიციები და მიდგომები ნამუშევრის შექმნისას?
- რას აძლევს ადამიანს განსხვავებული კულტურის გაცნობა?

| **საამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **ქვეცნებები:**<br>**კომპლექსური დავალება 1**<br>**სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები:** ფერი, შუქ-ჩრდილი (განათება). კომპოზიციური განაწილება.<br><br>**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** მონასმი<br>**სახვითი ხელოვნების დარგი და ჟანრი:** დაზგური ფერწერა, პეიზაჟი (ჟანრი). | **საკვანძო შეკითხვები:**<br>**კომპლექსური დავალება 1**<br>რა სახვითი მახასიათებლებით გამოირჩევა იმპრესიონისტული ფერწერა?<br>იმპრესიონიზმის რა სახვითი ხერხებით შემიძლია ავსახო ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილება? | **კომპლექსური დავალებები** *(შუალედური სასწავლო მიზნები)*<br><br>**„ფერწერული პეიზაჟი პლენერზე“:**<br><br>იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით პლენერზე (ან |
|---|---|---|---|

<table>
<tr><td></td><td>ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი:<br>იმპრესიონიზმი და მისი მახასიათებლები.</td><td>რა ეფექტს იძლევა იმპრესიონისტული ხერხებით პლენერზე შესრულებული ფერწერული ნამუშევარი?</td><td>ფანჯრიდან ხედის) ესკიზური ფერწერული პეიზაჟის შექმნა.</td></tr>
<tr><td>სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: ს.გ.სახ.1, 2, 3, 4)<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასებისას.<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: ს.გ.სახ.1, 2, 3, 4)<br>• ხელოვანი მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;<br>• კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების</td><td colspan="3"><u>კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები</u> <u>(რესურსები, შეკითხვები, აქტივობები)</u><br><br><u>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა:</u><br><br>კომპლექსური დავალება 1: „ფერწერული პეიზაჟი პლენერზე“<br><br>დავალების პირობა:<br>დახატე ესკიზური ფერწერული პეიზაჟი პლენერზე (ან ფანჯრიდან დანახული ხედი) იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით.<br>ამისათვის:<br>გადაუღე ფერადი ფოტო შენ მიერ შერჩეულ ხედს. ეს ფოტო გამოგადგება ნამუშევრის წარდგენისას.<br>შექმენი ფერწერული პეიზაჟი, რომელშიც იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებებითა და ტექნიკით გადმოსცემ ხედისგან მიღებულ შთაბეჭდილებას.<br><br>წარდგენისას იმსჯელე:<br>რა თავისებურება ახასიათებს პლენერზე მუშაობას?<br>იმსჯელე, იმპრესიონიზმის რა მახასიათებლებს მიმართე ნამუშევრის შექმნისას.<br>შეადარე შენი ფერწერული პეიზაჟი შენ მიერ გადაღებულ ფოტოს. გამოგივიდა განათებისა და კოლორიტის გადმოცემა?<br>იმსჯელე საკუთარ გამოცდილებაზე პლენერზე მუშაობასთან დაკავშირებით (რა ვარაუდები გქონდა, რამდენად გამართლდა შენი მოლოდინი, რას შეცვლიდი).<br><br>პრაქტიკული და მეთოდური რჩევები კომპლექსური დავალების შესრულებისთვის:<br><br>მოცემული თემიდან მოსწავლემ უნდა გაიხსენოს:<br>იმპრესიონიზმის მახასიათებლები.<br><br>მოსწავლე უნდა დააკვირდეს:<br>ამინდის და დღის მონაკვეთის შესაბამის განათებას, რომელი და როგორი ფერები ჭარბობს დღის კონკრეტულ მონაკვეთში (ცივი, თბილი, პასტელური, მკვეთრი და სხვა);<br>რა ფერისაა საგნები და მათი ჩრდილები.<br><br>ნამუშევრის შესრულება:<br>მოსწავლემ ნამუშევარში უნდა გამოიყენოს იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი შემდეგი ხერხები:<br>• მუშაობის სწრაფი ტემპი, ესკიზურობა;<br>• ასიმეტრიული კომპოზიცია;<br>• მოჭრილი კადრი; წინა, შუა და უკანა ხედი (მაგ: იაპონური მხატვრობის მსგავსად კადრში შემოჭრილი ტოტით ან შენობის ნაწილით).<br>• განათების შესაბამისი ფერადოვანი გამა;<br>• კონტრასტული ფერის ჩრდილები;<br>• სუფთა ფერის მოკლე მონასმები;</td></tr>
</table>

ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.

**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
***(შედეგები: ს.გ.სახ.1, 2, 3, 4)***

- ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;
- ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;
- ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;
- თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;
- სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით;
- ხელოვნების დარგებსა და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.

**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული**

**ნამუშევრის დასრულებისას:**

- დააკვირდეს ნამუშევარსა და შესაბამის ფოტოს.
- შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ხედის საერთო კოლორიტი და თითოეული საგნის ელფერი ნამუშევრის კოლორიტს.
- ნამუშევარს უკან მიაწეროს, რომელ საათზე, დროის რა მონაკვეთშია შესრულებული.
- რეფლექსიაში წერილობით აღწეროს, როგორ იმოქმედა განათებამ გარემოში მდებარე საგნების ფერზე.

*** მინიშნება მასწავლებლისთვის:** *მოცემული დავალება დაეხმარება მოსწავლეს პასუხი გასცეს გავლილი თემის ყველა საკვანძო შეკითხვას, ვინაიდან, სხვა მიმდინარეობებისგან განსხვავებით, იმპრესიონისტული სახვითი ხერხებით შესრულებული პეიზაჟი მოიცავს:*

- პლენერზე მუშაობას;
- ბუნებაზე დაკვირვებას;
- შთაბეჭდილების ასახვას;
- ნამუშევრის ესკიზურ ხასიათს;
- განათების ეფექტის გადმოცემას;
- კონტრასტული ფერის ჩრდილებს;
- ასიმეტრიულ კომპოზიციას;
- მოჭრილ კადრს;
- ხატვას მოკლე მონასმებით;
- ფოტოგრაფიის გამოყენებას.

** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ აქვს ზეთის საღებავები და დავალებას ასრულებს გუაშით, შეფასების კრიტერიუმებიდან უნდა გამოვრიცხოთ მონასმის პასტოზურობა. საკმარისი იქნება, თუ მოსწავლე გამოიყენებს მოკლე მონასმებს.*



მოსწავლის ნამუშევარი

| მახასიათებლები<br>*(შედეგები: ს.გ.სახ.1, 2, 3, 4)* | <u>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა</u> |
|---|---|
| • ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);<br>• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ურთიერთზეგავლენა;<br>• ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და | **<u>ნაბიჯი 1:</u>**<br>გაკვეთილი 1. „თავისუფალი ხელოვნების ეპოქა“ **რესურსი 1**<br>** მოსწავლის წიგნში ყოველი გაკვეთილის დასაწყისში მოცემული დავალებისა და შეკითხვების მიზანია, მოსწავლემ თავად აღმოაჩინოს ის, რაზეც შემდგომ გაკვეთილის ტექსტში მიიღებს პასუხებს, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, განაწყოს და შეამზადოს მოსწავლე გაკვეთილში შემოთავაზებული ინფორმაციის გასააზრებლად.*<br>*ყოველი დავალების სათაურში მითითებულია, თუ რა სახის აქტივობას* (ისტორიული კონტექსტისა და გავლენების განხილვა, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლების დადგენა, ნაწარმოების ანალიზი, პრაქტიკული სამუშაო) *წარმოადგენს ის.*<br>*პირველი გაკვეთილი სადისკუსიო ხასიათისაა. ამ გაკვეთილის შეკითხვები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს დისკუსიისთვის მიმართულების მისაცემად.*<br>• **დავალება - მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*<br>· კლასიცისტ ნიკოლა პუსენისა და იმპრესიონისტ კლოდ მონეს სურათებს სამი საუკუნე აშორებს. დააკვირდი ამ ორ ნამუშევარს და იპოვე მათ შორის არსებული ძირეული განსხვავებები.<br>· იმსჯელე, როგორ შეიცვალა მხატვრების დამოკიდებულება და მათ წინაშე მდგარი ამოცანები გარემოს ასახვის ხერხებისადმი.<br>**სავარაუდო პასუხი:**<br>ნიკოლა პუსენის პეიზაჟი „იოანე ნათლისმცემელი კუნძულ ატმოსზე“ მხატვრობის ყველა კანონის დაცვით, უზადოდაა შესრულებული – ყველაფერი საგულდაგულოდაა გამოწერილი, იგრძნობა სივრცე, ჰაერი. ჰაეროვანი პერსპექტივა გადმოცემულია ტონალური გრადაციით, მოცულობები კი - შუქჩრდილის მონაცვლეობით. სურათის ზედაპირი გლუვია, მონასმის კვალს ვერც კი შეამჩნევ. ეს პეიზაჟი სახელოსნოში, აუჩქარებლადაა შესრულებული. პეიზაჟში ჩართულია ბიბლიური პერსონაჟი და ანტიკური ხანის ნაგებობათა ნანგრევები.<br>კლოდ მონეს პეიზაჟი „სენ ლაზარის სადგური შესრულებულია ნაჩქარევი, სწრაფი მონასმებით. სურათი ღია ცის ქვეშ, ნატურიდანაა დახატული. დეტალები არ არის გამოწერილი.<br>პუსენის სურათი მშვიდ გარემოს ასახავს, სადაც ფოთოლიც კი არ იძვრის. ის მარადიულობის განცდას ბადებს. კლოდ მონეს პეიზაჟი კი სიცოცხლითაა სავსე. მონესთვის მნიშვნელოვანია არა მარადიული, არამედ წამიერი შთაბეჭდილების გადმოცემა. მისთვის თანაბრად საინტერესოა როგორც ეპოქის სიახლე - მატარებელი, ასევე სინათლის, ჰაერის, მოძრაობის ასახვა.<br><br>**შეკითხვები:**<br>· ყველა ეპოქას, ყველა თაობას სიახლე მოაქვს. დღევანდელი გარემო ძალიან სწრაფად იცვლება. როგორ ერგები ამ ცვლილებებს? შენი აზრით, როგორ მოქმედებს ეს ცვალებადი გარემო ხელოვანზე?<br>· რა რეაქცია ექნებოდა აღორძინების ან ბაროკოს ეპოქის ხელოვანს, თანამედროვე ხელოვნების ნიმუში რომ ენახა?<br>· წარმოიდგინე, როგორი კონფლიქტური, დრამატული იქნებოდა სამყარო XIX ს-ის II ნახევარში, როდესაც ტექნიკურმა პროგრესმა მყისიერად შეცვალა გარემო. ამ ცვლილებების მომსწრე ხელოვანებმა თანადროული სამყარო დოკუმენტურადაც აღბეჭდეს და მისდამი საკუთარი დამოკიდებულებაც გვიჩვენეს. რას ხატავს დღეს შენი თაობა? რა ხერხებით გამოხატავთ სათქმელს? ესმით თუ არა უფროსებს თქვენი?<br>** სახელმძღვანელოში XIX ს-ის II ნახევრის ფრანგული სატირული ჟურნალებიდან მოყვანილი ამონარიდების ციტატები მიზნად ისახავენ მოსწავლეებმა შეიგრძნონ იმდროინდელ საზოგადოებაში თაობებს შორის არსებული დაპირისპირება, ახლისა და ძველის კონფლიქტი.* |

კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.

- **დავალება 1, შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - შეადარე ერთმანეთს ჯორჯონეს, ტიციანის, ალექსანდრ კაბანელისა და ედუარდ მანეს ნიუები. რა ნიშნებით ხვდები, პერსონაჟი ღვთაებაა თუ მიწიერი ქალი?
  - იმსჯელე, რატომ ჩათვალა აკადემიამ მანეს „ოლიმპია“ უხამსობად, როდესაც ჯორჯონეს, ტიციანისა და კაბანელის „ვენერებს“ შედევრებად მიიჩნევდა?

***მინიშნება მასწავლებელს:*** *ნაწარმოებებზე მსჯელობისას მოსწავლემ უნდა გაამახვილოს ყურადღება: შესრულების თარიღზე, წერის მანერაზე, ფონზე, გარემოცვაზე, პერსონაჟების პროპორციებზე, გამომეტყველებაზე, დეტალებზე (სამკაული).*

**ინფორმაცია შედარებითი ანალიზისთვის:**

ჯორჯონე და ტიციანი რენესანსის ეპოქის XVI ს-ის ვენეციური სკოლის წარმომადგენლები არიან. რენესანსის ხანა ანტიკური იდეალების აღორძინებას გულისხმობს. მათი „ვენერები“ სწორედ ამ იდეალის გამოხატულებაა. ჯორჯონეს მძინარე ვენერა სრული სიმშვიდის განცდას ბადებს. პეიზაჟიც მშვიდი და უდრტვინველია. ქალღმერთს სხვა რაიმე დამატებითი სამკაული არ სჭირდება. ის თავადაა ღვთაებრივი მშვენიერების განსახიერება. შიშველ სხეულს ოქროსფერი დაჰკრავს, თითქოს მისგან სითბო სჭვივის. შეგიძლია უსასრულოდ ათვალიერო ეს ამაღლებული, უმანკო სილამაზე, დატკბე უზადო პროპორციების, რბილი, ქალური ფორმების, ნატიფი პლასტიკის, ნაზი კანის ცქერით. ვენერას სძინავს და მისი „თვალთვალი“ უხერხულობას არ გვიქმნის.

აი, ტიციანის „ურბინოს ვენერა“ კი თამამად უსწორებს თვალს მაყურებელს. ჯორჯონეს ვენერასგან განსხვავებით, მას ვარდების თაიგული უჭირავს და სამკაულიც უკეთია – დიადემა, საყურე, სამაჯური. ეს დეტალები მის მიწიერ მიმზიდველობასა და სიკეკლუცეზე მიგვანიშნებენ. ფონზე – ქალბატონი და მოახლე სამზითვო სკივრთან ფუსფუსებენ. ვენერას ფეხებთან, ოჯახური ერთგულების სიმბოლოდ, ძაღლს ვხედავთ. კომპოზიცია ქორწინებაზე მიგვანიშნებს. ეს ურბინოს ჰერცოგის დაკვეთაა, სავარაუდოდ, საცოლისთვის გამიზნული საქორწინო საჩუქარი. არის მოსაზრება, რომ ტიციანმა, ჯორჯონეს გარდაცვალების შემდეგ, დაასრულა ფონი უფროსი მეგობრის ამ ტილოზე.

ალექსანდრ კაბანელის (აკადემიზმი) და ედუარდ მანეს (რეალიზმიდან და იმპრესიონიზმზე გარდამავალი პერიოდი) ეს ორი ნაწარმოები ერთ სივრცეში იყო გამოფენილი. პირველი აკადემიური ოსტატობით დაწერილ ქალღმერთის უზადო, ამაღლებულ მშვენიერებას განასახიერებდა, ხოლო მეორე ახალი დროის შესაფერისი „უხეში“ მანერით შესრულებულ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელს ასახავდა.

ედუარდ მანეს „ოლიმპია“ არც მითური ქალღმერთია, არც ძველი ისტორიის პერსონაჟი, არც ალეგორია და არც ქალური იდეალის განსახიერება. ის დაბალი წრიდან გამოსული კურტიზანი (ძვირიანი პარიზელი მეძავი) ქალია. ეფექტური ანტიკური სახელი „ოლიმპია“ კურტიზანებს შორის პოპულარული „პროფესიული ფსევდონიმი“ იყო. წამოწოლილი ქალი მანეს ნახატიდან მაყურებელს გამომწვევად უცქერის – როგორც ახლახან შემოსულ კლიენტს, რამაც ძალიან გააბრაზა პარიზული სალონის დამთვალიერებელი ბურჟუები. კატა თავაშვებულობის სიმბოლოა. მოახლეს თავისი ქალბატონისთვის კლიენტისგან მირთმეული თაიგული მოაქვს. ფერწერულ ტილოებზე ამაღლებულ სიუჟეტებს მიჩვეული მნახველებისთვის მანეს „ოლიმპია“ ნამდვილი გამოწვევა იყო.

**ნაბიჯი 2**

გაკვეთილი 2. „აკადემიზმი და კლასიციზმი“ **რესურსი 2**

- **დავალება - მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*

  იმისთვის, რომ იმპრესიონისტების გარშემო ატეხილი ვნებათაღელვის მიზეზი გავიგოთ, გადავხედოთ, რა ხდებოდა მხატვრობაში იმპრესიონისტებამდე.
  - დააკვირდი აკადემიკოსი მხატვრების უილიამ ადოლფ ბუგროსა და ალექსანდრ კაბანელის ნამუშევრების პერსონაჟებს, კომპოზიციის აგებულებას, წერის მანერას. როგორ ფერწერას ამკვიდრებდნენ აკადემიკოსები?

- **დავალება 1, შეკითხვა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:**

| | |
|---|---|
| | • რომელ ჟანრს განეკუთვნება უილიამ ადოლფ ბუგროს სურათი „ხელოვნება და ლიტერატურა“?<br>**პასუხი:** ალეგორიულს.<br><br>**დამატებითი ინფორმაცია:**<br>**კლასიციზმი**<br>XVIII-XIX საუკუნეები, განმანათლებელთა ეპოქა, ინდუსტრიული რევოლუციით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხანა იყო. ინდუსტრიულმა რევოლუციამ სოფლის ღარიბი მოსახლეობა ქალაქებში მიიზიდა, თუმცა, შრომისა და ცხოვრების პირობები მათ იქაც უმძიმესი დახვდათ. ამან რევოლუციის წინაპირობა წარმოშვა და საფრანგეთის რევოლუციამაც არ დააყოვნა. აი, ასეთი ქარტეხილისა და ვნებათაღელვის წიაღში წარმოიშვა მიმდინარეობა კლასიციზმი.<br>რაც შეეხება ტერმინს – კლასიციზმი თუ ნეოკლასიციზმი, ისინი ერთსა და იმავეს აღნიშნავს. უბრალოდ, ზოგიერთ ენაში კლასიცისტური კლასიკურში რომ არ არეოდათ, წინ დაუმატეს თავსართი „ნეო“. კლასიკური ლათინურად „სანიმუშოს“ ნიშნავს. აი, კლასიციზმი კი – ანტიკური კლასიკური იდეებითა და მხატვრული ტრადიციებით შთაგონებული ხელოვნებაა. მას ეკისრება იდეალური, მარადიული კანონების დადგენა და დამკვიდრება. ხელოვანმა უნდა მიბაძოს ანტიკურ ნიმუშებს, რადგან ისინი ეტალონად ითვლება.<br>რატომ კვლავ ანტიკური ხანა? რენესანსმა ხომ უკვე საფუძვლიანად დააფასა და შეისწავლა ანტიკური კულტურა? რენესანსსა და კლასიციზმს შორის ერთი ძირეული სხვაობაა – რენესანსმა ანტიკური გამოცდილება მეცნიერულად შეისწავლა და განავითარა. კლასიციზმი კი ნიმუშად იღებს ანტიკურს და ბაძავს. ბაძავს ყველაფერში – არქიტექტურაში, ქანდაკებაში, მხატვრობაში.<br>რატომ? ჯერ ერთი, დემოკრატიის იდეა ახლოს იყო განმანათლებელთა მრწამსთან. ანტიკური სამყარო მათ დემოკრატიისა და ცივილიზებული აზროვნების პირველწყაროდ მიაჩნდათ. ანტიკური ხელოვნებაც, შესაბამისად, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მაგალითის მარადიულ განსახიერებად განიხილებოდა.<br>კიდევ ერთი მიზეზი – XVIII ს-ის შუა ხანებში პომპეისა და ჰერკულანუმის არქეოლოგიურმა გათხრებმა ბრწყინვალე მასალა აღმოაჩინა. ანტიკური წარსულისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა. ახალმა შთაბეჭდილებებმა მთელი ევროპა შეძრა.<br>კლასიციზმის წარმომადგენლები ანტიკური სამყაროს სიდიადეში ეძიებდნენ მისაბაძ საგმირო მაგალითებს. მათ მიაჩნდათ, რომ რომის რესპუბლიკის გმირები მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი ერთგულების უბადლო გამომხატველები იყვნენ. კლასიცისტური ხელოვნება პატრიოტიზმის, სიმამაცისა და ეროვნული გრძნობების გასაღვივებლად იქმნებოდა. კლასიციზმი, როგორც სახელმწიფოსა და პოლიტიკური სტაბილურობის ვიზუალური გამოხატულება, განსაკუთრებით პოპულარული იყო საფრანგეთში.<br><br>**აკადემიზმი**<br>აკადემიზმი მიმდინარეობაა XVII-XIX სს-ის ევროპულ სახვით ხელოვნებაში. ის საუკუნეების განმავლობაში მხატვრობასა და ქანდაკებაში შემუშავებული კანონების მიმართ კონსერვატიულ მიდგომას გულისხმობს. აკადემიური ხელოვნების მშვენიერების იდეალი ანტიკურ კლასიკურ და რენესანსულ მხატვრულ მონაპოვარს ეყრდნობა.<br>XVII ს-ში საფრანგეთის ხელისუფლებამ რამდენიმე სახელოვნებო აკადემია დააარსა.<br>1737 წლიდან სალონური გამოფენები უკვე ყოველწლიურად ეწყობოდა. აქ სპეციალური ჟიურის მიერ შერჩეული ნამუშევრები იფინებოდა. რის მიხედვით არჩევდა ჟიური ნამუშევარს? ისტორიული სურათი (ისტორიულ ჟანრში შედიოდა ისტორიული, მითოლოგიური ან ბიბლიური სიუჟეტის მიხედვით შესრულებული მხატვრობა, აკადემიის მიერ დაწესებულ ჟანრების იერარქიაში პირველ ადგილს იკავებდა. ითვლებოდა, რომ ისტორიული ჟანრი მაღალზნეობრივ და ინტელექტუალურ იდეებს გადმოსცემდა. ამ ჟანრს მოჰყვებოდა ისტორიული პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი სურათი და ბოლოს ნატურმორტი. სალონის ჟიური ერთადერთ ავტორიტეტად და კანონმდებლად ითვლებოდა სახელოვნებო სამყაროში. მას დიდი გავლენა ჰქონდა ოფიციალური სტილის დამკვიდრებაზე და საზოგადოების გემოვნების ჩამოყალიბებაზე; სწორედ აკადემია აწესებდა გემოვნებისა და სილამაზის უნივერსალურ სტანდარტებს. |

ფრანგული აკადემიის მოდელი დასავლეთის ბევრმა მნიშვნელოვანმა ქალაქმა აიღო ნიმუშად; აკადემიები დაარსდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. აკადემიური სალონი ტრადიციების მცველის როლს ითავსებდა. აკადემიის ჟიურის ხედვა კი ამ ტრადიციების დაცვის საშუალებად აკადემიურ ფერწერას და კლასიციზმს განიხილავდა.

**დამატებითი ილუსტრაციები გაკვეთილისთვის:**
**უილიამ ადოლფ ბუგროს შემოქმედება:** https://www.wikiart.org/ru/vilyam-adolf-bugro
**ნიკოლა პუსენის შემოქმედება:** https://www.wikiart.org/en/nicolas-poussin
**ჟაკ ლუი დავიდის შემოქმედება:** https://commons.wikimedia.org/wiki/Jacques-Louis_David

**ნაბიჯი 3**

| გაკვეთილი 3. „ვინ გაუკვალა გზა იმპრესიონისტებს“ | **რესურსი 3** |
|---|---|

- **დავალება - მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - გადახედე ილუსტრაციებს, დააკვირდი თემებს, პერსონაჟებს, წერის მანერას. აკადემიკოსებისა და კლასიცისტებისგან განსხვავებით, რა სიახლე გაჩნდა ახალი თაობის მხატვრების შემოქმედებაში და რატომ?

**შეკითხვები წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:**
- გაიხსენე, რას ნიშნავს რეალიზმი?
- მოიყვანე რამდენიმე რეალისტურად შესრულებული ნამუშევრის მაგალითი.

**დამატებითი ინფორმაცია გაკვეთილისთვის:**
რეალისტებმა მიზნად დაისახეს ადამიანთა ყოველდღიურობის აღწერა. **ჟან-ფრანსუა მილე** გახლდათ ერთ-ერთი პირველი მხატვარი, რომელმაც გლეხი მშრომელ, პატიოსან არსებად წარმოაჩინა. მილეს პერსონაჟები ჩვენ არ გვიყურებენ. ეს მძიმე და მტკივნეული რეალობაა, რომელიც რეალობადვე დარჩება, ჩახედავ თვალებში თუ არა. მილეს გლეხები თვალს კი არ გარიდებენ, არამედ საქმეში ჩაფლულნი, ვერც კი გამჩნევენ, არ პოზირებენ. ეს მდუმარედ თავდახრილი, მშრომელი, სათნო ხალხია. სურათები იდილიურია. არამკვეთრად, რბილად და ფაფუკადაა დაწერილი. მისთვის საინტერესო თემებია ყოველდღიური ყოფა, ღარიბი სოციუმი.

**გუსტავ კურბე** ფრანგი პეიზაჟისტი, ჟანრისტი და პორტრეტისტი იყო. მისი ხელოვნების მიზანი შიშველი სინამდვილისა და ცხოვრებისეული პროზის ასახვა იყო, ყოველგვარი შელამაზების გარეშე. „ქვის მტეხელნი“ „სოციალური **რეალიზმის**“ ნიმუშია. ეს ტილო მძიმე შრომას ასახავს; ახალგაზრდა და ხნიერი მამაკაცები ქვის ლოდებს ხრეშის დასამზადებლად ამტვრევენ. ახალგაზრდა ქვებით დატვირთულ კალათას მთელი ძალით ეზიდება. მას დახეული პერანგი და შარვალი აცვია. ქანცგაცლილი ხნიერი კაცი ჩამუხლული ამტვრევს ლოდს. მილეს გლეხებისა არ იყოს, კურბეს მუშები არ პოზირებენ, ვერ გამჩნევენ, თავის საქმეს აკეთებენ. ისინი არ გსაყვედურობენ გაუსაძლისი შრომისა და სიდუხჭირის გამო. თუ მილესთან გლეხების იდილიური სცენების ტკბობაში ხელს არაფერი გიშლის, კურბე მძაფრად გვაჩვენებს მათ სიღარიბეში. ხედავ მათ დაძენძილ, დაკემსილ ტანსაცმელს. უხეში, ფართო მონასმებით, მუქი ფერებით, უჩვეულო კომპოზიციითა და მოუქნელი პოზებით ტილოზე ცხოვრების სიმძიმე და სისასტიკეა აღბეჭდილი. სწორედ კურბეს ხელოვნებამ გაუკვალა გზა იმპრესიონიზმს ყოველდღიურობის ასახვისაკენ.

**ონორე დომიე** თავის შემოქმედებას სოციალურ მხილებას უძღვნის. მისი რეალიზმი „კრიტიკული რეალიზმია“. დომიე დასცინის კორუმპირებულ მინისტრებს, დეპუტატებს, ბანკირებს, მევახშეებს, მექრთამე მოსამართლეებს. ონორე დომიეს იარაღი მძაფრი გროტესკია. გრაფიკაში ის გროტესკულად გვიჩვენებს თანადროული საზოგადოების მანკიერებას. ამას ფორმების უტრირებით აღწევს. ხაზით ის ფორმას ამკვეთრებს. სურათის ხასიათს კი განათება, შუქჩრდილის ეფექტი აძლიერებს. დომიეს ნამუშევრები ყოველთვის მრუმე, ჩამქრალი და ჩაბნელებულია - არაფერია სასიხარულო იმაში, რასაც დომიე „გვიამბობს“. სურათებში იგრძნობა, ვისკენაა მხატვრის სიმპათია. დომიეს ღარიბი მოქალაქეები მილეს პერსონაჟებივით რბილადაა დაწერილი. აქ ადამიანების პატარა სიხარულია ნაჩვენები.

- **დავალება 1, დისკუსია და ესე** (ისტორიული კონტექსტი და გავლენები):
  - იმსჯელეთ, რატომ უჭირთ ადამიანებს სიახლის მიღება?
  - დაწერე ესე თემაზე: რატომ უჭირთ ადამიანებს სიახლის მიღება?
  - გაიხსენეთ მაგალითები ისტორიიდან, სხვა სფეროებიდან (მუსიკა, ლიტერატურა, არქიტექტურა...) და საკუთარი გამოცდილებიდან. გახსენდებათ ისეთი რამ, რაც ადრე არ მოგწონდათ და შემდეგ აღმოაჩინეთ, რომ მოგწონთ? რა გახდა თქვენი გემოვნების ან აზრის შეცვლის მიზეზი? იზიარებს თუ არა თქვენს ხედვას უფროსი თაობა?
  - რამ გამოიწვია იმპრესიონისტების კრიტიკა? როგორ ფიქრობთ, დაძლია თანამედროვე საზოგადოებამ მსგავსი პრობლემები თუ ისინი კვლავ აქტუალურია?
  - დაასახელეთ თქვენი დროის ისეთი სიახლე (მხატვრობაში, ქანდაკებაში, არქიტექტურაში, მუსიკაში, ლიტერატურაში ან თუნდაც ტექნიკური სიახლე), რაც ამჟამად არ მოგწონთ. დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ დროთა განმავლობაში შესაძლოა აზრი შეიცვალოთ?
  - დაფიქრდი და იმსჯელე, რა უბიძგებს ხელოვანს ახლის ძიებისკენ?
  - რატომ აღიზიანებს საზოგადოების ნაწილს სიახლე?
  - რა საფრთხეს ხედავენ ისინი სიახლეში? რა არის საჭირო იმისთვის, რომ სიახლემ არ შეგვაშინოს?
  - რა როლი მიუძღვის ამაში განათლებას?

**დავალებასთან დაკავშირებული რჩევები:**
  - ნუ გადაწერ სახელმძღვანელოში გამოთქმულ მოსაზრებებს. ნაწერში უნდა ჩანდეს შენი მოსაზრება და დამოკიდებულება პრობლემისადმი, არგუმენტაციის, ტერმინების გამოყენებისა და დასკვნის გამოტანის უნარები.
  - შენი ესე უნდა მოიცავდეს შესავალს, შუა ნაწილსა და დასკვნას.
  - შესავალში დასვი პრობლემა;
  - შუა ნაწილში განავრცე მსჯელობა, მოიყვანე მაგალითები როგორც ისტორიიდან, ასევე საკუთარი გამოცდილებიდან (სულ მცირე, თითო, სასურველია მეტი), მოიშველიე დამატებითი ინფორმაცია მთავარი აზრის დასადასტურებლად;
  - დასკვნით ნაწილში შეაჯამე აზრი, ჩამოაყალიბე მთავარი თეზისი.

- **დავალება** (*ისტორიული კონტექსტი და გავლენები*):
  - მოიძიე ჟან-ფრანსუა მილეს, ონორე დომიეს და გუსტავ კურბეს ნამუშევრების ილუსტრაციები. დააკვირდი სიუჟეტებს და რამდენიმე წინადადებით ჩამოწერე მათი შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნები.
  - გაუზიარე მეგობრებს შენი დაკვირვების შედეგები და შეაჯერეთ დასკვნები.

**მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ რეალისტები ასახავენ ჩაგრული ხალხის სოციალურ მდგომარეობას. ეს იყო სურვილი ყოველდღიური რეალობის ასახვისა, რაც ადრე ნატიფი ხელოვნებისთვის შეუსაბამოდ ითვლებოდა. რეალისტები ცდილობდნენ ყოველდღიური სიტუაციებისა და მოვლენების აღწერას რეალისტური მანერით.*

**ჟან-ფრანსუა მილეს ნამუშევრები:** http://bit.ly/373n6iw და https://www.jeanmillet.org/
**ონორე დომიეს ნამუშევრები:** https://regnum.ru/pictures/2381841/38.html და https://regnum.ru/pictures/2381841/48.html
**გუსტავ კურბეს ნამუშევრები:** https://bit.ly/3eDgeLW https://bit.ly/32H6SZZ https://bit.ly/3sGMEtL

- **დავალება 2, მსჯელობა:** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები)*
  - დაათვალიერე იმპრესიონისტი ფერმწერების ნამუშევრები. მიაქციე ყურადღება სიუჟეტს, ფერს, მონასმს, შუქჩრდილს, ფონს, კომპოზიციას, წონასწორობას, რაკურსს.
  - გამოთქვი აზრი, რა სხვაობას ხედავ რეალიზმსა და იმპრესიონიზმს შორის.
  - რა სიუჟეტები და როგორი პერსონაჟები აინტერესებდათ აკადემიკოს მხატვრებს და იმდროინდელ საზოგადოებას?

- დააკვირდი ილუსტრაციებს, რა ახალი თემებითა და სიუჟეტებით გამდიდრდა მხატვრობა?
- რატომ არ ხატავდნენ აკადემიკოსი ფერმწერები ჩვეულებრივ ადამიანებს? რატომ არ მიაჩნდათ აკადემიკოსებს ეს სიუჟეტები და პერსონაჟები ასახვის ღირსად?
- რა მხრივ განაგრძეს იმპრესიონისტებმა რეალისტების გზა? რა შეცვალეს მათ?

**ილუსტრაციები დავალებისთვის:** https://bit.ly/3ev2XF9

- **ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 3, ყოფითი ჟანრის ჩანახატი ფანქრით** (*პრაქტიკული სამუშაო*):
  - გაიხსენე მომენტი, სიტუაცია, კადრი შენი ყოველდღიური ცხოვრებიდან, რომელიც მეხსიერებაში ჩაგრჩა და დახატე მისი სწრაფი ჩანახატი უბრალო ან ფერადი ფანქრებით.
  - გაამდიდრე ნამუშევარი ისეთი დეტალებით, რომლებშიც თანამედროვე ყოფა გამოჩნდება.

**დამატებითი ინფორმაცია დავალებისთვის:**
ტელესკოლა, სახვითი ხელოვნება, IX კლასი, ანა კლდიაშვილის გაკვეთილი რეალიზმის შესახებ: https://bit.ly/3peyoH0

**„ბარი ფოლი-ბერჟერი“** **რესურსი 4**

- **ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ - მსჯელობა** (*ისტორიული კონტექსტი და გავლენები*):
  - დააკვირდი ილუსტრაციებს. აკადემიური ფერწერისგან განსხვავებით, რა სიახლეს ამჩნევ სიუჟეტში, პერსონაჟის დახასიათებაში, წერის მანერაში?
  - გამოთქვი ვარაუდი, რა შეიძლება ყოფილიყო ამ ცვლილების მიზეზი?
  - რა რეაქციას გამოიწვევდა ედუარდ მანეს ეს ნამუშევარი აკადემიკოს მხატვრებში?
  - როგორ შეაფასებდნენ მას ისინი, ვინც მძაფრად გრძნობდა თავისი დროის ატმოსფეროს?

**შეკითხვები წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:**
- რომელ ჟანრს მიაკუთვნებდი ედუარდ მანეს ნაწარმოებს „ბარი ფოლი-ბერჟერი“? რომელი სხვა ჟანრების ელემენტებს შეიცავს ის?

**პასუხი:** „ბარი ფოლი-ბერჟერი“ არის ყოფითი ჟანრის ნაწარმოები პორტრეტისა და ნატურმორტის ელემენტებით.

**შეკითხვა:**
- გაიხსენე ფერწერულ კომპოზიციაში სარკის გამოყენების მაგალითები. რას ემსახურება იგი?

**პასუხი:** სარკის გამოყენების მსგავსი მაგალითი მოსწავლეებს უნდა ახსოვდეთ აღორძინების ეპოქის ნიდერლანდელი ფერმწერის იან ვან ეიკის შემოქმედებიდან. „არნოლფინების ოჯახის პორტრეტში“ კედელზე, სარკეში, ცოლ-ქმრის გარდა, მხატვარი და კიდევ ერთი ფიგურა მოჩანან. მეორე მაგალითი – ბაროკოს ეპოქის ესპანელი ფერმწერის დიეგო ველასკესის „მენინების“ სარკეში ესპანეთის მეფე ფილიპე IV და დედოფალი ჩანან. ეს გონებამახვილური მიგნებაა, რაც მაყურებელს პერსონაჟებს შორის ყოფნის ილუზიას უქმნის.

**დამატებითი ინფორმაცია:**
ედუარდ მანეს სურათი „ბარი ფოლი-ბერჟერი“ ლონდონში, კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის გალერეაში ინახება.

**დამატებითი ილუსტრაციები გაკვეთილისთვის:**
*ედუარდ მანე, „ბარი ფოლი-ბერჟერი“*: https://bit.ly/3iHhMG4
ესკიზი: https://bit.ly/372Hb8Q
*დეტალები:* https://bit.ly/3ab4z5U , http://bit.ly/2MN20yg , http://bit.ly/3abDe3m

- **ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 4, რეფლექსია** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - დააკვირდი ედუარდ მანეს ნამუშევრის ესკიზსა და საბოლოო ვერსიას. წარმოიდგინე, რომ ხარ მანე. დაწერე რეფლექსია მისი სახელით.
  - რა დანიშნულება აქვს ესკიზს?
  - რა ხერხითაა გადმოცემული სარკეში არეკლილი გარემო და რატომ?
  - იმსჯელე: რა, როგორ და რატომ შეიცვალა თავდაპირველი ჩანაფიქრიდან საბოლოო პროდუქტამდე?

***მინიშნება მასწავლებელს:** რეფლექსია უნდა დაიწეროს პირველ პირში, ედუარდ მანეს სახელით.*

დამატებითი ინფორმაცია დავალებისთვის:

ესკიზი საბოლოო ნაწარმოებისთვის მოსამზადებელი ნამუშევარია, რომლის მიხედვითაც ხელოვანი ამოწმებს და ითვალისწინებს ჩანაფიქრის ნაკლოვანებებსა და ღირსებებს.

მოსწავლემ ყურადღება უნდა მიაქციოს სურათში არსებულ ვითარებას (ხალხმრავლობა, საერთო მხიარულება); ქალის პოზა სტატიკურია, მხატვარი მასზე ყურადღებას გვიმახვილებს ახლო ხედით, რაც კონტრასტშია დარბაზში მყოფთა საერთო, ბუნდოვან შორ ხედთან.

ქალის გამომეტყველება ესკიზზეც და საბოლოო ნამუშევარზეც ჩაფიქრებულია, თითქოს ის, რაც გარშემო ხდება, მას არ ეხება. პოზითაც და გამომეტყველებითაც ქალი ემიჯნება საერთო მხიარულებას. როგორც ჩანს, მანეს ეს გადაწყვეტილება მის ჩანაფიქრს შეესაბამებოდა და საბოლოო ნამუშევარში კიდევ უფრო გაამძაფრა:

ქალის ფიგურა კიდევ უფრო ახლოს მოიტანა კადრთან. ქალი იმდენად გართულია ფიქრებით, იმდენად მოწყვეტილია რეალობას, რომ ძალაუნებურად გახსენდება გამოთქმა „დაფრინავს“. „ადგილზე რომ დააბას“, მანემ ქალი ხელებით მაგიდას ჩამოაყრდნო, მაგიდაზე კი, სიმყარისთვის, ნატურმორტი დაალაგა.

ბარში უამრავი ხალხია. ყველა მოძრაობს. ამიტომ ხატავს მათ მანე გადღაბნილად. ყველა ფიგურა რომ დეტალურად გამოეწერა, შთაბეჭდილება გვექნებოდა, რომ გაშეშებულები არიან. ახლა კი ისე ვხედავთ, როგორც მოუსვენრად მოძრავ ხალხს დავინახავდით (ფოტოგრაფიის ეფექტი, სადაც ახლო ხედზე პორტრეტი მკაფიო, ფონი კი ბუნდოვანია). ესკიზში ასე არაა, მაგრამ საბოლოო ნამუშევარში ფიქრებში გართული ქალი მშვიდად დგას, ოღონდ სარკის ანარეკლში ის მამაკაცისკენაა გადახრილი, რომ შეკვეთა მიიღოს. ეს სურათი ფილმივითაა! ხედავ კადრს და წამის მერე კადრი იცვლება! ედუარდ მანემ ამით სურათი „გააცოცხლა“!

ესკიზში მამაკაცის ფიგურა შუა ხედზეა, თითქოს გარდამავალ სივრცეშია ქალსა და დარბაზს შორის. საბოლოო ნამუშევარში მანემ მამაკაცი ქალს გაუსწორა. ამით ახლო და შორ ხედებს შორის კონტრასტი უფრო საგრძნობი გახადა.

მამაკაცის ფიგურა ჩარჩოთი იჭრება. მანეს სულ ოდნავ რომ ჩამოეწია ფიგურა, კაცი მთლიანად დაეტეოდა. მაგრამ მანემ უცნაურად მოაჭრა მამაკაცს გვერდი. განა კომპოზიცია ვერ გათვალა და ვერ დაატია? არა, ეს საგანგებოდ გააკეთა. სამაგიეროდ, ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს ცხოვრების ერთ პატარა ნაკუწს ხედავ, თორემ კადრს მიღმა სიცოცხლე გრძელდება.

ესკიზზეც და საბოლოო ნამუშევარშიც წერის მანერა სწრაფია, თავისუფალი. თუმცა, საბოლოო ვარიანტში შორი ხედი კიდევ უფრო დაუდევრადაა დაწერილი, ვიდრე ქალის ფიგურა.

- **დავალება 5, ნახატი სარკეში** (მასწავლებლის არჩევანით) (*პრაქტიკული სამუშაო*):
  - გუაშის საღებავებით დახატე სურათი (პორტრეტი, ნატურმორტი ან ყოფითი ჟანრის), რომელშიც ფონად გამოიყენებ სარკესა და მასში არეკლილ ვითარებას.
  - ნამუშევრის შექმნისას გამოიყენე ახლო და შორი ხედები, მოჭრილი კადრი და მოკლე, სწრაფი მონასმები.

***** *სასურველია, მასწავლებელმა გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ ეს დავალება მიზნად არ ისახავს ნამუშევარში პორტრეტული ან ნივთების მსგავსების ზუსტად გადმოცემას, რისთვისაც ხშირად კომპოზიცია სრულდება ჯერ ფანქრით, შემდეგ კი იფერება საღებავებით. ნამუშევარი უნდა იყოს ესკიზური ხასიათის, შესრულდეს პირდაპირ საღებავებით, ხოლო წვრილმანი დეტალები ბოლოს დამუშავდეს.*

**ნაბიჯი 4**

გაკვეთილი 4. „იმპრესიონიზმის წინამორბედნი“ **რესურსი 5**

- **დავალება - მსჯელობა** (*ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - დააკვირდი ილუსტრაციებს. როგორ ფიქრობ, რა ნიშნით ითვლებიან რომანტიკოსები იმპრესიონისტების წინამორბედებად?

შეკითხვა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:

- გაიხსენე, რა იცი რომანტიზმის მიმდინარეობის შესახებ?

***მინიშნება მასწავლებელს:** *გასული წლის მასალიდან მოსწავლეებს, შესაძლოა, ახსოვდეთ რომანტიზმის მიმდინარეობის მახასიათებლები და მისი განსხვავება კლასიციზმისგან:*

კლასიციზმისა და რომანტიზმის შედარებითი T სქემა:

| კლასიციზმი | რომანტიზმი |
|---|---|
| წესრიგი კომპოზიციასა და კოლორიტში. სტატიკა, სიმშვიდე, მოზომილობა | დინამიკური, „აფორიაქებული" კომპოზიცია, ცოცხალი კოლორიტი. ემოციურობა, დაუოკებელი, ბობოქარი ჟინი, ვნებათაღელვა, ჭიდილი. |
| თემა: შორეული გმირული წარსული, კლასიკური საბერძნეთისა და რომის ისტორია, მითოლოგია. | თემა: წარმოსახვა, გმირობა, ეგზოტიკა, ლეგენდები, ბუნება, ნადირობა, ბრძოლა, თანამედროვეობა, კონფლიქტი, ავდარი, გამოწვევა, დაპირისპირება მოსაბეზრებელ ყოველდღიურობასთან. |
| ტექნიკა: გლუვი, არ ჩანს მონასმის კვალი. თანაბარი განათება. გამოსახულება გაშეშებულია, სტატიკური, ბოლომდეა გამოწერილი დეტალები, აკადემიური წერის მანერა. | ტექნიკა: სწრაფი მონასმი. დრამატული, კონტრასტული განათება. გამოსახულება მოძრავია, დინამიკური |
| გონების უპირატესობა | გრძნობების უპირატესობა |

** სქემის საილუსტრაციოდ, სასურველია მოსწავლეებმა შეადარონ კლასიცისტი ჟაკ-ლუი დავიდის „სოკრატეს სიკვდილი" (1787 წ.)* https://bit.ly/3wviLzL *და რომანტიკოს ეჟენ დელაკრუას „მარკუს ავრელიუსის უკანასკნელი სიტყვები" (1844 წ.)* https://bit.ly/3wuFg82*. ერთადერთი აცდენა, რასაც მოსწავლეები დაინახავენ ცხრილში ჩამოთვლილ მახასიათებლებსა და ნაწარმოებებს შორის, არის ის, რომ დელაკრუას ეს ტილო ასახავს არა თანამედროვეობას, არამედ ანტიკური ხანის ისტორიას, მაგრამ ყველა წესს აქვს გამონაკლისი.*

- **დავალება 1, ნაწარმოების აღწერა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - მოიძიე და აღწერე ეჟენ დელაკრუას სურათები „ლომზე ნადირობა", „თავისუფლება ბარიკადებზე", „არაბული ცხენების ბრძოლა", „მარკუს ავრელიუსის უკანასკნელი სიტყვები", „სარდანაპალის სიკვდილი" და სხვა.
  - როგორ ფიქრობ, რა ნიშნით ითვლება დელაკრუა რომანტიკოს მხატვრად?

დამატებითი მასალა დავალებისთვის: https://www.eugenedelacroix.org/

- **დავალება 2, პეიზაჟი აკვარელის ტექნიკით** (პრაქტიკული სამუშაო):
  - აკვარელის საღებავებით დახატე პეიზაჟის სწრაფი ჩანახატი:
  - სახატავ ფურცელს გადაუსვი დასველებული და გაწურული ღრუბელი. ეცადე, ფურცელი დაასველო თანაბრად, გუბეების გარეშე. სველ ქაღალდზე აკვარელის საღებავებით მოამზადე ფონი.
  - როდესაც საღებავი შეშრება, წვრილი ფუნჯით ან მარკერით დაამატე სურათს პეიზაჟის დეტალები.

**ნაბიჯი 5**

გაკვეთილი 5. „იმპრესიონიზმის დაბადება" **რესურსი 6**

***მინიშნება მასწავლებელს:** *მოცემული გაკვეთილი ეძღვნება მონასმის შესაძლებლობების გაცნობიერებასა და დაუფლებას.*

- **დავალება - მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - თვალი გადაავლე ილუსტრაციებს. რატომ იქცა ამ ეპოქის მხატვრობაში ადამიანი ლაქად, პეიზაჟი კი სურათის მთავარ გმირად? რა სიახლეს ამჩნევ ამ ეპოქის პეიზაჟებში?
  - რა ხერხებით მიიღწევა დინამიკის განცდა?

- **დავალება 1, მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - მოიძიე ეჟენ ბუდენის ფერწერული ნამუშევრები. დააკვირდი, როგორ არის დაწერილი ბუნება და ადამიანები სხვადასხვა სურათზე.
  - რა დატვირთვა აქვთ წვრილმან დეტალებს? რამ მიიქცია შენი ყურადღება? წარმოიდგინე, რა რეაქციას გამოიწვევდა ასეთი ფერწერა აკადემიკოს მხატვრებში!

**პასუხი:** ეჟენ ბუდენის მხატვრობის დამახასიათებელი მანერაა თავისუფალი, უხეში მონასმებით გამოსახული მკვეთრი განათება და მშფოთვარე ბუნება. ადამიანები გამოსახულია ფერადი ლაქებით, წვრილმანი დეტალების გარეშე.

- **დავალება 2, შეკითხვა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:**
  - გაიხსენე, რა ეწოდება ზღვის ხედის ამსახველ ჟანრს? (მარინისტული)

- **დავალება 3, ციფრული სავარჯიშო** (*ექსპერიმენტის გზით ფერის თვისებების კვლევა, პრაქტიკული სამუშაო*):
  **დავალების პირობა:**
  ინტერნეტში მოიძიე მონეს სურათი „შთაბეჭდილება. მზის ამოსვლა“. ჩამოტვირთე სურათი და შექმენი მასში გამოყენებული ფერების პალიტრა:
  - კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში MS PAINT ან PHOTOSHOP, სურათს ქვევიდან მიუმატე 1 სმ. სიმაღლის თეთრი ზოლი, რომელზეც ჩაინიშნავ სურათში გამოყენებულ ფერებს:
  - ინსტრუმენტით SHAPES ამოირჩიე წრე. დაალაგე თანაბარი ზომის უფერო წრეები ქვემოთ დამატებულ ზოლზე.
  - ინსტრუმენტით „პიპეტი“ რიგრიგობით ამოირჩიე სურათში გამოყენებული ფერები.
  - კოპლების სახით დაალაგე პიპეტით ამორჩეული ფერები სურათის ქვემოთ გამოყოფილ თეთრ ზოლზე.

  რესურსი დავალებისთვის: https://bit.ly/2QAxlpD

- **დავალება 4, შედარებითი ანალიზი** (*ისტორიული კონტექსტი და გავლენები, ნაწარმოების ანალიზი*):
  - დააკვირდი ეჟენ ბუდენის, იან ბარტოლდ იონგკინდის, უილიამ ტერნერის, ეჟენ დელაკრუას და კლოდ მონეს მარინისტულ პეიზაჟებს, შეადარე ისინი ერთმანეთს, იმსჯელე მსგავსებასა და განსხვავებაზე.
  - დააკვირდი, როგორ არის დაწერილი ბუნება ამ ოთხი მხატვრის სურათებზე. როგორ არიან გამოსახული ადამიანები ეჟენ ბუდენის სხვადასხვა სურათზე?
  - ამ მხატვრების ტექნიკიდან რა ხერხები „ისესხა“ კლოდ მონემ თავის სურათებში?

**სავარაუდო პასუხი:** კლოდ მონემ გაითავისა მოკლე, სწრაფი, პასტოზური მონასმებით წერის ტექნიკა. წერის ის სილაღე და თავისუფლება, რასაც წინამორბედმა ფერმწერებმა მიაგნეს, იმპრესიონისტებმა მთავარ „იარაღად“ გამოიყენეს და კიდევ უფრო მეტად გაამძაფრეს.

- **დავალება 5, კვლევა** (*ისტორიული კონტექსტი და გავლენები*):
  - შეადგინე კლოდ მონეს შთაგონების წყაროების ასოციაციური ბადე.

ასოციაციური ბადის სავარაუდო ნიმუში:




- **დავალება 7, „მზე“** (*პრაქტიკული სამუშაო):*
  - პატარა ზომის ფურცლებზე დახატე სხვადასხვა ფერის ფონი. როცა საღებავი გაშრება, ყოველ ფონზე სწრაფი მონასმით დახატე მზე ისეთი, როგორსაც მონე ხატავდა.
  - რა ფერის ფონზე აკიაფდა მზე?
  - რომელმა ფერმა ჩააქრო მზე?

- **დავალება 8, შეკითხვები:**
  - რატომ ხატავდა მონე ერთსა და იმავე ხედს რამდენჯერმე?
  - რატომ და რით განსხვავდება ერთი და იგივე ხედის ეს სურათები?

**სავარაუდო პასუხი:** კლოდ მონეს აინტერესებდა, როგორ ცვლის ბუნებრივი განათება საგნის ფერს. ამის გამო ის ხატავდა ერთსა და იმავე ხედს დღის სხვადასხვა მონაკვეთში. მათში განსხვავდება კოლორიტი და, აქედან გამომდინარე, განწყობაც.

**შეკითხვები:**
- როგორ ფიქრობ, რატომ დაიწყო იმპრესიონიზმის ათვლა კლოდ მონედან და არა მისი წინამორბედი მხატვრებიდან (დელაკრუა, ტერნერი, ბუდენი და სხვ.)?
- რა განმასხვავებელი ნიშნები აქვს იმპრესიონისტების მხატვრობას წინა ეპოქების მხატვრობასთან შედარებით?

**სავარაუდო პასუხი:** რომანტიკოს მხატვრებს: უილიამ ტერნერს და ეჟენ დელაკრუას, როგორც ჭეშმარიტ რომანტიკოსებს, აინტერესებდათ ბუნების სტიქიები და მათთან ბრძოლის ამაღლვებელი მომენტები (ტალღები, ქარიშხალი, ხანძარი...), იმპრესიონისტებს კი ბუნების ცვალებადი ხასიათი, განათების ზეგავლენა ფერზე და წამიერი შთაბეჭდილების გადმოცემა.

- **დავალება 9, პეიზაჟი „მზის ჩასვლა“** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*

**მასალა:**
აკვარელის სახატავი ქაღალდი,
აკვარელის საღებავები, მარკერები,
წყალი, ფუნჯი, დრუბელი.
- წარმოსახვით დახატე პეიზაჟი, რომელზეც მზის ჩასვლას გამოსახავ.

- ეცადე ნამუშევარში გადმოსცე დღის ამ მონაკვეთის დამახასიათებელი ფერთა გამა.
- დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს და ეცადე ამოხსნა, თუ რა ხერხი იხმარეს მხატვრებმა ნათების გადმოსაცემად. მოსინჯე ეს ხერხი საღებავებით ან პასტელით.
- გაუზიარე შენი მიგნება ან ვარაუდი მეგობრებს.

- **დავალება 10, 11, ციფრული ნამუშევარი** (ექსპერიმენტის გზით ფერის თვისებების კვლევა, პრაქტიკული სამუშაო):

I ვარიანტი:
- წარმოსახვით დახატე მარტივი პეიზაჟის ესკიზი. ატვირთე ნამუშევარი ციფრულ პროგრამაში MS PAINT ან PHOTOSHOP. შემოავლე ფანქრით დახატულ კონტურებს ხელსაწყო „ფუნჯი“. პეიზაჟის კონტურები „ჩაკეტე“ ისე, რომ სურათის გაფერადებისას ფერი არ გაგეპაროს. დაიმახსოვრე ნახატი რამდენიმე ვარიანტად და გააფერადე:
  1. ცივი ფერებით;
  2. თბილი ფერებით;
  3. მუქი ფერებით;
  4. პასტელური (ბაცი, თეთრნარევი) ფერებით.

II ვარიანტი:
- ინტერნეტით შეარჩიე და გადმოიწერე კომპიუტერში ნებისმიერი იმპრესიონისტული პეიზაჟი.
- ჩასვი სურათი ვორდის ფაილში. ზედ დაწკაპებით მონიშნე ფოტო.
- ვორდის მენიუს ზედა ჩარჩოზე გამოჩნდება ფუნქცია PICTURE TOOLS.
- დააწკაპე ამ ფუნქციაზე. ზედა მარცხენა კუთხეში გამოჩნდება სურათის რედაქტირების ფუნქციები, რომლებითაც შეგიძლია შეცვალო ილუსტრაციის განათება, კონტრასტი, ფერები, ფაქტურა და სხვ.
- ითამაშე გამოსახულების ტონალური და ფერადოვანი გამის, კონტრასტის, განათების შეცვლის ფუნქციებით.
- დააკვირდი, როგორ შეიცვლება პეიზაჟის ხასიათი მისი გამისთვის უფრო ცივი ან თბილი ელფერის მინიჭებით, ტონალობის გაღიავება-გამუქებით, რომელიმე ფერის გაძლიერებით და სხვა.
- დაიმახსოვრე რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი და წერილობით აღწერე შენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

**ნაბიჯი 6**

გაკვეთილი 6. „წამიერი აღქმა“ **რესურსი 7**

***მინიშნება მასწავლებელს:** *მოცემული გაკვეთილის მიზანია* მონასმის *შესაძლებლობების გაცნობიერება-დაუფლება.*

- **დავალება - მსჯელობა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*

გაიხედე ფანჯრიდან, დახუჭე თვალები და ეცადე გაიხსენო წამის წინ ნანახი კადრი.
- შეგიძლია დაწვრილებით აღწერო ყველა დეტალი?
- დააკვირდი ილუსტრაციებს და იმსჯელე, რა ხერხებით გადმოგვცემენ მხატვრები წამიერ შთაბეჭდილებას?

- **დავალება 2, ფერწერული ესკიზი** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
- გუაშის საღებავებით დახატე ესკიზური ნამუშევარი (პეიზაჟი, პორტრეტი ან ყოფითი ჟანრის), რომელშიც მხოლოდ მთავარს აჩვენებ, დეტალების გარეშე.
- გამოიყენე მოკლე, მსუყე, პასტოზური მონასმები (იმპასტოს ტექნიკა).

„ფოტოგრაფიის გავლენა“ **რესურსი 8**

- **დავალება 3 (საშინაო დავალება),** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები)*:
  - დააკვირდი იმპრესიონისტი მხატვრების სურათებს და აღწერე ისინი.
  - მოძებნე სურათებში ფოტოგრაფიის გავლენის კვალი.

  **მიაქციე ყურადღება:** კომპოზიციას, ხედვის წერტილს, შესრულების მანერას.

**ნიმუშები დავალებისთვის:**



ედუარდ მანე, „კაფე-კონცერტი“, 1879 წ.
https://bit.ly/398XFNT



ედგარ დეგა, „ოპერის თეატრის ორკესტრი“, 1870 წ.
https://bit.ly/3qQ6m61



ოგიუსტ რენუარი, „ლოჟა“, 1874 წ.
https://bit.ly/3obEGXB

- **დავალება 4** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, პრაქტიკული სამუშაო)*:
  - გადაიღე ფოტო, რომელიც კლასის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს.
  - შემდეგ დახატე სურათი ფოტოდან.

**ნიმუშები დავალებისთვის:**









მხატვრობა და ფოტოგრაფია:
https://bit.ly/3o6Kstv



ედგარ დეგას ფოტოები და ესკიზები:
https://bit.ly/2Y93N2o
http://bit.ly/3iGMFdK






ანრი დე ტულუზ ლოტრეკის ფოტოები და ნამუშევრები:
https://bit.ly/3qKc4pR , https://bit.ly/2LXQ2Bh , https://bit.ly/367v6P3 ,
https://bit.ly/3pcsVBs , http://bit.ly/3tGGbRk

ტექნიკური გადახვევა (დამატებითი საკითხავი) **რესურსი 9**

*** მინიშნება მასწავლებელს:** *მოცემული ტექსტი წარმოადგენს სახლში საკითხავს. აქტივობა (შედარებითი ანალიზი) კი კლასში (2 წთ.) ან საშინაო დავალებად უნდა შესრულდეს.*

- **დავალება 5, შედარებითი ანალიზი:**
  - შეადარე საფრანგეთში მოღვაწე ინგლისელი იმპრესიონისტი მხატვრის ალფრედ სისლეის პეიზაჟი „გლეხი ქალი აყვავებული ხის ქვეშ“ ფრანგი კლასიცისტი მხატვრის, ნიკოლა პუსენის „პეიზაჟს ნიმფებით“.

**შედარებითი ანალიზის ნიმუში:**

მოსწავლემ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ სახელმძღვანელოში მოცემული ნიკოლა პუსენის პეიზაჟი, მხატვრობის ყველა კანონის მიხედვით, უნაკლოდაა შესრულებული – ყველაფერი საგულდაგულოდაა გამოწერილი, იგრძნობა სივრცე, ჰაერი, ტონების სიმკვეთრე-სირბილეს განაპირობებს ჰაეროვანი პერსპექტივის ღრმა ცოდნა. ნიკოლა პუსენის სურათის ზედაპირი გლუვია, აკურატული, მონასმის კვალს ვერც კი შეამჩნევ. ჩანს, რომ ეს პეიზაჟი სახელოსნოში, აუჩქარებლადაა შესრულებული. პეიზაჟში ჩართულია ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟები, ნიმფები. კლასიციზმი ხომ ანტიკური ხანის სიუჟეტებს მიმართავს.

სისლეის ნაჩქარევი, სწრაფი მონასმებით შესრულებული სურათი პლენერზე დახატულს ჰგავს. დეტალები არ არის გამოწერილი. იქმნება *შთაბეჭდილება, რომ ამ ხედს წამით მოვკარით თვალი და დეტალების გარჩევა ვერ მოვასწარით. დღის განათება არა ტონებით, არამედ სუფთა ფერის, გვერდიგვერდ თამამად დადებული მკვეთრი,*

*პასტოზური მონასმებითაა* გადმოცემული. იმპასტოს ტექნიკა ფაქტურულ ეფექტს იძლევა, თითქოს ზედაპირი ვიბრირებს. სისლეის ტილოზე გამოსახულია პასტორალური სცენა გლეხი ქალით. სისლეი, როგორც ჭეშმარიტი იმპრესიონისტი, სიუჟეტებს არ იგონებს, გამოსახავს იმას, რასაც ხედავს.

სისლეის პეიზაჟი შორიდან აღქმაზეა გათვლილი. პუსენისა კი გინდ შორიდან ათვალიერე, გინდ ლუპით დააკვირდი დეტალებს, ყველაფერს სიზუსტის ბეჭედი აზის.

- **დავალება 6, შეკითხვები წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:**
  - რა როლი ენიჭებოდა პეიზაჟს ადრე?
  - როდის ჩამოყალიბდა პეიზაჟი დამოუკიდებელ ჟანრად?
  - რამ უბიძგა მხატვრების ასეთ გატაცებას? ნუთუ ძველად ვერ ამჩნევდნენ ბუნების სილამაზეს?

**სავარაუდო პასუხი:** ადრე პეიზაჟი ფონის ფუნქციას ასრულებდა. დამოუკიდებელ ჟანრად ის ბაროკოს ეპოქაში, XVII ს-ის ჰოლანდიაში ჩამოყალიბდა. პროტესტანტულ ჰოლანდიაში ეკლესია აღარ უკვეთავდა მხატვრებს რელიგიური ჟანრის ნაწარმოებებს. მხატვრებმა სხვა თემებზე გადაიტანეს ყურადღება. გაჩნდა ახალი ჟანრები - ყოფითი, ნატურმორტი, პეიზაჟი.

ძველად მხატვრები სახელოსნოებში იყვნენ გამოკეტილები. იმპრესიონისტები კი პლენერზე იწყებენ მუშაობას ბუნებას ცოცხლად ხატავენ და არა მეხსიერებით.

**ნაბიჯი 7**

| გაკვეთილი 7. „ფერადი ჩრდილები“ | **რესურსი 10** |
|---|---|

***მინიშნება მასწავლებელს:** *ეს გაკვეთილი მიზნად ისახავს იმპრესიონისტული ფერწერის სპეციფიკის გააზრებას, შუქ ჩრდილის თვისებებისა და შესაძლებლობების გახსენებას და მათი გამოყენების უნარის გაღრმავებას.*
*მოსწავლეებმა უნდა დაინახონ, თუ როგორ იყენებენ მხატვრები ერთსა და იმავე საშუალებას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ეფექტის მისაღწევად.*

- **დავალება - მსჯელობა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - რა ფუნქცია აქვს ჩრდილს მხატვრობაში?
  - დააკვირდი სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებებს. რა სხვაობას ხედავ ჩრდილებში?

**შეკითხვა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:**
  - გაიხსენე ფერის ბორბალზე ფერთა განლაგება. რომელია კონტრასტული წყვილები?

**პასუხი:** წითელი-მწვანე,
იისფერი-ყვითელი,
ნარინჯისფერი-ლურჯი.

https://bit.ly/3aWw5Dk





**სავარჯიშო:** 20 წამის განმავლობაში შეაჩერე მზერა რომელიმე ფერის წრეზე.
ჩამოიტანე მზერა წერტილით მონიშნულ ადგილზე.
რა ფერის წრე დაინახე?
**პასუხი:** ცარიელ უჯრაში მოსწავლეები დაინახავენ კონტრასტული ფერის წრეს (წითლის გასწვრივ - მწვანეს, ლურჯის გასწვრივ - ნარინჯისფერს, მწვანის გასწვრივ - წითელს, ყვითლის გასწვრივ - იისფერს).

- **დავალება 1** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული დავალება):*
  - დახატე ორი პორტრეტი:
    1. დღისით, ფანჯრიდან შემოსული შუქის განათებაზე;
    2. შებინდებისას, სანთლის ან მხოლოდ ერთი, მაგიდის სანათის სუსტი განათებით.
  - ნუ ეცდები მიაღწიო პორტრეტულ მსგავსებას. ამოცანად დაისახე ფერისა და განათების, შუქჩრდილის თამაშის გადმოცემა.
  - ყურადღება მიაქციე ჩრდილის ფერს დღისა და ხელოვნური განათების პირობებში.
  - გადაუღე მოდელს ფოტო ორივე განათების პირობებში და შეადარე ნამუშევრებს.
  - რა სხვაობაა ფოტოსა და შენს ნამუშევარს შორის?

- **დავალება 2, მსჯელობა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი) (კონტრასტული ფერის ჩრდილებზე დაკვირვება):*
  - აღწერე ერთსა და იმავე სიუჟეტზე „ვახშამი ემაუსში“ შექმნილი ნაწარმოებები - 1175 წლის ფრანგული ხელნაწერის მინიატურა, კარავაჯოსა და რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინის ფერწერული ტილოები და შეადარე ისინი ედუარდ მანეს სურათს „კაფე კონცერტი“ (1879 წ.)
  - დააკვირდი, არის თუ არა და როგორ არის გამოყენებული შუქჩრდილი და განათება.
  - იმსჯელე, რა როლს ასრულებს შუქჩრდილი და განათება ავტორისეული ჩანაფიქრის გადმოცემაში.
  - რა ფერისაა ჩრდილები ედუარდ მანეს ფერწერულ ტილოზე?

**მიაქციე ყურადღება:**
ფერს, კოლორიტს, შუქჩრდილს, განათებას; ფორმას (მოცულობითი და სიბრტყობრივი); კომპოზიციას; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართებას;

**„ვახშამი ემაუსში“ სიუჟეტი:**
ჯვარცმის მესამე დღეს ქ. ემაუსში მიმავალ მოციქულებს გზად უცხო ვინმე შემოხვდათ. უცნობმა მათი დამწუხრების ამბავი იკითხა. მოწაფეებმა გაიკვირვეს უცნობის უმეცრება და ვახშამზე მიიპატიჟეს. მოწაფეებმა მხოლოდ მაშინღა იცნეს თავიანთი მოძღვარი, როცა უცნობმა პური გატეხა და მასპინძლები დალოცა.

***მინიშნება მასწავლებელს:**
მოსწავლეებმა უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, რომ შუა საუკუნეების მინიატურა ფრონტალურ აღქმაზეა გათვლილი, ფორმები სიბრტყობრივია, კომპოზიცია - სარკისებურად სიმეტრიული, დეკორატიული, გამდიდრებულია ორნამენტით (პატერნით). შესრულებულია განყენებულ ოქროსფერ ფონზე, რომელიც ღვთაებრივ ნათებასთან ასოცირდება. პროპორციები და ანატომია პირობითია, დარღვეული, სტილიზებული. არქიტექტურული ელემენტები გამოსახულია პერსპექტივისა და მასშტაბის უგულებელყოფით, პირობითად.

ბაროკოს წარმომადგენლების კარავაჯოსა და რემბრანდტის ასიმეტრიული ნამუშევრები შესრულებულია მოცულობითობის ილუზიით, შუქჩრდილის, ტონალური გრადაციის, პროპორციების, ანატომიის, პერსპექტივის ღრმა ცოდნით. ფერწერულ ტილოებზე იდუმალების ეფექტი მიღწეულია კონტრასტული განათებით და შავი ჩრდილებით.

ედუარდ მანეს ნამუშევარში „კაფე-კონცერტი“ გამოყენებულია არა შავი, არამედ ფერადი ჩრდილები (მამაკაცის სახეზე – ოქრა, ქალის სახეზე – მომწვანო ლურჯი), რაც რეალურად დღის განათებაზე დანახულის შთაბეჭდილებას გვიქმნის და, ამავე დროს, ცოცხალ იერს ანიჭებს სურათს.


ედუარდ მანე, „კაფე-კონცერტი“, 1879 წ. https://bit.ly/3qPhhNl

- **დავალება 3** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული დავალება)*:
  - შეადგინე და დაალაგე 3-4-ნივთიანი ნატურმორტი დრაპირებით.
  - ფერადი პასტელით ან საღებავებით დახატე ნატურმორტის ორი ვარიანტი:

**1.** დღისით, ფანჯრიდან შემოსული შუქის განათებაზე;
**2.** შებინდებისას, სანთლის ან მხოლოდ ერთი, მაგიდის სანათის განათებით.
გადაუღე ნატურმორტს ფოტო ორივე განათების პირობებში და შეადარე შენს ნამუშევარს.

**დავალების გაადვილებული ვარიანტი:**

- აკვარელის ან გუაშის საღებავებით დახატე მარტივი ნახატი, რომელზეც საგანს გაუკეთებ საპირისპირო, კონტრასტული ფერის ჩრდილს.







**კონტრასტული ჩრდილების ნიმუშები:**

https://bit.ly/3sarQdZ ,
https://bit.ly/3wRiDLi

https://bit.ly/3aRC78t







**დამატებითი შეკითხვა და საილუსტრაციო მასალა ფერად ჩრდილებზე დაკვირვებისთვის** (საკითხი II):

- დააკვირდი კლოდ მონეს ნამუშევარს „თივის ზვინი“. რა ფერისაა ჩრდილები?

**სავარაუდო პასუხი:** კლოდ მონეს ნამუშევრებში ჩრდილები კონტრასტული, გამოსახული საგნის ფერის საპირისპირო ფერისაა და არა შავი:



კლოდ მონე, „თივის ზვინი“, 1891 წ.
https://bit.ly/3iC2nai



კლოდ მონე, „თივის ზვინი, ზაფხულის ბოლო“, 1891 წ.
https://bit.ly/3iGJouY

**პარიზის კეთილმოწყობა – ისტორიული გადახვევა** (დამოუკიდებლად საკითხავი) **რესურსი 11**

***მინიშნება მასწავლებელს:**

*მოცემული ტექსტი სახლში* საკითხავია. *აქტივობა კი საშინაო დავალებად უნდა შესრულდეს.*

- **დავალება - მსჯელობა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - რა ეწოდება სიღრმის გადმოცემის ხერხს, რომელსაც ურბანულ პეიზაჟებში მიმართავენ? რომელ ეპოქაში შემუშავდა ეს ხერხი?
  - მოძებნე ილუსტრაციებზე თავშეყრის წერტილი.

**სავარაუდო პასუხი:**

მხატვრობაში სიღრმის გადმოცემის ხერხს, რომელიც ურბანულ პეიზაჟებში (და არა მხოლოდ) გამოიყენება, ეწოდება ხაზოვანი პერსპექტივა. ის შეიმუშავეს აღორძინების ხანის არქიტექტორებმა ფილიპო ბრუნელესკიმ და ლეონ ბატისტა ალბერტიმ.

**დამატებითი რესურსი:**



კამილ პისარო, „იტალიელთა ბულვარი“, 1897 წ. https://bit.ly/2KJn4EB



კამილ პისარო, „მონმარტრის ბულვარი“, 1897 წ. https://bit.ly/399USEh



გუსტავ კაიებოტი, „პარიზის ქუჩა, წვიმიანი დღე“, 1877 წ. http://bit.ly/2Mi6ufF



გუსტავ კაიებოტი, „ბულვარი ზევიდან“, 1880 წ. http://bit.ly/366zSfI

- დააკვირდი კლოდ მონეს სურათს „კაპუცინების ბულვარი“. რა ფერებითაა შესრულებული ქუჩის მზიანი და დაჩრდილული ნაწილები? რას ვუწოდებთ ფერთა ამ შეხამებას?

**სავარაუდო პასუხი:**

სურათი დიაგონალურად იყოფა ორ ნაწილად და კონტრასტული ფერებითაა შესრულებული - სურათის მზიანი მხარე თბილი ფერებით (ნარინჯისფერის სხვადასხვა ტონებით), ხოლო დაჩრდილული მხარე ცივი, მოლურჯო ტონებით. ფერთა ამ შეხამებას კონტრასტულ ფერთა წყვილი ეწოდება.



კლოდ მონე, „კაპუცინების ბულვარი“, 1873 წ. https://bit.ly/2M2Y9N1

**ნაბიჯი 8**

გაკვეთილი 8. „იაპონიზმი“ **რესურსი 12**

- **დავალება - მსჯელობა** *(მხატვრული მახასიათებლები):*
  - თვალი გადაავლე ილუსტრაციებს. გაიხსენე სხვადასხვა ეპოქის ევროპული მხატვრობა. იმსჯელე, რა ძირეული სხვაობაა ევროპულ და იაპონურ მხატვრობას შორის.

**დამატებითი ინფორმაცია სავარაუდო პასუხისთვის:**

მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ, რომ თუკი ევროპულ მხატვრობაში მთელი სასურათე არე, ფონიც კი შევსებულია, იაპონურ მხატვრობაში თვალშისაცემია ხელუხლებელი, ცარიელი სივრცეები, რაც გაძლევს ჰაეროვნების, სიმსუბუქის შეგრძნებას. კომპოზიცია ასიმეტრიულია, თითქოს შემთხვევით დანახული კადრია დაჭერილი. ფერები სუფთაა, გამჭვირვალე, ფაქიზი. ხაზი დენადია, ნაზი, ნატიფი. სიუჟეტები გადმოგვცემენ ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ კავშირს, სამყაროს მთლიანობას.

**შეკითხვები წინარე ცოდნის გასააქტიურებლად:**

**მასწავლებელს შეუძლია შეახსენოს მოსწავლეებს ჰოლანდიური ნატურმორტის ისტორია წინა წლებში განვლილი მასალიდან და უბიძგოს მათ, განიხილონ ეს საკითხი კულტურული გავლენების კუთხით.*

- გაიხსენე XVII ს-ის ჰოლანდიური ნატურმორტი ეგზოტიკური ნივთებით. რამ გამოიწვია ნატურმორტის ჟანრის ასეთი აყვავება ჰოლანდიაში?

**სავარაუდო პასუხის ნიმუში:**

**XVII საუკუნეს** ჰოლანდიის ოქროს ხანას უწოდებენ. ამ საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიამ ესპანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყანაში სიმშვიდე დამკვიდრდა. ჰოლანდიელმა მოგზაურებმა ახალი მიწები აღმოაჩინეს, გაიფურჩქნა ვაჭრობაც – ვაჭრებს აზიის შორეული ქვეყნებიდან ჩამოჰქონდათ საინტერესო ნივთები, უცხო ხილი და მცენარეები. ამ სიახლეებმა მხატვრების ინტერესი გამოიწვია. მათ დაიწყეს ამ უცხო, ლამაზი ნივთების ხატვა, რაც ირიბად ქვეყნის კეთილდღეობაზე, ხვავსა და ბარაქაზე მიგვანიშნებს.



ვილემ კალფი, „ნატურმორტი ჩინური თასით“, 1662 წ. https://bit.ly/2Yar0RQ

- **დავალება 1, შედარებითი ანალიზი:**
  - შეადარე ერთმანეთს (გვ. 48) მოცემული ილუსტრაციები.
  - როგორ შეიცვალა მშვენიერების ეტალონი?
  - რა აღმოაჩინე? რა დასკვნა გამოიტანე?

**სავარაუდო პასუხი:**
ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრის „ნაკადული“ ავლენს კლასიციზმის განსაკუთრებულ ინტერესს ანტიკური ხელოვნებისადმი, იდეალიზაციისადმი, ხოლო ედგარ დეგას ნიუები გამოსახულნი არიან ყოველდღიურ, ინტიმურ მომენტში. იმპრესიონისტები ცდილობენ გადმოგვცენ ჩვეულებრივი მომენტის მშვენიერება. სწორედ ამიტომაა მათი შთაგონების წყარო იაპონური მხატვრობა და არა ანტიკური ხელოვნება.

**შეკითხვა:**
- რა გავლენა მოახდინა იაპონიასთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებამ ევროპულ ხელოვნებაზე?

**პასუხი:**
XIX საუკუნის იაპონიამ საზღვრები გახსნა და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა. იაპონიიდან ჩამოტანილმა უჩვეულო საქონელმა ევროპელთა აღტაცება და ამ შორეული კულტურით დაინტერესება გამოიწვია.

**დამატებითი ვიდეომასალა გაკვეთილისთვის:**
ტელესკოლა, სახვითი ხელოვნება, IX კლასი, თამარ მელიქიშვილის გაკვეთილი „განსხვავებული ხედვა“ (იაპონელი მხატვრის კაცუსიკა ჰოკუსაის შესახებ): https://www.youtube.com/watch?v=NGkDrKE8Ztw
- ტელესკოლა, სახვითი ხელოვნება, IX კლასი, თამარ მელიქიშვილის გაკვეთილი „კულტურების შეხვედრა - პორტუგალია-იაპონია, იაპონია-ჰოლანდია“: https://www.youtube.com/watch?v=6r4QthlfrX0

| „პოეტური გადახვევა“ (დამოუკიდებლად საკითხავი) | **რესურსი 13** |
|---|---|

*****_როდესაც პოეტი თავად ასურათებს საკუთარ ლექსებს, იქმნება ჰაიგა – იაპონური ხელოვნების სამი დარგის – ფერწერის, პოეზიისა (ჰაიკუ) და კალიგრაფიის სინთეზი._

- **დავალება 3, 4, „ჰაიგა“:**
  - დაწერე ჰაიკუ - გაიხსენე ის წამიერი სურათი, განცდა, რომელმაც დაგაფიქრა, აგაღელვა, გაგახარა, დაგაღონა...
  - აღწერე ეს სურათი რამდენიმე სიტყვით, სამ ტაეპად.

- შექმენი ჰაიგა: დაწერე შენი ჰაიკუ ლამაზი კალიგრაფიით და დაურთე მას ნახატი, რომელიც შენს ნათქვამს, აზრს ან განწყობას გამოხატავს.

**დავალების გაადვილებული ვარიანტი:**

- მოიძიე იაპონური პოეზიის ნიმუშები.
- შეარჩიე და დაასურათე რამდენიმე ლექსი (ჰაიკუ).

**დამატებითი მასალა დავალებისთვის:**

http://bit.ly/367CHNx
http://genia.ge/?p=335#more-335
http://genia.ge/?p=2344

- **ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ, მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი)*:
- დააკვირდი ქვემოთ შემოთავაზებულ (აქ მხოლოდ იაპონური მხატვრობის გავლენით შექმნილი ნამუშევრებია) და სხვა, შენ მიერ მოძიებულ, იმპრესიონისტებისა და პოსტიმპრესიონისტების ნამუშევრებს.
- გამოთქვი აზრი, რაში შეინიშნება რეალიზმის, ფოტოგრაფიის, პარიზის ახლებური ქალაქგეგმარების, იაპონიზმის, პლენერზე ხატვისა და სხვა გავლენები?
- შეადგინე ცხრილი. ცხრილში მარცხნივ ჩამოწერე ბიძგის მიმცემი გარემოებები და გავლენები, ხოლო მარჯვნივ – მათ მიერ გამოწვეული, იმპრესიონიზმის ფერწერული თავისებურებები. მარჯვენა გრაფაშივე მიუწერე მაგალითები (მხატვრის გვარი და ნამუშევრის სათაური).

**დამატებითი ილუსტრაციები დავალებისთვის:**

*უტაგავა (ანდო) ჰიროშიგეს სერია „ფუძიამას მთის 36 ხედი“:* http://bit.ly/2Z7GaYA



პოლ სეზანი, „სენ-ვიქტუარის მთა“:
https://bit.ly/3671ykH



კაცუსიკა ჰოკუსაი, „ფუძიამა“:
https://bit.ly/39bvDRX



კლოდ მონე, „იაპონური ხიდი“, 1883 წ.
https://bit.ly/3c2TQf5



კლოდ მონე, „კამილა მონე კიმონოში“, 1876 წ.
https://bit.ly/2Yaresa



გუსტავ კლიმტი, „მოცეკვავე“, 1916-18 წ. https://bit.ly/3iQZwKR



ვინსენტ ვან გოგი, „გეიშა“, 1886 წ. https://bit.ly/2LXkXO8



პოლ გოგენი, „ნატურმორტი ცხენის თავით“, 1886წ. https://bit.ly/39Usple



ედუარდ ვიუიარი, „ყვავილებიანი კაბა“, 1891წ. https://bit.ly/3qL6Ytp



კაცუსიკა ჰოკუსაი, „კანაგავას დიდი ტალღა, 1830 წ. http://bit.ly/39W5I5A



ივან ბილიბინი, ა. პუშკინის ზღაპრის ილუსტრაცია, 1905 წ. https://bit.ly/2Y8J7ru



მარი კასატი, „შიშველი ბავშვი“, 1890 წ. https://bit.ly/39WtSr3



მარი კასატი, „წერილი“, 1891 წ. https://bit.ly/39X1Wn0



მარი კასატი, „მობანავე ქალი“, 1891 წ. https://bit.ly/39ZmEmg



მორის ჟილბერის ფოტო, კიმონოში გამოწყობილი ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი https://bit.ly/3iEEwXr

     

უტაგავა ჰიროშიგეს ნამუშევრები და ვინსენტ ვან გოგის ინტერპრეტაციები:
https://bit.ly/2LVU2SI https://bit.ly/2KF0Pj4 https://bit.ly/3c8A69Y

**ნაბიჯი 9**

**„ლითოგრაფიის ისტორია“** **რესურსი 14**

***მინიშნება მასწავლებელს:** *მოცემული გაკვეთილი მიზნად ისახავს XIX-XX საუკუნეებში ბეჭდური გრაფიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტექნიკის, ლითოგრაფიის შესაძლებლობების გაცნობიერება-დაუფლებას.*

*მიუხედავად იმისა, რომ ამ გაკვეთილის დავალება არ არის კომპლექსური, მისი მნიშვნელობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ შეფასების ფორმის შემოთავაზება (შეფასების ფორმა იხ. ამავე მატრიცის ბოლოს, კომპლექსური დავალების ფორმის ქვემოთ).*

- **დავალება - მსჯელობა** (*მხატვრული მახასიათებლები*):
  - რა განსხვავებაა გრაფიკასა და ფერწერას შორის?
  - რა სახვითი საშუალებებია წამყვანი ამ დარგისთვის (ხაზი, ტონი, ლაქა, შუქჩრდილი) ?
  - რა დატვირთვა აქვს ხაზს და რა ეფექტების მიღწევა შეიძლება მხოლოდ ამ საშუალების გამოყენებით?
  - რა საშუალებები იხმარება გრაფიკაში მოცულობის, ფაქტურის, სივრცის, შუქჩრდილისა და სხვა ეფექტების გადმოსაცემად?
  - გიჩნდება თუ არა ფერის დანაკლისის შეგრძნება შავ-თეთრი გამოსახულების ყურებისას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი თვალი ფერად სამყაროსაა მიჩვეული?
  - რა დამოკიდებულება გაქვს მონოქრომული გამოსახულების მიმართ?

- **დავალება - ლითოგრაფია** (*პრაქტიკული სამუშაო*):
  - შექმენი ნამუშევარი ბეჭდვითი გრაფიკის სახეობის – ლითოგრაფიის ტექნიკით, რომელშიც მიზანმიმართულად გამოიყენებ სახვით საშუალებებსა და ხერხებს (ხაზი, შტრიხი, ლაქა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება, კომპოზიციური განაწილება).

მასალა:

ალუმინის ქაღალდის (ფოლგის) რულონი, მუყაოს ნაჭერი
მაკრატელი, წებოვანი ლენტი
ცხიმიანი რბილი ფანქარი (კოსმეტიკური) (ან ზეთოვანი პასტელი)
წყალი, წყლის ავზი, 2 ცალი სუფთა ღრუბელი
კოკა-კოლა, ზეთი
ზეთის საღებავი ან ზეთში/გლიცერინში გადაზელილი გუაშის საღებავი
ლილვაკი, სადილის კოვზი

| | |
|---|---|
| | **ტექნიკური რჩევები:**<br>• გამოიყენე ალუმინის ქაღალდის (ფოლგის) უხმარი რულონი და არა შოკოლადის შესაფუთი ფოლგა, რადგან ის უკვე ცხიმიანია. სამუშაოდ გამოიყენე ფოლგის შიდა მხარე.<br>• იმუშავე ერთჯერადი ხელთათმანით, რათა ფოლგაზე არ დატოვო ცხიმიანი ანაბეჭდები.<br>• ფოლგაზე ესკიზის დასახატად გამოდგება ნებისმიერი ცხიმიანი საშუალება – ზეთის პასტელი, პერმანენტული მარკერი, საპონი, თვალის კოსმეტიკური ფანქარი და პომადაც კი. წესით, საბეჭდად, ცხიმიან ტიპოგრაფიულ საღებავს იყენებენ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ზეთის საღებავით. ის წინასწარ უნდა დაასხა გაზეთზე ზედმეტი ცხიმის მოსაცილებლად.<br>• საბეჭდად შეიძლება იხმარო გუაშის საღებავებიც, მაგრამ ვინაიდან გუაში წყლის საღებავია, არ არის ცხიმიანი და სწრაფად შრება, მას წინასწარ უნდა შეურიო რამდენიმე წვეთი ზეთი ან გლიცერინი. ზეთი ან გლიცერინი საღებავს დაუმატე წვეთ-წვეთად, რათა საღებავი არ გათხელდეს და მისი სტრუქტურა იყოს სქელი.<br>• თუ რეზინის ლილვაკი არ გაქვს, შეგიძლია პოლიეთილენის პარკი გამოტენო ნაჭრებით და მისცე ბურთის ფორმა. გაითვალისწინე, რომ ასეთ შემთხვევაში საღებავი ფოლგაზე უნდა გადაიტანო ნაზი დატყაპუნებით.<br><br>**ეტაპობრივი ინსტრუქცია:**<br>**საბეჭდი ფირფიტის მომზადება:**<br>• დიდი მაკრატლით ფრთხილად მოჭერი მუყაოს ნაჭერზე ოდნავ დიდი ფოლგის ნაჭერი და ამოატრიალე.<br>• გადააკარი ფოლგა მუყაოს ნაჭერს. ნაკეცები უკნიდან დაამაგრე წებოვანი ლენტით.<br>• ნახატი შეგიძლია შეასრულო როგორც წინასწარ ქაღალდზე გაკეთებული ესკიზის მიხედვით, ასევე პირდაპირ ფოლგაზე. ფოლგაზე შესრულებული ნახატი გააშრე ფენით.<br>• ხატვისას გაითვალისწინე, რომ ფოლგის ფირფიტიდან ანაბეჭდი ქაღალდზე სარკისებურად გამოისახება. თუ ნამუშევარზე წარწერის გაკეთებას აპირებ, უკუღმა მოგიწევს ასოების დაწერა.<br>**მჟავათი დამუშავება:**<br>• კოკა-კოლას შემადგენლობაში შემავალი ორთოფოსფორმჟავა (H3PO4) ამოჭამს ალუმინის ფირფიტის ზედა ფენას, იმ ადგილებს კი, რომლებზეც ცხიმიანი ფანქრით ნახატია დატანილი, ვერ დააზიანებს. ამ პროცედურის ჩასატარებლად ჩაასხი კოკა-კოლა ავზში და ამოავლე შიგ ფოლგის ნახატიანი ფირფიტა. თუ ნახატი ავზში არ ეტევა, კოკა-კოლა პირდაპირ ბოთლიდან გადაავლე.<br>• ფირფიტაზე კოკა-კოლას ნარჩენები ჩამორეცხე სუფთა წყლით გაჟღენთილი ღრუბლით ან გადაავლე ონკანის წყალი.<br>**ნახატის გადარეცხვა:**<br>• შემდეგი ნაბიჯი ფოლგიდან ნახატის კვალის მოშორებაა. ამისთვის რბილი ქსოვილი დაასველე ზეთში და სწრაფად გადაუსვი ფირფიტის ზედაპირს. ნუ შეშინდები – ნახატი მთლიანად გაქრება. გაჟღინთე წყლით სუფთა ღრუბელი, გაწურე ისე, რომ წყალმა არ იწვეთოს. გაწმინდე ფოლგა სველი ღრუბლით.<br>**ბეჭდვა:**<br>• დაასხი საღებავი სწორ, გლუვ (შუშის ან პლასტმასის) ზედაპირზე. საღებავის თანაბრად განაწილებისთვის რამდენჯერმე გადააგორე მასზე ლილვაკი.<br>• ლილვაკით წაუსვი ფოლგას საღებავის 2-3 ფენა. საღებავი უმალ მიეკრობა იმ ადგილებს, სადაც ცხიმიანი ფანქრის ნაკვალევი დარჩა, სველი მონაკვეთები კი ცხიმიან საღებავს აისხლეტენ.<br>• ფრთხილად დააფარე ფოლგას ანაბეჭდისთვის განკუთვნილი, წინასწარ დანამული ქაღალდი.<br>• ოდნავი ძალდატანებით გადაუსვი კოვზის ამოზნექილი მხარე ქაღალდის მთლიან ზედაპირს.<br>• ფრთხილად მოხსენი ანაბეჭდი ფირფიტას და დაელოდე საღებავის გაშრობას.<br>**ვიდეოინსტრუქციები დავალებისთვის:**<br>https://www.youtube.com/watch?v=a6D6ymjtd0E<br>https://www.youtube.com/watch?v=5As0kNfTAF8<br>https://www.youtube.com/watch?v=Ndk8x39_KCo |

ანაბეჭდის შესრულების გამარტივებული ვარიანტების ვიდეოინსტრუქციები:
https://www.youtube.com/watch?v=AKEWt8K4erA
https://www.youtube.com/watch?v=7SVkajWdlU0
https://www.youtube.com/watch?v=OWX9k-oJWxE
https://www.youtube.com/watch?v=1AMRUpW1uAU

**თემის ზოგადი რესურსები:**

**რეკომენდებული წყაროები:**

https://artsandculture.google.com/

ხელოვანთა ნამუშევრები და მათ შესახებ სტატიები: https://artchive.ru/artists

მსოფლიო კულტურა და ხელოვნება: http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=47

ტელესკოლა, ანა კლდიაშვილი: https://1tv.ge/user/anakldiashvili/

ტელესკოლა, ნინო ხუნდაძე: https://1tv.ge/user/ninokhundadze/

ტელესკოლა, თამარ მელიქიშვილი: https://1tv.ge/user/tamarmelikishvili/

**შეფასების კრიტერიუმები:**

- აკვირდება გარემოს (ბუნებას) და შემოქმედებითად ასახავს ნამუშევარში დაკვირვების შედეგად აღძრულ შთაბეჭდილებებს (ს.გ.საბ.1);
- ნამუშევრის შექმნისას გააზრებულად და შემოქმედებითად შეარჩევს და იყენებს იმპრესიონიზმის მიდგომების შესაბამის სახვით საშუალებებსა და ხერხებს (ს.გ.საბ.1,2);
- აანალიზებს იმპრესიონიზმის გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, უცხო გავლენებს საკუთარი ნამუშევრის საფუძველზე (ს.გ.საბ.3,4);

**შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალებისთვის „ფერწერული პეიზაჟი პლენერზე“:**

<table>
<tr><td colspan="4">
საგანი: ხელოვნება, IX კლასი<br>
მოსწავლის სახელი, გვარი ----------------------------------------------------------------------------------------<br><br>
საკითხები/ქვეცნებები:<br>
სახვითი საშუალებები (ფერი, მონასმი, შუქჩრდილი, განათება, ათინათი); სახვითი პრინციპი (კომპოზიცია)<br>
სახვითი ხელოვნების ტექნიკა: მონასმი;<br>
სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები: იმპრესიონიზმი.<br><br>
კომპლექსური დავალების პირობა:<br>
გადაუღე ფერადი ფოტო შენ მიერ შერჩეულ ხედს და დახატე ესკიზური ფერწერული პეიზაჟი პლენერზე (ან ფანჯრიდან დანახული ხედი), რომელშიც იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებებითა და ტექნიკით გადმოსცემ ხედისგან მიღებულ შთაბეჭდილებას.<br>
წარდგენისას იმსჯელე:<br>
• რა ცვლილებები გამოიწვია ფერწერაში პლენერზე მუშაობამ?<br>
• იმპრესიონიზმის რა მახასიათებლებს მიმართე ნამუშევრის შექმნისას.<br>
• შეადარე შენი ფერწერული პეიზაჟი შენ მიერ გადაღებულ ფოტოს. გამოგივიდა განათებისა და კოლორიტის გადმოცემა?<br>
• იმსჯელე საკუთარ გამოცდილებაზე პლენერზე მუშაობასთან დაკავშირებით (რა ვარაუდები გქონდა, რამდენად გამართლდა შენი მოლოდინი, რა შთაბეჭდილება მიიღე გარემოზე დაკვირვებით).
</td></tr>
<tr><td>კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება</td><td>სახვითი საშუალებები და ხერხები:</td><td>სახვითი ხელოვნების ტექნიკა:</td><td>სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:<br>იმპრესიონიზმი</td></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლე სიღრმისეულად გაიაზრებს საკითხის არსს/არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ცოდნის განზოგადების, მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ გამოცდილებას.</td><td colspan="3">დავალების პირობით გათვალისწინებული სახვითი მახასიათებლების (განათების პირობების შესაბამისი ფერადოვანი გამა, ესკიზურობა, სუფთა ფერის მოკლე მონასმები, კონტრასტული ფერის ჩრდილები, ათინათები, ასიმეტრიული კომპოზიცია, მოჭრილი კადრი) გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენებით ქმნის ფერწერულ პეიზაჟს, რომელშიც ასახავს მიღებულ შთაბეჭდილებას. ნამუშევარში ჩანს ორიგინალური ხედვა (ს.გ.საბ.1,2).<br><br>
სიღრმისეულად ესმის იმპრესიონისტული ფერწერის არსებითი მხატვრული მახასიათებლები და მათი ურთიერთკავშირი (პლენერზე მუშაობის სპეციფიკა: ხატვის სწრაფი ტემპი, მოკლე მონასმებით მუშაობის ტექნიკა, ესკიზურობა და სხვ.); დავალებაზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების, იმპრესიონისტ ფერმწერთა რამდენიმე პეიზაჟთან და მის მიერ გადაღებულ ფოტოსთან საკუთარი ნამუშევრის შედარების საფუძველზე ამომწურავად, არგუმენტირებულად აანალიზებს მუშაობის პროცესის ყველა ასპექტს და მიღებულ შედეგს.<br>
ამომწურავად აღწერს გარემოსგან მიღებულ შთაბეჭდილებას და არგუმენტირებულად მსჯელობს იმ მრავალფეროვან საშუალებებზე, რითაც გადმოსცა ეს შთაბეჭდილება.<br>
მსჯელობისას ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან დარგობრივ ტერმინებს (ს.გ.საბ.3,4)</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით</td><td>სწორად იყენებს უმეტეს სახვით საშუალებას. სუფთა ფერის, ათინათების, კონტრასტული ფერის ჩრდილების მეშვეობით გადმოსცემს განათების ეფექტებს.</td><td>მოკლე მსუყე მონასმებით ქმნის ესკიზურ პეიზაჟს.</td><td>სწორად ესმის იმპრესიონიზმის ძირითადი მხატვრული მახასიათებლები და ამ ასპექტების ურთიერთკავშირი;<br>
იმპრესიონისტულ პეიზაჟთან და მის მიერ გადაღებულ ფოტოსთან საკუთარი ნამუშევრის შედარების საფუძველზე, რამდენიმე არგუმენტის მოშველიებით თანამიმდევრულად მსჯელობს დავალებით დასახული ამოცანის მიზანსა და პროცესზე. მწყობრად აანალიზებს მიღებულ შედეგს.<br>
დავალებაზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე მწყობრად აღწერს გარემოს, მიღებულ შთაბეჭდილებას და ასახელებს რამდენიმე საშუალებას, რითაც გადმოსცა ეს შთაბეჭდილება.</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | | | ადეკვატურად იყენებს ბევრ დარგობრივ ტერმინს. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | დასახული მიზნის მისაღწევად იყენებს რამდენიმე სახვით საშუალებას. სუფთა ფერის, ათინათების ან კონტრასტული ჩრდილების მეშვეობით ბუნდოვნად გადმოსცემს განათების ეფექტებს. | მოსწავლე ალაგ-ალაგ იყენებს მოკლე, პასტოზურ მონასმებს. | ესმის იმპრესიონიზმის რამდენიმე მხატვრული მახასიათებელი, მაგრამ ვერ ხედავს კავშირს მიმდინარეობის სხვადასხვა ასპექტს შორის.<br>იმპრესიონისტ ფერმწერთა პეიზაჟებთან და მის მიერ გადაღებულ ფოტოსთან თავისი ნამუშევრის შედარებისას უსისტემოდ მსჯელობს დასმული ამოცანის მიზანზე, პროცესზე ან შედეგზე.<br>კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე მსჯელობს გარემოსგან მიღებული შთაბეჭდილების რამდენიმე ასპექტსა და რამდენიმე საშუალებაზე, რითაც გადმოსცა ეს შთაბეჭდილება.<br>მწირად იყენებს დარგობრივ ტერმინებს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | გაუცნობიერებლად იყენებს დავალების პირობით გათვალისწინებულ სახვით საშუალებებს (სუფთა ფერს, ათინათებს ან კონტრასტულ ჩრდილებს. | უსისტემოდ იყენებს რამდენიმე, შემთხვევით პასტოზურ მონასმს. | ესმის იმპრესიონიზმის მხოლოდ ერთი მხატვრული მახასიათებელი.<br>აცნობიერებს პლენერზე მუშაობის სპეციფიკის მხოლოდ ერთ ასპექტს;<br>უჭირს საკუთარი ნამუშევრის შედარება იმპრესიონისტულ პეიზაჟთან.<br>მსჯელობს მხოლოდ ერთ საშუალებაზე, რითაც გადმოსცა საკუთარი შთაბეჭდილება.<br>იყენებს მხოლოდ ერთ დარგობრივ ტერმინს. |
| **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება კომპლექსური დავალების პირობას. | არ იყენებს მოკლე მონასმების ტექნიკას. | არ იცის იმპრესიონიზმის არცერთი მახასიათებელი;<br>ვერ უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას იმპრესიონიზმის მახასიათებლებს.<br>ვერ იყენებს ვერცერთ დარგობრივ ტერმინს. |
| **მასწავლებლის კომენტარი:** | | | |

**შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით დავალებისთვის „ლითოგრაფია“:**

- სახვითი საშუალებებისა და ხერხების (ხაზი, შტრიხი, ლაქა, ფაქტურა, კომპოზიციური განაწილება) გააზრებული და შემოქმედებითი გამოყენებით, ჩანაფიქრის შესაბამისად, ქმნის ნამუშევარს ლითოგრაფიის ტექნიკით (ს.გ.საბ.1,2);
- აანალიზებს ლითოგრაფიის ტექნიკის გამომსახველობით საშუალებებს (ს.გ.საბ.3,4);

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------
საგანი: ხელოვნება

**საკითხები/ქვეცნებები:**
**სახვითი საშუალებები და ხერხები:** ხაზი, შტრიხი, ლაქა; კომპოზიციური განაწილება.
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ლითოგრაფია;

**დავალების „ლითოგრაფია“ პირობა:**
წინასწარი ესკიზის საფუძველზე შექმენი ნამუშევარი ლითოგრაფიის ტექნიკით, რომელშიც სასურველი ეფექტის მისაღწევად მიზანმიმართულად გამოიყენებ სახვით საშუალებებსა და ხერხებს (ხაზი, შტრიხი, ლაქა; კომპოზიციური განაწილება).

**წარდგენისას ისაუბრე:**

- რა სახვითი საშუალებები და ხერხები (ხაზი, შტრიხი, ლაქა; კომპოზიციური განაწილება) გამოიყენე სასურველი ეფექტის მისაღწევად და მიიღე თუ არა სასურველი შედეგი?
- რა განსხვავებაა შენს ესკიზსა და ლითოგრაფიულ ნამუშევარს შორის? რის შესაძლებლობას იძლევა ლითოგრაფიის ტექნიკა?
- შეადარე შენი ნამუშევარი ცნობილი მხატვრების ლითოგრაფიულ ნამუშევრებს. როგორ ეფექტებს აღწევენ ისინი? შენ როგორი ეფექტის მიღწევა გსურდა?
- როგორი იყო შენი წინასწარი ვარაუდი, მოლოდინი? მუშაობის პროცესში რა იყო ყველაზე რთული და როგორ დაძლიე ეს სირთულე?
- რას და როგორ შეცვლიდი, ხელახლა რომ მუშაობდე მსგავს პროექტზე?

| **კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება** | **სახვითი საშუალებები და ხერხები** | **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ლითოგრაფია |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლე სიღრმისეულად გააზრებს საკითხის არსს/არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას. | ორიგინალური ჩანაფიქრისა და წინასწარი ესკიზის საფუძველზე ქმნის ნამუშევარს, რომელშიც სასურველი ეფექტის მისაღწევად მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს სახვით საშუალებებსა და ხერხებს (ხაზი, შტრიხი, ლაქა; კომპოზიციური განაწილება).<br>გაცნობიერებულად იყენებს ლითოგრაფიის ტექნიკის შესაძლებლობებს, იცავს ინსტრუქციით გათვალისწინებული პროცედურის ყველა ეტაპს ან შედეგის მისაღწევად იგონებს ინსტრუქციისგან განსხვავებულ, ალტერნატიულ გზებს. წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად პოულობს გონივრულ, ორიგინალურ გამოსავალს.<br>ცნობილ მხატვართა ლითოგრაფიებთან შედარების საფუძველზე ამომწურავად აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სახავს მრავალფეროვან სამომავლო ამოცანებს და მათი მიღწევის გონივრულ გზებს. | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | წინასწარი ესკიზის საფუძველზე ქმნის საინტერესო ნამუშევარს. სასურველი ეფექტის მისაღწევად ადეკვატურად იყენებს უმეტეს სახვით საშუალებებსა და ხერხებს (ხაზი, შტრიხი, ლაქა, კომპოზიციური განაწილება). | სწორად ახორციელებს ინსტრუქციით გათვალისწინებული პროცედურის უმეტეს ეტაპს.<br>კარგად ესმის ლითოგრაფიის ტექნიკის მხატვრული შესაძლებლობები.<br>ცნობილ მხატვართა ლითოგრაფიებთან შედარების საფუძველზე თანამიმდევრულად აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს. სახავს რამდენიმე სამომავლო ამოცანას და მიღწევის რამდენიმე გზას. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან | წინასწარი ესკიზის საფუძველზე ქმნის ნამუშევარს. სასურველი ეფექტის მისაღწევად იყენებს | სწორად ახორციელებს ინსტრუქციით გათვალისწინებული პროცედურის რამდენიმე ეტაპს.<br>ესმის ლითოგრაფიის ტექნიკის რამდენიმე მხატვრული შესაძლებლობა. |

| | | |
|---|---|---|
| დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | რამდენიმე სახვით საშუალებასა და ხერხს (ხაზი, შტრიხი, ლაქა; კომპოზიციური განაწილება). | ცნობილ მხატვართა ლითოგრაფიებთან შედარების საფუძველზე საკუთარი ნამუშევრის ძლიერი და/ან სუსტი მხარეების ანალიზისას საჭიროებს დახმარებას. სახავს ერთ სამომავლო ამოცანას და ერთ გონივრულ გზას მის მისაღწევად. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | ნამუშევარში გამოყენებული სახვითი საშუალებები ბუნდოვნად უკავშირდება დასახულ ამოცანას. | უჭირს ინსტრუქციით გათვალისწინებული პროცედურის თანამიმდევრობის გააზრება და დაცვა. ესმის ლითოგრაფიის ტექნიკის ერთი მხატვრული შესაძლებლობა.<br>დახმარებითაც კი უჭირს საკუთარი ნამუშევრის სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვა. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება კომპლექსური დავალების პირობას. | არ ესმის პროცედურის სპეციფიკა, ვერ იცავს მის ეტაპებს. არ ესმის ლითოგრაფიის ტექნიკის არცერთი მხატვრული შესაძლებლობა.<br>დახმარებითაც კი ვერ ამოიცნობს საკუთარი ნამუშევრის სუსტ ან ძლიერ მხარეებს. |

**მასწავლებლის კომენტარი:**

თემატური მატრიცა 2

**თემატური ბლოკი:** გარემო და ხელოვნება
**თემა:** პოსტიმპრესიონიზმი და მისი მემკვიდრეები
**გაკვეთილები:** 10 - 17 **საათების რაოდენობა:** 11 + 2 სთ.

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები:**
**სახვითი ხელოვნების ელემენტები:** ხაზი (კონტური); ფერი (კონტრასტული); ფორმა (სიბრტყობრივი, გეომეტრიული და ორგანული), დეფორმაცია; ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.
**სახვითი ხელოვნების პრინციპები:** კომპოზიციური განაწილება; ასიმეტრია; დინამიკა; ხედვის წერტილი; პერსპექტივა; დისპროპორცია; კონტრასტი; აქცენტი; პატერნი (განმეორებადი ფორმები)
**დარგები:** ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი, ქანდაკება.
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ფერწერა, გრაფიკა, მოდელირება, ციფრული ტექნოლოგიები, პუანტილიზმი.
**ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი და მათი მხატვრული მახასიათებლები:** პოსტიმპრესიონიზმი, ნეოიმპრესიონიზმი, მოდერნი, ნაივი, ფოვიზმი, ექსპრესიონიზმი, კუბიზმი.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**
- XIX-XX სს-ის მიჯნაზე გარემოში მიმდინარე მოვლენებმა (ტექნიკური პროგრესი, ისტორიული ვითარება) ხელოვანთა წინაშე ახალი ამოცანები დააყენა.
- პოსტიმპრესიონიზმიდან მოყოლებული, მომდევნო თაობები უარს ამბობენ რეალური სამყაროს ასახვაზე და ავითარებენ კვლევას სახვითი ენის წარმოჩენის კუთხით.
- ფოვისტმა, ექსპრესიონისტმა და კუბისტმა ხელოვანებმა სათქმელის გადმოსაცემად წინ წამოსწიეს სახვითი ხელოვნების საწყისი ელემენტები: ხაზი, ფერი, ფორმა.
- უცხო კულტურების (აზია, აფრიკა, ოკეანია, კოლუმბამდელი მესოამერიკა) გაცნობამ ხელი შეუწყო ახალი სახვითი ენის შემუშავებას.

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**
- როგორ აისახა ხელოვნებაში XIX-XX სს-ის მიჯნაზე გარემოში მიმდინარე მოვლენები (ტექნიკური პროგრესი, ისტორიული ვითარება და სხვა)?
- პოსტიმპრესიონიზმიდან მოყოლებული, რაზე თქვა უარი სახვითმა ხელოვნებამ და რა მიმართულებებით განავითარეს კვლევა მომდევნო თაობის ხელოვანებმა?
- რა სახვითი ხერხები შეიმუშავეს ფოვისტმა, ექსპრესიონისტმა და კუბისტმა ხელოვანებმა სათქმელის გადმოსაცემად?
- რა გავლენა მოახდინა უცხო კულტურების გაცნობამ ევროპულ ხელოვნებაზე?

| **სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალებები** *(შუალედური სასწავლო მიზნები)* |
|---|---|---|---|
| | <u>კომპლექსური დავალება 2</u><br>**სახვითი ხელოვნების საშუალებები:**<br>ხაზი, ფერი, ფორმა (სიბრტყობრივი, გეომეტრიული, ბუნებრივი),<br>ფაქტურა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br>**სახვითი ხელოვნების ხერხები:**<br>კომპოზიციური განაწილება, ასიმეტრია, პერსპექტივა, დისპროპორცია, კონტრასტი, | <u>კომპლექსური დავალება 2</u><br>რა სახვითი ხერხები შეიმუშავეს XIX-XX სს-ის მიჯნაზე ევროპაში წარმოქმნილმა მიმდინარეობებმა?<br>რა ისესხა ამ პერიოდის ევროპულმა ხელოვნებამ უცხო კულტურებისგან?<br>რას მომცემს წარსულის მხატვრული გამოცდილების გაცნობა? | **„კულტურათა გადაკვეთა“**<br>ნამუშევრის შექმნა XIX-XX სს-ის მიჯნის ევროპული ხელოვნების მიმდინარეობებისა და უცხო კულტურების სტილების, |

<table>
<tr>
<td></td>
<td>აქცენტი, პატერნი (განმეორებადი ფორმები).<br>**ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი :**<br>პოსტიმპრესიონიზმი, ნეოიმპრესიონიზმი, მოდერნი, ნაივი, ფოვიზმი, ექსპრესიონიზმი, კუბიზმი.</td>
<td>რას მომცემს განსხვავებული კულტურების გაცნობა?</td>
<td>მიდგომების ან ელემენტების შეჯერებით.</td>
</tr>
<tr>
<td>**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** ***(შედეგები: ს.გ.სახ.1, 2, 3, 4)***<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასებისას.<br><br>**სახვითი ხელოვნების ტექნიკა** ***(შედეგები: ს.გ.სახ.1, 2, 3, 4)***</td>
<td colspan="3">**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები)<br><br>**<u>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა:</u>**<br><br>**კომპლექსური დავალება 2: „კულტურათა გადაკვეთა“**<br><br>დავალების პირობა:<br>შენ მიერ შერჩეული მასალითა და ტექნიკით შექმენი ნამუშევარი, რომელშიც გააერთიანებ XIX-XX სს-ის მიჯნის ევროპული ხელოვნების მიმდინარეობებისა და უცხო კულტურების (იაპონიის, სპარსეთის, აფრიკის, ოკეანიისა ან კოლუმბამდელი მეზოამერიკის) სტილებს, მიდგომებს ან ელემენტებს.<br>დაწერე რეფლექსია კვლევის, ჩანაფიქრის, ნამუშევრის შექმნის პროცესისა და შედეგის ანალიზით.<br><br>ამისათვის:<br>• დაათვალიერე XIX-XX სს-ის მიჯნის ევროპული მიმდინარეობებისა და უცხო კულტურების (აზია, აფრიკა, ოკეანია, კოლუმბამდელი მეზოამერიკა) ხელოვნების ნიმუშები.<br>• შეარჩიე ორი განსხვავებული კულტურის ნამუშევარი.<br>• მათი სტილური მახასიათებლის, სახვითი ხერხების, მოტივების ან დეტალების გამოყენებით შექმენი ნამუშევარი, რომელშიც გამოჩნდება ორივე კულტურის ნიშნები.<br><br>წარდგენისას იმსჯელე:<br>• გაიხსენე ხელოვნების ნაწარმოებში უცხო კულტურათა გავლენის მაგალითები. როგორ შედეგს იძლევა ამგვარი კომბინაცია?<br>• რომელი მიმდინარეობისა და კულტურის ხელოვნების ნაწარმოებები შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის შთაგონების წყაროდ და რატომ?<br>• რა როლი მიაკუთვნე თითოეულ წყაროს შენი ნამუშევრის საბოლოო ვერსიაში?<br>• რა მასალა და ტექნიკა შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის და რატომ?<br>• რა შედეგი მოგცა განსხვავებული კულტურებიდან აღებული სტილური ნიშნების/მიდგომების/ელემენტების ერთმანეთთან მორგებამ?<br>• რა სირთულეს წააწყდი მუშაობის პროცესში და როგორ დაძლიე ეს სირთულე?<br>• რა და რატომ შეცვალე მუშაობის პროცესში? რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?<br>• რა აღმოაჩინე ახალი ამ ნამუშევარზე მუშაობისას კვლევა-ძიების, შემოქმედებითი პროცესისა და ნამუშევრის დასრულების ეტაპებზე?</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| • ხელოვანი მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;<br>• კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.<br><br>**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** ***(შედეგები: ს.გ.სპ.1, 2, 3, 4)***<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან | ნიმუშები კომპლექსური დავალების მოთხოვნის საილუსტრაციოდ:<br><br><br>პოლ გოგენი, „ტა მატეტე“ („ბაზარი“), 1892 წ. (პოლ გოგენის ამ კომპოზიციაში, რომელიც მან კუნძულ ტაიტიზე შექმნა, ქალები ძველი ეგვიპტური ფრესკების მსგავს პოზებში არიან გამოსახულნი). http://bit.ly/3c72CJ7<br><br><br>ჩინელი მხატვარი ჩენ ჩუანი, „თბილისი“, 1990-იანი წლები. ჩვენთვის ნაცნობი ხედი ჩინური პეიზაჟის ტრადიციითაა შექმნილი.<br><br><br>ანრი მატისის „ოდალისკა“ აღმოსავლური (სპარსული მინიატურების) კულტურის გავლენის ნიშნებს ატარებს. http://bit.ly/39de18o<br><br><br>მოსწავლის ნამუშევარი, 2010 წ. ამ აბსტრაქციულ ნამუშევარში ფონად გამოყენებულია იაპონურ შპალერს მიმსგავსებული ნახატი. |

დანიშნულება განაპირობებს;

- თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;
- სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით;
- ხელოვნების დარგებსა და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.

**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები *(შედეგები: ხ.გ.ხპ.1, 2, 3, 4)***

- ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი

<u>**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**</u>

* *თემით „პოსტიმპრესიონიზმი და მისი მემკვიდრეები“ გაერთიანებული გაკვეთილების ეს ჯგუფი მიზნად ისახავს ხელოვანთა იმპრესიონიზმის შემდგომი თაობის წარმომადგენელთა – პოსტიმპრესიონისტების, მათი შემოქმედებით შთაგონებული მომდევნო, მოდერნისტული მიმდინარეობების (ფოვიზმი, ექსპრესიონიზმი, კუბიზმი) მხატვრულ მიგნებებთან გაცნობას, მათ მიერ შემუშავებული სახვითი ენის ათვისებას და ამ მიმდინარეობებზე უცხო კულტურის გავლენის მნიშვნელობის გაცნობიერებას.*

*ამ თავში ასევე განიხილება მოდერნის მიმდინარეობა და მისი მახასიათებლები.*

**„იზმების“ გენეალოგიური სქემის ნიმუში:** **რესურსი 1**

რომანტიზმი, რეალიზმი ⇨ იმპრესიონიზმი ⇨ პოსტიმპრესიონიზმი ⇩

კუბიზმი, ფოვიზმი, ექსპრესიონიზმი.




მოსწავლეები გაეცნობიან მიმდინარეობების „გენეალოგიურ“ სქემას, რაც მათ დაეხმარება იმის გააზრებაში, რასაც მომდევნო გაკვეთილებზე ისწავლიან – თუ რა მიზეზ-შედეგობრივი, მემკვიდრეობითი კავშირებია პოსტიმპრესიონისტ ფერმწერთა შემოქმედებასა და მათ მომდევნო მიმდინარეობებს შორის.

- **დავალება - შედარებითი ანალიზი** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი)*:
  - დააკვირდი ფრანგი ფერმწერის ელიზაბეტ ვიჟე-ლებრენისა (როკოკო, კლასიციზმი) და ამერიკელი ფერმწერის მარი კასატის (იმპრესიონიზმი) მიერ შესრულებულ პორტრეტებს. ამ ნაწარმოებებს ერთი საუკუნე აშორებს. როგორ შეიცვალა მხატვრობა ამ ხნის განმავლობაში? რა გზით შეიძლება განვითარებულიყო მხატვრობა და რა სიახლეებს შემოიტანდნენ ხელოვნებაში იმპრესიონისტების მემკვიდრეები?

მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;

- ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);
- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ურთიერთზეგავლენა;
- ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და


ელ. ვიჟე-ლებრენი, კლასიციზმი


მარი კასატი, იმპრესიონიზმი


ვინსენტ ვან გოგი, პოსტიმპრესიონიზმი






პაბლო პიკასო, სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრები

**შედარებითი ანალიზის ნიმუში:**

პირველ ნაწარმოებში (ელიზაბეტ ვიჟე-ლებრენის „ავტოპორტრეტი შვილით“ 1776 წ.) იმდროინდელ მოდაზე, რომაული სტილის სამოსში გამოწყობილი პერსონაჟები პოზირებენ, მათი მზერა მაყურებლისკენაა მიმართული, ხოლო მეორეზე (მარი კასატის „დედა“ 1889 წ.) დედა-შვილი უშუალო, ყოფით მომენტში, საშინაო ტანსაცმლით არიან გამოსახულნი. ისინი

| | |
|---|---|
| კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება. | არ პოზირებენ – დედას თვალები შვილისკენ აქვს დახრილი, ბავშვის მზერაც მაყურებლის მიღმაა მიმართული. პირველი საგულდაგულო ოსტატობითაა გამოწერილი, მეორე კი ესკიზურია, ნაჩქარევი და ამიტომ უფრო ბუნებრივი, „ცოცხალი“. ერთი საუკუნით დაშორებულ ამ პორტრეტებში ჩანს შესაბამისი ეპოქისა და მიმდინარეობის ნიშნები.<br>*მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესადარებლად აჩვენოს მომდევნო თაობების მხატვრების (მაგ. ვინსენტ ვან გოგი და პაბლო პიკასო) ამავე თემაზე შესრულებული ნამუშევრებიც, რის საფუძველზეც მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ როგორ განვითარდა მომავალში მხატვრობა.<br><br>**ნაბიჯი 1:**<br>გაკვეთილი 10. „პოსტიმპრესიონიზმი – ჯაჭვის მძლავრი რგოლი“ **რესურსი 2**<br><br>***მინიშნება მასწავლებელს:** *მოცემულ გაკვეთილზე მოსწავლეები გაეცნობიან პოსტიმპრესიონიზმის მიმდინარეობას და მის მახასიათებლებს. გააცნობიერებენ, თუ რა შედეგი გამოიღო იმპრესიონისტების მიერ გაკვალულმა გზამ.*<br>*პოსტიმპრესიონისტების შემოქმედება იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, იმდენად ინდივიდუალურია, რომ მათ ერთიანი მახასიათებელი არ მოეძებნათ. ამ თაობის ხელოვანთა ინტერესი არა სამყაროს რეალური სახის, მისი ასლის გამოსახვა, არამედ მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების, საკუთარი ხედვის, შეგრძნებების გამოხატვაა. ყოველი ადამიანი თავისებურად აღიქვამს სამყაროს, თავისებურად გამოხატავს შთაბეჭდილებებს. ამიტომაა ამ ეპოქის ხელოვნება ასეთი არაერთგვაროვანი. წესებისგან გათავისუფლებული ხელოვნება ისეთივე მრავალფეროვანი აღმოჩნდა, როგორი მრავალფეროვანიცაა ჩვენი სამყარო და თითოეული ადამიანი.*<br>*რუს კინორეჟისორს ანდრეი ტარკოვსკის უთქვამს: „ათასი ადამიანის მიერ წაკითხული ერთი წიგნი ათასი სხვადასხვა წიგნია“.*<br><br>• **დავალება - მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):<br>• ილუსტრაციებზე თვალის ერთი გადავლებით რა სხვაობას ამჩნევ იმპრესიონიზმსა და პოსტიმპრესიონიზმს შორის?<br>• ჩამოთვალე, რა განასხვავებს პოსტიმპრესიონისტი მხატვრების ნამუშევრებს ერთმანეთისგან?<br>**შეკითხვები წინარე ცოდნის გააქტიურებისთვის:**<br>• გაიხსენე, რას და როგორი მხატვრული მეთოდით ასახავენ რეალისტები თავიანთ სურათებში და რატომ ვუწოდებთ მათ რეალისტურს?<br>• რას ასახავენ იმპრესიონისტები თავიანთ სურათებში?<br>• რა ძირეული სხვაობაა რეალისტებისა და იმპრესიონისტების ნამუშევრებს შორის?<br>**სავარაუდო პასუხი:** რეალისტები თანამედროვეობაში დანახულ სინამდვილეს ასახავენ შეულამაზებლად, იდეალიზაციის ან დამახინჯების გარეშე. მათ რეალისტურს ვუწოდებთ იმის გამო, რომ ასახული ამბავი გადმოცემულია დამაჯერებლად, სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებულად, ობიექტურად (ისე, როგორც ამას ყველა ხედავს). რეალისტები ხშირად წარმოაჩენენ თანამედროვეობის სოციალურ პრობლემებს (სიღარიბეს, ჩაგრული ფენის მძიმე შრომას) და მანკიერებებს (კორუფცია, მექრთამეობა...)<br>იმპრესიონისტები გადმოგვცემენ სუბიექტურად აღქმულ რეალობას, რეალობისგან მიღებულ შთაბეჭდილებას, განცდას. იმპრესიონისტებმა ახალი სილამაზე და პოეზია აღმოაჩინეს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ერთიანობაში. მათ სურათებში გვხიბლავს არა მხოლოდ მზის სინათლით აციმციმებული მრავალფეროვნება, მოძრავი ბუნების ცვალებადობის ეფექტები, არამედ სამყაროსადმი უბრალო, ადამიანური დამოკიდებულება, მართლად და დამაჯერებლად ასახული ცხოვრებისეული, ყოველდღიური მოტივები, ხალხმრავალი ქუჩები, მოედნები, სახალხო დღესასწაულები, ქალაქისა და სოფლის პოეტური პეიზაჟები. მათი ჟანრული კომპოზიციები, პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები თავისი შინაარსითა და ფორმით გადმოგვცემენ სილამაზის, ბედნიერებისა და სიხარულის ესთეტიკურ განცდას. |

- **დავალება 1** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - მოიძიე პუანტილისტების ნამუშევრები. შეხედე დეტალებს და შემდეგ სურათს მთლიანობაში მოჭუტული თვალებით. როგორია სურათის ფერადოვანი გამა?
  - გაადიდე სურათები. დააკვირდი, რა ფერის წერტილებს ხედავ მანამდე ერთი ფერის ლაქად აღქმულ მონაკვეთზე?

- **დავალება 2** (*მხატვრული მახასიათებლები*):
  - მოიძიე და შეადარე ჟორჟ სიორას ფერწერული ტილოები მისსავე გრაფიკულ ნახატებს.
  - რა საერთო ნიშნებს ხედავ მათში და რა არის განსხვავებული?
  - გამოთქვი ვარაუდი, რა ტექნიკით ქმნიდა სიორა ამგვარ ნახატებს? შენ როგორ შეგიძლია მიიღო ასეთი ფაქტურა?
  - ჟორჟ სიორას გრაფიკული ნამუშევრების ტექნიკასთან დაკავშირებით გამოთქმული შენი ვარაუდის შესამოწმებლად, შენ მიერ მოფიქრებული ხერხით დახატე ნახატი ბუნდოვანი სილუეტებით.

**სავარაუდო პასუხი:** ჟორჟ სიორას ფერწერასაც და გრაფიკასაც ახასიათებს განზოგადებული, ბუნდოვანი სილუეტები. სიორა არ ხმარობს ხაზებსა და შტრიხებს. ამიტომ მისი სურათების ფაქტურა „რბილია", ხავერდოვანი. ფერწერაში ეს ეფექტი პუანტილისტური მოკლე, წერტილოვანი მონასმებით მიიღება, ხოლო გრაფიკულ ნამუშევრებში სიორა, შესაძლოა, იყენებდა რბილ ფანქარს, მუშაობდა ფანქრის ფრთხილი მოსმით, დაწოლის გარეშე. ასევე, შესაძლოა, მუშაობდა ფანქრის დაფხვნილი ანათალით.

*** მინიშნება მასწავლებელს:** შესაძლოა, მოსწავლეებმა თითით ან ბამბით ფაქიზად გადაგლისონ ფურცელზე გათლილი ფანქრის ნაფხვენი.

- **დავალება - პუანტილისტური სავარჯიშო** (პრაქტიკული სამუშაო):
  - მოიმარჯვე მარკერები ან ზეთოვანი პასტელი.
  - სახატავ რვეულში სამ მწკრივად დახატე სამ-სამი კვადრატი. თითო მწკრივი თითო შედგენილი ფერისა და მისი სხვადასხვა ელფერის მიღებას დაეთმობა.
  - პირველი მწკრივის პირველ უჯრაში, გვერდიგვერდ დასმული წითელი და ყვითელი ფერების თანაბარი რაოდენობის წერტილებით, შორიდან შეხედვისას უნდა მიიღო ნარინჯისფერი.
  - პირველი მწკრივის მომდევნო უჯრებში უნდა მიიღო ნარინჯისფერის გარდამავალი, მონათესავე ელფერები – მოწითალო ნარინჯისფერი და მოყვითალო ნარინჯისფერი.
  - მომდევნო მწკრივის უჯრებში ამავე სისტემით უნდა მიიღო მწვანე და მისი გარდამავალი, მონათესავე ელფერები.
  - დაფიქრდი, რომელ ძირითად ფერებს გამოიყენებ? როგორი პროპორციული თანაფარდობა უნდა დაიცვა ამ ფერებს შორის, რომ გვერდითა უჯრებში გამოგივიდეს მოლურჯო და მოყვითალო მწვანეს სხვადასხვა ვარიანტები?
  - ბოლო მწკრივი დაუთმე იისფერსა და მის მონათესავე (მოლურჯო და მოწითალო იისფერი) ელფერებს.

**რიგის შევსების მაგალითი:**

1. თანაბარი რაოდენობის წითელი+ყვითელი; 2. მეტი ყვითელი+ნაკლები წითელი; 3. მეტი წითელი+ნაკლები ყვითელი.

| | |
|---|---|
| | წერტილებით სხვადასხვა ელფერის მიღების განსხვავებული ნიმუში:<br>  მოსწავლის ნამუშევარი<br><br>• **დავალება - პუანტილისტური პეიზაჟი** (პრაქტიკული სამუშაო მასწავლებლის არჩევანით):<br>• აპლიკაციით (მაგ. ქაღალდის წვრილი ნაკუწები), მოზაიკით (მაგ. პლასტილინის ბურთები) ან საღებავში დასველებული ბამბიანი ჩხირით შექმენი პუანტილისტური პეიზაჟი.<br><br>***მინიშნება მასწავლებელს:** ნამუშევრის შესაქმნელად მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ქაფპლასტის ფირფიტა ან შესაფუთი ბუშტუკებიანი ცელოფანიდან აღებული ანაბეჭდი.<br>ქაფპლასტის ზედაპირი პუანტილისტურ წერტილოვან ფაქტურას იძლევა მაშინაც კი, თუ მას თანაბრად გადაუსვამ საღებავიან ფუნჯს.<br>ბუშტუკებიანი შესაფუთი ცელოფანის შემთხვევაში, სანამ ცელოფანი მთლიანად დაიფერება, ადრე დაფერილი ნაწილები შეიძლება გაშრეს. ამ შემთხვევაში ანაბეჭდის ასაღებად სასურველია, ქაღალდი წინასწარ დასველდეს გაწურული ღრუბლით, რის შემდეგაც მას ფრთხილად უნდა დაეფაროს წინასწარ დაფერილი ბუშტუკებიანი ცელოფანი.<br><br>*დავალების ეს ორი ვარიანტი შედარებით მარტივი შესასრულებელია, ასე რომ, გამოდგება დიფერენცირებული მიდგომის საჭიროების შემთხვევაში. ამ ვარიანტების სიკეთე ისაა, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობები და გარშემო საგნებს ამ თვალით დაუწყონ ყურება. |

ქაფპლასტის ზედაპირზე და ბუშტუკებიანი ცელოფანის ანაბეჭდით შესრულებული ნიმუშები:







https://bit.ly/3oc8CCU , https://bit.ly/3iOPWrF

დავალების გაადვილებული ვარიანტი:

- გუაშის საღებავებით ან ფლომასტერით დახატე მარტივი გამოსახულება პუნტილისტური ტექნიკით.

ნიმუში:



https://bit.ly/3d3DC62

დამატებითი ილუსტრაციები გაკვეთილისთვის:





*ჟორჟ სიორა, „ცირკის აღლუმი“, 1888 წ.*

https://bit.ly/3tyO2A6 *და დეტალი* https://bit.ly/3v6tnU6



ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, „მულენ რუჟი, ცეკვა“, 1890 წ.
https://bit.ly/3iFYLnJ



ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, „მარსელ ლენდერის „ბოლერო“ შილპერიკში“, 1895 წ.
https://bit.ly/3iHG3vl



პოლ გოგენი, „მაჰანა ნო ატუა (ღვთაების დღე)“, 1894 წ.
https://bit.ly/39XJgn2



პოლ გოგენი, „ტაიტური პეიზაჟი“, 1891 წ.
https://bit.ly/3sSKtEU



პოლ სეზანი, „სენ-ვიქტუარის მთა“, 1895 წ.
https://bit.ly/2LJZmZw



პოლ სეზანი, „ნატურმორტი ხილით“, 1880 წ.
https://bit.ly/2LJZmZw



ვან გოგი, „სოფლის შარაგზა ღამით“, 1890 წ.
http://bit.ly/3cVKIcD



ვან გოგი, „ოვერის ეკლესია“, 1890 წ.
http://bit.ly/3pa1nf0



ჟორჟ სიორა, „ეიფელის კოშკი“, 1889 წ.
https://bit.ly/3jDZZQC



პოლ სინიაკი, „ფიჭვი სენტ ტროპეზში“, 1909 წ.
https://bit.ly/3tMDjme

**ნაბიჯი 2**

**გაკვეთილი 12. „არ ნუვო და ლოტრეკი“** **რესურსი 3**

***მინიშნება მასწავლებელს:** მოცემული გაკვეთილი მიზნად ისახავს არ ნუვოს მიმდინარეობის წარმომადგენლებისა და ანრი დე ტულუზ ლოტრეკის შემოქმედებაზე დაკვირვებით, კონტურული ხაზის, კონტრასტული ფერისა და ლოკალური ლაქის, ასევე, დეკორის შესაძლებლობების გაცნობიერებას და დაუფლებას.

- **დავალება - მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - დააკვირდი ფრანგი პოსტიმპრესიონისტი გრაფიკოსისა და ფერმწერის ანრი დე ტულუზ-ლოტრეკის ნამუშევრებს.
  - რა მახასიათებლებით გამოირჩევიან და რა შთაბეჭდილებას ახდენენ შენზე მისი სურათები?

- **დავალება 1, მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - დააკვირდი ტულუზ ლოტრეკის აფიშას „იაპონური დივანი“. აღწერე სურათი და იმსჯელე მასში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე.
  - იმსჯელე, სად და როგორი აფიშები გინახავს, რომელი დაგამახსოვრდა, რომელმა და რითი მიიპყრო შენი ყურადღება?
  - რით განსხვავდება ლოტრეკის აფიშები შენ მიერ ნანახი სხვა აფიშებისგან?
  - რა სიახლე შემოიტანა მხატვრობაში ანრი დე ტულუზ-ლოტრეკმა?

***მინიშნება მასწავლებელს:** მოსწავლეებს ამავე გვერდზე ეძლევათ ლოტრეკის სხვა აფიშის ანალიზის ნიმუში. ამ დავალებას შეასრულებენ ნიმუშის მიხედვით. დანარჩენ კითხვებზე კი იმსჯელებენ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

- **დავალება** *(მხატვრული მახასიათებლები):*
  - დააკვირდი ილუსტრაციებს, მოიძიე ლოტრეკის სხვა ნამუშევრები და ჩამოწერე მისი შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები.

***ლოტრეკის შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები:** დიაგონალურად აგებული კომპოზიცია; კაშკაშა ელექტრონული განათება; მყვირალა, ინტენსიური ფერები; მოქნილ, დენად, მრუდ კონტურებში ჩასხმული ლოკალური ფერის ლაქები, კონტრასტული ფერის ჩრდილები, დინამიკური, ტალღოვანი და მეტყველი ხაზი, ჩამოჭრილი კადრი, იგივე ფრაგმენტული კომპოზიცია...

- **დავალება 2, შედარებითი ანალიზი:** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - შეადარე კაცუსიკა ჰოკუსაის გრავიურა „დიდი ტალღა კანაგავასთან“ (1830 წ.) არ ნუვოს სტილის წარმომადგენლის, რუსი მხატვრის ივან ბილიბინის მიერ ალ. პუშკინის ზღაპრისთვის შესრულებულ ილუსტრაციას (1905 წ.).

**ანალიზის სავარაუდო ნიმუში:**

ივან ბილიბინის ილუსტრაცია ჰოკუსაის ცნობილი გრავიურის ლამის „ციტატაა“, აშკარად შთაგონებულია გრავიურით „დიდი ტალღა კანაგავასთან“: ორივეში ტალღა ახლო ხედზეა გამოსახული. წყალი, ქაფი, შხეფები ლოკალური, სუფთა ფერის ლაქებითაა გადმოცემული. ორივეში დიდი როლი ენიჭება ლაქების უსწორმასწორო სილუეტს, კლაკნილ, მრუდ ფორმებს, კონტურულ ხაზებს, განმეორებად ფორმას. ისინი ასიმეტრიული კომპოზიციის დინამიკას განაპირობებენ. ტალღის მოხვეული კიდეები საფრთხის მომასწავებელ „კლანჭებს“ ჰგავს.

გამძვინვარებული ტალღა ნავებს (ჰოკუსაი) და კასრს (ბილიბინი) თავის ნებაზე ათამაშებს და სადაცაა ჩაყლაპავს. ეს ყველაფერი დრამატულ მომენტს ამძაფრებს. ტალღა ორივეგან დეკორაციულად და სტილიზებულადაა გადმოცემული, მაგრამ ბილიბინთან ის ზღაპართან ასოცირდება, რადგან ზოგიერთი შხეფი ვარსკვლავის ფორმას იძენს. ჰოკუსაის გრავიურაში გამოყენებულია ცივი (ტალღა) და თბილი (ფონი), თითქმის გამჭვირვალე სუფთა ტონები. ბილიბინთან კი მხოლოდ ცივი ტონებია.

*აქ მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს ფრანგი რომანტიკოსი ფერმწერის თეოდორ ჟერიკოს ტილო „მედუზას ტივი“, რომელზეც მარცხენა კიდეში ასევე გამოსახულია ტივის თავზე ავის მომასწავებლად აღმართული ტალღა. ჟერიკოს ნამუშევარი დრამატულია, დაძაბული, მისი მხატვრული ენა რეალისტურია. ამ შედარების საფუძველზე მოსწავლეები აშკარად დაინახავენ, რა შეიცვალა ევროპულ მხატვრობაში იაპონურ ესთეტიკასთან ზიარების შედეგად.

**დამატებითი ილუსტრაცია დავალებისთვის:**
*თეოდორ ჟერიკო, „მედუზას ტივი“*, 1819 წ. https://bit.ly/3rZLDwC

- **დავალება 3, შედარებითი ანალიზი:**
  - შეადარე გუსტავ კლიმტის „ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი“ (1907 წ.) უტაგავა ტოიკუნის გრავიურას „ქალი მელიის ნიღბით“ (1820 წ.)
  - იმსჯელე გამოყენებულ მხატვრულ ხერხებსა და მსგავსება-განსხვავებაზე.

**ანალიზის სავარაუდო ნიმუში:**

ორივე ნამუშევარში მთავარი ხიბლი დეკორაციულობით, ხაზისა და სილუეტის მოქნილი პლასტიკით მიიღწევა. დეკორაციულობას განსაზღვრავს სიბრტყობრივი ფორმებით მიღებული პატერნი (განმეორებადი ელემენტები, ორნამენტი), შუქჩრდილის უგულებელყოფა. კლიმტის ნამუშევარში ამას ოქროსფერის სიუხვეც უწყობს ხელს. ფონი ისე ლიცლიცებს, რომ ძალაუნებურად ბიზანტიური მოზაიკა გახსენდება.

ტოიკუნის გრავიურის ხელუხლებელი, დაუფერავი ფონი სიმსუბუქის, ჰაეროვნების, თავისუფალი სივრცის ეფექტს იძლევა. თუ კლიმტის ქალი ფონს ერწყმის და მისი განუყოფელი დეკორაციული ელემენტია, ტოიკუნის ქალბატონის ფიგურა მკაფიოდ იკვეთება ნეიტრალურ ფონზე. თვალს იზიდავს კიმონოს ნაზი, ნატიფი ნახატი. კაბის კალთა ორივე ნაწარმოებში ჩანჩქერის ნაკადივით რბილად მოედინება და ქვემოთ იშლება. აშკარაა, რომ კლიმტი, ბიზანტიურის გარდა, იაპონური მხატვრობითაა გატაცებული.

ფაქტობრივად, „ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტში“ ერთმანეთს შეერწყა შუა საუკუნეების ბიზანტია, იაპონური გრავიურა და არ ნუვოს სტილი. შედეგად ნატიფი, დახვეწილი, სტილიზებული, დეკორაციული შედევრი მივიღეთ.

შეკითხვა:

- შენი აზრით, რატომ არ გავრცელდა არ ნუვოს მიმდინარეობა ხელოვნების ისეთ დარგებზე, როგორიცაა მუსიკა ან ლიტერატურა?

**სავარაუდო პასუხის ნიმუში:** არ ნუვოს, როგორც ხელოსანთა და ხელოვანთა მოძრაობის მთავარი მახასიათებლები ფორმასა და ხაზს გულისხმობს, რაც ვერ გამოვლინდებოდა სხვა სახელოვნებო სფეროში.

- **დავალება 4, შპალერის დიზაინი** (პრაქტიკული სამუშაო):
  - მოიძიე უილიამ მორისის შპალერების ფოტოები. დააკვირდი დეტალებს, რომლებიც დინამიკური, რიტმულად განმეორებადი მცენარეული მოტივებითაა აგებული. დახატე შპალერის ესკიზი, რომელშიც გარკვეული სქემით განალაგებ ხვეულ ხაზებსა და ფორმებს.
  - ამოცანის გასაიოლებლად მონიშნე ჩარჩო და ჩახატე ჩარჩოში მკრთალი ბადე. გაითვალისწინე, შპალერში ორნამენტული ნახატის ერთი და იგივე მოტივი რეგულარულად უნდა მეორდებოდეს.

**უილიამ მორისის შპალერის დიზაინი:** http://william-morris.com/ https://jland.partners/3ePiJMt

- **დავალება 5** (პრაქტიკული სამუშაო):
  - არ ნუვოს ლათინური შრიფტის მიხედვით შექმენი ქართული ანბანის დიზაინი. შენ მიერ შექმნილი შრიფტით დაწერე საყვარელი აფორიზმი, გამონათქვამი, ციტატა, ამონარიდი ლექსიდან. შემოავლე ტექსტს ორნამენტული ჩარჩო არ ნუვოს სტილში. გაითვალისწინე – მრუდი ხაზი ხან უნდა წვრილდებოდეს, ხან მსხვილდებოდეს.

**არ ნუვოს ლათინური შრიფტის ნიმუშები:** https://bit.ly/3wxFKKu
**დეკორაციული ჩარჩოების ნიმუშები:** https://bit.ly/3uq8FhS

- **დავალება 6** (ექსკურსიაზე შესასრულებელი. *მხატვრული მახასიათებლები,* პრაქტიკული სამუშაო):
  - არ ნუვოს სტილის შენობები უხვად შეგხვდება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ქობულეთში, ჩაქვში, ფოთში, დუშეთში, აბასთუმანში, ბორჯომში, სოხუმში, გაგრაში... ბევრი მათგანი დღეს სავალალო მდგომარეობაშია.
  - დაგეგმეთ და მოაწყვეთ ექსკურსია არ ნუვოს სტილის შენობების სანახავად. გააკეთეთ არქიტექტურული დეკორის დეტალების ჩანახატები, გადაიღეთ ფოტოები და შექმენით ფოტოალბომი. შემოუნახეთ ეს ძეგლები ისტორიას.

***დამატებითი ინფორმაცია დავალებისთვის:**

*ციტატა ნესტან თათარაშვილის სტატიიდან „საქართველოს მოდერნის არქიტექტურა 100 წლის შემდეგ“:*

„საცხოვრებელი სახლებისა და ბანკების გარდა, 1901-1918 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოდერნის სტილით აშენდა საავადმყოფო, სამშობიარო, კონსერვატორია (მცირე დარბაზის ინტერიერი), მაღაზიები, თეატრები და კინოთეატრები, ბიბლიოთეკა და ეტლების სადგომი, ორანჟერეა, სკოლები და სხვა სასწავლო დაწესებულებები, სახელოსნოები, თამბაქოს ფაბრიკა, თბოელექტროსადგური, მაგნიტური ობსერვატორია. შესანიშნავი მემორიალური ძეგლებია დაცული ძველ, ისტორიულ სასაფლაოებზეც.

მოდერნის სტილი აირჩიეს საკუთარი საცხოვრებელი სახლებისათვის ცნობილმა ქართველებმა: ილია ჭავჭავაძემ და დავით სარაჯიშვილმა თბილისში, ნიკო ნიკოლაძემ – სოფელ დიდ ჯიხაიშში, აფხაზეთის პრინცმა გიორგი შარვაშიძემ – სოხუმში, აკაკი ხოშტარიამ – სოფელ სუჯუნაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოდერნი საზოგადოების მხოლოდ შეძლებული ფენისთვის არ გახდა ხელმისაწვდომი. აქ მას თითქმის ყველა სოციალური ფენის

წარმომადგენელთა შენობებში ვხვდებით და არა მხოლოდ ქალაქებში – მისმა დეკორმა რაჭის სოფლების მოხარატებულ აივნებშიც პოვა ასახვა.“

***ნესტან თათარაშვილის სტატია „საქართველოს მოდერნის არქიტექტურა 100 წლის შემდეგ“:*** *https://netgazeti.ge/news/343890/*

- **დავალება** (პრაქტიკული სამუშაო):
  - ამობეჭდე შენ მიერ გადაღებული ან ინტერნეტიდან შერჩეული არ ნუვოს სტილის ნაგებობის ფასადის ფოტო.
  - სტეპლერით ან წებოვანი ლენტით მიამაგრე კუთხეებზე სუფთა ფურცელი. ორივე მიადე ფანჯარას. ფლომასტერით გადაიტანე სუფთა ფურცელზე შენობისა და მისი დეკორის კონტურები. გადადი მაგიდასთან და გააფერადე ასლი მარკერებით.






**ნიმუშები *(მხატვარი სალომე დუმბაძე):***
https://bit.ly/3ezUWP8
https://bit.ly/2QY6IuK
https://bit.ly/3tVblnS
https://bit.ly/3aIiTTf

- **დავალება 7, პოსტერი** (პრაქტიკული სამუშაო):

**დავალების პირობა:**
- ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შექმენი რაიმე ღონისძიების პოსტერი არ ნუვოს (მოდერნის) სტილში, მისთვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებებისა და ხერხების მიზანმიმართული გამოყენებით.
- ტექსტი, რომელსაც პოსტერზე განათავსებ, დაწერე შენ მიერ შექმნილი ქართული შრიფტით არ ნუვოს ლათინური შრიფტის მახასიათებლების მიხედვით.

**წარდგენისას ისაუბრე:**
- როგორ გამოიყენე და რა ეფექტი მოგცა არ ნუვოს სტილისთვის დამახასიათებელმა სახვითმა საშუალებებმა და ხერხებმა?
- მოუხდა თუ არა არ ნუვოს სტილი პოსტერს და რა ნიშნით? შენთვის ნაცნობი კიდევ რა სტილი მოუხდებოდა ამ დავალებას?
- არ ნუვოს ლათინური შრიფტის რა მახასიათებლები გამოიყენე შენ მიერ შექმნილ ქართულ შრიფტში?
- რა იყო ამ პროექტის მთავარი სირთულე და როგორ დაძლიე ის?
- რას და როგორ შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?

**რჩევები:**
- გამოიყენე შორიდან აღქმადი კაშკაშა, კონტრასტული, ლოკალური (ერთგვაროვანი) ფერის ლაქები;
- ლაქები ჩაკეტე არ ნუვოს სტილისთვის დამახასიათებელ კონტურებში (მოქნილი, მრუდი, სქელი და წვრილი ხაზების მონაცვლეობა);
- გამოიყენე სიბრტყობრივი ბუნებრივი ფორმები;
- ტექსტი და გამოსახულებები ისე გაანაწილე ფონზე, რომ მიიღო ასიმეტრიული, დინამიკური კომპოზიცია.

***მინიშნება მასწავლებელს**: მოსწავლეთა შესაძლებლობებისა თუ სურვილის გათვალისწინებით, პოსტერის პარალელურად ან ნაცვლად, მოსწავლეებმა შეიძლება დაამზადონ მისალოცი ან მოსაწვევი ბარათები არ ნუვოს სტილში. ამ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ ნამუშევრის ზომა. დავალების დანარჩენი მოთხოვნები უცვლელად რჩება.

დამატებითი ილუსტრაციები გაკვეთილისთვის:

*თბილისური მასკარონები:* http://bit.ly/2Ok0KCU
*https://www.tbilisiarchitecture.net/wp-content/uploads/2020/01/leonidze_3.gif*
*იტალია, პეზარო, არქ. ჯუზეპე ბრეგა, 1908 წ.*
*https://i.pinimg.com/originals/0a/00/e9/0a00e93dde45c498e443368412031afa.jpg*
*ანრი ვან დერ ველდე, საკვები კონცენტრატის სარეკლამო აფიშა, 1899 წ.* https://bit.ly/3xtfgKC
*თბილისი, რომის ქუჩა №4, არქ. ს. კლდიაშვილი:* https://bit.ly/3glAApv
*10-წუთიანი ვიდეორგოლი თბილისური არ ნუვოს ფოტოკოლაჟით:* https://bit.ly/3ez1Vb6



**ნაბიჯი 3**

12. ეგზოტიკური ხედვა. **რესურსი 4**

***მინიშნება მასწავლებელს:** მოცემული გაკვეთილი მიზნად ისახავს ნაივი ფერმწერის ანრი რუსოსა და პოსტიმპრესიონისტი პოლ გოგენის შემოქმედებაზე დაკვირვებით, სამყაროს სუბიექტურად აღქმის გაცნობიერებას, ინტენსიური ფერისა და კონტურული ხაზის თვისება-შესაძლებლობების დაუფლებას.

***დამატებითი საილუსტრაციო მასალა ანრი რუსოს შემოქმედების გასაცნობად:***





ანრი რუსო, „ვეფხვისა და კამეჩის ბრძოლა", 1909 წ. https://bit.ly/3tDuRWh
ანრი რუსო, „ტროპიკული ტყე მაიმუნებით", 1910 წ. https://bit.ly/2MOifeq
ანრი რუსო, „ეგზოტიკურ ტყეში მოსეირნე ქალი", 1905 წ. https://bit.ly/2Z005c3

| გოგენის ველური სამოთხე | რესურსი 5 |
|---|---|

- **დავალება - მსჯელობა:**
  - რას ნიშნავს შენთვის ეგზოტიკა? გინახავს რაიმე ისეთი შთამბეჭდავი, რამაც შეცვალა შენი წარმოდგენა სამყაროს შესახებ?

- **დავალება 1, შედარებითი ანალიზი:**
  - შეადარე ფრანგი კლასიცისტის ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრის „ჰომეროსის აპოთეოზი“ და გოგენის „ღვთაების დღე“. ყურადღება მიაქციე კომპოზიციის აგების პრინციპს.

**ანალიზის სავარაუდო ნიმუში:**

მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კომპოზიციის სარკისებურად სიმეტრიულ, საგანგებოდ, საზეიმოდ და ხელოვნურად გაწონასწორებულ წყობას, რაც ერთადერთი მსგავსებაა ამ ორ ნაწარმოებს შორის. სხვა მხრივ მათი სახვითი ენა სრულიად განსხვავებულია.

| ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი | პოლ გოგენი |
|---|---|
| ფორმების მოცულობა გადმოცემულია შუქჩრდილისა და ფაქიზი ტონალური გრადაციის მეშვეობით;<br>ფერები რეალობას შეესაბამება;<br><br>გამოსახულებების გადმოცემის მხატვრული ხერხები რეალისტურია, თუმცა სიუჟეტი - გამოგონილი. | ფორმები სიბრტყობრივია, ლაქებადაა გადმოცემული, ყოველგვარი მოცულობითობის ილუზიის გარეშე;<br>ფერები ირეალურია (ფერადი წყალი, ვარდისფერი ნაპირი),<br>გამოსახულებები პირობითია. |

- **დავალება 2, მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები)*:
  - რას ერჩის შვედი მწერალი გოგენის „ევას“?
  - ცივილიზაციების განსხვავება დღეს კვლავ პრობლემაა თუ ადამიანებმა ისწავლეს ერთმანეთის კულტურის პატივისცემა და დაფასება?

***მინიშნება მასწავლებელს:** ამ ღია ტიპის კითხვაზე ნებისმიერი პასუხი მისაღებია.

- **დავალება 3, მსჯელობა:**
  - გოგენის ამ ავტოპორტრეტის სიმბოლოების წაკითხვა დღემდე მკვლევართა კამათის საგანია. როგორ ფიქრობ, რაზე მიგვანიშნებენ შარავანდედი, მაცდუნებელი გველი და სამოთხის ხის ვაშლი? შენ როგორ ახსნიდი ამ სიმბოლოებს?

**სავარაუდო პასუხი:**

- სავარაუდოდ, სიმბოლოები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ სამოთხიდან გამოგდებულები ისევ მის ძიებაში ვართ. შესაძლოა იმაზეც, თუ როგორ იპოვა გოგენმა საკუთარი სამოთხე...

- **დავალება 4** (პრაქტიკული სამუშაო):
  - დახატე მარტივი ნახატი. ყოველ ფორმას შემოავლე მკაფიო კონტური.
  - კონტურს შიგნით მოქცეული სივრცეები დაფერე ლოკალური (ერთფერი) ფერადოვანი ლაქებით.

**ნიმუშები:**





https://arteascuola.com/wp-content/uploads/2014/12/DSC0198.jpg
https://arteascuola.com/it/wp-content/uploads/2014/12/DSC0247.jpg

**ნაბიჯი 4**

გაკვეთილი 13. ველურები **რესურსი 6**

- **დავალება - მსჯელობა:**
  - რა შეიძლება დაეხატათ მხატვრებს ისეთი, რომ მათ „ველურები“ უწოდეს? გადახედე ილუსტრაციებს - ეთანხმები ამ ეპითეტს?

- **დავალება 1, შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, ნაწარმოების ანალიზი)*:
  - აღწერე და შეადარე სახელმძღვანელოში მოცემული ანრი მატისის სურათები სპარსული მინიატიურების ნიმუშებს.
  - რეზა აბასის „ქალი სარკით“, 1618 წ. და ანრი მატისის „ოდალისკა“, 1937 წ.
  - XVII ს. სპარსული მინიატიურა ანრი მატისის ნამუშევარს „წითელი ჟაკეტი“, 1937 წ.

***მინიშნება მასწავლებელს:** სახელმძღვანელოში მოცემულია ტექსტი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს შეასრულონ ეს დავალება.

- **დავალება 2, 3, მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - როგორ ფიქრობ, რა ნიშნით შეარჩია მატისმა ფერები კომპოზიციისთვის „ცეკვა“?
  - რა შთაბეჭდილებას ტოვებს ეს რიტმულად განმეორებადი გაღუნული სხეულები?
  - დააკვირდი კომპოზიციას. რა გეცა თვალში?
  - როგორ ფიქრობ, მხატვარმა ფიგურები განზრახ გაჭედა სასურათე არეში თუ კომპოზიცია ვერ გათვალა?

**სავარაუდო პასუხის ნიმუში:** ხუთი შიშველი ადამიანი ხელიხელჩაკიდებული ცეკვავს. კომპოზიცია მარტივია, წრიული. ფონად მხოლოდ განზოგადებული ლაჟვარდისფერი ცა და მწვანე მოლია. ფიგურები აგურისფერია. მწვანის კონტრასტული წყვილი ხომ წითელია? ლურჯისა – ნარინჯისფერი. ჰოდა, მატისი ადგა და მათგან შედგენილი, მოწითალო აგურისფერი ფიგურები ფონის ორივე ნაწილზე მკვეთრად გამოაჩინა. ბერძნული წითელფიგურიანი კერამიკის ნახატებივით ლაკონიურია ეს ფერადოვანი კონტრასტი. ფიგურებიც ასეთივე სტილიზებულია. ისინი იმდენად განზოგადებულია, იმასაც ვერ იტყვი, ქალია თუ კაცი! ეს ადამიანები კი არა, ადამიანზე მინიშნებაა! სივრცე არ იგრძნობა. სამაგიეროდ, რიტმული ფერხულის შეგრძნება ხომ გეუფლება? ცეკვის თავბრუდამხვევ ენერგიას ხომ გრძნობ? ამაშია მატისის ხიბლი.

- **დავალება 4, დეკუპაჟი** (პრაქტიკული სამუშაო):
  - ფერადი ქაღალდებისგან გამოჭერი სხვადასხვა ფორმები და დიდ ფორმატზე შექმენი დეკორაციული კომპოზიცია. კომპოზიციური განაწილებისას ყურადღება მიაქციე დეტალების ზომას, ფორმას და ფერს.

- **დავალება 5, 6, შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, ნაწარმოების ანალიზი)*:
  - დააკვირდი კუზმა პეტროვ-ვოდკინის და ანრი მატისის ნაწარმოებებს. იმსჯელე ამ ნაწარმოებების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე.
  - შეადარე ერთმანეთს პოლ გოგენისა და ანრი მატისის ნიუები. იმსჯელე პოსტიმპრესიონიზმისა და ფოვიზმის მხატვრულ მახასიათებლებზე.

***მინიშნება მასწავლებელს:** მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ დეკორაციულობაზე, სიბრტყობრიობაზე, მოცულობის უგულებელყოფაზე, ინტენსიურ, ირეალურ, კონტრასტულ ფერადოვნებაზე, ხაზისა და სილუეტის პლასტიკაზე, კონტურისა და ლოკალური ლაქის მნიშვნელობაზე.

პოსტიმპრესიონიზმმა წინ წამოსწია სამყაროს სუბიექტური აღქმა. გოგენი ამსხვილებს ფორმას, აცლის მას მეორეხარისხოვან დეტალებს, რითაც მთავარი გამოსახულება იძენს მონუმენტურ, მონოლითურ იერს. გოგენი ფერავს გამოსახულებებს მკვეთრი ფერებით, კეტავს ფორმებს კონტურული ხაზებით. მთავარი გამოსახულების გარშემო იყენებს დეკორაციულ ელემენტებს, რითაც ერთმანეთს უთავსებს მონუმენტურ და დეკორაციულ მიდგომებს. ფოვიზმი კი ამ შემოქმედებით მიგნებებს განავითარებს და უფრო ამძაფრებს - ფორმას უფრო ამარტივებს, აბრტყელებს, ფერს და კონტურს ამკვეთრებს, რითაც მეტ დეკორაციულობას აღწევს.

- **დავალება** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - მოიძიე ანდრე დერენის, მორის ვლამინკის, კის ვან დონგენის და სხვა ფოვისტების ნამუშევრები.
  - Google arts and Culture ვებგვერდზე შექმენი შენი ფავორიტების ალბომი.

**ინტერნეტრესურსები დავალებისთვის**

ანდრე დერენი: http://bit.ly/3tVB2Fp
მორის ვლამინკი: http://bit.ly/2Z2hdhg
კის ვან დონგენი: http://bit.ly/2YZ2UKi
Google arts and Culture: https://artsandculture.google.com/

- **დავალება** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - გაკვეთილის ტექსტიდან ამოიწერე ფოვიზმის მახასიათებლები.
  - მოიფიქრე და ჩამოწერე ფოვისტური კოლორიტის დახასიათებისთვის შესატყვისი ზედსართავი სახელები (მაგ.: კაშკაშა, მყვირალა, ხმამაღალი, ინტენსიური, გაჯერებული, მკვეთრი, ჟღერადი, ცეცხლოვანი, გიზგიზა, ენერგიული, დამუხტული...).

***ფოვიზმის დამახასიათებელი ნიშნებია:** ლოკალურ ლაქებად დადებული და მსხვილ კონტურებში მომწყვდეული მკვეთრი, უკიდურესობამდე დამუხტული, ენერგიული, ინტენსიური, ირეალური ფერები და გამარტივებული, განზოგადებული ფორმები. სუფთა, კაშკაშა.

კონტრასტულ ფერადოვან გამასთან ერთად ფოვისტებისთვის ასევე დამახასიათებელია დინამიკური მონასმი, უარის თქმა შუქჩრდილებზე და ფორმის დაყვანა მარტივ მონახაზამდე.

- **დავალება 7, მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - დააკვირდი და აღწერე XX ს-ის მეორე ნახევრის ქართველი მხატვრების გურამ (ხიტა) ქუთათელაძის (1924-1979) და ედმონდ (მონტე) კალანდაძის (1923-2014) ფერწერული ნამუშევრები.
  - რაში ვლინდება ფოვიზმის გავლენა ამ მხატვრების ნამუშევრებში?
  - კიდევ რომელი მიმდინარეობების გავლენას ხედავ ამ სურათებში?

**მიაქციე ყურადღება:**
ხაზი, მონასმი, ფერი (ცივი, თბილი, კონტრასტული)
ლაქა, ფორმა
სივრცე, ხედვის წერტილი
განწყობა

***მინიშნება მასწავლებელს:** მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ ფერის ინტენსივობა და ფორმის განზოგადება, რაშიც ვლინდება ფოვიზმის გავლენა. ასევე, მოსწავლეებმა უნდა დაინახონ იმპრესიონიზმისა და პოსტიმპრესიონიზმის (პოლ სეზანი) გავლენა.

**დამატებითი მასალა დავალებისთვის:**
*სტატია გურამ ქუთათელაძის შემოქმედების შესახებ:* http://bit.ly/3cXYoEf
*აუდიო რესურსი ედმონდ კალანდაძის შემოქმედების შესახებ:* https://bit.ly/32MtM2a

**ნაბიჯი 5**

**გაკვეთილი 14. ვინსენტი** — **რესურსი 7**

მოცემული გაკვეთილი მიზნად ისახავს ვინსენტ ვან გოგის შემოქმედებაზე დაკვირვებით, უცხო კულტურების გავლენის მნიშვნელობის, კოლორიტისა და მონასმის შესაძლებლობების გაცნობიერება-დაუფლებას.

- **დავალება - მსჯელობა** *(მხატვრული მახასიათებლები):*
  - დაათვალიერე ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები. რა ნიშნით ვლინდება მათში მხატვრის განსაკუთრებული ხელწერა?
  - რა ნიშნებით ამოიცნობ მის ნაწარმოებს?
  - რა შთაბეჭდილებას ტოვებენ შენზე ვან გოგის ნამუშევრები?

***დამატებითი ინფორმაცია:**

**ვინსენტ ვან გოგმა** (1853-1890) ზრდასრულმა, 27 წლისამ დაიწყო ხატვა და 10 წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე, დაუღალავად შრომობდა. მას შემდეგ მისი ცხოვრება უამრავი ლეგენდით „შეიმოსა“. ვინსენტის ბიოგრაფიის ორგვარი ინტერპრეტაცია არსებობს.

ყველაზე გავრცელებული ვერსიით, ყოველმხრივმა წარუმატებლობამ (სასულიერო კარიერა იქნებოდა ეს, ცალმხრივი სიყვარული თუ მისი, როგორც მხატვრის უღიარებლობა) ვინსენტი ფსიქიკურ აშლილობამდე მიიყვანა. მას უმცროსი ძმა თეო არჩენდა. სიცოცხლეში ერთადერთი სურათი გაყიდა – „წითელი ვენახი არლში“. ბოლოს კი, მარტოსულმა, თავი მოიკლა.

მეორე ვერსიით, ვინსენტი არც ისე ხელმოკლე, უიღბლო და ხელმოცარული ყოფილა. პრესტიჟული გიმნაზია დაუმთავრებია. მუშაობდა იმ დროისთვის სოლიდურ ფირმაში, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებებს ყიდდა. სწორედ ამ ფირმას წარმოადგენდა ვინსენტი ამსტერდამის, ჰააგის, ლონდონისა და პარიზის ფილიალებში. თავისუფლად ფლობდა სამ ევროპულ ენას. შესანიშნავად სცოდნია ხელოვნების ისტორია, კარგად იცნობდა მუზეუმების კოლექციებს და ისიც იცოდა, თუ როგორ მხატვრობას ეტანებოდნენ კოლექციონერები. ვინსენტმაც თავისი ფერწერის უღიმღამო, ბნელი,

მრუმე პალიტრა სიცოცხლით სავსე, ნათელი ფერებით შეცვალა. ძმებს შორის მოლაპარაკების თანახმად, ვინსენტის ყველა ნამუშევარი თეოს საკუთრება ხდებოდა. სანაცვლოდ, თეო მას ყოველთვიურად 220 ფრანკს უხდიდა (იმ დროისთვის ეს თანხა არათუ ერთ ადამიანს, მთელ ოჯახს შეინახავდა!) და მკურნალობის, წიგნებისა და საღებავების ხარჯებს ფარავდა. ამგვარ პირობებზე ბევრს ოცნებაც კი არ შეეძლო! შემორჩენილი საბუთების თანახმად, ვინსენტმა სიცოცხლეში 14 ნამუშევარი გაყიდა.

თუმცა, ბიოგრაფიაზე მეტად, საინტერესო ისაა, როგორი შემოქმედია და რითაა გამორჩეული ეს დიდი მხატვარი.



*ვინსენტ ვან გოგი, „მზესუმზირები“, 1888 წ.*
https://bit.ly/3tFi05k

- **დავალება 1, მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - მოიძიე ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები. შეარჩიე და გაადიდე ერთ-ერთი გამოსახულება.
  - დააკვირდი, როგორ „ძერწავს“ მონასმებით მხატვარი ფორმას.
  - დააკვირდი მონასმების მიმართულებასა და ხასიათს.
  - რა ეფექტს იძლევა იმპასტოს ტექნიკა?
  - ჩამოწერე ზედსართავი სახელები, რომლებიც შეესაბამება ვან გოგის წერის მანერას.

*მაგ: მოუსვენარი, ცოცხალი, მფეთქავი, აფორიაქებული, მღელვარე, ნაჩქარევი, დაძაბული, ნერვიული, სწრაფი, ენერგიული, დამუხტული, სპონტანური, პასტოზური, ასხლეტილი...

**ილუსტრაციები დავალებისთვის**: ვან გოგის ნამუშევრების დეტალები ახლო ხედით:



https://bit.ly/3vmugrQ



https://bit.ly/370kOkb



https://bit.ly/3sO8BqY



https://bit.ly/37341gi

- **დავალება 2, შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - მოიძიე ჰიროშიგესა და მილეს ვან გოგისეული ინტერპრეტაციები. შეადარე ვან გოგის ინტერპრეტაციები ორიგინალ ნამუშევრებს და იმსჯელე მსგავსება-განსხვავებაზე.

**ილუსტრაციები დავალებისთვის:**

*ხიდი:* https://pbs.twimg.com/media/DAhKRJ-W0AApql2.jpg

*ქლიავის ბაღი:* https://bit.ly/3q8uYXJ

*სხვადასხვა:* ttps://www.neweurope.eu/wp-content/uploads/2012/11/ne16-17_ne16-17-2_4.jpg

*იაპონელი მხატვრის ეისენ კეისაის და ვან გოგის („გეიშა“; 1886 წ.) ნამუშევრები:* http://bit.ly/3tK5SAy




3-წუთიანი ვიდეო: „ჟან-ფრანსუა მილე და ვინსენტ ვან გოგი“: https://www.youtube.com/watch?v=fIF_6RZCgAw

- **დავალება - შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - დააკვირდი და იმსჯელე, რაში იგრძნობა ვინსენტ ვან გოგის შემოქმედების გავლენა ექსპრესიონისტი მხატვრების ერნსტ ლუდვიგ კირხნერისა და ვასილი კანდინსკის ნამუშევრებში.



*ვინსენტ ვან გოგი, „ძილისპირული“, 1910 წ.* https://bit.ly/2MmU7yU



*ერნსტ ლუდვიგ კირხნერი, „მარცელა“, 1910 წ.* https://bit.ly/39eN1Fy



*ვან გოგი, „პეიზაჟი სახლითა და მხვნელით“, 1889 წ.* https://bit.ly/39eNp6Y



*ვასილი კანდინსკი, „მურნაუს ქუჩა“, 1908 წ.* http://bit.ly/2YcnIhe

- **დავალება 3, მსჯელობა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები)*:
  - მოიძიე და შეადარე ვინსენტ ვან გოგის ჰოლანდიური და ფრანგული პერიოდების ნამუშევრები. დააკვირდი ფერთა შეხამებას.
  - რომელი ორი ფერი ჭარბობს ჰოლანდიურ და რომელი ფრანგული პერიოდის ფერწერაში?
  - როგორ იცვლება ნამუშევრების განწყობა კოლორიტის გამო?
  - ჩამოწერე ნამუშევრების კოლორიტისთვის დამახასიათებელი ზედსართავი სახელები პერიოდების მიხედვით.

*** მინიშნება მასწავლებელს:**
**ვან გოგის შემოქმედების ჰოლანდიური პერიოდის დახასიათება:**
მონოქრომული, ჭუჭყიანი, სევდიანი, მოღუშული, ჩამუქებული, უსინათლო, უსიცოცხლო, ძუნწი პალიტრა.
**ვან გოგის შემოქმედების ფრანგული პერიოდის დახასიათება:**
კონტრასტული, ხალისიანი, ინტენსიური, ხასხასა და სხვა.

**დავალების II ვარიანტი:**
- მოიძიე ტულუზ ლოტრეკის, ანრი მატისის, პოლ გოგენის, პოლ სინიაკის, ჟორჟ სიორასა და სხვა მხატვრების ნამუშევრები. გადახედე სხვა ეპოქებისა და მიმდინარეობების დიდი მხატვრების სურათებსაც.
- ჩამოწერე იმ მხატვრების სახელები, რომელთა ნამუშევრებიც დაათვალიერე. ყოველი სახელის გასწვრივ მოკლედ დაწერე, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე ამ ხელოვანის ნამუშევრებმა. ყოველ ავტორს მიუწერე იმ ორი ფერის დასახელება, რომლებსაც ის უფრო ხშირად მიმართავს.
- როგორ ფიქრობ, არიან მხატვრები, რომელთა შემოქმედებაშიც ვერ აღნიშნავ ფერთა რომელიმე წყვილისადმი უპირატეს დამოკიდებულებას?
- შენ რომელი ფერებით გიყვარს ხატვა? რომელ ფერადოვან შეხამებებს ანიჭებ უპირატესობას ჩაცმაში ან ინტერიერში? ხომ არ შეცვლილა შენი დამოკიდებულება ფერისადმი დროთა განმავლობაში? როგორ მოქმედებს ფერი შენს განწყობაზე?

**ვან გოგის შემოქმედება:**
https://artsandculture.google.com/entity/vincent-van-gogh/m07_m2?hl=en
https://vangoghworldwide.org/
https://www.vangoghgallery.com/catalog/gallery.html
**ვან გოგის ნამუშევრების ილუსტრაციები მაღალი რეზოლუციით:** https://bit.ly/3xorEvr

- **დავალება 4, „ფერთა გამა“** (პრაქტიკული სამუშაო):
  **მასალა:**
  აკრილის ან გუაშის საღებავები
  3ა ფორმატის სახატავი ფურცელი
  - შეარჩიე ვან გოგის მხატვრობისთვის დამახასიათებელი ფერთა გამის შესატყვისი საღებავები.
  - დახატე ნატურმორტი, პეიზაჟი ან რაიმე ჟანრული სცენა მხოლოდ შერჩეული ფერებით.
  - საგნის ფორმა გამოკვეთე მონასმების მიმართულებით.

- **დავალება 5** (პრაქტიკული სამუშაო):
  - განვლილი მასალიდან შეარჩიე რომელიმე მხატვრის სურათი და დახატე მისი მიახლოებითი ასლი. ყურადღება მიაქციე შერჩეული ხელოვანისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს და ეცადე, სწორედ მათზე გააკეთო აქცენტი.

- **დავალება** (პრაქტიკული სამუშაო მასწავლებლის არჩევანით):
  - დახატე მარტივი გამოსახულება სქელი, მსუყე, სწრაფი მონასმებით.

**მასალა:**
მუყაო
გუაშის საღებავები
თაბაშირის ფხვნილი ან საფითხნი (შპაკლი)
ფუნჯი ან მასტეხინი

თუ ზეთის საღებავები არ გაქვს, შეურიე გუაშის საღებავს თაბაშირის ფხვნილი ან საფითხნი (შპაკლი). საღებავი შესქელდება და შეძლებ იმპასტოს ტექნიკით მუშაობას. იმუშავე სწრაფად, ფუნჯით ან მასტეხინით. ნუ შეურევ ფერებს პალიტრაზე. მუყაოს ზედაპირზე გვერდიგვერდ დადე სუფთა ფერის მონასმები. სასურველ ფაქტურულ ეფექტს შორი მანძილიდან დაინახავ.

**ფაქტურული ეფექტის ნიმუში:**



ნინო სანებლიძის ნამუშევარი: https://bit.ly/3o3B75G

- **დავალება - კვლევა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები)*:
  - მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ვინსენტ ვან გოგის შესახებ. წაკითხულის საფუძველზე შეადგინე ვინსენტ ვან გოგის შემოქმედებითი გავლენებისა და შთაგონების წყაროების ასოციაციური ბადე.




წყაროები:
[http://bit.ly/36ZrDTn](http://bit.ly/36ZrDTn),
[http://bit.ly/3qaZrUQ](http://bit.ly/3qaZrUQ)

***ირვინგ სტოუნი, „წყურვილი სიცოცხლისა“, რომანის პდფ ვერსია:***
*(ამერიკელი მწერლის ირვინგ სტოუნის ბიოგრაფიული რომანი მოგვითხრობს დიდ ჰოლანდიელ მხატვარ ვინსენტ ვან გოგზე. ავტორი ემყარება ფაქტობრივ მასალას. მკითხველის თვალწინ თანდათან იშლება მხატვრის დრამატული ცხოვრების სურათები)* [https://bit.ly/3cZ1cRu](https://bit.ly/3cZ1cRu)

**<u>ნაბიჯი 6</u>**

| გაკვეთილი 15. ექსპრესიონიზმი | **რესურსი 8** |
|---|---|

ეს გაკვეთილები მიზნად ისახავს ექსპრესიონიზმის მიმდინარეობისა და მასზე უცხო კულტურების გავლენების ფაქტორებთან გაცნობას, ასევე, ხაზის თვისებებისა და გამოსახულების დეფორმაცია-დისპროპორციის მხატვრული შესაძლებლობების გაცნობიერება-დაუფლებას ემოციის გამოხატვისთვის;

- **დავალება:**
  - გადახედე ილუსტრაციებს. რომელი მათგანი გამოხატავს ავტორის ემოციურ განწყობას და რომელი ვითარების დაძაბულობას?
  - რა ემოციას იწვევენ ისინი შენში? რა მხატვრული ხერხები იწვევენ ამ ემოციას?

აფრიკული კერპები და ნიღბები: [https://en.wikipedia.org/wiki/African_sculpture](https://en.wikipedia.org/wiki/African_sculpture)

- **დავალება 1** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები)*:
  • შეადგინე ასოციაციური ბადე, რომელიც აჩვენებს, თუ რამ იქონია გავლენა ექსპრესიონისტების შემოქმედებაზე.

**სავარაუდო ნიმუში:**




| ლურჯი მხედარი | რესურსი 9 |
|---|---|

შესავალი შეკითხვა:
- როგორია ექსპრესიული ადამიანი?
- როგორი შეიძლება იყოს ექსპრესიული მხატვრობა?
- დააკვირდი ილუსტრაციებს - რა არის მათში ექსპრესიული?

**დამატებითი ინფორმაცია:**

ავანგარდისტ მხატვართა გაერთიანებამ **„ლურჯი მხედარი“** სულ სამ წელიწადს (1911-1914) იარსება, მაგრამ მისი გავლენა დღემდე იგრძნობა ხელოვნებაში. ამ გაერთიანების წევრები იყვნენ XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის ქალაქ მიუნხენში ფერწერის საფუძვლების შესასწავლად ჩასული ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებები.

გაერთიანების დამაარსებლები იყვნენ **ვასილი კანდინსკი** და **ფრანც მარკი**, რომელთა მიზანი იყო აკადემიური მხატვრობის მოძველებული ტრადიციების ახალი, თავისუფალი ხელოვნებით ჩანაცვლება. ამისთვის გადაწყდა, გამოეცათ ალმანახი, რომელსაც **„ლურჯი მხედარი“** უწოდეს. ალმანახში საუბრობდნენ ხელოვნებაზე (მხატვრობა, პოეზია, თეატრი და სხვა), თანამედროვე ხელოვანის ამოცანებსა და ხელოვნების დარგებს შორის კავშირზე.

კანდინსკის და მარკის გარდა, გაერთიანების ბირთვს შეადგენდნენ **პაულ კლეე, მარიანა ვერიოვკინა, ალექსეი იავლენსკი** და **ავგუსტ მაკე**. გაერთიანების მუშაობაში მონაწილეობდნენ მუსიკოსები, პოეტები, მოცეკვავეები, თეატრის მოღვაწეები, რომელთაც თანამედროვე ხელოვნებისადმი ინტერესი აერთიანებდათ.

1895წ. 30 წელს გადაცილებულმა წარმატებულმა იურისტმა **ვასილი კანდინსკიმ (1866-1944)** ქ. მოსკოვში, იმპრესიონისტების გამოფენაზე კლოდ მონეს „თივის ზვინის" ნახვის შემდეგ მიატოვა პროფესია და მიუნხენში ჩავიდა მხატვრობის დასაუფლებლად. აქ მას დახვდა რუსი ემიგრანტების ჯგუფი, მათ შორის ალ. იავლენსკი და მარიანა ვერიოვკინა, რომლებიც ხელოვნების ახალი ფორმების ძიებით იყვნენ გატაცებულნი. მიუხედავად იმისა, რომ კანდინსკი მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში აკადემიურ მხატვრობას ეუფლებოდა, სწორედ მეგობრების წრემ განაპირობა ის, რომ მისი შემოქმედება რადიკალურად განსხვავებული მიმართულებით ჩამოყალიბდა.

**ფრანც მარკი** (1880-1916), მართალია, მთელი ცხოვრება ცხოველებს ხატავდა, მის მხატვრობას ძნელად უწოდებ ანიმალისტურს. ფრანც მარკის ამოცანაა არა კონკრეტულად რომელიმე ცხოველის სილამაზის ან მისი თვისებების ჩვენება, არამედ სამყაროს მთლიანობის, მისი სილამაზის, ბუნებისა და მისი ქმნილებების ერთიანობის, ჰარმონიის წარმოჩენა. შესაძლოა, მარკის ცხოველები ადამიანთა ერთგვარ ალეგორიადაც იკითხებოდეს.

1910 წ. ბავარიაში მოეწყო გამოფენა, რომელზეც თანამედროვე ხელოვანთა, მათ შორის, ვასილი კანდინსკის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. ყოველ საღამოს, გამოფენის დახურვის მერე, გალერეის მფლობელი სურათებს დამთვალიერებელთა ნაფურთხებისგან წმენდდა. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გაიგო და მიიღო ეს სურათები, იყო ფრანც მარკი. ამ გამოფენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მხატვრობისადმი მის მიდგომაზე. აღფრთოვანებულმა მარკმა ვასილი კანდინსკის წერილი მისწერა, მადლობას უხდიდა სითამამისა და იმ შთაბეჭდილებისთვის, რომელიც მასზე კანდინსკის ნამუშევრებმა მოახდინეს. ამ შემთხვევის მერე ორი მხატვარი დამეგობრდა, ფრანც მარკი კი „ლურჯი მხედრის" მომავალი ალმანახის მთავარი რედაქტორი გახდა.

**ფრანც მარკის ნამუშევრები:** https://www.franzmarc.org/ **„მგლები, ბალკანეთის ომი", 1913 წ:** https://bit.ly/2NkUz0M

შვეიცარიელი მხატვარი **პაულ კლეე** (1879-1940) ისეთივე კარგი მუსიკოსი იყო, როგორიც ფერმწერი. ამ ხელოვანს ძნელად მიუსადაგებ რომელიმე მიმდინარეობას. „იზმებისგან" თავისუფალი მისი შემოქმედება მუდმივი ექსპერიმენტი იყო – იგი იგონებდა წერის სხვადასხვა ტექნიკას, ცდიდა ნაირ-ნაირ მასალას... ამბობდა – ხელოვნების ნაწარმოები მინდა გავზარდო, როგორც მცენარეო. პაულ კლეე პირველი მხატვარია, რომელმაც ბავშვების შემოქმედებას ხელოვნება დაარქვა. პაულ კლეე და ვასილი კანდინსკი მიუნხენის აკადემიაში თანაკურსელები იყვნენ. მოგვიანებით ერთად ასწავლიდნენ ბაუჰაუზში – მშენებლობისა და მხატვრული კონსტრუირების უმაღლეს სკოლაში (გერმანია). საღამოობით მეგობრები ხელოვნებაზე საუბრობდნენ და მუსიკით ირთობდნენ თავს – კანდინსკი ფორტეპიანოზე უკრავდა, კლეე კი – ვიოლინოზე.

**პაულ კლეეს შემოქმედება:** https://www.wikiart.org/ru/paul-klee

**ავგუსტ მაკე** (1887-1914) გერმანელი მხატვარი ექსპრესიონისტი თავის ნამუშევრებში აბსტრაქციულ ფორმებს სიმბოლურ და ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი მხატვრული სტილი ფოვიზმის, ექსპრესიონიზმისა და კუბიზმის ნაზავია. ფერები – კაშკაშა, ნათელი, კონტრასტული; ფორმა – პირობითი, მოცულობის მინიშნებით; განწყობა – მშვიდი, სასიამოვნო, ისეთი, როგორც თავად მხატვარი იყო. ავგუსტ მაკე I მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა. ის ომში 27 წლისა დაიღუპა. ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, საკმაოდ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა.

**ავგუსტ მაკეს ნამუშევრები:** https://www.augustmacke.org/

- **დავალება 2, შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - მოიძიე და დაათვალიერე ექსპრესიონისტი მხატვრების ნამუშევრები.
  - რა სიახლე შემოიტანეს მათ მხატვრობაში და რა იყო ამის მიზეზი?
  - რა მხატვრული საშუალებები დომინირებს მათ ნამუშევრებში?

**სავარაუდო პასუხი**: ექსპრესიონისტებმა მიზნად დაისახეს მძაფრი სულიერი განცდების გადმოცემა. ისინი ხშირად მიმართავენ მკვეთრ ხაზოვან ნახატს; კუთხოვან (წაწვეტებულ) ფორმებს, დეფორმაციას, დისპროპორციას, სტილიზაციას, ირეალურ ფერებს, მკვეთრ, კონტრასტულ კოლორიტს, გამარტივებულ ნახატს დეტალიზაციის გარეშე.

| „ლურჯი მხედრის“ ამორძალი | რესურსი 10 |
|---|---|

**დამატებითი ინფორმაცია:**

დიდი რუსი რეალისტი მხატვარი ილია რეპინი თავის საამაყო მოწაფეს, **მარიანა ვერიოვკინას** „რუს რემბრანდტს“ უწოდებდა. რეპინის სახელოსნოში მარიანამ გაიცნო მხატვარი ალექსეი იავლენსკი, რომელთან ერთადაც მოგვიანებით მიუნხენში გადასახლდა. მარიანამ ათი წლით მიატოვა მხატვრობა და მთელი თავისი ენერგია იავლენსკის მხატვრად ჩამოყალიბებასა და ხელოვანთა წრეში მის დამკვიდრებას მიუძღვნა. მას სჯეროდა იავლენსკის გენიალობისა და თვლიდა, რომ ღირდა ამისთვის საკუთარი ნიჭი შეეწირა. ამ პერიოდში მარიანა აქტიურად მონაწილეობდა მიუნხენის სახელოვნებო ცხოვრებაში. მან თავის ბინაში მოაწყო სალონი, რომელიც გერმანული ავანგარდის წარმომადგენელი ხელოვანების შეკრების ადგილი გახდა. ამ შეკრებებზე გამართულ დისპუტებში მარიანა, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და საკმაოდ განათლებულიც იყო, ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა. მარიანას ცხოვრებაში გარდამტეხი როლი შეასრულა პარიზში მოგზაურობისას ფოვისტების მხატვრობის გაცნობამ. 40 წელს გადაცილებულმა ქალმა კვლავ აიღო ფუნჯი ხელში. აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივ შემოქმედებით პაუზას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამ პერიოდში მარიანამ მკაფიოდ გაიაზრა, თუ რა იყო ხელოვნება, რა სურდა მას, რა იყო მისთვის მხატვრობა. თურმე, ვასილი კანდინსკი ხშირად სტუმრობდა მარიანას და მასთან ერთად აკეთებდა ეტიუდებს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა კანდინსკის ხედვის ჩამოყალიბებაზე.

პირველი წარმატება ვერიოვკინას მოუტანა სურათმა „შემოდგომა, სკოლა“ (1911 წ.). პოსტიმპრესიონისტების, ფოვისტებისა და იაპონური გრავიურით ნასაზრდოები მისი ყოველი სურათი ექსპერიმენტია – შინაარსის, კომპოზიციის, ფერის სრულიად ახლებური, მისებური გააზრება. მისი ადრინდელი მუქი პალიტრა კაშკაშა, კონტრასტული ფერებით შეიცვალა, რეალისტური გამოსახულება კი ფერადი ლაქებით მონიშნულმა ფიგურებმა, წითელმა ხეებმა და ლურჯმა მთებმა ჩაანაცვლეს. მარიანას უცნაური სამყარო არ არის ირეალური – ეს მისი აღქმაა, მისი ხედვა.

**მარიანა ვერიოვკინას ნამუშევრები:** https://tanjand.livejournal.com/2497451.html

- **დავალება 3, მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები,* ნაწარმოების ანალიზი*):*
  - დააკვირდი მარიანა ვერიოვკინას კომპოზიციებს და იმსჯელე:
  - რა არის მთავარი? რა იპყრობს შენს ყურადღებას პირველ რიგში?
  - რა ადგილი უკავია კომპოზიციაში საკვანძო გამოსახულებას?
  - როგორაა ათვისებული სივრცე?
  - როგორია ფერი, ფორმა, განათება?
  - რა სახვითი ხერხებით იქმნება სურათის განწყობა და ხასიათი?

**სავარაუდო პასუხი:** მარიანა ვერიოვკინას სურათების კომპოზიციური წყობა ძალიან უჩვეულოა. როგორც წესი, ნებისმიერ სურათში აქცენტი (ფერით, განათებით, ფორმით, ზომით) მთავარზე კეთდება. ვერიოვკინას სურათებში კი ის, რისთვისაც მთელი კომპოზიცია იქმნება, ხშირად ერთი ბეწო ლაქადაა მონიშნული. კომპოზიციის ძირში მიკუჭული, ან სულაც მოჭრილი ფიგურები სურათის მთავარ სათქმელს წარმოაჩენენ. სურათის განწყობა და ხასიათი იქმნება ინტენსიური ფერებით, მკვეთრი, ენერგიული მონასმებით, მკაფიო ხაზებითა და კონტურით, ლოკალური ლაქებით, აქცენტირებული განათებით, რაც ერთობლიობაში სამყაროს სისავსის შეგრძნებას იძლევა.

<u>**ნაბიჯი 7**</u>

გაკვეთილი 16. მწუხარების ხმა **რესურსი 11**

**დამატებითი ინფორმაცია:**

გერმანელი მხატვარი გრაფიკოსისა და მოქანდაკის **კეტე კოლვიცის** (1867-1945) შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნებია – დრამატული, ტრაგიზმით გაჟღენთილი სიუჟეტები, რასაც ფიგურების დაძაბული პოზებითა თუ ჟესტით, თითქმის სილუეტამდე დაყვანილი სახე-ხატების, შუქჩრდილის კონტრასტითა და მკვეთრი, უხეში შტრიხებით გადმოგვცემს. მისი სიუჟეტები ღარიბ, დაღლილ, კუშტ, გაწვალებულ ადამიანებს ასახავენ – იმას, რასაც კეტე გარშემო ხედავდა (მისი მეუღლე ექიმი იყო და სწორედ ამ ფენის წარმომადგენლებს მკურნალობდა).

კეტეს მხატვრობის თავდაპირველი რეალისტური მანერა ექსპრესიონისტი მხატვრების გავლენით პირობითმა მხატვრულმა ხერხებმა შეცვალეს, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა სურათებში წარმოჩენილი დრამა, რომლის მთავარი გმირი ყოველთვის არის დედა, რომელიც შვილის დაკარგვის შიშს ებრძვის. ეს შიში, ეს განცდა კეტეს ბიოგრაფიის სამწუხარო ნაწილია და, შედეგად, მისი შემოქმედების გამჭოლი თემა.

1920 წელს კეტე კოლვიცი გახდა პრუსიის სამხატვრო აკადემიის პირველი ქალი პროფესორი.

- **დავალება 1, შედარებითი ანალიზი:**
  - მოიძიე მიქელანჯელოს ქანდაკება „პიეტა“ და შეადარე იგი კეტე კოლვიცის „პიეტას“.

**სავარაუდო პასუხი:** მიქელანჯელოსგან განსხვავებით, კეტე კოლვიცი მიმართავს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორიცაა დეფორმაცია, უტრირება, უხეში, განზოგადებული ფორმები, კომპოზიცია დაუნაწევრებელია, ორი ფიგურა ერთ მთლიანობას წარმოადგენს. კეტე კოლვიცი არ მიმართავს ისეთ დეტალიზაციას და ანატომიურ სიზუსტეს, როგორსაც მიქელანჯელო (ქრისტეს ძარღვიანი ხელი, დრაპირება და სხვა).



კეტე კოლვიცის „პიეტა“: https://bit.ly/2PXlMrU



მიქელანჯელოს „პიეტა“: https://bit.ly/3sWPkVc

- **დავალება 2**
  - რატომ შეარჩია ბეკონმა ფერთა ასეთი შეხამება ?
  - რა შთაბეჭდილებას ახდენს შენზე ველასკესის ბეკონისეული ინტერპრეტაციები?

- **დავალება 3, შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - შეადარე აღორძინების ეპოქის მხატვრების, გერმანელი მატიას გრიუნევალდის, იტალიელი რაფაელ სანციოსა და XXს-ის გერმანელი მხატვრის ემილ ნოლდეს ჯვარცმები.
  - რა შთაბეჭდილებას ახდენს, რა ემოციას იწვევს ეს ნამუშევრები?
  - რა სახვითი ენით აღწევს ფერმწერი სასურველ ეფექტს?
  - როგორ ფიქრობ, ვისი გავლენა ემჩნევა ემილ ნოლდეს ნამუშევარს?
  - რატომ იქცა ექსპრესიონისტების კერპად სწორედ გრიუნევალდი და არა რაფაელი?

**დამატებითი რესურსი გაკვეთილისთვის:**
ანა კლდიაშვილის ტელეგაკვეთილი „ძველი ხელოვნების ინტერპრეტაცია თანამედროვე ხელოვნებაში" (VII-VIII კლასებისთვის).
https://www.youtube.com/watch?v=EZlnRl-MyNU

**ედვარდ მუნკი** **რესურსი 12**

ნორვეგიელი მხატვრის **ედვარდ მუნკის** (1863-1944 წ.) სურათი „კივილი" ისეთივე ცნობილია, როგორც ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა". მხატვარი ედვარდ მუნკი ამბობდა: „ჩემი სურათები ჩემი დღიურია. მე ვხატავ არა იმას, რასაც ვხედავ, არამედ იმას, რაც დავინახე". მისი სურათების თავისებური სიუჟეტები მუნკის ბიოგრაფიის გავლენაა. სურათების სათაურებიც კმარა იმისთვის, რომ გამოიცნო მათი ავტორის ხასიათი – „მელანქოლია", „სიკვდილის სურნელი", „კივილი", „სნეული ბავშვი"... მუნკის შემოქმედების ხასიათი იცვლება ავტორის ასაკთან ერთად, ოღონდ არა ისე მკვეთრად, რადიკალურად, როგორც მისი თანამედროვე მხატვრების შემოქმედებაში. საბოლოოდ მისმა ხელწერამ დაუმთავრებელი სურათის სახე მიიღო. ხშირად მუნკი ტილოს ფრაგმენტებს სრულიად ხელუხლებელს ტოვებს.

მუნკის ავტოპორტრეტები არ ჰგავს არცერთი მხატვრის ავტოპორტრეტს. როგორც წესი, მხატვრები ავტოპორტრეტში საკუთარ თავს წარმოაჩენენ საზეიმოდ, გაპრანჭულად, ან ცდილობენ, შეულამაზებლად დაგვანახონ, მაგრამ აქაც იგრძნობა პოზირების მომენტი. მუნკის ავტოპორტრეტები კი თითქოს წამიერი გაელვებაა – ამოგხედა, წამიც და თავის საქმეს გააგრძელებს ან დერეფანში გაუჩინარდება. ამ სურათებში ავტოპორტრეტის ფონზე გამოსახული გარემო, ინტერიერის დეტალები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად სურათის გმირი. უსაგნო ფონი თუ ინტერიერის დეტალები, ან პლედი, რომელიც მუხლებზე აფარია და აწეწილი საწოლი, სურათის სიუჟეტის ნაწილი, მისი გაგრძელებაა.

**ედვარდ მუნკის შემოქმედება:** https://www.edvardmunch.org/edvard-munch-paintings.jsp

- **დავალება 4,** შეკითხვა:
  - როგორ, რა სახვითი ხერხებით ასახავს მუნკი ბუნების განგაშს ტილოზე „კივილი"?

**სავარაუდო პასუხი:** ედვარდ მუნკის სურათში „კივილი" ყველაფერი მოძრაობს, ლღვება, დეფორმირდება, თითქოს ჰალუცინაციაა, ღამის კოშმარი. მკვეთრი ფერები და ჩახვეული ხაზები ჩვენს მზერას თითქოს მორევში ითრევს,

ატრიალებს და ბოლოს ადამიანის შეშლილ სახესთან მიიყვანს. ცაზე ღრუბლები განგაშივით მღელვარე და მყვირალაა, ადამიანის სახე თავის ქალას, სიკვდილს ჰგავს.

- **დავალება 5** (პრაქტიკული სამუშაო):
  - დახატე გაბრაზება, წყენა, შიში...
  - რა ფერები და ფორმები მოუხდება ამ გრძნობებს?

მოსწავლის ნამუშევარი: 

**კარლო კაჭარავა** (დამატებითი საკითხავი) **რესურსი 13**

**დამატებითი ვიდეომასალა კარლო კაჭარავას შემოქმედების შესახებ:** http://bit.ly/3aPKJfI

- **დავალება - შემაჯამებელი დისკუსია „ექსპრესიონიზმი“** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - მოგწონს ექსპრესიონისტების ნამუშევრები?
  - რა შთაბეჭდილებას ახდენენ ისინი შენზე?
  - რა გრძნობებს იწვევენ ისინი შენში?
  - რა ფიქრებს აღძრავენ ეს ნამუშევრები?
  - რა სახვითი საშუალებებითა და ხერხებითაა მიღწეული ეს ეფექტი?
  - როგორ ფიქრობ, სად აჯობებს მათი გამოფენა (საცხოვრებელი ბინის საძინებელ ოთახში, საბავშვო ბაღის სასადილო ოთახში, ეკლესიაში, მუზეუმში)? რატომ?
  - როგორ ფიქრობ, რატომ არის სასარგებლო და სასიკეთო სხვა ადამიანის განცდებში ჩახედვა?
  - რა თვისებებს აღვივებს ადამიანში სხვისი განცდის დანახვის უნარი?

***მინიშნება მასწავლებელს:**

სასურველია, მასწავლებელმა მიიყვანოს მოსწავლეები იმ დასკვნამდე, რომ ექსპრესიონისტების ესთეტიკა ხშირად განგებ ანგრევს და ამახინჯებს ფორმას, რათა მძაფრი განცდა გადმოგვცეს. ექსპრესიონისტების ნაწარმოებები იქმნება არა თვალის საამებლად, არამედ სხვისი განცდებისადმი თანაგრძნობის, ემპათიის უნარის გასაღვივებლად.

**ნაბიჯი 8**

გაკვეთილი 17. სეზანი და კუბიზმი **რესურსი 14**

მოცემული გაკვეთილი მიზნად ისახავს კუბისტების შემოქმედებაზე დაკვირვებით, ფორმისა და დეფორმაციის, ხედვის მრავლობითი წერტილის, პერსპექტივის რღვევის შესაძლებლობების გაცნობიერება-დაუფლებას.

- **დავალება - მსჯელობა** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები*):
  - შენი აზრით, რა ნიშნები უნდა ახასიათებდეს მიმდინარეობას, რომელსაც კუბიზმს უწოდებენ? თურმე, პაბლო პიკასო ამ სახელწოდებას არ ეთანხმებოდა. როგორ ფიქრობ, რატომ?

**დამატებითი ინფორმაცია:**

კუბიზმის შემქმნელებმა – პაბლო პიკასომ და ჟორჟ ბრაკმა XX ს-ის ახალი, რევოლუციური სახვითი ენა შექმნეს – სივრცე დაამსხვრიეს, ფორმები გეომეტრიულ ბლოკებად აქციეს, შეცვალეს მოცულობა, საგანი დაანაწევრეს და მაყურებელს სხვადასხვა რაკურსით დაანახეს. კუბიზმი უარს აცხადებს ტრადიციულ პერსპექტივაზე. მისი ამოცანა იყო, ტილოზე სივრცის შეგრძნება ახალი მეთოდით გადმოეცა. პიკასოსა და ბრაკის მეგობრებსაც კი არ მოეწონათ ეს მახინჯი ესთეტიკა. მატისი ისე აღშფოთებულა, თურმე პიკასოს დაემუქრა, შენთან აღარ ვიმეგობრებო. გამოუცდელი თვალისთვის ხომ, მით უმეტეს, კუბისტური ნახატები ამოუცნობ რებუსებად რჩებოდა. მაგრამ ვინც ამაში ახალი დროის გამოძახილი დაინახა, აღფრთოვანებული იყო.

- **დავალება 1** (*მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
  - დააკვირდი გარშემო საგნებს და დაფიქრდი, როგორ შეიძლება მათი „დაშლა“ მარტივ გეომეტრიულ ფორმებად ისე, რომ საგნის ამოცნობა შეგეძლოს. დახატე ესკიზი და დაფერე.



პაბლო პიკასო, „ნატურმორტი ჩაიდნით“, 1947 წ.
https://www.pinterest.com/pin/511932682620840049/



პაბლო პიკასო, „ნატურმორტი სანთლით“, 1945 წ.
https://bit.ly/3dR1OJ2

- **დავალება 2** (პრაქტიკული დავალება):
  - აკვარელის ან გუაშის საღებავებით, დიდი, ფართო მონასმებით, დახატე ხედი შენი ფანჯრიდან მსხვილი გეომეტრიული ფორმებით, წვრილი დეტალების გარეშე.

| | |
|---|---|
| | (see below) |

- **დავალება 3, შედარებითი ანალიზი** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - მოიძიე პოლ სეზანის „მობანავე ქალიშვილები“ და შეადარე პაბლო პიკასოს „ავინიონელ ქალწულებს“. იმსჯელე მსგავსება-განსხვავებაზე.

**სავარაუდო პასუხი:** სეზანი ქალების ფიგურებს მსხვილი მონასმებით, თლილი ფორმებითა და ფერადოვანი ლაქებით გადმოგვცემს. თითქოს ხეები და ქალები თანაბარმნიშვნელოვანი ფორმებია კომპოზიციაში ფერადოვანი ჰარმონიის მისაღწევად.

პიკასოს „ავინიონელი ქალწულები“ ისეთ შეგრძნებას ქმნის, თითქოს სასურათე სივრციდან ჰაერი ამოტუმბესო – ფონიცა და ფიგურებიც გეომეტრიულ, კუთხოვან ფორმებად დაიჭმუჭნა, დატყდა, დაიმსხვრა და შეიკუმშა. ეს პროცესი შენ თვალწინ გრძელდება. ყველაფერი ბორგავს, იცვლება.

ქალებს აფრიკულ ნიღაბს, დაუმუშავებელ, საჭრეთლით დაშტრიხულ და გამოჩორკნილ ხის ნაფოტებს მიუგავთ სახეები. ეს ქალები პიკასომ უსქესო არსებებად გამოსახა. „ავინიონელი ქალწულები“ აფრიკული პერიოდის დაგვირგვინება და კუბიზმის დასაწყისია.

*პოლ სეზანი:* http://bit.ly/2Z2MAbA
*პაბლო პიკასო:* https://bit.ly/3n6nCmI

- **დავალება 4** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები):*
  - შეადგინე კუბიზმის შთაგონების წყაროებისა და გავლენების ასოციაციური ბადე.

**ასოციაციური ბადის სავარაუდო ნიმუში:**




- **დავალება 5, მსჯელობა:**
  ხელოვნებასთან მიმართებაში ტერმინი „პრიმიტიული“ ევროპული ქვეყნების მიერ დაპყრობილი კოლონიებისადმი ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია.
  - როგორ ფიქრობ, შეიძლება ხელოვნების ნიმუშს ვუწოდოთ „პრიმიტიული“ , თუ ის მარტივი სახვითი ხერხებით არის შესრულებული?

*ადამიანი ნაწარმოებში იყენებს იმ სახვით ხერხებს, რომლებიც უკეთ წარმოაჩენენ მის ჩანაფიქრს, იდეას. სახვითი ხერხების სიმარტივე არ განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას.

აფრიკისა და ოკეანეთის უმეტესი ტერიტორიები ევროპული სახელმწიფოების მიერ დაპყრობილ კოლონიებს წარმოადგენდნენ. ვინაიდან ევროპელები არ იცნობდნენ ამ ხალხების კულტურას, არ ესმოდათ მისი შინაარსი, ვერც აღიქვამდნენ ჯეროვნად და მათ ხელოვნებას განიხილავდნენ როგორც არაპროფესიონალურს, ნაივურს.

- **დავალება 6** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები):*
  - ცნობილია, რომ პაბლო პიკასომ უამრავი ინტერპრეტაცია შექმნა დიეგო ველასკესის „მენინების“ თემაზე. დააკვირდი სურათებს. იმსჯელე, რა შეცვალა პიკასომ თავის ვერსიაში და რატომ?
  - რას ინარჩუნებს პიკასო იმისთვის, რომ ველასკესის კომპოზიცია ამოსაცნობი იყოს?
  - მოიძიე ველასკესის შემოქმედებით შთაგონებული, პიკასოს მიერ შექმნილი ინტერპრეტაციების სხვა ვერსიებიც. როგორ ფიქრობ, რა შეიძლება ყოფილიყო ამ „აკვიატების“ მიზეზი?

**კოლაჟი** **რესურსი 15**

**შეკითხვა:**
- გაიხსენე განვლილი მასალიდან, რომელმა მხატვარმა გამოიყენა სურათში სარკე და რა მიზნით?

**სავარაუდო პასუხი:** სასურველია, მოსწავლეებმა გაიხსენონ იან ვან ეიკის „არნოლფინების ოჯახი“ და ედუარდ მანეს „ბარი ფოლი-ბერჟერი“. მოგვიანებით, როდესაც მოსწავლეები გაივლიან სიურეალისტ რენე მაგრიტის შემოქმედებას, მასწავლებელმა კიდევ ერთხელ შეახსენოს მოსწავლეებს მხატვრობაში სარკის გამოყენების აზრობრივი დატვირთვის ეს სხვადასხვაგვარი მაგალითები.

**დამატებითი ვიდეორესურსი გაკვეთილისთვის:**
ტელესკოლა, სახვითი ხელოვნება, IX კლასი, ნინო ხუნდაძის გაკვეთილი კოლაჟის ტექნიკის შესახებ:
https://www.youtube.com/watch?v=kV2U5a-m_50

- **დავალება 7, „კოლაჟი“***(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
  - მოიძიე სხვადასხვა მასალა და გააკეთე ნამუშევარი კოლაჟის ტექნიკით.

  **სავარაუდო მასალა კოლაჟის შესასრულებლად:**
  მუყაოს ნაჭერი, ქაღალდი, სხვადასხვა მასალა და ნივთები (თოკი, ჭილოფი, მავთული, ღილები, გამოუსადეგარი ნივთები, მეტალის დეტალები, ჟურნალ-გაზეთები...);
  გუაშის საღებავი;
  ქაღალდის და ცხელი წებო;
  მაკრატელი;
  - მუყაოს მოზრდილ ნაჭერზე დაალაგე და დააწებე მოძიებული მასალა.
  - კომპოზიციური განაწილებისას ყურადღება მიაქციე საგნების ზომას, ფორმას, ფერსა და ფაქტურას.
  - თუ საჭიროდ ჩათვლი, ნამუშევრის ფონად შეგიძლია გამოიყენო გაზეთი ან ჟურნალის ფერადი ფურცლები. ასევე, ნამუშევრის ნაწილი შეიძლება იყოს დახატულიც.
  - გაუკეთე ნამუშევარს ჩარჩო.

- **დავალება 8, „კუბისტური პორტრეტები“** (პრაქტიკული სამუშაო მასწავლებლის არჩევანით)

I ვარიანტი:
- დახატე ან ამოჭერი ჟურნალიდან ორი ადამიანის ფოტო – ერთი სახე პროფილში, მეორე კი ანფასში.
- დაჭერი ფოტოები კუთხოვან ნაკუწებად.
- დააწებე ორივე სურათის ნაწილები აცდენილად ისე, რომ გამოვიდეს ერთი ადამიანის გამოსახულება სხვადასხვა რაკურსით (ხედვის წერტილით).
- ფონად შეგიძლია გამოიყენო ჟურნალიდანვე ამოჭრილი ტექსტები.

II ვარიანტი
- წყვილებში დახატეთ ერთმანეთის ან წარმოსახვითი პორტრეტები პროფილში ან ანფასში.
- დაჭერით საკუთარი ნამუშევარი მაკრატლით და გაუცვალეთ ერთმანეთს ნაწილები.
- შეგროვილი ნაწილებით თითომ თითო პორტრეტი ააწყვეთ და დააწებეთ სუფთა ფურცელზე ისე, რომ გამოვიდეს სხვადასხვა რაკურსიდან (ანფასში და პროფილში) დანახული სახე.
- **დავალება 54, „სამგანზომილებიანი კუბისტური მოდელი“** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
- შენ მიერ შერჩეული კუბისტური ფერწერული ნამუშევრის მიხედვით შექმენი მისი სამგანზომილებიანი მოდელი, რომელშიც გამოიყენებ სხვადასხვა ფაქტურის მქონე გეომეტრიული ფორმის სიბრტყეებს.
- დაწერე რეფლექსია, რომელშიც გააანალიზებ ნამუშევარზე მუშაობის ეტაპებს.

***დავალების შესრულების სხვა შესაძლო ვარიანტი:**

**მასალა:**

მუყაო და/ან ნებისმიერი სხვა მასალა საკუთარი არჩევანით
პერგამენტის ქაღალდი
ფანქარი
ცხელი წებო
წებოვანი ლენტი
მაკრატელი
მუყაოს საჭრელი დანა

**ინსტრუქცია:**
- დაიყავით წყვილებად. ინტერნეტში მოიძიეთ, შეარჩიეთ და ამობეჭდეთ პაბლო პიკასოს ან ჟორჟ ბრაკის რომელიმე კუბისტური ფერწერული ნამუშევარი (პორტრეტი ან ნატურმორტი).

*სურათი უნდა ამოიბეჭდოს შავ-თეთრად და რაც შეიძლება დიდი ზომის.

**თარგის მომზადება:**
- დაადე პერგამენტის ქაღალდი ამობეჭდილ სურათს და თითოეულ ფორმას გადაატარე კონტური. გამოჭერი ფორმები.
- დაადე თარგის ნაწილები მუყაოს ნაჭერს. შემოატარე კონტური 2 სმ-ის დაშორებით, რათა გაზარდო ფორმების ზომა. გამოჭერი მუყაოს ფორმები და მათი საშუალებით ააწყვე სამგანზომილებიანი (რელიეფის ან მრგვალი ქანდაკების სახით) მოდელი.
- გამოიყენე ნებისმიერი სხვა მასალა დეტალებისთვის სასურველი ფაქტურის და ფერის მისანიჭებლად (მაგ., მუყაოს გოფრირებული ფენა ან სხვ). სურვილისამებრ, გააფერადე ნამუშევარი.
- თუ რაიმე ადგილი მოითხოვს ამოვსებას, დაამატე შესაბამისი ფორმის საჭირო დეტალი.

**წარდგენისას ისაუბრე:**
- რომელი კუბისტური ფერწერული ნამუშევარი შეარჩიე შენი მოდელისთვის და რატომ?

- როგორ ფიქრობ, შესაძლებელია თუ არა სხვა რომელიმე მიმდინარეობის ფერწერული ტილოს გადატანა სამგანზომილებიან მაკეტად? აქვს თუ არა ამ მხრივ რაიმე უპირატესობა კუბისტურ ფერწერას?
- რატომ გადაწყვიტე განსხვავებული ფაქტურის მინიჭება გარკვეული დეტალისთვის?
- რა მასალა შეარჩიე ფაქტურული ეფექტისთვის და რატომ?
- რა სირთულეებს წააწყდი მუშაობის პროცესში და როგორ დაძლიე ისინი?
- რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე მუშაობას ამ პროექტზე?

**დამატებითი ინფორმაცია დავალებისთვის:**

კონსტრუქტივისტი ხელოვანი ნაუმ გაბო (1890-1977), მალევიჩის, ტატლინის, მონდრიანის მეგობარი, კუბიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მაგრამ მისი ეს ორი ნამუშევარი სწორედ კუბიზმის დავალებასთან კავშირში მოგვყავს. ბოლოს და ბოლოს, კონსტრუქტივიზმი თავის მიგნებებს კუბიზმს უნდა უმადლოდეს!



ნაუმ გაბო, კონსტრუირებული თავი №1, 1916 წ.
https://bit.ly/3c2EDuE



ნაუმ გაბო, კონსტრუირებული თავი №2, 1916 წ.
https://bit.ly/3ociZX9

ნიდერლანდების ერთ პატარა ქალაქში მუყაოთი მოდელირების მოყვარულთა ფესტივალები იმართება. ხელმარჯვე მოყვარულები გიგანტური მოდელებით იწონებენ თავს:





http://cardboarders.com/2012/kop-festival-deventer/





მოსწავლეების ნამუშევრების ნიმუშები: https://bit.ly/3nsUuWQ https://bit.ly/3aMCd1E

**პაბლო პიკასოს შემოქმედებითი პერიოდები:**

ყრმობა – აკადემიური პერიოდი (1889-1901 წწ.). http://picassolive.ru/blog/periods/rannie-gody-1889-1901/
ცისფერი პერიოდი (1901-1905 წწ.) http://picassolive.ru/blog/periods/goluboj-period-1901-1905/
ვარდისფერი პერიოდი (1905-1906 წწ.) http://picassolive.ru/blog/periods/rozovyj-period-1904-1906/
აფრიკული პერიოდი (1907-1909 წწ.) http://picassolive.ru/blog/periods/afrikanskij-period-1907-1909/
ანალიტიკური კუბიზმის პერიოდი (1909-1912 წწ.) http://picassolive.ru/blog/periods/analiticheskij-kubizm-1909-1912/

| | |
|---|---|
| | სინთეტიკური კუბიზმის პერიოდი (1912-1917 წწ.). http://picassolive.ru/blog/periods/sinteticheskij-kubizm-1912-1917/<br>კლასიციზმის პერიოდი (1917-1925 წწ.) http://picassolive.ru/blog/periods/period-klassicizma-1917-1925/<br>სიურეალიზმის პერიოდი (1925-1937 წწ.) http://picassolive.ru/blog/periods/period-syurrealizma-1925-1937/<br>II მსოფლიო ომის პერიოდი (1937-1945 წწ.). http://picassolive.ru/blog/periods/konec-30-x-i-vojna-1937-1945/<br>ომის შემდგომი პერიოდი (1946-1954 წწ.). http://picassolive.ru/blog/periods/poslevoennyj-period-1946-1954/<br>გვიანი პერიოდი (1954-1973 წწ.). http://picassolive.ru/blog/periods/pozdnij-period-1954-1973/<br>***ვიდეორესურსი:***<br>*ტელესკოლა, ნინო ხუნდაძე, IX კლ, სახვითი ხელოვნების გაკვეთილი პაბლო პიკასოს შესახებ:*<br>*https://www.youtube.com/watch?v=aDYi28gCYR0* |
| | **თემის ზოგადი რესურსები:**<br>https://artsandculture.google.com/<br>**ტელესკოლა:**<br>ანა კლდიაშვილი: https://1tv.ge/user/anakldiashvili/<br>ნინო ხუნდაძე: https://1tv.ge/user/ninokhundadze/<br>თამარ მელიქიშვილი: https://1tv.ge/user/tamarmelikishvili/ |
| | **შეფასების კრიტერიუმები:**<br>• ჩანაფიქრის შესაბამისად ირჩევს მასალასა და ტექნიკას და ქმნის ნამუშევარს ორი ან სამი სხვადასხვა ეპოქის ან მიმდინარეობის მიდგომების, სტილის, ელემენტების და სხვ. კომბინირებული გამოყენებით (ს.გ.საბ.1,2);<br>• მის მიერ შერჩეული რამდენიმე ნიმუშის მაგალითზე აანალიზებს სახვითი ხელოვნების მის მიერ შერჩეული ეპოქების, მხატვრული მიმდინარეობების, სტილების გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს (ს.გ.საბ.3,4); |

შეფასების ფორმა (სოლო ტაქსონომიის მიხედვით) კომპლექსური დავალებისთვის „კულტურათა გადაკვეთა“:

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------
საგანი: ხელოვნება

**საკითხები/ქვეცნებები:**
**სახვითი საშუალებები და პრინციპები:** მოსწავლის არჩევანით
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** მოსწავლის არჩევანით
**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:** მოსწავლის არჩევანით

კომპლექსური დავალების **„კულტურათა გადაკვეთა“** პირობა:

შენ მიერ შერჩეული მასალითა და ტექნიკით შექმენი ნამუშევარი, რომელშიც გააერთიანებ XIX-XX სს-ის მიჯნის ევროპული ხელოვნების მიმდინარეობებისა და უცხო კულტურების (იაპონიის, სპარსეთის, აფრიკის, ოკეანიისა ან კოლუმბამდელი მეზოამერიკის) სტილებს, მიდგომებს ან ელემენტებს.

დაწერე რეფლექსია კვლევის, ჩანაფიქრის, პროცესისა და შედეგის ანალიზით.

**რეფლექსიაში იმსჯელე:**

- გაიხსენე ხელოვნების ნაწარმოებში უცხო კულტურათა გავლენების მაგალითები. როგორ შედეგს იძლევა ამგვარი კომბინაცია?
- რომელი ეპოქისა და კულტურის ხელოვნების რომელი ნაწარმოებები შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის შთაგონების წყაროდ და რატომ?
- რა როლი მიაკუთვნე თითოეულ წყაროს შენი ნამუშევრის საბოლოო ვერსიაში?
- რა მასალა და ტექნიკა შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის და რატომ?
- რა სირთულეს წააწყდი მუშაობის პროცესში და როგორ დაძლიე ეს სირთულე?
- რა შედეგი მოგცა უცხო კულტურებიდან აღებული სტილური ნიშნების/მიდგომების/ელემენტების ერთმანეთთან მორგებამ?
- რა და რატომ შეცვალე მუშაობის პროცესში? რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?
- რა აღმოაჩინე ახალი ამ ნამუშევარზე მუშაობისას კვლევა-ძიების, შემოქმედებითი პროცესისა და ნამუშევრის დასრულების ეტაპებზე?

| **კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება** | **სახვითი საშუალებები და ხერხები** | **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** | **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები** |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლე სიღრმისეულად გაიაზრებს საკითხის არსს/ არსობრივ მახასიათებლებს, რაც ცოდნის განზოგადების, დეკონტექსტუალიზების/ მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს | წინასწარ ჩატარებული ღრმა კვლევის საფუძველზე გონივრულად შეარჩევს ორი ან სამი სხვადასხვა კულტურის/ ეპოქის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ნაწარმოებს, როგორც შთაგონების წყაროს საკუთარი ნამუშევრისთვის. ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ არჩევანს.<br>მოჰყავს კულტურული გავლენების დამადასტურებელი მრავალფეროვანი მაგალითები, არგუმენტირებულად უკავშირებს მათ დავალებაზე მუშაობით მიღებულ საკუთარ გამოცდილებას.<br>ქმნის ორიგინალურ ნამუშევარს, რომელშიც შეცვლილი კონტექსტით, კომბინირებულად, შემოქმედებითად და ჰარმონიულად წარმოაჩენს შერჩეული კულტურების/ეპოქების/მიმდინარეობების/სტილების ხელოვნების ნაწარმოებების არსობრივ მახასიათებლებს, მიდგომებს, ელემენტებს.<br>შეარჩევს და გაცნობიერებულად იყენებს შესაბამის მხატვრულ საშუალებებს, ხერხებს. ნამუშევარში ნათლად წარმოაჩენს ამ საშუალებებისა და ხერხების სახვით შესაძლებლობებს.<br>ჩანაფიქრის შესაბამისად, გაცნობიერებულად და ადეკვატურად შეარჩევს და იყენებს მასალასა და ტექნიკას. ამომწურავად წარმოაჩენს მათ გამომსახველობით შესაძლებლობებს. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას. | | | |
| **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | გონივრულად შეარჩევს და იყენებს შესაბამის მხატვრულ საშუალებებს, ხერხებს, წარმოაჩენს მათ გამომსახველობით შესაძლებლობებს. | ჩანაფიქრის შესაბამისად, ადეკვატურად შეარჩევს და იყენებს მასალასა და ტექნიკას. წარმოაჩენს მათ გამომსახველობით შესაძლებლობებს. | კვლევის საფუძველზე გონივრულად შეარჩევს ორი ან სამი სხვადასხვა კულტურის/ეპოქის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ნაწარმოებს, როგორც შთაგონების წყაროს საკუთარი ნამუშევრისთვის. ასაბუთებს თავის არჩევანს.<br>მოჰყავს კულტურული გავლენების დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი და არგუმენტირებულად უკავშირებს მათ საკუთარ გამოცდილებას.<br>ქმნის ნამუშევარს, რომელშიც კომბინირებულად წარმოაჩენს შერჩეული კულტურების/ეპოქების/მიმდინარეობების/სტილების ხელოვნების ნაწარმოებების რამდენიმე მახასიათებელს, მიდგომას და/ან ელემენტს. |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მიერ შერჩეული სახვითი საშუალებები და ხერხები ბუნდოვნად უკავშირდება დასახულ ამოცანას. | მოსწავლის მიერ შერჩეული მასალა და ტექნიკა ბუნდოვნად უკავშირდება დასახულ ამოცანას. | ზედაპირული კვლევის საფუძველზე შეარჩევს ორი სხვადასხვა კულტურის/ეპოქის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ნაწარმოებს, როგორც შთაგონების წყაროს საკუთარი ნამუშევრისთვის. უჭირს არჩევანის დასაბუთება.<br>მოჰყავს კულტურული გავლენების დამადასტურებელი ორიოდე მაგალითი, უჭირს მათი დაკავშირება მუშაობით მიღებულ საკუთარ გამოცდილებასთან.<br>ქმნის ნამუშევარს, რომელშიც მექანიკურად უკავშირებს ერთმანეთს შერჩეული კულტურების/ეპოქების/მიმდინარეობების/სტილების ხელოვნების ნაწარმოებების ორიოდე მახასიათებელს, მიდგომას ან ელემენტს. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს უჭირს სახვითი საშუალებებისა და ხერხების დამოუკიდებლად არჩევა. არჩევანი შემთხვევითია. | მოსწავლის მიერ შერჩეული მასალა და ტექნიკა აცდენილია დასახულ ამოცანას. | არ ჩაუტარებია წინასწარი კვლევა. სხვადასხვა კულტურის/ეპოქის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ნაწარმოების, როგორც საკუთარი ნამუშევრისთვის შთაგონების წყაროს არჩევანი შემთხვევითია.<br>მოჰყავს კულტურული გავლენების დამადასტურებელი ერთი მაგალითი, ვერ აკავშირებს მას საკუთარ გამოცდილებასთან. |
| **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე ვერ აკეთებს სახვითი საშუალებებისა და ხერხების არჩევანს. | მოსწავლე ვერ აკეთებს მასალისა და ტექნიკის არჩევანს. | ნამუშევარი არ წარმოაჩენს სხვადასხვა კულტურის, ეპოქის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნების მახასიათებლების კომბინაციას. |
| **მასწავლებლის კომენტარი:** | | | |

თემატური მატრიცა 3

**თემატური ბლოკი:** გარემო და ხელოვნება
**თემა:** XX ს-ის სახვითი გრამატიკა
**გაკვეთილები:** 18 - 22 **საათების რაოდენობა:** 5 + 1 სთ.

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები:**
**სახვითი ხელოვნების ხერხები (ელემენტები):** ხაზი; ფერი; ფორმა/დეფორმაცია (სიბრტყობრივი, გეომეტრიული); ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.
**სახვითი ხელოვნების საშუალებები (პრინციპები):** კომპოზიციური განაწილება; სიმეტრია/ასიმეტრია; სტატიკა/დინამიკა; ხედვის წერტილი; რიტმი; დისპროპორცია; კონტრასტი; აქცენტი; განმეორებადი ფორმა (პატერნი); ხედვის წერტილი.
**დარგები:** დაზგური ფერწერა.
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ფერწერა, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები.
**ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი და მათი მხატვრული მახასიათებლები:** ფუტურიზმი, აბსტრაქცია.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**
- დაძაბულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, ტექნიკურმა და სამეცნიერო პროგრესმა მკვეთრად შეცვალეს XX ს-ის გარემოც და ხელოვნებაც.
- XIX ს-ის დასასრულის ნოვატორი ხელოვანები ბოლომდე მაინც ვერ წყდებიან საგნობრივ სამყაროს. XX ს-ის ხელოვნება კი თავისუფლდება რეალური გარემოს ასახვისგან.
- XX ს-ში მიმდინარე ცვლილებებს მოჰყვა ხელოვანთა შემოქმედებითი ძიებები დაძაბული გარემოს, სამყაროს ახლებური ხედვის შესაბამისი სახვითი ენის კვლევის მიმართულებით.
- ტრადიციასთან კავშირი თავს იჩენს როგორც მისი გავლენის, ასევე მასთან დაპირისპირების სახით.
- მე შემიძლია გარემოსადმი ჩემი დამოკიდებულება, იდეა ან გრძნობა გადმოვცე უსაგნო, უშინაარსო ნამუშევრით, მხოლოდ ხაზით, ფერითა და ფორმით.

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**
- რა ისტორიული მოვლენები, ტექნიკური თუ სამეცნიერო აღმოჩენები გახდა XX ს-ის გარემოსა და, შესაბამისად, ხელოვნების ცვლილების მიზეზი?
- როგორ შეიცვალა ხელოვნება XIX და XX სს-ში და რა ძირეული სხვაობა შეინიშნება მათ შორის?
- როგორი იყო XX ს-ის ხელოვანთა რეაქცია გარემოში მიმდინარე ამ ცვლილებებზე, რა მიმართულებით წარიმართა მათი ძიებები და როგორი სახვითი ენა შეიმუშავეს მათ?
- რა როლი აქვს ტრადიციას ხელოვნებაში მიმდინარე სიახლეებისა და ცვლილებების გზაზე?
- როგორ შემიძლია გადმოვცე გარემოსადმი ჩემი დამოკიდებულება, იდეა ან გრძნობა თანამედროვე მხატვრული ხერხებით?

| **სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **ქვეცნებები:**<br>**<u>კომპლექსური დავალება 3</u>**<br>**სახვითი ხელოვნების ხერხები:**<br>ხაზი; ფერი; ფორმა/დეფორმაცია; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br>**სახვითი ხელოვნების საშუალებები:**<br>კომპოზიციური განაწილება; ასიმეტრია; დინამიკა; ხედვის წერტილი; რიტმი;<br>**ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი:** | **საკვანძო შეკითხვები:**<br>**<u>კომპლექსური დავალება 3</u>**<br>რა სახვითი ხერხები შეიმუშავეს XX ს-ის მიმდინარეობებმა?<br>რას მომცემს წარსულის მხატვრული გამოცდილების გაცნობა?<br>ამ მიმდინარეობის რა სახვითი ხერხებით შემიძლია ავსახო ნამუშევარში საკუთარი იდეა? | **კომპლექსური დავალებები** *(შუალედური სასწავლო მიზნები)*<br><br>პროექტი „XX ს-ის სახვითი გრამატიკა“:<br><br>XX ს-ის რომელიმე მიმდინარეობის ნაწარმოების |
|---|---|---|---|

<table>
<tr>
<td></td>
<td>კუბიზმი/ექსპრესიონიზმი/ ფოვიზმი/ფუტურიზმი/ აბსტრაქცია და მათი მახასიათებლები.</td>
<td>რა ეფექტს იძლევა ამ მიმდინარეობის ხერხებით შესრულებული ნამუშევარი?</td>
<td>მიხედვით ინტერპრეტაციის შექმნა.</td>
</tr>
<tr>
<td>სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: ს.გ.სავ.1, 2, 3, 4)<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას.<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: ს.გ.სავ.1, 2, 3, 4)<br>• ხელოვანი მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;</td>
<td colspan="3"><u>კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები</u> <u>(რესურსები, შეკითხვები, აქტივობები)</u><br><br><u>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა</u><br><br>კომპლექსური დავალება 3: პროექტი: „XX ს-ის სახვითი გრამატიკა“<br>დავალების პირობა:<br>შექმენი XX ს-ის რომელიმე მიმდინარეობის ნაწარმოების შენებური ინტერპრეტაცია.<br>მოაწყვეთ ერთობლივი გამოფენა „XX ს-ის სახვითი გრამატიკა“, რომელზეც წარმოადგენთ თქვენს ნამუშევრებს.<br>შენს ნამუშევარს დაურთე მოკლე ტექსტი ამ მიმდინარეობისა და მისი წარმომადგენლის შემოქმედების შესახებ.<br>ამისათვის:<br>• კლასში კენჭისყრით გაინაწილეთ XX ს-ის მხატვრული მიმდინარეობები.<br>• შეარჩიე შენი მიმდინარეობის წარმომადგენელი ხელოვანის ერთ-ერთი ნამუშევარი და შექმენი ამ ნაწარმოების შენებური ინტერპრეტაცია ისე, რომ დედანი ადვილი საცნობი იყოს. გამოიყენე ორიგინალის მიმდინარეობისთვის ან ხელოვანისთვის დამახასიათებელი სახვითი ენა, დაიცავი კომპოზიციურ წყობა, ფერადოვანი გამა ან შინაარსი.<br>• შენს ნამუშევარს დაურთე მოკლე ტექსტი ამ მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლების, მისი წარმომადგენლის შემოქმედებისა და შენ მიერ შერჩეული ნაწარმოების შესახებ.<br>• მოაწყვეთ ერთობლივი გამოფენა „XX ს-ის სახვითი გრამატიკა“, რომელზეც წარმოადგენთ თქვენს ნამუშევრებს.<br>წარდგენისას იმსჯელე:<br>• შერჩეული მიმდინარეობის ისტორიულ კონტექსტსა და გავლენებზე;<br>• მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ სახვით ენაზე;<br>• ხელოვანის შემოქმედებით თავისებურებებზე;<br>• როგორ გამოიყენე შენს ინტერპრეტაციაში მიმდინარეობის, ხელოვანისა და კონკრეტული ნაწარმოების სახვითი მახასიათებლები (სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები)?<br>• რაში მდგომარეობს შენი ინტერპრეტაცია (ორიგინალისგან განსხვავებული ხედვა)?<br>• აღწერე შენი შემოქმედებითი პროცესის ეტაპები ჩანაფიქრიდან საბოლოო პროდუქტამდე;<br>• რა იყო ყველაზე რთული ამ პროექტზე მუშაობისას და როგორ დაძლიე ეს სირთულეები?<br>• რა არის შენი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეები?<br>• რა უნდა ისწავლო/განივითარო იმისთვის, რომ სუსტი მხარეები დაძლიო?<br><br>დამატებითი რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესასრულებლად:<br>მოსწავლის მიერ შექმნილი ინტერპრეტაცია არ უნდა იყოს შერჩეული ნაწარმოების ზუსტი ასლი. ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა განუმარტოს მოსწავლეებს ტერმინ „ინტერპრეტაციის“ მნიშვნელობა: ინტერპრეტაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განმარტებას, ახსნას, თარგმნას. მაგ.: როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ან ფილმის შინაარსს ვუყვებით ერთმანეთს საკუთარი სიტყვებით, ასევე შეიძლება სახვითი ხერხებით „მოვყვეთ“, გადმოვცეთ ჩვენი შთაბეჭდილება, დამოკიდებულება სურათისადმი.</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| • კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.<br><br>**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები *(შედეგები: ს.გ.სა8.1, 2, 3, 4)***<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით; | ანრი მატისის სურათების ინტერპრეტაციების ნიმუშები:<br><br>დევიდ ჰოკნი, „მოცეკვავეები“ https://bit.ly/3w02yBJ<br><br>როი ლიხტენშტეინი, „ნატურმორტი თევზებით“ https://bit.ly/3feSNsG<br><br>**ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br>გაკვეთილების ეს ჯგუფი მიზნად ისახავს, მოსწავლეები გაეცნონ XX-XXI სს-ის მხატვრული ენის მნიშვნელობას, მრავალფეროვან სახვით ხერხებს, გააცნობიერონ მათი კავშირი ტექნიკურ პროგრესთან, გაიფართოონ თვალსაწიერი, სამყაროს აღქმის შესაძლებლობები, აითვისონ ზოგიერთი სახვითი ხერხი.<br><br>**ნაბიჯი 1**<br><br>**გაკვეთილი 18. რიტმი და კომპოზიცია** — **რესურსი 1**<br>მოცემული გაკვეთილი მიზნად ისახავს კომპოზიციაში წონასწორობის, რიტმის, სიმეტრია/ასიმეტრიის, დინამიკა/სტატიკის და პატერნის (ფორმათა განმეორებადობა) შესაძლებლობების გაცნობიერება-დაუფლებას.<br>• **დავალება** (საკითხი II):<br>· „რიტმის“ ხსენებაზე, უმალ მუსიკა გახსენდება, მაგრამ დაჰკვირვებიხარ, რამდენი რამაა გარშემო რიტმული?<br>· რა არის არითმია?<br>· როგორი რიტმები არსებობს?<br>· როგორ მოქმედებენ ისინი შენზე?<br><br>• **დავალება 1, წინარე ცოდნის გააქტიურება** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები)*:<br>ზოგჯერ რიტმი თუ არითმია, სიმეტრია თუ ასიმეტრია, სტატიკა თუ დინამიკა არა მხოლოდ კონკრეტული მხატვრის, არამედ მთელი ეპოქის ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანი ხდება.<br>· გაიხსენე ბერძნული კლასიკისა და ელინიზმის, რენესანსისა და ბაროკოს ან კლასიციზმისა და რომანტიზმის ეპოქების ხელოვნების ნიმუშები. აღწერე ამ ნაწარმოებების კომპოზიციების დამახასიათებელი წყობა. |

| | |
|---|---|
| • ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.<br><br>**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)***<br>• ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) | **სავარაუდო პასუხის ნიმუში:**<br>ბერძნული კლასიკა, რენესანსი და კლასიციზმი ხასიათდება ჰარმონიული სიმშვიდით, სტატიკითა და წონასწორობით, ხოლო ელინიზმი, ბაროკო და რომანტიზმი – დრამატიზმით, დინამიკით, ასიმეტრიით.<br><br>• **დავალება 2** *(პრაქტიკული სამუშაო):*<br>• დაათვალიერე რიტმული გამოსახულებების ნიმუშები. თვალი გააყოლე ყოველ მათგანს და დააკვირდი, როგორ მართავს მწყობრად დალაგებული თუ განზრახ არეული ელემენტების წყობა შენს ყურადღებასა და შეგრძნებებს.<br><br>• **დავალება 3** *(პრაქტიკული სამუშაო):*<br>• გეომეტრიული ან ბუნებრივი ფორმებით დახატე რიტმული უსაგნო კომპოზიცია. განსაზღვრე, რა შედეგს გინდა მიაღწიო, როგორი კომპოზიცია გჭირდება – მშვიდი, მდორე, აუჩქარებელი, რიტმული, ენერგიული, დინამიკური, კონფლიქტური, აგრესიული...<br><br>• **დავალება - ექსპერიმენტი** (კომპოზიციის პრინციპების გააზრება, *პრაქტიკული სამუშაო):*<br>**მასალა:**<br>თაბახის თეთრი ფურცლები ფონისთვის, წვრილად დაჭრილი ფერადი ქაღალდები, წებო, უბის წიგნაკი.<br>• წინასწარ დაჭერი ფერადი ფურცლები თანაბარი ზომისა და ფორმის ნაჭრებად. მომზადებული ფერადი ნაკუწები დაალაგე ცალ-ცალკე გროვებად, ფერების მიხედვით.<br>**ჩაატარე რამდენიმე ცდა:**<br>• ფერადი ქაღალდების ნაკუწებით, სახელმძღვანელოში მოცემული და შენ მიერ მოფიქრებული სისტემის მიხედვით, შეადგინე სხვადასხვა ტიპის უსაგნო კომპოზიცია.<br>• აღწერე და ჩაწერე/ჩახატე უბის წიგნაკში ყოველი ცდის შედეგის წინასწარი ვარაუდი, მიღებული შედეგი და შენ მიერ გამოტანილი დასკვნა.<br>**განსაზღვრე:**<br>• რა შედეგს მოიტანს ერთნაირი ფორმების სხვადასხვა ხერხით დალაგება?<br>• რა ხასიათს ანიჭებს ნამუშევარს ფორმების სხვადასხვა კომპოზიციური განლაგება?<br>• რა როლს ასრულებს კომპოზიციაში ფერი?<br>• რა როლს ასრულებს კომპოზიციაში რიტმი?<br><br>**ცდა №1.** თეთრი ფურცლის ცენტრში დაყარე ერთი ფერის ქაღალდების გროვა. ერთი ნაკუწი განაცალკევე ჯგუფისგან – ის უმალ მიიქცევს ყურადღებას.<br>• რა ეწოდება მხატვრობაში იმ განსაკუთრებულ ობიექტს, რომელსაც მხატვარი რაიმე ნიშნით განზრახ გამოყოფს ჩვენი ყურადღების მისაპყრობად? (აქცენტი). |

პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);

- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ურთიერთ ზეგავლენა;
- ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.



**ცდა №2.** თეთრ ფურცელზე, ცენტრში, გროვად დაყარე ერთი ფერის ქაღალდები. გროვაზე დააგდე ერთი განსხვავებული ფერის ნაკუწი. დააკვირდი შენს და მეგობრების ვარიანტებს.



- პირველ რიგში რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?

* პატარა, მაგრამ სხვა ფერის ლაქა ყურადღებას იქცევს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის მკრთალი და უფერულია. მასწავლებელს შეუძლია შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ზუსტად იგივე ხდება ცხოვრებაშიც – ადამიანის განსხვავებული ქცევა, ინდივიდუალობა ყოველთვის თვალშისაცემია და გამოარჩევს მას საერთო მასიდან.

**ცდა №3.** ფურცელზე თანაბრად მიმოფანტე ქაღალდის სხვადასხვა ფერის ნაკუწები.

- პირველ რიგში რომელი ფერები იზიდავს შენს მზერას და რატომ?



**ცდა №4.** ნაკუწების მჭიდრო გროვა გაფანტე ისე, რომ ფორმებს შორის გაჩნდეს მეტი თავისუფალი სივრცე და მიიღო ხალვათი კომპოზიცია.

- როგორ აღიქვამს შენი მზერა ამ ორ კომპოზიციას?

*პირველ შემთხვევაში მზერა გროვაზე ფოკუსირდება, ხოლო მეორეში მზერაც გაფანტულია.




ცდა **№5.** გაფანტული ქაღალდების ნაწილი დააჯგუფე მცირე ზომის 2-3 გროვად. მიმოფანტული ნარჩენები დატოვე ხელუხლებლად,

- როგორ აღიქვამს შენი მზერა ამ კომპოზიციას?

*მზერა წრიულად დახტის გროვიდან გროვისკენ.



ცდა **№6.** ფორმები თანაბრად გაანაწილე ფურცლის ცენტრალური ღერძის ორსავ მხარეს.

- რა ეწოდება ასეთ კომპოზიციას? (სიმეტრიული) საიდან იწყებ კომპოზიციის თვალიერებას
  – ცენტრიდან გვერდებისკენ თუ პირიქით?

ცდა **№7.** ნაკუწები დაალაგე სიმეტრიულად – ერთ ფურცელზე წრიულად, მეორეზე კი ჯვარედინად. კომპოზიცია სტატიკურია თუ დინამიკური? საიდან იწყებ კომპოზიციის თვალიერებას?

ცდა **№8.** ნაკუწები დაალაგე გრძივ, რიტმულ ჯგუფებად (მაგ. 1:3-1:3 ან სხვა მიმდევრობით). რას მოგაგონებს ასეთი წყობა? (მათემატიკურ მიმდევრობას, მძივს, ორნამენტს...)



ცდა **№9.** მუჭით მიმოყარე ფურცელზე ერთი ფერის ნაკუწები და დააკვირდი მიღებულ შედეგს.

- როგორი კომპოზიცია გამოვიდა?
- რა მოგხვდა თვალში?
- რა მიმართულებით იკითხება კომპოზიცია და რატომ? გაიმეორე იგივე სხვა ფერებით და დაახასიათე მიღებული კომპოზიცია.

ცდა **№10.** ნაკუწები მიმოფანტე ისე, რომ გამოვიდეს ასიმეტრიული კომპოზიცია.

- როგორი კომპოზიცია მიიღე – სტატიკური თუ დინამიკური?
- რა უნდა შეცვალო, რომ კომპოზიციის საპირისპირო ხასიათის გამოსახულება მიიღო?

ცდა **№11.** ნაკუწები განალაგე რაიმე სისტემით (რიტმულად, თანამიმდევრულად, რაოდენობის, ფორმის და/ან ფერის მიხედვით).

- რა მიმართულებით კითხულობ კომპოზიციას? რამ მიიპყრო შენი ყურადღება?

- **დავალება -მსჯელობა** (*მხატვრული მახასიათებლები*):
  - დააკვირდი და დაახასიათე ქვემოთ შემოთავაზებული კომპოზიციები და იმსჯელე, როგორ არის დაცული ან დარღვეული კომპოზიციებში წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, რიტმი, კონტრასტი, რაზეა გაკეთებული აქცენტი და სხვ.

**საილუსტრაციო მასალა დავალებისთვის:**



*ედგარ დეგა, „არაბესკის დასრულება“, 1877 წ.*
https://bit.ly/39ZFmKr



*ედგარ დეგა, „მოცეკვავე თაიგულით“, 1880 წ.*
https://bit.ly/2LDHkrV



*ედგარ დეგა, „მოცეკვავე თაიგულით“, 1880 წ.*
https://bit.ly/365kXST



*რობერ დელონე, „წრიული ფორმები, მზე და მთვარე“, 1912 წ.*
https://bit.ly/2PI7ED6



*იაიო კუსამას ფოტო მისი ნამუშევრის წინ*
https://bit.ly/3qAkLTM



*კაზიმირ მალევიჩი, სუპრემატისტული კომპოზიცია, 1915 წ.*
https://bit.ly/3wBk8Nv



*პოლ სეზანი, ნატურმორტი, 1880 წ.*
https://bit.ly/3x7hWxk





დემიენ ჰირსტის აბსტრაქციული კომპოზიციები:
https://bit.ly/3sQZAyH https://bit.ly/39bwqCo https://bit.ly/3qLajZC https://bit.ly/2Mlu9Md



კაზიმირ მალევიჩი, „ტყის მჭრელი“, 1912 წ. https://bit.ly/2Y7JdQb



ფრანც მარკი, „ვეფხვი“, 1912 წ. http://bit.ly/3caHcuC



ვასილი კანდინსკი, „წრეები წრეში“, 1923 წ. https://bit.ly/39YaxpA



რობერ დელონე, „რიტმი“, 1932 წ. https://bit.ly/39dxmGH



დიეგო რიბერა, „დეტროიტის ინდუსტრია“, 1933 წ. https://bit.ly/2RLIyUG



დიეგო რიბერა, „თაიგულები“, 1943 წ. https://bit.ly/2RLIy



დავიდ ალვარო სიკეიროსი, „მექსიკის რევოლუცია“, 1965 წ. https://bit.ly/3tIdZfV

**ნაბიჯი 2**

გაკვეთილი 19. აჩქარებული სამყარო **რესურსი 2**

***მინიშნება მასწავლებელს:**
მოცემული გაკვეთილი მიზნად ისახავს ფუტურიზმის მიმდინარეობასთან, მის მახასიათებლებთან გაცნობას და სახვით ხელოვნებაზე ტექნიკური პროგრესის გავლენის გაცნობიერებას.

- **დავალება -მსჯელობა**
- რატომაა ძილისპირული სიმღერა ნელი?
- როგორ მუსიკას ირჩევ საცეკვაოდ?
- რა სხვაობაა რიტმსა და ტემპს შორის?
- გადახედე ილუსტრაციებს, რა დაინახე ახალი და უცნაური?
- რა შეგრძნება გაგიჩნდა და რამ გამოიწვია ის?
- რის გადმოცემას ისახავენ მიზნად მათი ავტორები?

- **დავალება 1, დაფიქრდი:**
  - როგორ გგონია, რა სიტყვიდან მოდის ტერმინი ფუტურიზმი? (ლათ.: მომავალი)

- **დავალება 2, მსჯელობა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
- დააკვირდი ფუტურისტი მხატვრების ნამუშევრებს და იმსჯელე, რა მეთოდი ისესხეს მათ კუბიზმისგან?

**სავარაუდო პასუხი:** ფორმისა და სივრცის ფრაგმენტაცია (დაშლა ნაწილებად), პერსპექტივის უგულებელყოფა.

- **დავალება 3, შეკითხვა:**
- შეადარე ჯაკომო ბალას „ძაღლისა და ჯაჭვის დინამიკა“ ალტამირას ტახის გამოსახულებას. რა მიგანიშნებს მოძრაობაზე თითოეულ შემთხვევაში?

**სავარაუდო პასუხი:** ფეხების სიმრავლე.

- **დავალება 4, შედარებითი ანალიზი**
- შეადარე უმბერტო ბოჩონის ქანდაკება „სივრცეში უწყვეტობის უნიკალური ფორმები“ და ვაროცოსის თანამედროვე ქანდაკება „ათენელი მრბოლელი“.
- რატომ გვიქმნიან ეს ქანდაკებები წინსწრაფვის, მოძრაობის შთაბეჭდილებას?

**სავარაუდო პასუხი:** სასურველია, მოსწავლეებმა გაამახვილონ ყურადღება სკულპტურების პოზაზე – პოზა არ არის მყარი (წინ წაწეული ტორსი, ზევით მიმართული მზერა, წინ გადადგმული ნაბიჯი, ფრთებივით უკან გაწეული ხელები). სივრცეში შეჭრილი, მოუსვენარი, დინამიკური ფორმები, თვალისთვის „მოუხელთებელი“ სილუეტი. ფორმა არაა თავის თავში ჩაკეტილი. ის ჩვენ თვალწინ „მოძრაობს“, ვაროცოსის ქანდაკებაში სილუეტი ჰაერს „მიარღვევს“, ბოჩონისთან კი ცეცხლის ალივით „ბრიალებს“.

- **დავალება 5,** (პრაქტიკული სამუშაო):
- ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შექმენი ნამუშევარი თემაზე: ვიბრაცია, სწრაფვა, ბრუნვა, ხმაური, გაელვება, ქროლვა, ნათება, ან თავად მოიფიქრე აბსტრაქტული თემა.

- დაფიქრდი, რა საშუალება გამოგადგება ნამუშევარში მოძრაობის გადმოსაცემად (რიტმი, განმეორებადი ფორმები, ასიმეტრია)?

- **დავალება 6, სახელოსნო** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
- დახატე ფუტურისტული აბსტრაქცია, რომელშიც ფუტურიზმისა და აბსტრაქციის მხატვრულ-გამომსახველობითი მახასიათებლების გამოიყენებით ასახავ რიტმულ, ციკლურად განმეორებად მოძრაობას.

| **ატომის ერა** (დამატებით საკითხავი მასალა) | **რესურსი 3** |
|---|---|

- **დავალება - მსჯელობა:**
- მოიძიე ინტერნეტში მიკროსკოპისა და ტელესკოპის საშუალებით გადაღებული ფოტოები. შეადარე ისინი ერთმანეთს და დავით კაკაბაძის აბსტრაქციებს.
- რა განსხვავებაა დოკუმენტურ, სამეცნიერო ფოტოსა და მხატვრის წარმოსახვით შექმნილ ფერწერულ ტილოს შორის?
- რომელმა სამეცნიერო აღმოჩენამ ან ტექნიკურმა გამოგონებამ მოახდინა შენზე დიდი შთაბეჭდილება?
- როგორ შეგიძლია ასახო ეს შთაბეჭდილება შენს ნამუშევარში?

- **დავალება 1, აბსტრაქციული ნამუშევარი** *(პრაქტიკული სამუშაო):*
- შეარჩიე ერთი ფოტო და მისგან მიღებული შთაბეჭდილებით დახატე აბსტრაქციული ნახატი.
- შეგიძლია გაიზიარო დავით კაკაბაძის შემოქმედებითი მიგნება და ნამუშევარში გამოიყენო სასხურებელი საღებავი. სასხურებლის ეფექტი შეგიძლია მიიღო საღებავში დასველებული კბილის ჯაგრისის გამოყენებითაც.

საილუსტრაციო მასალა დავალებისთვის:



*ვასილი კანდინსკი, „კომპოზიცია VIII“, 1923 წ.* https://bit.ly/3iHHcn0







*დავით კაკაბაძე, აბსტრაქციების სერია „გალაქტიკური პეიზაჟები“, 1927 წ.*
https://bit.ly/3qM0jPD
http://bit.ly/2MluyhH
https://bit.ly/3ocL8gP
https://bit.ly/39e2iX3

- **დავალება - მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები)*:
- აღწერე სალვადორ დალის ბირთვულ თემაზე შექმნილი ნამუშევრები. რა იდეა უდევს საფუძვლად დალის ჩანაფიქრს და რა მხატვრული ხერხებითაა ის გადმოცემული?

დამატებითი ილუსტრაციები მსჯელობისთვის:



*სალვადორ დალი, „ატომის გახლეჩა“, 1947 წ.*
https://bit.ly/3sSFofJ



სალვადორ დალი, „რაფაელის თავი აფეთქებისას“, 1951 წ.
https://bit.ly/3c53n5l

<u>**ნაბიჯი 3**</u>

**20. აბსტრაქცია** **რესურსი 4**

- **დავალება - მსჯელობა:**
  - დააკვირდი ილუსტრაციებს. რა ემოციებს იწვევენ ისინი შენში - გაღელვებენ თუ გაღიზიანებენ?
  - ცდილობ, სურათებში რაიმე ნაცნობი გამოსახულება ამოიცნო თუ თავს უფლებას აძლევ, ფერებთან, ხაზებთან და ფორმებთან ერთად თავისუფლად ინავარდო ამ უცნაურ სამყაროში?
  - შეგიძლია აღწერო, რას ხედავ?

- **დავალება** 1(პრაქტიკული სამუშაო):
  - შეარჩიე რომელიმე არააბსტრაქციული ფერწერული ნამუშევარი.
  - დახატე ნამუშევარი ნაწარმოებში გამოყენებული ფერებით.
  - დაიცავი ორიგინალის კომპოზიციური განლაგება, ოღონდ ფორმები გეომეტრიულ სილუეტებამდე განაზოგადე.

- **დავალება - ციფრული ექსპერიმენტი** „მოგზაურობა ჟანრებს შორის" *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*

*მინიშნება მასწავლებელს:
მოცემული დავალება ნებაყოფლობითია და სასურველია, შესრულდეს აბსტრაქციის გაკვეთილის ჩატარებამდე, როგორც შესავალი.

აჩვენეთ მოსწავლეებს კლოდ მონეს იაპონური ხიდი და ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ როგორ ხატავს ის ამავე ხიდს სიცოცხლის ბოლოს. მონეს უკვე აინტერესებს არა ხიდი, არამედ ფერებისა და მონასმების თავაშვებული თარეში. ხიდი (შინაარსი) მხოლოდ საბაბია იმისთვის, რომ ფერწერის დღესასწაული გვიჩვენოს.

საილუსტრაციო მასალა დავალებისთვის:





კლოდ მონე, „იაპონური ხიდი“, 1899 წ. https://bit.ly/39RhV6Z

*კლოდ მონე, „იაპონური ხიდი“, 1924 წ.* https://bit.ly/3dDdsWs



*ედგარ დეგა, „კლდოვანი ხანაპირო“, 1892 წ.* https://bit.ly/31UCk6C



*ედგარ დეგა, „მდინარის ნაპირი“, 1890 წ.* https://bit.ly/3mZ39Ai



პოლ სეზანი, „ბიბემიუს ქვის კარიერი“, 1895 წ. https://bit.ly/3uBh4iF

იმპრესიონისტი ფერმწერის, ედგარ დეგას პეიზაჟში მთები ადამიანის მწოლიარე ფიგურას ჰგავს, პოსტიმპრესიონისტი პოლ სეზანის მთები კი – ნატურმორტში დაფენილი ქსოვილის ნაკეცებს.

ხედავთ, როგორ იშლება ზღვარი ჟანრებს შორის? აქ უკვე მაყურებლის აღქმაზეა დამოკიდებული, თუ რას დაინახავს.

**დავალების პირობა:**

- თუ პოლ სეზანის „ქურთუკი სკამზე“ ვაშლებს „დაალაგებ“, ქურთუკი აბურდულ სუფრად იქცევა, ხოლო თუ სახლებს მიახატავ, მთიანი პეიზაჟი გამოგივა.
- სახვითი სისტემა, რომელიც სეზანმა შეიმუშავა, უნივერსალურია, ის ჟანრებს შორის „მოგზაურობის“ საშუალებას იძლევა. ქურთუკის ნაკეცებმა შეიძლება უმტკივნეულოდ გაიარონ მეტამორფოზა და პეიზაჟად, ნატურმორტად ან ნიუდ იქცნენ.
- ჩამოტვირთე სეზანის ნამუშევარი კომპიუტერში და გრაფიკული პროგრამით Paint ითამაშე დრაპირების შესაძლებლობებით. აქციე ის სხვა ჟანრის ნაწარმოებად.

ილუსტრაცია ციფრული დავალების შესასრულებლად:



*პოლ სეზანი, „ქურთუკი სკამზე“, 1892 წ.* https://bit.ly/3gpYpCr

**ვარიანტი I**

- ჩამოტვირთე კომპიუტერში სეზანის აკვარელითა და ნახშირით შესრულებული ნამუშევრის „ქურთუკი სკამზე“ ელექტრონული ფაილი.
- გახსენი ფაილი გრაფიკული პროგრამით Paint.
- მენიუდან აირჩიე Free form selection. ამოჭერი ქურთუკის გამოსახულება და დააკოპირე.
- გახსენი ახალი ფაილი პროგრამით Paint.
- ჩასვი ქურთუკის ამოჭრილი და დაკოპირებული გამოსახულება.
- ცალკე ჩამოტვირთე სეზანის რომელიმე ნატურმორტი. ოფციით Resize გამოსახულება სასურველ ზომამდე დააპატარავე.
- ზემოთ აღწერილი გზით ამოჭერი ხილისა და ჭურჭლის დეტალები და დაადე ქურთუკის გამოსახულებას.
- იმისთვის, რომ ამოჭრილ გამოსახულებას მოხსნა ოთხკუთხა ჩარჩო, მენიუში აირჩიე ოფცია Transparent selection (გამჭვირვალე არჩევანი). თუ დეტალი ზედმეტად დიდია, მიიტანე კურსორი არჩეული დეტალის კუთხეში და სასურველ ზომამდე დააპატარავე.
- ამავე წესით გააკეთე მეორე ვერსია, სადაც ქურთუკის გამოსახულებაში ჩასვამ სეზანის რომელიმე პეიზაჟის დეტალებს.
- იმსჯელე, რამდენად მოერგო ქურთუკის გამოსახულება მთიან ფონს პეიზაჟისთვის და დრაპირებულ სუფრას ნატურმორტისთვის. შენი აზრით, რაში მდგომარეობს სეზანის მიერ შემუშავებული სახვითი სისტემა?

სავარაუდო ნიმუშები:







დასასრულ, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს აღორძინების ეპოქის ხელოვანის ალბრეხტ დიურერის მიერ შესრულებულ დრაპირების ჩანახატს. ის იმდენად ზუსტად გადმოგვცემს ნაკეცებს, შუქჩრდილსა და ფაქტურას, რომ მისი „გადაქცევა“ მთებად რთულია. სეზანი გამოსახულებას განაზოგადებს. სწორედ ეს აადვილებს ერთი ჟანრის მეტამორფოზას სხვა ჟანრად.



*ალბრეხტ დიურერი, დრაპირების ჩანახატი, 1506 წ.* https://bit.ly/3uxkK52

დავალების სხვა ვარიანტები (ხელით დასახატი):

**ვარიანტი 2:**

- ამობეჭდე სეზანის „ქურთუკი სკამზე“. ეცადე, დრაპირებაში ადამიანის გამოსახულება „ამოიკითხო“. შენ მიერ აღქმულ გამოსახულებას შავი მარკერით შემოავლე კონტური. თუ საჭიროდ ჩათვლი, მიახატე დეტალები.
- დააკვირდი სეზანის ნახატს. კიდევ რა შეიძლება დაინახო ამ ფორმებში?

**ვარიანტი 3:**

- დაჭმუჭნე ფურცელი ან დააფინე ქსოვილი ისე, რომ ნაკეცები გაიკეთოს. დახატე ორ ვარიანტად. ერთ ნახატზე ხილი დაალაგე, მეორეზე კი სახლები დახატე.
- იმსჯელე, რა პრინციპით „იმოგზაურე“ ჟანრებს შორის.

**ვარიანტი 4:**

- 2 ცალად ამობეჭდე სეზანის აკვარელითა და ნახშირით შესრულებული ნამუშევრის „ქურთუკი სკამზე“ რეპროდუქცია. ერთს მიახატე ხეები და სახლები, მეორეს – ხილი და ჭურჭელი.
- იმსჯელე, რამდენად მოერგო ქურთუკის გამოსახულება მთიან ფონს პეიზაჟისთვის და დრაპირებულ სუფრას ნატურმორტისთვის. შენი აზრით, რაში მდგომარეობს სეზანის მიერ შემუშავებული სახვითი სისტემა?

***დამატებითი ინფორმაცია გაკვეთილისთვის:**

ვასილი კანდინსკი (1866-1944)

კლოდ მონეს „თივის ზვინებმა“ ვასილი კანდინსკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მხატვარი მიხვდა, რომ მონეს მიზანი სულაც არ იყო ზვინის დახატვა. ზვინი მონესთვის მხოლოდ მოსახერხებელი საბაბი იყო იმისთვის, რომ ფერზე სინათლის ეფექტს დაჰკვირვებოდა და ნამუშევარში აესახა.

კანდინსკი კიდევ სამ მნიშვნელოვან მომენტს ასახელებს, რომლებმაც ის აბსტრაქციამდე მიიყვანა.

ერთი – კომპოზიტორ რიხარდ ვაგნერის მუსიკა. როცა კანდინსკიმ ოპერა „ლოენგრინი“ მოისმინა, მიხვდა, რომ მხატვრობას ისეთივე ზემოქმედების ძალა შეიძლება ჰქონდეს, როგორც მუსიკას. კანდინსკი დიდ ყურადღებას უთმობს ფერების სპონტანურ, თავისუფალ თამაშს.

მეორე შემთხვევაზე კანდინსკი გვიამბობს, რომ ოთახში რაღაც ტილომ მიიქცია მისი ყურადღება. მისივე დახატული კი იყო, მაგრამ შორიდან ვერ გაარჩია, რა იყო ზედ გამოსახული. სურათი კედელზე თავდაყირა

ყოფილა მიყუდებული. მაშინ კანდინსკი მიხვდა, რომ სულაც არაა აუცილებელი, ნამუშევარზე ხილული, მატერიალური სამყაროს რაიმე კონკრეტული საგანი იყოს გამოსახული. ესთეტიკურ სიამოვნებას სურათი უკვე მხოლოდ ფერითაც განიჭებს.

კანდინსკი კიდევ ერთ ფაქტს იხსენებს – „ვოლოგდაში რუსი გლეხის მოხატულ ქოხში რომ შევედი, მეგონა, თვით ფერებში შევიჭერიო“. საერთოდ, რუსულმა ხალხურმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა კანდინსკის კოლორიტზე. გერმანიაში ჩასულს თან გაჰყვა ეს კალეიდოსკოპური სიჭრელე. ქალაქ მურნაუს პეიზაჟები ამის ნათელი დასტურია.

პიტ მონდრიანი (1872-1944)

1915 წელს გამოვიდა ერთი ფილოსოფოს-მათემატიკოსის ნაშრომი, „სამყაროს ახალი სახე“, რომელიც მონდრიანს ძალიან მოეწონა. იქ საუბარი იყო იმაზე, რომ დედამიწას ფორმას აძლევს ფუნდამენტური დაპირისპირებები – სიცივე და სიცხე, ჰორიზონტალი და ვერტიკალი და ასე შემდეგ. მონდრიანი სივრცეზე უარს ამბობს და აბსტრაქციაში მარტო ვერტიკალებს და ჰორიზონტალებს ტოვებს. დაპირისპირებული ხაზები და ფერები კონტრასტების დაბალანსებულ ჰარმონიას ქმნის. მონდრიანი ამას „დინამიკურ ეკვილიბრიუმს“ უწოდებდა. ეს ჰარმონია მიღწეულია გულდასმით გამოხაზული ფორმებისა და ფერების წესრიგით და მათი ასიმეტრიული, თუმცა ვიზუალურად გაწონასწორებული ორგანიზებით ცენტრის გარეშე. სიბრტყე მხოლოდ ვერტიკალებით და ჰორიზონტალებითაა დაყოფილი. შავი – გამყოფი ზღვარია. მონდრიანი ამ ხაზების სისწორეზე თურმე თავიდან ძალიან წვალობდა. მერე წებოვანი ლენტის გამოყენება დაიწყო და მის გამომგონებელს ძალიან ემადლიერებოდა.

მონდრიანი შედიოდა გაერთიანებაში „დე სტილ“, ანუ „სტილი“. გაერთიანების მიზანი იყო წონასწორობისა და ჰარმონიის კანონების შემუშავება. „დე სტილის“ წევრებს უნდოდათ, მათი დიზაინით შექმნილი ნივთები, ჩაის ჭიქით დაწყებული, არქიტექტურით დამთავრებული, ყოფილიყო ნათელი და მწყობრი. ამით, მათი აზრით, დედამიწაზე დამყარდებოდა უნივერსალური ვიზუალური და ინტელექტუალური ჰარმონია. მონდრიანს იმედი ჰქონდა, რომ მისი აბსტრაქცია რეალურ სამყაროშიც პოვებდა გამოყენებას და შექმნიდა სრულიად ახალ საცხოვრებელ გარემოს. ეს გარემო უნივერსალური მშვენიერების კანონების მიხედვით იქნებოდა დაგეგმილი. იდეალური ბალანსის მქონე, ის წონასწორობასა და სისუფთავეს მოუტანდა სამყაროს. პიტ მონდრიანის შემოქმედება სიხარულით აიტაცა დიზაინის სამყარომ.

მონდრიანს მინიმუმამდე დაჰყავს სახვითი საშუალებები. მარტო სწორ ხაზებს, სწორკუთხედებსა და ძირითად ფერებს იყენებს – წითელი, ყვითელი, ლურჯი. და ისიც, ლოკალურად, სუფთა სახით, ტონების გარეშე.

მონდრიანის ნეოპლასტიცისტურ ნამუშევრებში შედგენილ ფერებს ვერ ნახავთ – აქ არც მწვანეა, არც იისფერი, არ ნარინჯისფერი. აქრომატული ანუ უფერო ფერებიდან მონდრიანი თეთრს და შავს იყენებს. ის თვლიდა, რომ ამით უნივერსალური ჰარმონიის იდეალური გამოხატვის გზას მიაგნო.

ჯექსონ პოლოკი (1912-1956)

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აბსტრაქციონიზმის ცენტრმა ნიუ-იორკში გადაინაცვლა. ამის მიზეზი ომის პერიოდში ფაშისტური რეჟიმისგან დევნილი ავანგარდისტი მხატვრების მიგრაცია იყო. აბსტრაქციონიზმი სწორედ ამერიკულ არტ-ბაზარზე გამოდგა კომერციულად ყველაზე წარმატებული. შეერთებულ შტატებში განვითარდა აბსტრაქციონიზმის ახალი განშტოებები და გაჩნდა აბსტრაქციონისტთა ახალი თაობა. ამ თაობის შემოქმედებაში მთავარი აქცენტი ნაწარმოებიდან მისი შექმნის პროცესზე გადავიდა - ანუ ნამუშევრის შექმნის პროცესი უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე შედეგი. ეს პროცესი რიტუალს დაემსგავსა. აქედან იღებს სათავეს ე.წ. Action painting ანუ „მოქმედების ფერწერა“.

II მსოფლიო ომის წლებში აშშ-ში შეიქმნა აბსტრაქციული ექსპრესიონიზმის სკოლა. მან თავის მეთოდად გამოაცხადა ეფექტისა და შედეგის გაუთვალისწინებლობა. ამ სკოლის მიმდევრები თვლიდნენ, რომ როცა ხატვას იწყებ, არ იცი, რა გამოვა. ემოციების სრული გამოვლენისთვის ეს მხატვრები დიდი ზომის ტილოებზე ფუნჯებით

ასხამდნენ, აწვეთებდნენ, ღვრიდნენ, აშხეფებდნენ საღებავს. ერთმა არტ-კრიტიკოსმა ზუსტად შენიშნა – მათთვის ტილო სამოქმედო არენააო. „მოქმედების ფერწერის" (Action Painting) ექსპრესიულ მეთოდს და პროცესს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თვით ნახატს.

„მოქმედების ფერწერისთვის" გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაუცნობიერებელ, იმპულსურ, ინტუიციურ და ირაციონალურ მომენტებს. ამ მიმდინარეობის მხატვრებში ძირითადად ვხვდებით შეგრძნებების, განცდების, ემოციების, ტკივილის და ა.შ. გადმოცემას.

ამ მიმართულების მამად ითვლება ამერიკელი მხატვარი **ჯექსონ პოლოკი.**

პოლოკის კომპოზიციებში, ერთი შეხედვით, ყველაფერი დაქსაქსული, ქაოსურია. თვითონ ჯექსონი ამ ხაზებში ხედავდა ლაბირინთს, რომელსაც მაყურებელი, რთული და ხვეული გზით, ბუნებრივი ფორმების ქსელში უნდა შეეყვანა. ტილოზე ხაზები კალიგრაფიული ნაწერივით, ხალიჩისებურადაა განფენილი, თუმცა ერთი შეხედვით ქაოსურ აბლაბუდაში კომპოზიციური კანონზომიერება და წონასწორობა მაინც იგრძნობა. ამ ნამუშევრის შექმნის პროცესი დოკუმენტურ ფილმშია აღბეჭდილი. პოლოკი გარს უვლის ძირს დაფენილი ტილოს, ფუნჯს რიტმულად განმეორებადი მოძრაობებით იქნევს და საღებავს ტილოზე ისე ღვრის, თითქოს რაღაც მაგიურ, შამანურ რიტუალს ასრულებს. მისი მოძრაობები მისტერიის როკვას, ცეკვას ჰგავს. ამ დროს, გეგონება, მხატვრის შინაგანი ჭანჭიკები იქოქება, ზამბარები ხან იკუმშება, ხან იჭიმება, და ის, ამ შინაგან მოძრაობას აყოლილი, გაუცნობიერებლად აფრქვევს თავის ემოციებს ტილოზე. ტილო ამ როკვის მოწმობაა, ვიზუალური ტექსტი, რომელსაც მაყურებელი კითხულობს და გრძნობს იმას, რასაც ამ დროს მხატვარი გრძნობდა. ამაშია აბსტრაქციული ექსპრესიონიზმის არსი.

**დოკუმენტური ვიდეო:** https://www.youtube.com/watch?v=eycL8JMaxRw

| შავი კვადრატი | რესურსი 5 |
|---|---|

- **დავალება** 2 *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი)*
- დაწერე თემა „მალევიჩიდან დღემდე":

თუ დავეთანხმებით კაზიმირ მალევიჩს და მის „შავ კვადრატს" ათვლის ნულოვან წერტილად ჩავთვლით, გამოდის, რომ ხელოვნებაში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი მიგნებები და გამოცდილება დაიწურა აბსოლუტამდე, თეთრ ფონზე გამოსახულ შავ კვადრატამდე. 2015 წ. მალევიჩის „სუპრემატისტულ შავ კვადრატს" 100 წელი შეუსრულდა. მოიძიე ინფორმაცია, დაფიქრდი და უპასუხე კითხვებს:

- რატომ შავი და რატომ კვადრატი?
- რატომაა ფონი თეთრი?
- როგორ განვითარდა, რა სიახლეები გაჩნდა სახვით ხელოვნებაში ამ ასი წლის მანძილზე?
- რა არის ხელოვნება დღეს? გამოთქვი ვარაუდი, რა სახეს მიიღებს ხელოვნება მომავალში.

**დამატებითი ინფორმაცია კაზიმირ მალევიჩის „შავი კვადრატის" შესახებ:**

მალევიჩის შავი კვადრატის ისტორია დაიწყო 1913 წელს ფუტურისტული ოპერის დეკორაციებისა და კოსტიუმების გაფორმებით. ეს იყო პოეტ ალექსეი კრუჩონიხის და კომპოზიტორ მიხაილ მატიუშინის დადგმა – „მზის დამარცხება". მალევიჩის ჩანაფიქრით, ერთ-ერთ აქტში, ფონურ დეკორაციაზე, ჩნდებოდა დიდი შავი კვადრატი, რომელიც მზეს ეფარებოდა და სიმბოლურად ამარცხებდა მას. ეს იყო თავისებური ბუნტი ხელოვნებაში.

მართალია, „შავი კვადრატი" 1915 წელს შეიქმნა, მალევიჩმა ის 1913 წლით, იდეის გაჩენის დროით დაათარიღა.

**რატომ კვადრატი?**

იმიტომ, რომ, ისევე როგორც წრე, ეს არის ერთ-ერთი საბაზისო ფორმა. თუ კვადრატს დააბზრიალებ, ის წრედ მოგეჩვენება.

**რატომ შავი?**

იმიტომ, რომ შავი ნთქავს ყველა სხვა ფერს.

შავი ფერისთვის სიღრმე რომ მიენიჭებინა, მალევიჩმა სხვადასხვა ელფერის (მომწვანო, მოყავისფრო და ინტენსიური) შავი ფერი იხმარა. ცარცივ გაურია, რომ ზეთის საღებავისთვის დამახასიათებელი სიპრიალე ჩაექრო. შედეგად, ეს სიშავე შავი ხვრელივით ისრუტავს მზერას.

- **დავალება 3** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
- მოიძიე და იხელმძღვანელე კაზიმირ მალევიჩის ან ელ ლისიცკის ნამუშევრებით და შექმენი მცირე ზომის სამგანზომილებიანი კონსტრუქცია სუპრემატიზმის პრინციპების დაცვით.

**<u>ნაბიჯი 4</u>**

| 21. ფერი და მეტი არაფერი | **რესურსი 6** |
|---|---|

*ვინაიდან სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ილუსტრაციები მათი ზომისა თუ ბეჭდვის ხარისხის გამო სრულად ვერ შეუქმნიან მოსწავლეებს სასურველ შთაბეჭდილებას ხელოვანის შემოქმედების შესახებ, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი შესთავაზებს მათ მარკ როტკოს ნამუშევრების დათვალიერებას შემოთავაზებულ ინტერნეტ გვერდზე: https://artchive.ru/markrothko/works/p:2

- **დავალება -მსჯელობა:**
- ტექსტის წაკითხვამდე დააკვირდი მარკ როტკოს ნამუშევრებს და თარიღებს. როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში მისი ფერწერა?
- როგორ ფიქრობ, რაზე თქვა უარი როტკომ?

- **დავალება 1, მსჯელობა:**
- მოიძიე ინტერნეტში როტკოს „ფიქრის კაპელას“ ფოტოები. იმსჯელე, რა ნიშნით შეესაბამება როტკოს ფერწერა კაპელას დანიშნულებას?

**სავარაუდო პასუხი:** აშშ-ის ტეხასის შტატის ქ. ჰიუსტონში პატარა „ფიქრის ტაძარი“ მდებარეობს. მისი დანიშნულებაა განსხვავებული სარწმუნოებებისა და შეხედულებების მქონე ადამიანთა შერიგება. კაპელას კედლებზე მარკ როტკოს მიერ შესრულებული, მოიისფრო-მოლურჯო ფერწერული ტილოები კიდია. მათი ფერი მომნუსხველად მოქმედებს მნახველზე. ქრისტიანი, იუდეველი, მუსლიმი თუ ბუდისტი გვერდიგვერდ სხდებიან, ფიქრებში იძირებიან, მშვიდდებიან და ამ უცნაური სივრციდან უფრო კეთილები და მიმტევებლები გამოდიან.

**შეკითხვა:**

- როგორ ფიქრობ, რატომ იყო მარკ როტკო წინააღმდეგი, რომ მისი ნამუშევრები ჩარჩოში ჩაესვათ?

**სავარაუდო პასუხი:** ჩარჩო ნამუშევარს „ჩაკეტავდა“, როტკოს კი სურდა, ფერი შეუზღუდავად გადმოღვრილიყო სივრცეში.

- **დავალება 2, კვლევა:**
  - მალევიჩმა „შავი კვადრატით“ საუკუნეების განმავლობაში ხელოვანთა სახვითი ძიებების შედეგად დაგროვილი გამოცდილება აბსოლუტურ ნულამდე დაიყვანა. ნულზე გაჩერება ხომ გაყინვის ტოლფასია!
  - რა იყო მანამდე და საით წავიდა მხატვარი მერე?
  - გაეცანი კაზიმირ მალევიჩის შემოქმედებით ბიოგრაფიას. მისი მხატვრობის საკვანძო სურათებით შექმენი ციფრული გალერეა „მალევიჩის დროის ხაზი“.

**კაზიმირ მალევიჩის შემოქმედება:** http://bit.ly/3rIQkeE

- **დავალება 3** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - დააკვირდი მალევიჩის ავტოპორტრეტს. რომელი ეპოქის გავლენა იკითხება ამ სურათში?
  - რა მხატვრული ხერხები განასხვავებს მას მისივე „გლეხი ქალებისგან“?

**სავარაუდო პასუხი:**

ავტოპორტრეტზე მალევიჩს აღორძინების ხანის კოსტიუმი აცვია. ის რენესანსულ ადამიანად აღიქვამს თავს. ხელის წარდგენითი ჟესტით თავდაჯერებულ, თავმომწონე, წარმატებულ პიროვნებად თავს გვაცნობს.

ავტოპორტრეტის მოცულობები შუქჩრდილითა და ტონალური გრადაციით რეალისტურია. თუმცა, ნეიტრალურ თეთრ ფონზე მკვეთრი ფერადოვანი გადაწყვეტა დეკორაციულ ელფერს ანიჭებს ნაწარმოებს. ასეთივე დეკორაციულია „გლეხი ქალების“ კოლორიტი. 1928 წლისა გლუვი ცილინდრული ფორმებით ხასიათდება, ხოლო 1929 წლისა – სიბრტყობრივით. ერთი მხრივ, ეს ხატწერის პირობითი, სიბრტყობრივი სახვითი ენისკენ მიბრუნების გამო ხდება, მეორე მხრივ – სივრცის უგულებელყოფის სურვილის გამო. ხატწერასთან გადაძახილს მალევიჩის ავტოპორტრეტის ჟესტიც ქმნის – ზუსტად ასეთი ჟესტით წარუდგენს კაცობრიობას ღვთისმშობელი ჩვილ ქრისტეს შუა საუკუნეების „ოდიგიტრიის“ იკონოგრაფიულ ტიპის ხატებზე. ღვთისმშობელი მიგვანიშნებს, რომ ქრისტეს მოძღვრება სულიერი ხსნის ერთადერთი გზაა. რაზე მიგვანიშნებს მალევიჩი? იქნებ იმაზე, რომ მან ხელოვნებაში ახალი, მისი რწმენით, ერთადერთი სწორი გზა გვიჩვენა?

**ილუსტრაციები შედარებისთვის:**

1. 
2. 
3. 
4. 

5.  6.  7.  8. 

1. კაზიმირ მალევიჩის ავტოპორტრეტი; 2. სმოლენსკის ღვთისმშობლის ხატი (ოდიგიტრიის იკონოგრაფიული ტიპი), ხატმწერი დიონისი, 1500 წ. 3. ბოტიჩელი, მამაკაცის პორტრეტი; 4. ბოტიჩელი, ყმაწვილის პორტრეტი; 5. რაფაელი, პიეტრო ბემბოს პ-ტი; 6. რაფაელის სკოლა, უცნობის პ-ტი; 7. ანდრეა მანტენია, პადუა, ფრესკის ფრაგმენტი; 8. ფილიპინო ლიპი, ყმაწვილის პ-ტი.

- **დავალება 4** (პრაქტიკული სამუშაო):
- მარკ როტკოს ინტერპრეტაციების მიხედვით შეარჩიე შენი საყვარელი მხატვრის სურათი და დახატე საკუთარი ინტერპრეტაცია ისე, რომ მხოლოდ ფერებით გამოხატო სურათის არსი, მისი „სული“ და ხასიათი.

**მარკ როტკოს ერთ-ერთი ინტერპრეტაცია და შემოქმედება:** https://bit.ly/3tx3DA1 , https://bit.ly/3svrsaf

**ვერა ფაღავა** **რესურსი 7**

*ვინაიდან სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ილუსტრაციები მათი ზომისა თუ ბეჭდვის ხარისხის გამო სრულად ვერ შეუქმნიან მოსწავლეებს სასურველ შთაბეჭდილებას ხელოვანის შემოქმედების შესახებ, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი შესთავაზებს მათ ვერა ფაღავას ნამუშევრების დათვალიერებას შემოთავაზებულ ინტერნეტ გვერდებზე. მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ფორმებზე, ფერებზე, ფაქტურებზე, კომპოზიციის წყობაზე და იმსჯელონ მიღებულ შთაბეჭდილებაზე.

ვერა ფაღავას შემოქმედებაზე საუბრისას შეიძლება დაისვას შემდეგი შეკითხვები:

- რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ხელოვანის შემოქმედებამ?
- რომელი პერიოდის ნამუშევრები მოგეწონა მეტად და რატომ?
- რომელ მიმდინარეობას/სტილს მიაკუთვნებდი ვერა ფაღავას სურათებს და რა ნიშნით?

**დამატებითი ბიოგრაფიული მასალა**
http://idaaf.com/ka/vera-pagava/
https://bit.ly/3nsemtu

**ვერა ფაღავას შემოქმედება:** http://idaaf.com/ka/vera-pagava/
https://awarewomenartists.com/en/artiste/vera-pagava/

**ნაბიჯი 5**

22. სატელიტური პეიზაჟი **რესურსი 8**

- **დავალება** - მსჯელობა:
  - რას უნდა ნიშნავდეს „სატელიტური პეიზაჟი“? როგორ ფიქრობ, როგორ გამოიყურება დედამიწა კოსმოსიდან? გინახავს ასეთი ხედები?
  - გადახედე ილუსტრაციებს. რას გაგონებს ისინი?

**დამატებითი ინფორმაცია:**

კაზიმირ მალევიჩს უთქვამს, რომ მისი ხედვა ავიაციასთანაა დაკავშირებული. თვითმფრინავიდან ნებისმიერი ლანდშაფტი აბსტრაქტულ ფიგურებად იქცევა. შორი მანძილიდან ხომ საგნის კონკრეტულობა იკარგება.

პიტ მონდრიანმა თითქოს იწინასწარმეტყველა ქალაქის შორეული ზედხედის აბსტრაჰირებული სახე. დააკვირდი, როგორ ქუჩად წარმოგიდგენია ბროდვეი და რატომ? რა ხერხითაა გადმოცემული ადგილის ხასიათი?



*პიტ მონდრიანი, „ბროდვეის ბუგი-ვუგი“, 1942-43 წწ.* https://bit.ly/3sQbWXH



*აშშ, კანზასის შტატის სოფლის სატელიტური ხედი:* https://bit.ly/3392Qdf

***ბენ ჯოისის ნამუშევრები:*** https://painterofplace.com/new-products-1
https://painterofplace.com/limited-editions-bodies-of-water
https://painterofplace.com/limited-editions
***მარკ ბრედფორდის*** ნამუშევრები:
https://www.artsy.net/artist/mark-bradford?page=1&sort=-partner_updated_at
https://saatchigallery.com/artist/mark_bradford
ჯონ ოლსენის ნამუშევრები: https://www.olsengallery.com/available.php?artist_id=1
***ჯენი ოდელის*** ნამუშევრები: http://bit.ly/2MTySVW (ჯენი ოდელი სატელიტურ ფოტოებს ჭრის და ამ ნაკუწებით აკეთებს დეკუპაჟს).

- **დავალება 1, აბსტრაქცია „სატელიტური პეიზაჟი“** (პრაქტიკული სამუშაო):
  - ინტერნეტში მოიძიე სატელიტური ან აეროფოტოები. შერჩეული სურათის მიხედვით, ნებისმიერი მასალითა და ტექნიკით შექმენი აბსტრაქცია „სატელიტური პეიზაჟი“.

- ნამუშევარი შეგიძლია დახატო ხელით ან დაამუშაო კომპიუტერული პროგრამით. ასევე, იმუშაო აპლიკაციის, კოლაჟის ან შერეული ტექნიკით.
- ეცადე, აბსტრაქციულ ნამუშევარში გადმოსცე ფოტოზე ასახული ადგილის იერი. სახვითი საშუალებებისა და ხერხების (მაგ., ხაზი, ფერი, ფორმა, ფაქტურა, განმეორებადი ფორმები, კომპოზიციური განაწილება) გამოყენებით მიაღწიო სასურველ ეფექტს.

**წარდგენისას იმსჯელე:**

- როგორ ფიქრობ, რამ მოხიბლა ხელოვანები სატელიტურ ფოტოებში იმდენად, რომ შეიქმნა ახალი მიმართულება სახვით ხელოვნებაში? მოიყვანე რამდენიმე მაგალითი.
- რამ და რატომ მოგხიბლა?
- რა სახვითი საშუალებები და ხერხები გამოიყენე სასურველი ეფექტის მისაღწევად?
- რა მასალა და ტექნიკა შეარჩიე შენი აბსტრაქციისთვის და რატომ?
- რა არის შენი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეები?
- რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?

**კითხვარი რეფლექსიისთვის:**
შეჯამება დღევანდელი გადასახედიდან:

- აქამდე რა იცოდი სატელიტური პეიზაჟის შესახებ?
- ადრე გაგიკეთებია რაიმე მსგავსი? რა გამოცდილება მიიღე მაშინ?
- რომელი ხელოვანის სატელიტური პეიზაჟები მოგეწონა და რატომ?
- შენი ნამუშევრისთვის სატელიტური ან აეროფოტოს შერჩევისას როგორი ფოტოები მოგეწონა? რა აქვთ მათ საერთო? რა იქცევდა ამ ფოტოებზე შენს ყურადღებას? ქაოსი თუ წესრიგი? გეომეტრიული თუ ბუნებრივი ფორმები? ფორმები უფრო მეტად თუ ფერადოვნება? სიჭრელე თუ მონოქრომულობა? რა შეიტყვე ამ პროცესში საკუთარი გემოვნების შესახებ?
- რომელი მასალა და ტექნიკა შეარჩიე საცდელი ესკიზებისთვის (აკვარელი, გუაში, ფანქარი, ბუნებრივი და ხელოვნური, ტრადიციული თუ უჩვეულო, მეორადი მასალა, კოლაჟი, აპლიკაცია, ციფრული ტექნოლოგიები) და რამ განაპირობა შენი არჩევანი?
- გაამართლა თუ არა მასალისა და ტექნიკის არჩევანმა?
- თავდაპირველი ჩანაფიქრიდან საბოლოო პროდუქტამდე როგორ შეიცვალა შენი ნამუშევარი და რამ განაპირობა ეს ცვლილებები?
- რა მოგწონს შენს ნამუშევარში და რას შეცვლიდი, ხელახლა რომ აკეთებდე?
- მუშაობის პროცესში რა გაგიადვილდა და რა გაგიჭირდა ყველაზე მეტად? როგორ დაძლიე დაბრკოლებები?
- რას ფიქრობენ სხვები შენს ნამუშევარზე? ემთხვევა თუ არა მათი აზრი შენსას? რას ეთანხმები და რას – არა?
- მასწავლებელი რომ იყო, როგორ შეაფასებდი შენი მუშაობის პროცესსა და შედეგს?
- ამ პროექტზე მუშაობის შედეგად რაიმე სამომავლო იდეა თუ გაგიჩნდა? რაში მდგომარეობს ის?
- როგორ ფიქრობ, საკმარისი ძალისხმევა მოანდომე ამ პროექტზე მუშაობას?
- რამ უფრო დიდი სიამოვნება მოგანიჭა – მუშაობის პროცესმა თუ შედეგმა? რატომ?

**დამატებითი ილუსტრაციები დავალებისთვის:**
*დედამიწის სატელიტური ფოტოები:*
https://bit.ly/3piyeP7

*იან არტუს-ბერტრანის (Yann Arthus-Bertrand* http://www.yannarthusbertrand.org/
*სხვა ფოტოხელოვანების:*
https://mymodernmet.com/aerial-photography/ *და* https://photografeed.com/famous-aerial-photographers

**თემის ზოგადი რესურსები:**

ქართული დაზგური ფერწერა (XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან 1920-იან წლებამდე), ი. არსენიშვილი, 2009 წ;
ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები, მ. ციციშვილი, ნ. ჭოღოშვილი, 2013 წ; ელ. ვერსიის ბმული: https://bit.ly/31GZOfm ან: https://el.ge/articles/537591 და: https://el.ge/articles/537663
ქართული მოდერნიზმი 1910-1930, მ. ციციშვილი, ნ. ჭოღოშვილი, დ. თუმანიშვილი, ლ. მაგაროტო, 2013 წ. https://el.ge/articles/537587
სტატიები ქართული მოდერნიზმის შესახებ: http://modernism.ge/index.php?action=0&lang=geo

**ტელესკოლა:**
ანა კლდიაშვილი: https://1tv.ge/user/anakldiashvili/
ნინო ხუნდაძე: https://1tv.ge/user/ninokhundadze/
თამარ მელიქიშვილი: https://1tv.ge/user/tamarmelikishvili/

**შეფასების კრიტერიუმები:**

- აანალიზებს, რა უბიძგებდა ადამიანს ახლის ძიებისკენ ხელოვნებაში, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი (ს.გ.საბ.3,4);
- აანალიზებს, რა ცვლილებები განიცადა ხელოვნებამ და მსჯელობს მათ გამომწვევ მიზეზებზე (ს.გ.საბ.3,4);
- აანალიზებს თანამედროვე ხელოვნებას (მხატვრული მიმდინარეობები, სტილები, ფორმები/დარგები) და მის გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს რამდენიმე ნიმუშის მაგალითზე (ს.გ.საბ.3,4);
- ჩანაფიქრის შესაბამისად ქმნის ნამუშევარს თანამედროვე ხელოვნების მიდგომების (სტილი, მასალა, ტექნიკა, კონცეფციები, პრინციპები და სხვ.) გამოყენებით (ს.გ.საბ.1,2);
- შეარჩევს თანამედროვე ხელოვნების სასურველ ფორმას და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, წარმოდგენის მიმართ (ს.გ.საბ.1,2,4).

**შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალებისთვის „XX ს-ის სახვითი გრამატიკა“**

საგანი: ხელოვნება

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------

საკითხები/ქვეცნებები:

**სახვითი საშუალებები და პრინციპები:** მოსწავლის არჩევანით

**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:** მოსწავლის არჩევანით

**კომპლექსური დავალების „XX ს-ის სახვითი გრამატიკა“ პირობა:**

შექმენი XX ს-ის რომელიმე მიმდინარეობის ერთი ნაწარმოების შენებური ინტერპრეტაცია, რომელშიც გამოიყენებ შერჩეული მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ სახვით ენას.

მოაწყვეთ ერთობლივი გამოფენა „XX საუკუნის ხელოვნების სახვითი გრამატიკა“, რომელზეც წარმოადგენთ თქვენს ნამუშევრებს.

**წარდგენისას იმსჯელე:**

- მიმდინარეობის ისტორიულ კონტექსტზე;
- მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ სახვით ენაზე;
- ხელოვანის შემოქმედებით თავისებურებებზე;
- როგორ გამოიყენე შენს ინტერპრეტაციაში მიმდინარეობის, ხელოვანისა და კონკრეტული ნაწარმოების სახვითი მახასიათებლები (სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები)?
- რაში მდგომარეობს შენი ინტერპრეტაცია (ორიგინალისგან განსხვავებული ხედვა)?
- რა იყო ყველაზე რთული და როგორ დაძლიე ეს სირთულე?
- რა არის შენი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეები ?
- რა უნდა ისწავლო/განივითარო იმისთვის, რომ სუსტი მხარეები დაძლიო?

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | სახვითი საშუალებები და ხერხები: | სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები: |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. განსახილველ საკითხს უკავშირებს პირად გამოცდილებას. | სიღრმისეულად და ამომწურავად მსჯელობს მის მიერ შერჩეული ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ისტორიულ კონტექსტზე და ყველა არსობრივ მახასიათებელზე.<br>მხატვრული მახასიათებლების მიხედვით, სიღრმისეულად და ამომწურავად ადარებს შერჩეულ ნაწარმოებს საკუთარ ნამუშევარს; გამოხატავს დამოკიდებულებას და ასაბუთებს თავის ინტერპრეტაციას მრავალფეროვანი არგუმენტებით.<br>დავალებაში დასახული ამოცანის გადასაჭრელად დამოუკიდებლად, მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს. სიღრმისეულად ესმის მათი ურთიერთკავშირი. ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა. | |

| | | |
|---|---|---|
| **მიმართებითი დონე**<br><br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | ადეკვატურად და საინტერესოდ იყენებს სახვით საშუალებებსა და ხერხებს.<br>ესმის მათი ურთიერთკავშირი. | გონივრულად მსჯელობს მის მიერ შერჩეული ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ისტორიულ კონტექსტზე და უმეტეს არსობრივ მახასიათებელზე.<br>მხატვრული მახასიათებლების მიხედვით, ადარებს შერჩეულ ნაწარმოებს საკუთარ ნამუშევარს; ასაბუთებს თავის ინტერპრეტაციას რამდენიმე არგუმენტის მეშვეობით. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | მასწავლებლის დახმარებით შეუძლია მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება. | მსჯელობს მის მიერ შერჩეული ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების რამდენიმე ისტორიულ ასპექტზე და რამდენიმე არსობრივ მახასიათებელზე.<br>რამდენიმე მხატვრული მახასიათებლის მიხედვით, ადარებს შერჩეულ ნაწარმოებს საკუთარ ნამუშევარს; მწირი არგუმენტების მეშვეობით ასაბუთებს თავის ინტერპრეტაციას. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | მასწავლებლის დახმარებითაც კი უჭირს სახვითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება დავალებაში დასახული ამოცანის გადასაჭრელად. | ასახელებს მის მიერ შერჩეული ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ერთ ისტორიულ ასპექტს და ერთ არსობრივ მახასიათებელს.<br>ერთი მხატვრული მახასიათებლის მიხედვით, ადარებს შერჩეულ ნაწარმოებს საკუთარ ნამუშევარს; ასაბუთებს თავის ინტერპრეტაციას ერთი არგუმენტის მეშვეობით. |
| **პრესტრუქტურული დონე**<br><br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება დასახულ ამოცანას. | ვერ ასახელებს მის მიერ შერჩეული ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების ვერცერთ ისტორიულ ასპექტს და ვერცერთ არსობრივ მახასიათებელს.<br>ვერ ადარებს შერჩეულ ნაწარმოებს თავის ნამუშევარს;<br>არ ესმის ინტერპრეტაციის არსი. |
| **მასწავლებლის კომენტარი:** | | |

თემატური მატრიცა 4

**თემატური ბლოკი:** **საზოგადოება და ხელოვნება**
**თემა:** **ხელოვანი და სახელმწიფო**
**გაკვეთილები:** **23-26** **საათების რაოდენობა:** **7+1 სთ.**

**საміზნე ცნებები და ქვეცნებები:**
**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები:** ხაზი, კონტური, ფერი (ძირითადი, კონტრასტული), ფორმა, ფონისა დ გამოსახულების ურთიერთმიმართება. კომპოზიციური განაწილება, მასშტაბი, კონტრასტი, აქცენტი.
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** გრაფიკა და მათი ტექნიკები, კოლაჟი, ფოტოგრაფია, ციფრული ტექნოლოგიები.
**ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი და მისი მხატვრული მახასიათებლები:** XX ს-ის ხელოვნება, სოცრეალიზმი, აბსტრაქცია, ავანგარდი, კონცეპტუალიზმი

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**
- სახელმწიფოს შეუძლია ნოყიერი ნიადაგი შეუქმნას ხელოვნებას ან შეზღუდოს მისი თავისუფალი ნება.
- ხელოვანი პასუხობს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს ხან კრიტიკული, ხან ნეიტრალური დამოკიდებულებით, ხან კი ხოტბას ასხამს სახელმწიფო წყობას.
- ხელოვნება საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა. ის ამკვიდრებს დამოკიდებულებებს, იდეებს, პოზიციებს სხვადასხვა პრობლემის მიმართ.
- ხელოვნება არის თვითგამოხატვისა და იდეის გაზიარების მძლავრი საშუალება.
- სახვითი საშუალებებისა და ხერხების მიზანმიმართული გამოყენებით მე შემიძლია გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხისადმი.

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**
- რა როლს შეიძლება ასრულებდეს სახელმწიფო ხელოვნებასთან და ხელოვანთან მიმართებაში?
- როგორი შეიძლება იყოს ხელოვანის საპასუხო რეაქცია სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებზე?
- რა როლი შეიძლება ჰქონდეს ხელოვნებას საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაში და რა ხერხებით ზემოქმედებს ის ადამიანებზე?
- რა როლი შეიძლება ჰქონდეს ხელოვნებას პიროვნების ცხოვრებაში?
- როგორ შემიძლია ნამუშევრით გამოვხატო ჩემი პოზიცია მიმდინარე მოვლენებისადმი?

| **სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **ქვეცნებები:**<br>**კომპლექსური დავალება 4**<br><br>**სახვითი საშუალებები და ხერხები:**<br>ხაზი, კონტური, ფერი (კონტრასტული), ფორმა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება; კომპოზიციური განაწილება, მასშტაბი, კონტრასტი, აქცენტი.<br>**მასალა და ტექნიკა:**<br>კოლაჟი, ფოტოგრაფია, ხატვა, ციფრული ტექნოლოგიები (მოსწავლის არჩევანით) | **საკვანძო შეკითხვები:**<br>**კომპლექსური დავალება 4**<br>როგორ შემიძლია ნამუშევარში გამოვხატო ჩემი პოზიცია რაიმე საკითხისადმი?<br>სახვითი საშუალებებისა და ხერხების რა მახასიათებლები შეესაბამება პოსტერის დანიშნულებას?<br>სახვითი საშუალებებისა და ხერხების რომელი მახასიათებლები გამომადგება სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად?<br>რა მასალა და ტექნიკა გამომადგება ნამუშევარში ჩემი სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად? | **კომპლექსური დავალებები** *(შუალედური სასწავლო მიზნები)*<br><br>**პოსტერი შემოქმედებითი თავისუფლების თემაზე**<br><br>პოსტერი თემაზე: „შემოქმედებითი თავისუფლება", რომელშიც გამოჩნდება მოსწავლის პოზიცია ხელოვანის თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიმართ. |
|---|---|---|---|

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** ***(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)***

- ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს;
- სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასებისას.

**სახვითი ხელოვნების ტექნიკა** ***(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)***

- ხელოვანი მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;
- კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.

<u>**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები)**</u>

<u>**ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**</u>

**კომპლექსური დავალება 4:** პოსტერი შემოქმედებითი თავისუფლების თემაზე

დავალების პირობა:

შესაფერისი სახვითი საშუალებებითა და ხერხებით შექმენი პოსტერი შემოქმედებითი თავისუფლების თემაზე, რომელშიც გამოხატავ შენს დამოკიდებულებას ხელოვანის თვითგამოხატვის თავისუფლების ხელყოფის მიმართ.

მოიფიქრე შენი პოზიციის გამომხატველი მოკლე, ლაკონიური ფრაზა, ლოზუნგი, მოწოდება.
გააფორმე პოსტერი კოლაჟით ან შენი ნახატით.

ამისათვის:

გაიხსენე პოსტერის დანიშნულებისთვის შესატყვისი მხატვრული მახასიათებლები და დაფიქრდი, სახვითი საშუალებებისა და ხერხების რომელი თავისებურებები დაგეხმარება, რომ სასურველ ეფექტს მიაღწიო?
დაფიქრდი, რა მასალა და ტექნიკა გამოგადგება დასახული მიზნის მისაღწევად?
ტექსტი, რომელსაც პოსტერზე განათავსებ, დაწერე შენ მიერ შექმნილი ქართული შრიფტით.

წარდგენისას ისაუბრე:

- რა იდეას გამოხატავს შენი ნამუშევარი?
- პოსტერისთვის შესაფერისი რა სახვითი საშუალებები და ხერხები გამოიყენე და რა ეფექტი მიიღე?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე პოსტერში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად და რატომ?
- შრიფტის რა მახასიათებლები გამოიყენე შენ მიერ შექმნილ ქართულ წარწერაში?
- რა იყო ამ პროექტის მთავარი სირთულე და როგორ დაძლიე ის?
- რას და როგორ შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?

დამატებითი რეკომენდაციები კომპლექსური დავალების შესასრულებლად:

- გამოიყენე შორიდან აღქმადი კონტრასტული, ლოკალური (ერთგვაროვანი) ფერები;
- ფორმებს შემოავლე მკაფიო კონტურები;
- დაიცავი ტექსტისა და გამოსახულებების თანაფარდობა.
- მიაქციე ყურადღება ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართებას.

*მინიშნება მასწავლებელს:

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს განუმარტოს, რომ გამოხატვის თავისუფლებასაც აქვს თავისი ზღვარი: ნამუშევრის ფორმამ ან მასში ჩადებულმა იდეამ არ უნდა შეურაცხყოს სხვისი მრწამსი. პოზიცია უნდა აშუქებდეს ზოგადად პრობლემას.

*მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, პოსტერის პარალელურად ან ნაცვლად, მოსწავლეებმა შეიძლება დაამზადონ მცირე ზომის ღია ბარათები. ამ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ ნამუშევრის ზომა. დავალების დანარჩენი მოთხოვნები უცვლელად რჩება.

| | |
|---|---|
| **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** ***(შედეგები: ს.გ.საშ.1, 2, 3, 4)***<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით;<br>• ხელოვნების დარგებსა და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.<br><br>**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები** | <u>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა</u><br><br><u>ნაბიჯი 1:</u><br><br>გაკვეთილი 23. „ფიროსმანი“ **რესურსი 1**<br><br>*ეს გაკვეთილი მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა გააცნობიერონ ხელოვანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების მიერ შემოქმედის აღიარება/არაღიარება. ასევე, ფიროსმანის შემოქმედების ღრმად გაცნობა, მისი უნიკალურობის, მსოფლიო ხელოვნებაში ფიროსმანის ადგილისა და მნიშვნელობის გაცნობიერება.<br><br>• **დავალება - მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*<br>· რა განსაზღვრავს საზოგადოების მიერ ხელოვანის აღიარებას - სახელმწიფოსგან მხარდაჭერა, დადებითი კრიტიკა, მოდა თუ კოლეგების მხრიდან დაფასება?<br>· გადახედე ილუსტრაციებს. შენი აზრით, რითია ფიროსმანის შემოქმედება გამორჩეული?<br>· ახსენი, რატომ მიაკუთვნებენ მას ნაივურ ხელოვნებას?<br><br>**დამატებითი ინფორმაცია:**<br>ქართულ მხატვრობაში ფიროსმანი ისეთივე დიდი ფიგურაა, როგორც რუსთაველი ლიტერატურაში. ნიკო ფიროსმანაშვილი არის ის იშვიათი შემთხვევა, როცა ხელოვანი სახელმწიფოს, საზოგადოების ყურადღების მიღმა, შეუმჩნეველი, დაუფასებელი, მაგრამ დამოუკიდებელია. რომ არა შემთხვევა, ფიროსმანის შემოქმედება, რომელიც დღეს მსოფლიო მხატვრობაში საპატიო, მეტიც, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, შესაძლოა საზოგადოებისთვის უცნობად დარჩენილიყო.<br>ფიროსმანის ცხოვრება დაემთხვა ქართული საერო მხატვრობის ჩამოყალიბების პერიოდს. პროფესიული განათლების მქონე ქართველი მხატვრებისა და მოქანდაკეების პირველი ნაბიჯები იმდენად თამამი და მძლავრი აღმოჩნდა, რომ უმალ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ინტერესის ცენტრში მოექცა სამყაროს რეალისტურად ასახვის მხატვრული ხერხების ათვისება. ეს იყო სიახლე და, შესაბამისად, ქართველ ხელოვანთა აღტაცების საგანი და მათ მიერ აღებული გეზი. ამ პირობებში თვითნასწავლი მხატვრის პირობითი ენა საზოგადოების ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. ფიროსმანს არც ევროპული განათლება მიუღია და არც ევროპული მხატვრობის გაცნობის საშუალება ჰქონია. არადა, სწორედ იმ ფაქტმა, რომ ფიროსმანი თვითნასწავლი მხატვარი იყო, განაპირობა მისი მიგნებების, ხელწერის უნიკალურობა.<br><br>**ფიროსმანის მხატვრობის სახასიათო ნიშნები:**<br>ჟანრული მრავალფეროვნება; ფრონტალურობა, სტატიკური პოზები; მკვეთრი, კონტრასტული, ჟღერადი ფერები; მონოლითური ფორმები; რამდენიმე მონასმით მონიშნული გამოსახულება; კონტურული ხაზი; პირობითი შუქჩრდილი და კონტრასტული, ცივი განათება.<br><br>**ნაწყვეტი თემო ჯაფარიძის წიგნიდან „ნიკო ფიროსმანი – ცხოვრება და შემოქმედება“:**<br>„...ფიგურების მძლავრი ფორმები და ფორმების ფერით ნაჯერობა ბევრ ცნობილ მოდერნისტ მხატვარს შეშურდებოდა. ცხოველების იერსახეები ველურობისა და სიწმინდის საოცარ სინთეზს შეიცავენ. ისინი კლდესავით მაგრები არიან და ყვავილებივით ფაქიზები. მათი ფორმების პირველყოფილი სიმყარე ურყევი იმედის შეგრძნებას წარმოშობს, ფორმის პრიმიტივისტული დეფორმაცია ამ ნახატებში უპირატესობის მქონე მხატვრულ ენას ქმნის და მნახველს არ უჩნდება მოთხოვნილება, რომ ფიგურები ნატურალისტურად იყოს დახატული.<br>...მართალია, უბრალო ხალხს, ვინც მის ნახატებს ნახულობდა, ნაკლებად ესმოდათ მხატვრობის საიდუმლოებები, მაგრამ გაუცნობიერებლად უთუოდ განიცდიდნენ იმ დიად სიმძლავრეს და სიწმინდეს, რომელიც ნიკოს ნახატებიდან მოედინებოდა ესთეტიკური დენივით. მათ არ იცოდნენ, რომ იმავე ხანებში ფრანგი პოსტიმპრესიონისტები სწორედ ავტონომიური პრიმატის შექმნას ესწრაფოდნენ და ამით ფიროსმანის მეთოდის აბსოლუტურად შესატყვის ესთეტიკურ იდეალს აყალიბებდნენ, თორემ თვალისჩინივით მოუფრთხილდებოდნენ ნიკოს ნახატებს. |

| | |
|---|---|
| ***(შედეგები: ს.გ.ხახ.1, 2, 3, 4)***<br>• ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);<br>• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ურთიერთზეგავლენა;<br>• ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება. | 1912 წლის გაზაფხულზე ძმებმა ზდანევიჩებმა მიშელ ლე დანტიუ თბილისის დასათვალიერებლად წაიყვანეს. დიდი ხნის სიარულის შემდეგ ვაგზლის მოედანზე, სამიკიტნო „ვარიაგში“ შევიდნენ მოსასვენებლად. შესასვლელზე მიმაგრებული იყო ფიროსმანის დახატული აბრა. აბრაზე კრეისერი „ვარიაგი“ იყო გამოსახული ბრძოლის პროცესში. მიკიტანმა სუფრა გაუწყო მოშივებულ სტუმრებს. მიშელ ლე დანტიუმ სხვა მაგიდებთან მჯდომარენი შეათვალიერა, მერე კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებზე გადაიტანა ყურადღება. დაინტერესდა, დაჟინებით დააცქერდა თითოეულ მათგანს. აღფრთოვანებაში მოვიდა. ძმები ზდანევიჩები მოშვებულები ისხდნენ. მიშელ ლე დანტიუმ ჩამოუარა ნახატებს და მერე აღტაცებით მიმართა ძმებს: „ეს ხომ თანამედროვე ჯოტოა, ნამდვილი ჯოტო!“ ამ ფრაზამ იხსნა ფიროსმანის მხატვრობა. იგი შესაფერისად დანახულ იქნა. ახლა კი ძმებიც გამოცოცხლდნენ. ნახატებს მიაცქერდნენ.<br>მიშელ ლე დანტიუმ, როგორც ფრანგებს სჩვევიათ, თავის გამოთქმაში – „თანამედროვე ჯოტო“ მნიშვნელობათა მთელი წყობა ჩააქსოვა. ამ გამოთქმაში, ახალი მხატვრული ეპოქის ინსტინქტური პრიმატის მქონე ფორმისკენ ლტოლვის გარდა, აღნიშნული იყო ფიროსმანის მხატვრობის რეფორმატორული ბუნებაც. ეს უკანასკნელი იკითხება ჯოტოსთან შედარების ფაქტორში. „თანამედროვე ჯოტო“ იმას კი არ ნიშნავდა, რომ ფიროსმანი ახალი ეპოქის ისეთივე დონის მხატვარია, როგორიც თავის დროზე და, საზოგადოდ, მხატვრობის ისტორიაში ჯოტო. თავისი ფრაზით მიშელ ლე დანტიუ მიუთითებდა, რომ მძლავრ შემოქმედებით ინდივიდუალობასთან ჰქონდა შეხვედრა და არა ხალხური პრიმიტივიზმის ერთ-ერთი სპეციფიკურ გამოვლინებასთან“.<br>თემო ჯაფარიძე, „ნიკო ფიროსმანი – ცხოვრება და შემოქმედება“: https://bit.ly/39Vu1v0<br><br>• **დავალება 1, კვლევა** *(მხატვრული მახასიათებლები)*:<br>· გაეცანი ფიროსმანის შემოქმედებას. მოიძიე სურათები, დაახარისხე და შექმენი ციფრული ალბომი, რომელშიც ფიროსმანის ნამუშევრებს დაალაგებ ჟანრების მიხედვით.<br><br>• **დავალება 2** (პრაქტიკული სამუშაო):<br>· გუაშის ან აკრილის საღებავებით დახატე სურათი შავ ფონზე.<br>· ნამუშევრის შესაქმნელად გამოიყენე შავი ფერის ქაღალდი.<br><br>*გაითვალისწინე, რომ „უკუღმა“ მოგიწევს ხატვა. ჩვენ მიჩვეულები ვართ თეთრ ფონზე პოზიტიური გამოსახულების მიღებას. ფიროსმანი შავ მუშამბაზე ხატავდა – მუქ ფონზე სხვა ფერის დეტალებს ისე წერდა, რომ გამოსახულების შავ ნაწილებს (ჩექმას, ულვაშს, წარბს, ან თვალის გუგას) ხელუხლებელს ტოვებდა. ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ არ დანებდე. სირთულეების გადალახვა უფრო საინტერესოა, ვიდრე გაკვალული გზის ტკეპნა.<br><br>• **დავალება - დისკუსია** *(ისტორიული კონტექსტი)*:<br>**შეკითხვები დისკუსიისთვის:**<br>· გადახედე იმპრესიონისტების, ან ვან გოგის, მოდილიანისა და სხვათა ბიოგრაფიებს. იმ დროს რომ გვეცხოვრა, გავიგებდით კი მათ შემოქმედებას?<br>· რომელ მხარეს ვიდგებოდით – დამფასებლების თუ გულგრილი ან აღშფოთებული მაყურებლების?<br>· რატომ არ იყო ქართული საზოგადოება მზად ფიროსმანის მხატვრობის დასაფასებლად და რატომ გამოარჩიეს იგი ევროპაში ნასწავლმა ხელოვანებმა?<br>· როგორ ფიქრობ, ფიროსმანს სჭირდებოდა აღიარება, ან რისთვის სჭირდება ხელოვანს აღიარება?<br>· რატომ არის ფიროსმანის მხატვრობა გამორჩეული?<br>* ღია ტიპის კითხვებზე ყველა პასუხი მისაღებია.<br>**სავარაუდო პასუხი:** ფიროსმანის შემოქმედება გამორჩეულია გულწრფელი სიყვარულით ბუნებისა და მასთან ჰარმონიაში მყოფი ადამიანებისადმი; მხატვრის მიერ სპეციალური განათლების გარეშე, გუმანით მიგნებული პირობითი მხატვრული ენით, რომელსაც ეტყობა შუა საუკუნეების ფრესკული მხატვრობის სახვითი ტრადიციების გავლენა. |

- **დავალება - შედარებითი ანალიზი** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - შეადარე ერთმანეთს მხატვარ დამიანეს მიერ უბისაში შესრულებული ფრესკა „საიდუმლო სერობა“ (XIV ს.), ფიროსმანის „ოთხი მოქალაქის ქეიფი“ (1904 წ.) ან „სააღდგომო ნადიმი“ (1906 წ.) და XIX ს-ის ფოტო „ტფილისური ქეიფი“.
  - რაში ჩანს, რომ შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა ფიროსმანისთვის ერთგვარი „სკოლის“ როლს ასრულებდა?

**სავარაუდო პასუხი**: მკაცრი ფრონტალურობა, პარადული, საზეიმო, ჯგუფური კომპოზიცია; პირობითობა, ხელუხლებელი სუფრა... ფოტოზე კი ვხედავთ მოქეიფეთა ასევე რეპრეზენტაციულ პოზებს, რაც მათ საზეიმო განწყობას გადმოგვცემს. ჩანს, რომ ფიროსმანი ხატავდა იმას, რასაც გარშემო ხედავდა – ვითარება, კოსტიუმები, პერსონაჟების ტიპაჟები სხვა.

სასურველია, მოსწავლეებმა მოიძიონ და გაიხსენონ იმპრესიონისტი მხატვრის ოგიუსტ რენუარის კომპოზიციები „მულენ დე ლა გალეტი“ და „მენავეების საუზმე“, რომლებშიც მაყურებლისკენ ზურგით მდგარი ფიგურა წამიერების შეგრძნებას იძლევა - არავინ პოზირებს. ეს შედარება მოსწავლეებს ნათლად დაანახებს ფიროსმანის ქეიფის ამსახველი კომპოზიციების საზეიმო განწყობას.

**რესურსები შედარებისთვის:**



უბისა, დამიანე, „საიდუმლო სერობა“, XIV ს.: https://bit.ly/39WXZ1B



XIX ს-ის ფოტო „ტფილისური ქეიფი“: https://bit.ly/2Y96IrS



ფიროსმანი, „ოთხი მოქალაქის ქეიფი“: https://bit.ly/3sQ5PTm



ფიროსმანი, „სააღდგომო ნადიმი“, 1906 წ. https://bit.ly/3qLOQzA

*ლექციები ფიროსმანის შემოქმედების შესახებ:*
*დიმიტრი თუმანიშვილის აუდიოლექცია (57 წთ.)* https://www.youtube.com/watch?v=EapfriMPawg
*ანა შანშიაშვილის ვიდეოლექცია (26 წთ.):* https://www.youtube.com/watch?v=D6iPsZzsCWw
*ტელესკოლა, თამარ მელიქიშვილის ვიდეოგაკვეთილი ფიროსმანის შემოქმედების შესახებ (VI კლ.), (16 წთ.):*
https://www.youtube.com/watch?v=tn36BVv9bnk

**ნაბიჯი 2**

**გაკვეთილი 24. იდეოლოგიის წნეხის ქვეშ** **რესურსი 2**

- **დავალება -მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი, მხატვრული მახასიათებლები):*
  - შუა საუკუნეების საქართველოში ხელოვნება ეკლესიის წიაღში ვითარდებოდა. გაიხსენე, რა სახვითი ხერხები და რა თემატიკა მეფობდა მაშინ?
  - არსებობდა თუ არა საერო ხელოვნება?
  - დააკვირდი, გიგო გაბაშვილის სურათებს - რა შეიცვალა ქართულ მხატვრობაში?

- **დავალება 1, მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - აღწერე დავით კაკაბაძის სურათი „დემონსტრაცია იმერეთში“.
  - შეადარე სურათი კაკაბაძის სხვა იმერულ პეიზაჟებს.
  - იმსჯელე სურათის კომპოზიციასა და შინაარსზე.
  - რა მიგანიშნებს სურათის ავტორის უთანხმოებაზე საბჭოთა იდეოლოგიასთან?

**სავარაუდო პასუხი:** დემონსტრანტების მწკრივი იმდენად უმნიშვნელოდ გამოიყურება, რომ პეიზაჟი მათ „ყლაპავს“. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს კაკაბაძეს იმედი ჰქონდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეს წნეხი დროებითი მოვლენა იყო და როდესაც ის მოიხსნებოდა, კაკაბაძე ფუნჯის ერთი მოსმით წაშლიდა ტილოდან ამ ნაძალადევად ჩასმულ ხალხის უსახურ მასას, თავისი ტრანსპარანტებიანად. სამწუხაროდ, კაკაბაძე ამას ვერ მოესწრო, მაგრამ ნამუშევარი, თავისი პირველადი სახითაც, პეიზაჟად აღიქმება და არა ისტორიულ სურათად. თუმცა, ამ ნაწარმოების ისტორიული მნიშვნელობა უდავოა – ის მაშინდელ ხელოვანთა გამოუვალი მდგომარეობის, იძულებითი კომპრომისების უტყუარი საბუთია.

რაც შეეხება კომპოზიციას, სხვა იმერული პეიზაჟების მსგავსად, კაკაბაძე იძლევა შორ ხედს ზემოდან, თითქოს ჩიტის თვალით დანახულს. ნათეს-ნარგავები სხვადასხვა ფერის ჩითის ქსოვილებით შეკერილ საბანს ჰგავს, ხედი დეკორაციულია და განზოგადებული, შეიძლება ითქვას, რომ ესაა იმერეთის ბუნების „ხატი“.

- **დავალება 2** (პრაქტიკული სამუშაო):
  - დახატე სურათი, რომელიც ასახავს ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტს, რასაც თავად წასწყდომიხარ ცხოვრებაში.
  - სურათში გამოხატე შენი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ.

- **დავალება 3, ექსკურსია** *(ისტორიული კონტექსტი, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
  - დაგეგმე ექსკურსია მუზეუმში. გაეცანი ქართველი მხატვრების შემოქმედებას.
  - მოიძიე XX ს-ის 10-50-იან წლებში მოღვაწე ქართველი ხელოვანების ბიოგრაფიები. ამოკრიბე ის ცნობები, რომლებიც მათი თავისუფლების შეზღუდვას ეხება.
  - მოკლედ ჩამოაყალიბე შერჩეულ ხელოვანთა შემოქმედებითი თავისებურებები.
  - ატვირთე ილუსტრაციები Power Point პრეზენტაციის ფორმატში. არ დაგავიწყდეს ინფორმაციის წყაროების მითითება.
  - გააკეთე მოკლე მოხსენება კლასის წინაშე.

- **დავალება 4** *(ისტორიული კონტექსტი)*:
  - ჩაატარე კვლევა: რა გამოწვევების წინაშე დგანან დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოღვაწე თანამედროვე მხატვრები?
  - რა აღელვებს თანამედროვე ხელოვანს?
  - არსებობს თუ არა დღეს ცენზურა და რაში გამოიხატება ის?
  - რა ფორმით გამოხატავს თანამედროვე ხელოვანი სათქმელს?

*მინიშნება მასწავლებელს: ამ დავალების შესასრულებლად შეგიძლიათ მოიწვიოთ კლასში რომელიმე ხელოვანი ან მოაწყოთ ასეთივე შეხვედრა ინტერნეტით.

**დამატებითი ინფორმაცია გაკვეთილისთვის:**
„ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები" (ალბომი), ავტორები: მაია ციციშვილი, ნინო ჭოღოშვილი, თავი: „ქართული მოდერნიზმი", გვ. 99-145. https://bit.ly/2QQZSrj

პეტრე ოცხელი: http://bit.ly/2LVmzb2
შალვა ქიქოძე: https://bit.ly/2LVmJP
სერია „ქართველი მხატვრები" დავით კაკაბაძე, პეტრე ოცხელი, ალექსანდრე ბანძელაძე, სერგო ქობულაძე, ლადო გუდიაშვილი: http://bit.ly/2MlgxjK
ვარლა, ფელიქს ვარლამიშვილი: http://bit.ly/2LO5ujv, https://bit.ly/3o6OlP7
ტელესკოლა, ანა კლდიაშვილი, IX კლასი, საბჭოთა პერიოდის ხელოვნება – დავით კაკაბაძე https://bit.ly/2Misree
სტატია „გურამ (ხიტა) ქუთათელაძე": http://bit.ly/3676zJV

***დამატებითი ინფორმაცია დიმიტრი შევარდნაძის შესახებ:**

„1936 წელს, უკვე დაწყებული რეპრესიების პერიოდში დიმიტრი შევარდნაძე გაათავისუფლეს „მეტეხის" მუზეუმის დირექტორის მოვალეობიდან. „მე არაფრის მეშინია, იმიტომ, რომ არაფერში ბრალი არ მიმიძღვის", - ეს მისი სიტყვებია დაპატიმრებიდან ერთი წლით ადრე. მაგრამ რეალურად მთელი მისი მოღვაწეობა ანტისაბჭოური მიმართულებისა იყო, ეფუძნებოდა რა ქართული კულტურის მსახურებას.

1937 წელს, როდესაც ბერიას განკარგულებით უნდა აეფეთქებინათ მეტეხის ციხე და XII საუკუნის ტაძარი, იმ ადგილზე კი შოთა რუსთაველის ძეგლი დაედგათ, დიმიტრი შევარდნაძემ გ. ჩუბინაშვილთან, ალ. ახმეტელთან და მ. ჯავახიშვილთან ერთად ბერიას კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია. ძეგლი გადარჩა, მაგრამ 1937 წლის 10 ივნისს დიმიტრი შევარდნაძე დააპატიმრეს როგორც „ხალხის მტერი" და დახვრიტეს".

**ციტატის წყარო:** http://modernism.ge/index.php?action=page&p_id=101&lang=geo

**ნაბიჯი 3**

| გაკვეთილი 25. საშიში ხელოვნება | **რესურსი 3** |
|---|---|

*ეს და მომდევნო გაკვეთილი (25, 26) მიზნად ისახავს მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოების დამოკიდებულება ხელოვანის მიმართ განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ემსახურება ხელოვანი მის ინტერესებს. ურჩ ხელოვანებს ტოტალიტარული სახელმწიფო ებრძვის (უზღუდავს შემოქმედებით და ფიზიკურ თავისუფლებას, ანადგურებს მათ მიერ შექმნილ პროდუქტს).

თვითგადარჩენის ადამიანური ინსტინქტი ხშირად აიძულებს ხელოვანს რეჟიმთან თანაცხოვრების გზები გამონახოს – ზოგიერთ შემთხვევაში იგი ბოლომდე ემორჩილება შეთავაზებულ წესებს, ზოგი ახერხებს ნაწარმოებებში სათქმელის ორაზროვნად, ფარულად თქმას, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც ჯიუტად არ ღალატობს მოქალაქეობრივ პოზიციას.

- **დავალება -მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი):*
  - როგორ ფიქრობ, რა თვალსაზრისით და ვისთვის შეიძლება იყოს ხელოვნება საშიში?
  - სწორად მიგაჩნია თუ არა ხელისუფლების მხრიდან ხელოვანთა შევიწროება, თუ მათი ხედვა სახელმწიფოს პოლიტიკას ეწინააღმდეგება?

- **დავალება 1, დებატები თემაზე: „შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვა - სად გადის თავისუფლების ზღვარი?“** (ისტორიული კონტექსტი):
  - „შესაძლოა თქვენი აზრები ჩემთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ თავს გავწირავ, რათა თქვენ მათი გამოთქმის უფლება გქონდეთ“, – ეს სიტყვები XVIII ს-ის ფრანგ განმანათლებელს ვოლტერს მიეწერება.
  - როგორ გესმის ამ გამონათქვამის მნიშვნელობა სახვით ხელოვნებასთან კავშირში?

**სავარაუდო შეკითხვები:**

- საჭიროა თუ დაუშვებელია ადამიანის უფლებათა შეზღუდვა შემოქმედებით საქმიანობაში და რატომ?
- სად გადის შემოქმედებითი თავისუფლების ზღვარი?
- რატომ ეთანხმები/ეწინააღმდეგები ამ დებულებას?
- როგორ ფიქრობ, მართებული იყო ჰიტლერის მიერ გამოფენისთვის შერქმეული სახელწოდება „დეგენერაციული“ (დეგენერაცია გაუარესებას, გადაგვარებას ნიშნავს)?
- როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა ნაცისტების მიერ ხელოვანთა ნამუშევრების განადგურებას რაიმე გამართლება ჰქონდეს?
- რატომ არ იდგა „დიადი ნაცისტური ხელოვნების“ გამოფენის სანახავად რიგი? რატომ აღარ ახსოვს ისტორიას იმ გამოფენაში მონაწილე ხელოვანთა ვინაობა?
- დასაშვებია თუ არა ხელოვნებაში სიყალბე, თუნდაც ის შელამაზებული იყოს? არსებობს დღეს ყალბი ხელოვნება?
- რომელ ქვეყნებში იზღუდება დღემდე ხელოვანთა უფლებები და რატომ?
- როგორ ფიქრობ, დაძლია თანამედროვე საზოგადოებამ სახელმწიფოსა და თავისუფალი შემოქმედის კონფლიქტის პრობლემა თუ ეს საკითხი კვლავ აქტუალურია?

**მოსამზადებელი ეტაპი:**

- ჩაატარეთ კვლევა. მოიძიეთ სხვადასხვა ეპოქაში ხელისუფლების მხრიდან ხელოვანთა შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვის მაგალითები.
- დაახარისხეთ ისინი შეზღუდვის გამომწვევი მიზეზების მიხედვით (პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური).

მოამზადეთ ორივე საპირისპირო პოზიციის მხარდამჭერი არგუმენტები, ვინაიდან უცნობია, თუ რომელი პოზიციის დაცვა მოუწევს ჯგუფს.

**დებატების წესები:**

**როლები:**

<u>მოდერატორი</u> – (აკონტროლებს დებატების პროცესს)
<u>დროის გუშაგი</u> – (აკონტროლებს რეგლამენტს (1 წთ.)
<u>დებატების მონაწილე</u> – საპირისპირო პოზიციების დამცველთა ორი ჯგუფი.
<u>სამი მოსამართლე</u> – (აფასებს არგუმენტების მრავალფეროვნებას, ლოგიკურობას, დამაჯერებლობას; თანამშრომლობას ჯგუფის წევრებსა და კორექტულობას ჯგუფებს შორის, აჯამებს დებატების შედეგებს).
<u>მსმენელები</u> – (წინასწარ შეთანხმებული ჟესტებით გამოხატავენ თანხმობას ან უთანხმოებას წარმოთქმული არგუმენტის მიმართ, (მაგ. „რომაულად“, ცერის დაბლა დაწევით ან მაღლა აწევით).

- ჯგუფების პოზიციას გადაწყვეტს კენჭისყრა.
- დებატებს იწყებს ჯგუფი, რომელსაც დადებითი პოზიციის დაცვა მოუწევს.
- სიტყვის უფლება ეძლევა მას, ვინც ამას ხელის აწევით ითხოვს.
- <u>მოდერატორი</u> რიგრიგობით აძლევს სიტყვას სხვადასხვა პოზიციის „სპიკერებს“.

- დამაჯერებელი დასაბუთებით დაარწმუნეთ მოსამართლეები, რომ თქვენი პოზიცია სამართლიანია, ხოლო ოპონენტების არგუმენტები არ არის მისაღები.
- სპიკერები პასუხობენ ერთმანეთის შეკითხვებს.

**შენიშვნა:**
დებატების შეჯამების სახით მასწავლებელმა უნდა გააკეთოს დასკვნა. მან ხაზი უნდა გაუსვას, რომ შემოქმედებითი თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და ის უპირობოდ უნდა იყოს დაცული, ოღონდ გვახსოვდეს: შენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლების შეზღუდვა.

- **დავალება 2, კვლევა** *(ისტორიული კონტექსტი):*
  - მოიძიე ინფორმაცია ჩვენი მეზობელი ქვეყნების ხელოვნების სამყაროში XX ს-ის 30-იანი წლებიდან მიმდინარე პროცესების შესახებ. შეარჩიე ერთ-ერთი ხელოვანი და გააცანი თანაკლასელებს შენ მიერ მოძიებული ცნობები.

**რესურსები დავალებისთვის:**
**სომეხი მხატვრები:** მარტიროს სარიანი: https://bit.ly/3o9Gj9y ელიშე ტადევოსიანი: https://bit.ly/3bmfQ3n
მინას ავეტისიანი: http://artchallenge.ru/gallery/ru/127.html
**აზერბაიჯანელი მხატვრები:** ჯავად მირჯავადოვი: https://bit.ly/3uO0Sew რასიმ ბაბაევი: http://nar-gallery.com/artist/rasim-babayev/
აშრაფ მურადი: https://bit.ly/3fbv5NX ქამალ აჰმადი: https://bit.ly/3uHqJ7P

- **დავალება 3, კვლევა** *(ისტორიული კონტექსტი, მხატვრული მახასიათებლები):*
  - დააკვირდი მარტიროს სარიანისა და ჯავად მირჯავადოვის სურათებს და იპოვე ის ნიშნები, რომლებიც უთუოდ გააღიზიანებდა საბჭოთა ცენზურას.
  - ორივე მხატვარი კარგად იცნობდა მსოფლიო ხელოვნებას. დააკვირდი ილუსტრაციებს და იპოვე მსოფლიოს სხვადასხვა კულტურისა და XIX-XX სს-ის მხატვრული მიმდინარეობების კვალი ამ ორი მხატვრის სურათებში. დაასაბუთე შენი მიგნებები.

***მინიშნება მასწავლებელს:** იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სრულყოფილად აღიქვან ამ ფერმწერთა შემოქმედებითი ძიებები, სასურველია დაათვალიერონ მათი სხვა ნამუშევრები ზემოთ მითითებულ ბმულებზე. მარტიროს სარიანის შემოქმედებაში ისინი აღმოაჩენენ გატაცებას სიმბოლიზმით, იმპრესიონიზმით, პოსტიმპრესიონიზმით, ფოვიზმით, ექსპრესიონიზმითა და ნაივით. ჯავად მირჯავადოვის შემოქმედებაში, შესაძლოა, დაინახონ კავშირი აფრიკულ და კოლუმბამდელი მესოამერიკის რიტუალურ ნიღბებთან, აღმოსავლურ მინიატურებთან, პიკასოს შემოქმედებასთან, ფოვიზმთან, ნაივთან, ექსპრესიონიზმთან და ამერიკელ მხატვარ ჟან-მიშელ ბასკიასთან.
**ჟან-მიშელ ბასკიას ნამუშევრები:** https://bit.ly/3uKpAvY https://bit.ly/3occrtk

გაკვეთილი 26. იატაკქვეშა ხელოვნება **რესურსი 4**

- **დავალება - მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი):*
  - შენი აზრით, რა ვითარებამ შეიძლება აიძულოს ხელოვანი, რომ თავისი ნაწარმოებები ფარულად, იატაკქვეშეთში შექმნას?
  - გაიხსენე ფაქტები ისტორიიდან და მოიყვანე მაგალითები - რომელ ეპოქაში და რა მიზეზით იდევნებოდა თავისუფალი აზრი?

**სავარაუდო პასუხი:** მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ მაგალითები ისტორიიდან და ხელოვნებიდან (სიმბოლოების გაჩენის მიზეზი ადრექრისტიანულ ხანაში, რელიგიური დოგმატის გავლენა ხელოვნებაზე ქრისტიანობასა და ისლამში, ინკვიზიცია).

- **დავალება - კვლევა** *(ისტორიული კონტექსტი):*
  - გაეცანი თანამედროვე ჩინელი ხელოვანის აი ვეივეის შემოქმედებით ბიოგრაფიას.
  - რატომ ითვლება ეს მხატვარი ჩინეთის ხელისუფლებისთვის საშიშ ადამიანად?
  - როგორ ახსნი მისი ნამუშევრების შინაარსს?

* ჩინელი კონცეფტუალისტი მხატვრის შემოქმედება ჩვეულებრივ მოვლენებს მოულოდნელი კუთხით წარმოაჩენს. ხელოვანმა, რომელმაც თავად იწვნია სახელმწიფოსგან უსამართლო დევნა, შემოქმედებისა და თავისუფლების შეზღუდვა, ცდილობს თავისი ნაწარმოებებით დაგვანახოს, თუ რამდენად დასაფასებელი და დასაცავია ადამიანის ძირითადი – სიცოცხლის, თავისუფლების, შემოქმედებისა და შრომის უფლებები. მისი ყოველი ექსპოზიცია პროვოკაციაა, ხმამაღალი პროტესტი ჩინეთში არსებული პოლიტიკური და სოციალური ვითარების მიმართ. ვინაიდან ამ ხელოვანმა საერთაშორისო აღიარება და მხარდაჭერა მოიპოვა, ჩინეთის ხელისუფლების მამხილებელი მისი აქციები მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. ამიტომაც პასუხობს ჩინეთის მთავრობა ხელოვანს ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის ჩვეული სანქციებით.

**დამატებითი რესურსები გაკვეთილისთვის:**

„ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები“ (ალბომი), ავტორები: მაია ციციშვილი, ნინო ჭოღოშვილი, თავები: „სოციალისტური რეალიზმი ქართულ მხატვრობაში,“ გვ.147-165

„ქართული მხატვრობა II მსოფლიო ომის შემდეგ“, გვ. 167. https://bit.ly/2QQZSrj

სტატია ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის შესახებ:

https://www.marketer.ge/aleksandre-bandzeladze/

https://bit.ly/3h5IvNQ

ქ. კინწურაშვილი, „ალექსანდრე ბანძელაძე“ ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2000წ.

**თემის ზოგადი რესურსები:**

*მოდერნიზმი საქართველოში:*

http://modernism.ge/index.php?action=page&p_id=101&lang=geo

https://elfiles.emis.ge/uploads/54589/georgian_modernism_book.pdf

„წითელი ტერორი და ქართველი მხატვრები“, ეკა კიკნაძე, 2019, გამომც. „სეზანი“ (წიგნი)

ვიდეოლექცია: ეკა კიკნაძე, პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში: https://www.youtube.com/watch?v=3tLPq73jmpQ

*გია ბუღაძის ლექცია „ხელოვნება და საზოგადოება“:* https://www.youtube.com/watch?v=zKP8ugXutsk

*გია ბუღაძის ლექცია „ფარულთქმა ხელოვნებაში – ისტორიული გამოცდილება და დღევანდელი რეალობა“:* https://www.youtube.com/watch?v=cDAejl2sOGw

*აი ვეივეი:* https://bit.ly/39axR4g , http://bit.ly/3qIBMeq , http://bit.ly/2Mf4FQs

*ანა კლდიაშვილი, ტელესკოლა, IX კლასი, „პლაკატი და მისი სახეობები“:* https://bit.ly/2Mc8hTj

*ქართული პოლიტიკური პლაკატის ისტორია:* http://bit.ly/3qNqlIB

*პროპაგანდისტული პოსტერები:*

*სხვადასხვა ქვეყნის:* http://bit.ly/366aua9

*საბჭოთა:* http://www.ekaterinburg.arbitr.ru/node/17386

*ჩინური:* https://chineseposters.net/gallery/

*ნაცისტური:* https://www.bytwerk.com/gpa/posters2.htm

**შეფასების კრიტერიუმები**

- ჩანაფიქრის შესაბამისად ქმნის პოსტერს მიზნის შესაბამისი სახვითი საშუალებებისა და ხერხების გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენებით, მის მიერ შერჩეული მასალითა და ტექნიკით (ს.გ.საბ.1,2);
- საკუთარი ნამუშევრის მაგალითზე აანალიზებს თანამედროვე ხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების ფორმებს და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს (ს.გ.საბ.3,4)

**შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალების „პოსტერი შემოქმედებითი თავისუფლების თემაზე“:**

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------
საგანი: ხელოვნება

საკითხები/ქვეცნებები:
**სახვითი საშუალებები და ხერხები:** ხაზი, კონტური, ფერი (კონტრასტული), ფორმა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება; კომპოზიციური განაწილება, მასშტაბი, კონტრასტი, აქცენტი.
**დარგი:**
გრაფიკა
**მასალა და ტექნიკა:**
კოლაჟი, ფოტოგრაფია, ხატვა, ციფრული ტექნოლოგიები (მოსწავლის არჩევანით)

კომპლექსური დავალების **„პოსტერი შემოქმედებითი თავისუფლების თემაზე“** პირობა:
შესაფერისი სახვითი საშუალებებითა და ხერხებით შექმენი პოსტერი შემოქმედებითი თავისუფლების თემაზე, რომელშიც გამოხატავ შენს პოზიციას ხელოვანის თვითგამოხატვის თავისუფლების ხელყოფის მიმართ. მოიფიქრე შენი აზრისა და დამოკიდებულების გამომხატველი მოკლე, ლაკონიური ფრაზა, ლოზუნგი, მოწოდება. გააფორმე პოსტერი კოლაჟით ან შენი ნახატით.
**წარდგენისას ისაუბრე:**
- რა იდეას გამოხატავს შენი ნამუშევარი?
- პოსტერისთვის შესაფერისი რა სახვითი საშუალებები და ხერხები გამოიყენე და რა ეფექტი მიიღე?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე პოსტერში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად და რატომ?
- შრიფტის რა მახასიათებლები გამოიყენე შენ მიერ შექმნილ ქართულ წარწერაში?
- რა იყო ამ პროექტის მთავარი სირთულე და როგორ დაძლიე ის?
- რას და როგორ შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | სახვითი საშუალებები და ხერხები | სახვითი ხელოვნების მასალა და ტექნიკა |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლე სიღრმისეულად გაიაზრებს საკითხის არსს / არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ცოდნის განზოგადებისა და დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | დავალების პირობით გათვალისწინებული სახვითი საშუალებებისა და ხერხების შემოქმედებითად და გაცნობიერებულად გამოყენებით მოსწავლე ქმნის ორიგინალურ, ეფექტურ, დასამახსოვრებელ პოსტერს, რომელიც გადმოგვცემს დავალების შესაბამის იდეას.<br>პოსტერზე წარწერა გაკეთებულია მოსწავლის მიერ შექმნილი ქართული შრიფტით.<br>მოსწავლე საფუძვლიანად იცნობს პოსტერის ყველა არსებით მხატვრულ მახასიათებელს.<br>სიღრმისეულად ესმის მათი ურთიერთკავშირი და შესაბამისობა დასახულ ამოცანასთან. | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | დავალების პირობით გათვალისწინებული უმეტესი სახვითი საშუალებებისა და ხერხების ადეკვატურად გამოყენებით მოსწავლე ქმნის საინტერესო პოსტერს.<br>ფერები მკვეთრია, ფორმები მკაფიო, შორიდან აღქმადი.<br>პოსტერზე წარწერა გაკეთებულია მოსწავლის მიერ შექმნილი ქართული შრიფტის საინტერესო ვარიანტით. | მოსწავლე გაცნობიერებულად ირჩევს მასალას და ტექნიკას ნამუშევარში სასურველი შედეგის მისაღებად.<br>კარგად ესმის მათი ურთიერთკავშირი და შესაბამისობა დასახულ ამოცანასთან. |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, | ნამუშევარში გამოყენებული მწირი სახვითი საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა ვერ ახდენს სასურველ ეფექტს. პოსტერზე წარწერა გაკეთებულია | მოსწავლე ირჩევს მასალას და ტექნიკას ნამუშევარში სასურველი შედეგის მისაღებად. |

| | | |
|---|---|---|
| უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | არათანაბარი ასოებით. დარღვეულია ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება. კომპოზიცია გადატვირთულია ან ზედმეტად ცარიელი. | ზერელედ ესმის მათი ურთიერთკავშირი და შესაბამისობა დასახულ ამოცანასთან. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | ნამუშევარში გამოყენებული სახვითი საშუალებებისა და ხერხების (კომპოზიციური განაწილება; ერთობლიობა იძლევა უღიმღამო შედეგს. პოსტერზე ქართული წარწერა გაკეთებულია დაუდევრად. დარღვეულია ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br>არ არის დაცული თანაფარდობა წარწერასა და გამოსახულებებს შორის. | მოსწავლის მიერ მასალისა და ტექნიკის არჩევანი შემთხვევითია. სუსტად შეესაბამება დასახულ ამოცანას. უჭირს მათი ურთიერთკავშირისა და დასახულ ამოცანასთან შესაბამისობის გააზრება. |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება კომპლექსური დავალების პირობას. | |

**მასწავლებლის კომენტარი:**

თემატური მატრიცა 5

**თემატური ბლოკი:** საზოგადოება და ხელოვნება
**თემა:** საზოგადოება და პიროვნება
**გაკვეთილები:** 27 - 31 **საათების რაოდენობა:** 8 + 1 სთ.

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები:**
**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):**
**ფორმა** (ბრტყელი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.);
ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.
**სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):**
კომპოზიციური განაწილება, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი, მასშტაბი, თანაფარდობა, პროპორცია/დისპროპორცია.
**ტექნიკა:** ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები.
**დარგები**: ფერწერა (დაზგური), ქანდაკება.
**ეპოქა/კულტურა/მიმდინარეობა/სტილი და მათი მხატვრული მახასიათებლები:** მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**
- ახალი ეპოქის ხელოვნებაში საზოგადოების ინტერესებს ხელოვნებამ ახალი ფორმებით უპასუხა.
- მოდერნიზმის მსოფლმხედველობა ჩაანაცვლა პოსტმოდერნიზმმა, რომელმაც წაშალა ზღვარი საზოგადოებრივსა და პიროვნულს, ელიტურსა და მასობრივს, ცხოვრებასა და შემოქმედებას, ხელოვნების ნაწარმოებსა და ყოფით ობიექტს შორის.
- საზოგადოების მსოფლმხედველობა განსაზღვრავს მის ხელოვნებას, ხოლო ხელოვნება ამ მსოფლმხედველობას ხილულ ფორმას აძლევს.
- ხელოვნება რეაგირებს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებზე, ემსახურება მათ გამოაშკარავებას. ხელოვნება თავისი საზოგადოების სარკეა. ის ასახავს მის ღირებულებებს, აყალიბებს მსოფლმხედველობას და აფართოებს თვალსაწიერს.
- XX საუკუნეში საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებმა რადიკალური ცვლილებები გამოიწვია თანამედროვე ხელოვნებაში, წარმოშვა ხელოვნების ახალი ფორმები და დარგები. თანამედროვე ხელოვანები იყენებენ თვითგამოხატვის მრავალფეროვან, უჩვეულო ფორმებს, გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს.

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**
- როგორ აისახა ახალი ეპოქის ხელოვნებაში საზოგადოების ინტერესები?
- რა ძირეული გარდაქმნები მოხდა XX ს-ის ხელოვანის მსოფლმხედველობაში?
- რა როლი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას ხელოვნების ფორმირებაში?
- რა როლი შეიძლება ჰქონდეს ხელოვნებას საზოგადოების ცხოვრებაში?
- რა ძირეული სხვაობაა XX საუკუნისა და ადრეული ეპოქების ხელოვნებას შორის?

| **სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **ქვეცნებები:** <br> **<u>კომპლექსური დავალება 5</u>** <br> **სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები:** ფორმა (ბრტყელი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებრივი, უტრირებული, | **საკვანძო შეკითხვები:** <br> **<u>კომპლექსური დავალება 5</u>** <br> წინა ეპოქებთან შედარებით, რა სიახლეები გაჩნდა XX ს-ის ხელოვნებაში, კერძოდ, ქანდაკებაში და რა იყო ამის მიზეზი? | **კომპლექსური დავალებები** *(შუალედური სასწავლო მიზნები)* |
|---|---|---|---|

<table>
<tr>
<td></td>
<td>სტილიზებული და სხვ), ფაქტურა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება; მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, კომპოზიციური მთლიანობა.<br>სახვითი ხელოვნების დარგები: ქანდაკება<br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ძერწვა. მოდელირება-კონსტრუირება<br>სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის/სტილის მხატვრული მახასიათებლები: XX ს-ის ქანდაკება</td>
<td>რა მხატვრული მახასიათებლები განსაზღვრავს თანამედროვე ქანდაკების იერსახეს?<br>რა სხვაობაა წინა ეპოქებისა და XX ს-ის ქანდაკებას შორის მისი ფუნქციის თვალსაზრისით?<br>რა არის შენი თაობის მოზარდების საერთო ინტერესის საგანი და როგორ შეიძლება მისი ასახვა?<br>რომელი სახვითი საშუალებებისა და ხერხების მეშვეობით შეგიძლია გადმოსცე შენი იდეა სამგანზომილებიან ნამუშევარში?</td>
<td>პროექტი „მემორიალი“: მოზარდი თაობის საერთო ინტერესების/გატაცებების ამსახველი მემორიალის ესკიზისა და სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა.</td>
</tr>
<tr>
<td>სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას.</td>
<td colspan="3">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები)<br><u>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა</u><br><u>კომპლექსური დავალება 5</u> <u>პროექტი „მემორიალი“</u><br>შექმენი მემორიალის ესკიზი (ციფრული ან ხელით შესრულებული) და სამგანზომილებიანი მოდელი (ქანდაკება ან კონსტრუქცია), რომელიც შენი თაობის მოზარდების საერთო ინტერესს ასახავს.<br>ნამუშევრის წარდგენისას დაასაბუთე შენი იდეა.<br>იმსჯელე შერჩეული თემის, გამოყენებული მასალის, ტექნიკის, ფორმისა და ფაქტურის შესახებ.<br>ამისათვის:<br>დაათვალიერე სახელმძღვანელოს ილუსტრაციები, მოიძიე თანამედროვე მემორიალებისა და ქანდაკებების სხვა მაგალითებიც. დააკვირდი, როგორ, რა ხერხებით გამოხატავენ ისინი იდეას.<br>ბევრი თემაა ისეთი, რაც დღევანდელი საზოგადოებისთვის აქტუალურია. შენ ამ საზოგადოების წევრი, ერთი ცალკეული პიროვნება ხარ. დაფიქრდი, რა არის ისეთი, რაც შენთვის და შენი თაობის მოზარდებისთვის საინტერესოა.<br>მოიფიქრე, რას მიუძღვნიდი მემორიალს, რას დაუდგამდი ძეგლს. დახატე პროექტის ესკიზი. ესკიზს ფონად გაუკეთე გარემო (ციფრული, ფოტო ან ხელით დახატული), რომელშიც შენი მემორიალის განთავსებას ისურვებდი.<br>ჩანაფიქრის შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრე ნამუშევრის ფორმა, ფაქტურა, მასშტაბი, პროპორცია, კომპოზიციური მთლიანობა.<br>შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისი რა მასალა გამოგადგება სამგანზომილებიანი მოდელის დასამზადებლად. დაფიქრდი, ტექნიკურად როგორ შეასრულებ ნამუშევარს, რომ ის იყოს მდგრადი.<br>წარდგენისას იმსჯელე:<br>XX ს-ის ქანდაკებიდან რა იყო შენი იდეის შთაგონების წყარო?<br>რას უძღვნი შენს ნამუშევარს?<br>სად ისურვებდი მის განთავსებას და რატომ?<br>როგორი ფორმა, ფერი, ფაქტურა და ზომა შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის და რატომ?</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| **სახვითი ხელოვნების ტექნიკა *(შედეგები: ს.გ.საშ.1, 2, 3, 4)***<br>• ხელოვანი მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;<br>• კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.<br><br>**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები *(შედეგები: ს.გ.საშ.1, 2, 3, 4)***<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან | რა მასალითა და ტექნიკით შეასრულე სამგანზომილებიანი მოდელი და რატომ?<br>რა სირთულეებს წააწყდი მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე და როგორ დაძლიე ისინი?<br>რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?<br><br>*ამ თავში მოსწავლეები გაეცნობიან XX ს-ის ქანდაკების ბევრ მაგალითს (ოგიუსტ როდენი, კამილ კლოდელი, კლას ოლდენბურგი, ქართველი მოქანდაკეები, პიკასო, ბრანკუში, მაქს ერნსტი, ჯაკომეტი და სხვა). ამ გამოცდილების გათვალისწინებით მათ უნდა შექმნან ისეთი სამგანზომილებიანი კონსტრუქციის მოდელი, რომელიც დაამშვენებდა სკოლის ან სხვა გარემოს, შეუქმნიდა მეგობრებს სასიამოვნო განწყობას. შესაძლოა, მოსწავლეებმა შთაგონება მიიღონ არა მხოლოდ ქანდაკებიდან, არამედ მოცემულ თავში შემოთავაზებული მხატვრობის ნიმუშებიდანაც.<br>მხოლოდ ქანდაკების სახით XX ს-ის ხელოვანთა შემოქმედების განხილვა სრულფასოვნად ვერ წარმოაჩენდა საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების ასახვის მთელ მრავალფეროვნებას. შესაბამისად, კომპლექსური ნამუშევრისთვის იდეას შესაძლოა, ბიძგი მისცეს ფერწერულმა ტილომაც (ვთქვათ, მოსწავლემ შეიძლება გააკეთოს კონსტრუქცია, რომლის იდეა მოუვიდა ოდილონ რედონის, ჟოან მიროს, ენდი უორჰოლის ან რენე მაგრიტის ნაწარმოებების დათვალიერებისას).<br><br>**ტექნიკური რჩევები კომპლექსური დავალებისთვის:**<br>მოსწავლემ უნდა მოიფიქროს, რა მასალა (მუყაო, თიხა, პლასტილინი, პაპიე-მაშე, დრუბელი, ქაფპლასტი, თოკი, მავთული და სხვ.) შეესაბამება მისი ჩანაფიქრის განხორციელებას;<br>გაითვალისწინოს კონსტრუქციის მოდელის ზომა, ფაქტურა, მდგრადობა.<br>სასურველ გარემოში პროექტის განთავსების ვიზუალიზაციისთვის, მოსწავლეს შეუძლია გადაუღოს ნამუშევარს ციფრული ფოტო, ატვირთოს ის კომპიუტერში, ამოჭრას მემორიალის გამოსახულება და „ჩასვას“ ის განთავსების სასურველი ადგილის (მაგ., სკოლის ეზო) ციფრულ ფოტოში.<br><br><br>ნიმუში:<br>იდეების თვალსაზრისით, მოსწავლეებს უნდა მისცეთ სრული თავისუფლება, თუნდაც მათი ჩანაფიქრი არ ემთხვეოდეს სტერეოტიპულ წარმოდგენას მემორიალის შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს იქნება ე.წ. „ემოჯი“. ამ ხატულა სიმბოლოების ენა სწორედაც რომ მსოფლიოს ყველა მოზარდისთვის საერთო, კომუნიკაციის ჩვეული საშუალებაა, მაგრამ გავა დრო და მას, სავარაუდოდ, რაღაც კიდევ უფრო მარტივი ჩაანაცვლებს. მემორიალი ხომ რაიმეს ან ვინმეს ხსოვნის უკვდავსაყოფად აგებული არქიტექტურულ-სკულპტურული ძეგლია. |

| | |
|---|---|
| დანიშნულება განაპირობებს;<br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით;<br>• ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.<br><br>**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები *(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)***<br>• ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს; | **ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br><br>**ნაბიჯი 1**<br><br>გაკვეთილი 27. სიურეალიზმი და მისი ფესვები **რესურსი 1**<br><br>• **დავალება - მსჯელობა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*<br>• დააკვირდი ილუსტრაციებს და გაიხსენე რეალისტური მხატვრობა.<br>• რა განსხვავებაა რეალიზმსა და სიურეალიზმს შორის?<br><br>• **დავალება 1, წინარე ცოდნის გააქტიურება** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*<br>• გაიხსენეთ, რას და როგორი მხატვრული მეთოდით ასახავენ რეალისტები თავიანთ სურათებში და რატომ ვუწოდებთ მათ რეალისტურს?<br>**სავარაუდო პასუხი:** რეალისტები სამყაროს გადმოგვცემენ ობიექტურად და შეულამაზებლად. შესაბამისად, მათი სახვითი ენაც არის რეალისტური – ისინი იყენებენ მოცულობით ფორმებს, გადმოცემულს შუქჩრდილის თანაბარი მონაცვლეობითა და ტონალური გრადაციით.<br>**შეკითხვა** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*<br>• რა ნიშნით მიეკუთვნება ოპენჰეიმის ნამუშევარი „ბეწვის ობიექტი“ სიურეალიზმს?<br>**სავარაუდო პასუხი:** რადგან ობიექტი ბეწვისაა, ის ჭიქად აღარ გამოდგება.<br>სიურეალიზმი დადაიზმიდან იღებს სათავეს და მის ხერხებს იყენებს. ამიტომ ზოგჯერ ძნელია დადაისტური და სიურეალისტური ნამუშევარი ამ ორი მიმდინარეობიდან რომელიმეს მიაკუთვნო.<br>ამ შემთხვევაში მერეტ ოპენჰეიმმა „წაართვა“ საგანს თავისი პირველადი დანიშნულება და ის უჩვეულო კონტექსტით წარმოგვიდგინა (შეადარე მან რეის უთოს, რომელიც უთოდ აღარ გამოდგება).<br><br>დამატებითი ინფორმაცია გაკვეთილისთვის:<br>1900 წელს გამოიცა ავსტრიელი ფსიქოანალიტიკოსის ზიგმუნდ ფროიდის ესე „სიზმარი და მისი ინტერპრეტაცია“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა დადაისტ ხელოვანებზე. სიურეალიზმი სწორედ დადაიზმიდან იღებს სათავეს. იგი პირველად ფრანგულ ლიტერატურაში დამკვიდრდა.<br>1922 წელს სიურეალიზმის დამაარსებელმა ფრანგმა პოეტმა ანდრე ბრეტონმა გამოაქვეყნა სიურეალისტური მანიფესტი. ბრეტონი სიურეალიზმს რეალობისა და წარმოსახვის გამაერთიანებლად მიიჩნევდა. „მჯერა, რომ ეს განსხვავებული, ურთიერთსაპირისპირო ცნებები, როგორიცაა ოცნება და რეალობა, მომავალში ერთ აბსოლუტურ რეალობად გაერთიანდებაო“, წერდა ბრეტონი. „ამისათვის ძიების პროცესში უნდა მოვხსნათ გონების, ლოგიკისა თუ მორალის მხრივ ყოველგვარი კონტროლი“. ამის საშუალებას კი ე.წ. ავტომატური წერა იძლევა. ესაა შემთხვევით წარმოქმნილი სურათ-ხატებისა და სიტყვების ჩაწერა, უკონტროლო ქვეცნობიერის ნაკადის დაფიქსირება. გამორიცხულია ყოველგვარი ლოგიკა და შესაბამისობა. ანუ, სიურეალიზმი უკონტროლო სულიერი მდგომარეობის გამოხატვაა ნახატის ან ჩანაწერის სახით.<br><br>**მარკ შაგალი (1887-1985)** სიურეალიზმის ერთ-ერთ ფიგურად ითვლება. ასევე, ე.წ. „პარიზული სკოლის“ წარმომადგენლადაც მოიხსენიება, რომელშიც, თავიდან, პარიზში მოღვაწე ებრაელი მხატვრები მოიაზრებოდნენ – მარკ შაგალი, ამედეო მოდილიანი, ხაიმ სუტინი და სხვები. მათ, ყველას, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ხელწერა აქვთ. ზოგი მკვლევარი შაგალსა და მოდილიანის ექსპრესიონისტებადაც თვლის. |

<table>
<tr>
<td>

- ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);
- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა;
- ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.

</td>
<td>

შაგალის შემოქმედება სიყვარულითაა განმსჭვალული, მაგრამ, სამწუხაროდ, სამყარო შაგალს ყოველთვის ასეთივე სიყვარულით არ პასუხობდა. 1938 წლის 9-10 ნოემბერს, ღამით, გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში ნაცისტებმა ებრაული ოჯახები დაარბიეს. დილით ქუჩებში გამოსულ ხალხს ქვაფენილი სინაგოგებისა და ებრაელების მაღაზიების ვიტრინების ბროლის ნამსხვრევებით მოფენილი დახვდათ. ეს ღამე „ბროლის ღამის“ სახელით შევიდა ისტორიაში. შაგალი გულის სიღრმემდე შეძრა ამ ამბავმა.

ანტისემიტური განწყობა ჯერ კიდევ 1933 წელს იწვნია, როცა ნაცისტებმა მისი თითქმის ყველა სურათი გაანადგურეს. 1937 წელს შაგალის შემოქმედება დეგენერაციულად გამოაცხადეს. სურათი **„თეთრი ჯვარცმა“** http://bit.ly/3nWrp5P ამ ფაქტის მიმართ მისი საპასუხო რეაქციაა. „თეთრი ჯვარცმა“ ჰოლოკოსტის წინათგრძნობადაც განიხილება. ამ სურათში ქრისტე ებრაელი ხალხის დევნისა და წამების განსახიერებაა. ცეცხლში იწვის ებრაელების გაძარცული სახლები, ხალხი თავის მკვდრებს დასტირის, ძირს ყრია თორას გრაგნილები, ანთია მენორა (ებრაული შვიდსანთლიანი შანდალი). ქრისტეს თეძოზე ტრადიციული ებრაული თავშალი აქვს შემოხვეული. ამით მისი წარმომავლობაა ხაზგასმული. თვითონ ჯვარი სინათლის მსხვილი სხივია, ზეციდან დაშვებული. ეს ღვთაებრივი შუქია, რომელიც ტანჯულ ქრისტეს ნათელში ახვევს. არცხნივ, ნავში, ხალხი ზის. ეს კიდობანია - იმედის, გადარჩენის მეტაფორა.



„თეთრი ჯვარცმა“, 1938 წ. http://bit.ly/3nWrp5P

**სალვადორ დალის (1904-1989)** შეეძლო, თავისი ცხოვრების ნებისმიერი მომენტი ლეგენდად ექცია. საკუთარ თავზე მესამე პირში ლაპარაკობდა: „ყოველ დილას აუწერელი ბედნიერების შეგრძნება მაღვიძებს მხოლოდ იმის გამო, რომ სალვადორ დალი ვარ. როგორც კი გამოვფხიზლდები, საკუთარ თავს აღფრთოვანებით ვეკითხები,

</td>
</tr>
</table>

ნეტავ დღეს რა შესანიშნავი რამეების გაკეთებას აპირებს სალვადორ დალი?.. ჩემსა და შეშლილს შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ მე შეშლილი არ ვარ“.

რაც შეეხება მდნარ საათს, მისი შექმნა ასეთ ამბავს უკავშირდება: ცხელოდა. დალის ჩაეძინა. როცა გამოფხიზლდა, დაინახა, რომ ყველის ნაჭერი დამდნარიყო და თეფშიდან რბილად იყო ჩამოკიდებული. დალიმ გაიფიქრა, ყველი დადნაო. მერე საათს გახედა და გაიფიქრა, დროც როგორ დამდნარაო. აქედან გაჩნდა სიმკვრივედაკარგული, დარბილებული, მდნარი ფორმების იდეა, რომლებიც დალის სურათიდან სურათში მოგზაურობენ.

ცნობილია, რომ გამოღვიძების შემდეგ სიზმარი მალევე ქრება მეხსიერებიდან. ისიც ცნობილია, რომ სიზმარს ძილ-ღვიძილის ზღვარზე ვხედავთ. საკუთარი სიზმრები ტილოზე რომ გადაეტანა, დალი ასეთ ხერხს მიმართავდა. როცა იძინებდა, ხელში კოვზი ეკავა. გვერდით ლითონის ლანგარს იდებდა. ჩაძინების მომენტში სიზმარს ხედავდა. მაგრამ როგორც კი ღრმა ძილის ფაზა დადგებოდა, სიზმარი წყდებოდა. ღრმად ჩაძინებულ დალის ხელიდან გავარდნილი კოვზის ლანგარზე დაცემის ხმა აღვიძებდა. დალი სასწრაფოდ დგებოდა და სიზმრის შინაარსს დეტალურად იწერდა.

*გირჩევთ, მოსწავლეებს აჩვენოთ სალვადორ დალის და უოლტ დისნეის ერთობლივი ანიმაცია სახელწოდებით **„დესტინო“** (ბედისწერა). თუ უოლტ დისნეის აქამდე მხოლოდ საბავშვო ფილმებით იცნობდნენ, ახლა მის სხვა, სიურეალისტურ ნამუშევარსაც ნახავენ. თუმცა, აქ დისნეის დამსახურება ალბათ მხოლოდ ტექნიკურ მხარეშია.

**სალვადორ დალისა და უოლტ დისნეის ერთობლივი ანიმაციის ბმული:** https://www.youtube.com/watch?v=Wn-HPVep7Ss

ბელგიელი სიურეალისტი მხატვარი **რენე მაგრიტი (1898-1967)** საკუთარ სტილს „მაგიურ რეალიზმს“ უწოდებდა. მართლაც, მთელი მისი შემოქმედება მაგიის, ილუზიის, გამოცანისა და ირონიის ნაზავია. სხვა სიურეალისტი ხელოვანებისგან განსხვავებით, ბუნებით ჩუმი, მშვიდი, გაწონასწორებული მაგრიტის ბიოგრაფიაში მკვლევრებმა ვერ მიაგნეს ვერცერთ სკანდალურ ფაქტს. მას არ უყვარდა მოგზაურობა და მთელი ცხოვრება ბრიუსელში გაატარა. ცხოვრობდა შეუმჩნევლად, არ მონაწილეობდა ხმაურიან შეკრებებში. ეცვა ისე, როგორც ყველას – მოკრძალებულად, ზუსტად ისე, როგორც მისი სურათების გმირებს. თავს ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ადამიანად თვლიდა.

მაგრიტის სურათები არ ჰგავს სალვადორ დალის ნამუშევრებს. მისი სურათების „გმირები“ ჩვეულებრივი ნივთები, პეიზაჟები და ადამიანები არიან. სურათებში სტატიკური სიმშვიდე სუფევს. მაშ რაშია მაგრიტის „ფოკუსი“? ეს არის საიდუმლო, რაღაც დამალული, ფარული, რაც ჩვენს ფანტაზიას აღვიძებს, გვაიძულებს, ამ მინიშნებებში ვეძებოთ ქვეტექსტი. მაგრიტის სურათები რებუსებივითაა: სულ პატარა დეტალებით – ალოგიკური პროპორციით, ნივთების უჩვეულო მეზობლობით თითქოს ჩვეულებრივი, ნაცნობი გარემო გვაბნევს, თავსატეხს გვიჩენს.

**რენე მაგრიტი.** **რესურსი 2**

- **დავალება**
- დააკვირდი რენე მაგრიტის სხვა სურათებს. რა შინაარსი ამოიკითხე თითოეულ მათგანში?
- რამდენად ემთხვევა შენი ხედვა მეგობრების ხედვას?

- **დავალება 2** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, ნაწარმოების ანალიზი):*
- დააკვირდი და შეადარე რენე მაგრიტის პაროდია-იმპროვიზაციები ედუარდ მანესა და ფრანსუა გერარდის ორიგინალებს. აქ მაგრიტის შავი იუმორი იჩენს თავს. თავად ავტორს არ განუმარტავს, რა იგულისხმა ამ ნამუშევრებში.
- შენ რა ახსნას მოუძებნი ამ სურათებს?

**სავარაუდო პასუხი:** გავრცელებული ინტერპრეტაციით: ის ადამიანებიც კი, რომლებიც შედევრებმა უკვდავყო, მოკვდავები არიან.

- **დავალება** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
  მოიფიქრე და დახატე სიურეალისტური ნამუშევარი, რომელშიც უჩვეულოდ დაუკავშირებ ერთმანეთს შენთვის ნაცნობ საგნებს.

- **დავალება** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები)*:
  შეარჩიე და აღწერე რენე მაგრიტის ერთი ნამუშევარი.
- რა არის გამოსახული სურათზე?
- რა არის უცნაური ამ სურათზე?
- როგორ ახსნი ნაწარმოების შინაარსს?
- რა ემოციას იწვევს შენში ეს ნაწარმოები?

*რენე მაგრიტის ნამუშევრის ანალიზისას მოსწავლემ უნდა მიაქციოს ყურადღება:
კომპოზიციას, ფონს, ფერთა გამას, ხაზს, შუქჩრდილს, მოცულობას, განათებას, სტატიკას.

**რენე მაგრიტის ნამუშევრის „კაცი ქუდით" აღწერის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების ნიმუში:**

**აღწერა:**

სურათზე „კაცი ქუდით" (1964 წ.) ახლო ხედით გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი. მას აცვია თეთრი პერანგი მოშავო კოსტიუმითა და კრემისფერი ჰალსტუხით, ახურავს მოკლეფარფლებიანი შავი ქუდი. სახეს მთლიანად უფარავს მტრედი. მტრედი მიფრინავს სინათლისკენ. ფონზე გამოსახულია რუხი ცა, ქვემოთ კი - პატარა მოლურჯო იისფერი მონაკვეთი, რომელიც შეიძლება აღიქვა ზღვად.

**ანალიზი:**

კომპოზიცია სიმეტრიულია, სტატიკური, სადა, მკაცრი. ფერადოვანი გამა აქრომატულია.

რუხი ფონის ცისფერი ელფერი სურათის კოლორიტს სიცივეს მატებს. კონტრასტი იქმნება არა ფერებით, არამედ მუქისა და ნათელის დაპირისპირებით.

ფორმები გადმოცემულია რეალისტურად – მოცულობითად, შუქჩრდილითა და ტონალური გრადაციით, სწორი პროპორციების დაცვით.

მტრედი თითქოს სინათლის მიმართულებით მიფრინავს, მაგრამ ის იმდენად ზედმიწევნითაა გამოწერილი, რომ დინამიკური მოძრაობის შეგრძნება იკარგება. ჩიტი თითქოს ჰაერშია გაყინული.

**ინტერპრეტაცია:**

მამაკაცის სახე ანონიმურია. მტრედი ილუზიონისტების საყვარელი ატრიბუტია. შესაძლოა მაგრიტი ამით მიგვანიშნებს, რომ როგორც არ უნდა დავაკვირდეთ ადამიანის გარეგნობას, მისი ჭეშმარიტი სახე მაინც ამოუცნობი დარჩება. რომც დაგვენახა, მის შინაგან ბუნებას, არსს მაინც ვერ ამოვიკითხავდით. მაგრამ თუ ჩიტი

გაფრინდება, მამაკაცის სახე გამოჩნდება. იქნებ მაგრიტს სურს გვითხრას, რომ შეუძლებელია მუდმივად დამალო შენი ნამდვილი სახე. ბოლოს და ბოლოს მაინც გამოაშკარავდება ფარული სახე.

შესაძლოა სხვაგვარი ინტერპრეტაციაც – მტრედი მშვიდობის სიმბოლოა და მაგრიტი მიგვანიშნებს, რომ ადამიანებს მშვიდობა სწყურიათ. მაგრიტის ეს სურათი, რომ არა მტრედი, ავტოპორტრეტი იქნებოდა, მაგრამ, მისი ფარული მნიშვნელობის გამო, ვეღარ ჩაითვლება ავტოპორტრეტად (გაიხსენეთ მისივე „ეს არ არის ჩიბუხი“).

**შეფასება:**

მაგრიტის სურათი გამოცანასავით დამაინტრიგებელია, თითქოს მარტივია და, ამავე დროს, შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი – მაშინვე გრჩება მეხსიერებაში. შესაძლოა, ამიტომაცაა მისი ქუდიანი მამაკაცების იდეა ასე ხშირად გამოყენებული მხატვრულ ფილმებში.

**რენე მაგრიტის შემოქმედება:** http://bit.ly/2Md6DRo , http://bit.ly/365OAU6
«მე კაცისა», «გოლკონდა», «შეყვარებულები», «ეს არ არის ჩიბუხი», «თერაპევტი», «ქუდიანი კაცი», «მასწავლებელი»

- **დავალება 3** (პრაქტიკული სამუშაო)
  - განვლილი მასალიდან შეარჩიე რომელიმე ხელოვანის ერთი ნამუშევარი.
  - წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა ეს ნამუშევარი, მის ავტორს თანამედროვე სამყაროში რომ ეცხოვრა? დახატე შენებური ვერსია.

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ჟოან მირო (1893-1983)** ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ანდრე ბრეტონის სიურეალისტურ მანიფესტში გაცხადებულ, ავტომატური ჯღაბნის მეთოდს მიმართა. ავტომატური წერა ან ჯღაბნა ხდება მაშინ, როცა გონება, ცნობიერი მოდუნებული, გათიშული გაქვს, არ ფიქრობ, რას ხატავ თუ წერ და ხელს მექანიკურად გამოჰყავს სიტყვები ან გამოსახულებები. ამ დროს შეიძლება გააქტიურდეს ქვეცნობიერის ნაკადი, რომელშიც ნიშან-სიმბოლოებადაა დაშიფრული ბავშვობის შეგრძნებები და შთაბეჭდილებები. მიროს სურათები წარმოადგენენ ბავშვის ნახატის იმიტაციას, სიტუაციისა და ფორმის ალოგიკური გამოსახვით. დროთა განმავლობაში მირო უფრო და უფრო ლაკონიური ხდება.

„ვცდილობ გამოვიყენო ფერები, როგორც სიტყვები, რომლებიც ქმნიან პოეზიას, როგორც ნოტები, რომლებიც ქმნიან მუსიკას“.

„ის, რასაც მე ვეძებ, არის უძრავი მოძრაობა, იგივე მდუმარე მეტყველება, ან უხმო მუსიკა“.

ჟოან მირომ შექმნა თავისი სახელობის ფონდი, რომელიც ახალგაზრდა მხატვრებს ეხმარება ნამუშევრების გამოფენაში.

**ნაბიჯი 2**

| გაკვეთილი 28. პოპ არტი | **რესურსი 3** |
|---|---|

- **დავალება - მსჯელობა**
  - ყოველ ეპოქას, კულტურას, ქვეყანას სახასიათო ნიშნებით გამოარჩევ. გიფიქრია იმაზე, რა არის ჩვენს ყოფაში ისეთი, რაც უნივერსალურია, დროისა და ეპოქის ნიშანია, რაც საზოგადოების უმეტესობას მოსწონს, სიხარულს ანიჭებს? რა არის ის, რაც ჩვენს დღევანდელ ყოფას განსხვავებულს ხდის?

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ენდი უორჰოლი (1928-1987)** თავის სახელოსნოს „ქარხანას“ ეძახდა. უორჰოლის ნამუშევრები ერთგვარად ქარხნული, სხვადასხვა ხელით შექმნილი, ერთობლივი ნამუშევრებია. უორჰოლის სახელოსნოში უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ხშირად სტუმრებს სთხოვდა, ნამუშევრის რაღაც ნაწილი დაეხატათ. ხელს კი დედამისი აწერდა. ასე რომ, მასობრივი კულტურის ეს სახე-ხატები ხალხის მიერვეა შექმნილი.

წარმოშობით ჩეხი მხატვრის ნამდვილი სახელი და გვარი ანდეკ უარჰოლა იყო. ერთ-ერთ ჟურნალში შეცდომით დაბეჭდეს გვარი. მოეწონა და ფსევდონიმად აიღო. შესაძლოა, უორჰოლმა იმიტომაც დაინახა ამერიკული საზოგადოების ნამდვილი სახე, რომ განსხვავებული კულტურის წიაღში იზრდებოდა. ზოგჯერ გარეშე თვალი უკეთ გრძნობს უცხო ქვეყნის სულისკვეთებას. ყოველ შემთხვევაში, ენდი უორჰოლი ამერიკული პოპ არტის ისეთივე ხატად იქცა, როგორც მისი მერლინ მონროს პორტრეტები.

რაც შეეხება ენდი უორჰოლის ნამუშევრების ტექნიკას, თავდაპირველად ხელით ხატავდა. შემდეგ ეკრანიდან ბეჭდვის (სქრინფრინთის) ტექნიკას მიმართა. თხელ, გამჭვირვალე ქსოვილს ჩარჩოზე ჭიმავენ. მის უკან დებენ ქაღალდს. ქსოვილს საღებავით ფერავენ, ან ნახატი შაბლონით გადააქვთ ქსოვილზე (სერიგრაფია). ამ ტექნიკით უამრავი ანაბეჭდის გაკეთება შეიძლებოდა.

ანაბეჭდების სერიული წარმოებით უორჰოლმა დაგვანახა, რომ რეკლამის წყალობით, ადამიანების სახეებმა და საგნებმა თავისი ჭეშმარიტი შინაარსი დაკარგეს და ყოველდღიური მოხმარების საგნებად იქცნენ. კომერციამ ადამიანი ნივთს გაუთანაბრა, მერლინ მონრო და კონსერვის წვნიანი ერთ სიბრტყეზე დააყენა, როგორც მომხმარებლის მისაზიდად ეფექტურად შეფუთული და სერიულად წარმოებული სავაჭრო საქონელი. პოპ არტი ამ ფაქტს ააშკარავებს. ამ მხრივ, პოპ არტი არაერთმნიშვნელოვანი მოვლენაა. ერთი მხრივ, ის ამერიკულ მომხმარებლურ საზოგადოებას თავის ჭეშმარიტ სახეს უჩვენებს, დასცინის, მის პაროდირებას ახდენს, მეორე მხრივ კი, ხელოვნებაში ამავე კომერციული ციებ-ცხელების რეალიებითა და ხერხებით სარგებლობს და თავადაც ამ სამყაროს განუყოფელი ნაწილი ხდება. საბაზრო მოთხოვნამ, ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობამ გააჩინა ხელოვნებაში კიტჩი. კიტჩი იაფფასიანი იმიტაციაა, სიმულაციაა იმათთვის, ვისთვისაც ძვირად ღირებული, გემოვნებიანი საქონელი ხელმისაწვდომი არ არის. თუ აქამდე ხელოვნება ელიტური მოვლენა იყო, ამიერიდან, კიტჩის საშუალებით, პოპ არტმა იაფფასიანსა და ძვირად ღირებულს, უგემოვნობასა და დახვეწილ გემოვნებას შორის ზღვარი წაშალა.

**დამატებითი ილუსტრაციები გაკვეთილისთვის:**

*რიჩარდ ჰამილტონი, „მაშ რა არის ის, რაც ჩვენს დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?“, 1956 წ:* https://bit.ly/2LOo3nH

*ენდი უორჰოლი, „კემპბელის წვნიანი“:* https://bit.ly/365I2oM *მერილინ მონროს პორტრეტები:* https://bit.ly/3sQm3vL

როი ლიხტენშტეინი, „რეფლექსიები გოგონაზე“, 1990 წ.: https://bit.ly/398Kuwr

კლას ოლდენბურგი, „სარეცხის სარჭი“, 1976 წ.: https://bit.ly/2LWPtYt

- **დავალება** 1 *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები):*
- მოიძიე და დააკვირდი პოპ-არტის მიმდინარეობის წარმომადგენელთა ნამუშევრებს.
- რას გამცნობენ ეს ნამუშევრები თანადროული საზოგადოების შესახებ?
- რა ხერხებს მიმართავენ ნამუშევრების ავტორები საზოგადოების მისწრაფებების ხაზგასასმელად?
- რამდენად ეფექტურია ეს ნამუშევრები?
- როგორ ფიქრობ, რამდენად მიაღწიეს მიზანს ავტორებმა?

**სავარაუდო პასუხი:** პოპ არტი ასახავს ხალხისთვის პოპულარულ თემებს, მომხმარებლური საზოგადოების ინტერესებს. პოპ არტისტები იყენებენ მასმედიისთვის (რეკლამები, გლამურული ჟურნალები, კომიქსები) დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, რაც მნახველზე შთაბეჭდილებას ახდენს ეფექტური, თვალშისაცემი, მკვეთრი ფერადოვნებით.

- **დავალება 2** (პრაქტიკული სამუშაო):
- დაფიქრდი, რა არის შენს დროში პოპულარული, რა არის საზოგადოების საყოველთაო ინტერესის საგანი? რა ადგილი უკავია ამ საგანს საზოგადოების ცხოვრებაში?
- გააკეთე ნამუშევარი, რომელშიც ხაზს გაუსვამ ამ საგნის პოპულარობას ან მნიშვნელობას დღევანდელი საზოგადოებისთვის.
- გაითვალისწინე, შენი ნამუშევარი არ უნდა იყოს რეკლამა, თუმცა მასში უნდა გამოიყენო რეკლამისთვის დამახასიათებელი სახვითი ხერხები (ფერი, ზომა, კონტრასტი და სხვა).

- **დავალება 4, ქანდაკება პოპ არტის სტილში** (პრაქტიკული სამუშაო):
- შენ მიერ შერჩეული მასალით შექმენი ფერადი ქანდაკება პოპ არტის სტილში, რომელიც შენი თაობის გატაცების საგანს ასახავს.

| გაკვეთილი 29. XX საუკუნე – ქანდაკების ახალი ერა | **რესურსი 4** |
|---|---|

- **დავალება - მსჯელობა** *(მხატვრული მახასიათებლები):*
- გადახედე ილუსტრაციებს. როგორია ამ ქანდაკებების პლასტიკა, ფაქტურა, შინაარსი?
- რა განასხვავებს მათ წინა ეპოქების შენთვის ნაცნობი სკულპტურებისგან?

***მინიშნება მასწავლებელს:**
სასურველია, მოსწავლეებმა შესადარებლად გაიხსენონ ანტიკური, აღორძინებისა და ბაროკოს ხანის ქანდაკებები და დააკვირდნენ, რომ თუკი იმ ქანდაკებებში ანატომიური სიზუსტეები და პროპორციები დაცულია, როდენის სკულპტურებში დიდი როლი ენიჭება სტილიზაციას, უტრირებას, ექსპრესიას, შუქჩრდილის კონტრასტულ თამაშს, უხეშ ფაქტურას და ა.შ.

| კამილ კლოდელი | **რესურსი 5** |
|---|---|

- **დავალება 1, მსჯელობა** (*მხატვრული მახასიათებლები*):
- დააკვირდი კამილ კლოდელის ქანდაკებებს. რა განცდებს გამოხატავენ ეს ფიგურები?
- იმსჯელე, რა ხერხით გამოხატავს მოქანდაკე მის შინაგან დრამას?

**კამილ კლოდელის ცნობილი ნამუშევრები:**
„შეყვარებულები“, „ვალსი“, „მოწიფულობა“, „კლოტო“, „მოხუცი ელენი“, „მოხუცის თავი“

- **დავალება 2, ძერწვა** (პრაქტიკული სამუშაო):
  - გამოძერწე ადამიანის განზოგადებული ფიგურა დეტალიზაციის გარეშე, რომლის პოზაც მძაფრ ემოციას გამოხატავს.

**სტატია კამილ კლოდელის შესახებ:** https://bit.ly/3t09Rsu

**იაკობ ნიკოლაძე** **რესურსი 6**

**დამატებითი ინფორმაცია იაკობ ნიკოლაძის შემოქმედების შესახებ:**
სტატია იაკობ ნიკოლაძის შესახებ: https://bit.ly/3gCpx1k
გადაცემა „დღე მუზეუმში", იაკობ ნიკოლაძის სახელოსნო: https://www.youtube.com/watch?v=-HAaZeekgJg

**ქართველი მოქანდაკე ქალები** **რესურსი 7**

*კარგი იქნება, თუ გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს შეკითხვას, რომელიც დააფიქრებს მათ საზოგადოებაში ზოგადად ქალების და კერძოდ ქალი ხელოვანების ადგილისა და როლის შესახებ.
**შეკითხვები:**
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის სახელმძღვანელოში ცალკე თავად გამოყოფილი თემა ქართველი მოქანდაკე ქალების შესახებ?
- გაიხსენეთ სახელმძღვანელოში მოყვანილი სხვა ქალი ხელოვანების ისტორიები. რა აერთიანებს მათ?

**პასუხი:** მოდერნიზმის ეპოქაში, როცა მსოფლიოში იწყება დემოკრატიული სახელმწიფოების მშენებლობა და პოლიტიკური თავისუფლების მიღწევა, ქალები ახერხებენ პოლიტიკური, სამოქალაქო და სოციალური უფლებების მოპოვებას. მათ შორის, ქალები იღებენ შესაძლებლობას მიიღონ ზოგადი და უმაღლესი განათლება, რაც საჯარო ცხოვრებაში მათ მონაწილეობას ზრდის. სწორედ ამ ისტორიული ცვლილებით უნდა აიხსნას ხელოვნებაში და კულტურაში ქალთა როლის გაზრდა და მონაწილეობა.

- **დავალება 3, დებატები თემაზე „მე რომ მოქანდაკე ვიყო":**
  - შენ რომ მოქანდაკე იყო, ვის მიაგებდი პატივს, ვის დაუდგამდი ძეგლს და სად?
  - წარმოადგინეთ თქვენი ვერსიები, დაურთეთ მათ ესკიზები, ციფრული კოლაჟები და განიხილეთ ერთმანეთის პროექტები „სამხატვრო საბჭოზე".
  - დაუსაბუთე საბჭოს შენი მოსაზრება – ვინ შეარჩიე ძეგლისთვის, რითია ეს პიროვნება განსაკუთრებული. სად დაიდგმება შენი ძეგლი და რატომ შეარჩიე ეს ადგილი?
  - რა გამომსახველობითი ხერხებით წარმოაჩენ ამ პიროვნების მნიშვნელობას?

**დამატებითი ინფორმაცია გაკვეთილისთვის:**
**ელენე მაჩაბელი (1906-1987 წ.)**
https://bit.ly/3sOucjL
**ნინო წერეთელი (1902-1939 წ.)**
https://www.radiotavisupleba.ge/a/nino-tsereteli-qali-moqandake/28601176.html
http://mcs.gov.ge/About-Us/Gallery/nino-cereteli-pirveli-qartveli-moqandake-qali-gamo.aspx
**თამარ აბაკელია (1905-1953 წ.)**
http://feminism-boell.org/ka/2014/06/06/tamar-abakelia

**შედარებითი ანალიზი:** **რესურსი 8**

- **დავალება 4, შედარებითი ანალიზი:**
  შეადარე ერთმანეთს:
  - კამილ კლოდელის „კლოტო“ მიქელანჯელოს „წვერიან მონას“.

- **დავალება 5, შედარებითი ანალიზი:**
  - ოგიუსტ როდენის „მოაზროვნე“ კამილ კლოდელის „მოხრილ ადამიანს“.
  - რა განცდებს გამოხატავენ ეს ფიგურები? რა საშუალებებით გადმოგვცემენ ისინი შინაგან დრამას?

**მიაქციე ყურადღება:**
ფორმას, შინაარსს, ქანდაკების პოზას, ფაქტურას (დამუშავების ხარისხი).

- **დავალება 6** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
  - შეადარე როდენისა და გიბერტის კარიბჭეები.
  - რაში გამოიხატება რენესანსული წესრიგი და იმპრესიონისტული სპონტანურობა?

**შედარების სავარაუდო ნიმუში:**
ლორენცო გიბერტის „სამოთხის კარიბჭე“ 10 მრავალფიგურიანი კომპოზიციისგან შედგება. ბიბლიურ პერსონაჟთა ლირიკულ ხასიათში, ფიგურათა დამუშავებაში, მოცულობების გამოვლენაში, ანატომიურად სწორ პროპორციებში, პერსპექტივის წესების დაცვით აგებულ არქიტექტურულ თუ ბუნებრივ პეიზაჟებში რენესანსული ხელოვანი იგრძნობა.

ოგიუსტ როდენის „ჯოჯოხეთის კარიბჭე“ არის უზარმაზარი ბრინჯაოს ბჭე, რომელზეც აღბეჭდილია ჯოჯოხეთი. კარიბჭეზე ასამდე ან მეტი ფიგურაა გამოსახული, რომლებიც რთული პოზებით, ექსპრესიული მიმიკითა და ჟესტიკულაციით სულიერ ტანჯვას გამოხატავენ.

გიბერტის კარიბჭე რენესანსულად მოწესრიგებულია, მკაფიოდ ორგანიზებული, როდენისა კი გამძვინვარებულ ვულკანურ ლავას მოგვაგონებს, ერთიანად რომ მოედინება კარიბჭეზე. ზოგან ფიგურა ზღვარს არღვევს და ჩარჩოზე გადადის. აქ ყველაფერი ზღვარგადასულია – კარიბჭეზე გამოსახულებების განაწილებაცა და პერსონაჟების ემოციებიც. შუქჩრდილის მოუსვენარი თამაში ამ ნაწარმოებს ცხოველხატულ, იმპრესიონისტულ იერს ანიჭებს.

**დამატებითი ინფორმაცია:**
1880 წელს ოგიუსტ როდენმა სახელმწიფოსგან დაკვეთა მიიღო. მას პარიზის დეკორაციული ხელოვნების მუზეუმისთვის ბრინჯაოს კარიბჭე უნდა შეექმნა. „ჯოჯოხეთის კარიბჭეზე“ როდენი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. გაუთავებლად ცვლიდა ფიგურების განლაგებას, რაღაცას ამატებდა, აკლებდა. კარიბჭის ჩამოსხმას ვერ მოესწრო, მაგრამ ოსტატის შემოქმედებაში ამ მასიურ რელიეფს გამორჩეული ადგილი უჭირავს.

რენესანსის ეპოქის მოქანდაკის ლორენცო გიბერტის მიერ ფლორენციის ბაპტისტერიუმისთვის (სანათლავი) შექმნილი ბრინჯაოს რელიეფური კარი იმდენად უზადო იყო, რომ მიქელანჯელო ბუონაროტის უთქვამს – „ის სამოთხის კარად გამოდგებოდა“. ასე მიეკერა სახელი – „სამოთხის კარიბჭე“ ლორენცო გიბერტის ქმნილებას.

გიბერტის შემოქმედებით აღტაცებული როდენი მის საპირისპიროდ, „ჯოჯოხეთის კარიბჭეს“ ქმნის, რითაც საუკუნეებით დაშორებული წინაპრის გვერდით აყენებს თავს – ამიერიდან შეუძლებელია ისაუბრო ერთზე ისე, რომ მეორე არ ახსენო.

როდენის აზრით, იმდროინდელი საფრანგეთი და მისი მესამე რესპუბლიკა ჯოჯოხეთთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე სამოთხესთან. კარიბჭის ცენტრში ვხედავთ როდენის ყველაზე ცნობილი ნამუშევრის „მოაზროვნეს“ სკულპტურას, რომელსაც აღორძინების ხანის მოაზროვნესთან და მწერალთან, დანტე ალიგიერისთან აიგივებენ, ხოლო პოზით, მიქელანჯელოსეულ, ლორენცო მედიჩის სკულპტურას ადარებენ (მედიჩების კაპელა, ფლორენცია).

***დამატებითი ილუსტრაციები დავალებისთვის:***
ოგიუსტ როდენი: http://bit.ly/3iGs21j , http://bit.ly/3iCD8Vn
ჯოჯოხეთის კარიბჭე: https://www.youtube.com/watch?v=tPvYO-XTWmU
მიქელანჯელო, ლორენცო მედიჩის ქანდაკება: https://bit.ly/39TGRKZ

**ნაბიჯი 4**

გაკვეთილი 30. ახალი ფორმის ძიება. **რესურსი 9**

- **დავალება - მსჯელობა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მხატვრული მახასიათებლები)*:
- დაათვალიერე ილუსტრაციები. რა სიახლეს ხედავ XX საუკუნის ქანდაკებაში?
- ამჩნევ რაიმე საერთოს იმასთან, რაც თანადროულ მხატვრობაში ხდებოდა?

**სავარაუდო პასუხი:**
მოდერნიზმის ეპოქის ხელოვანთა მიერ შინაარსისგან დაცლილი, სუფთა ფორმების ძიებამ ქანდაკებაშიც იჩინა თავი. თუ მხატვრობაში ეს პროცესი თანდათან, ეტაპობრივად ვითარდებოდა, ქანდაკებაში უფრო მკვეთრი ნახტომით გამოიხატა.

**თანამედროვე სკულპტურის რამდენიმე ნიმუში:** *http://bit.ly/3oaBeME*

**დამატებითი ინფორმაცია:**
**პაბლო პიკასო (1881-1973)** XX ს-ის ყველაზე ცნობილ მხატვრად ითვლება. მისი შემოქმედება იმდენად მრავალფეროვანია როგორც დარგობრივად, ასევე ჟანრებით და მიმდინარეობებით, რომ მასზე, როგორც მხოლოდ კუბისტ მხატვარზე ლაპარაკი არ იქნებოდა სწორი, თუმცა, კუბიზმი სწორედ პიკასოს დამსახურებაა და, აქედან გამომდინარე, ცვლილებები, რომლებიც ამ მიმდინარეობამ გამოიწვია მთელი მომდევნო პერიოდების ხელოვნებაშიც, მისი „ბრალია“.

**კონსტანტინ ბრანკუში (1874-1957)** – რუმინელი მოქანდაკე, რომელმაც თანამედროვე ქანდაკებას ერთდროულად სრულიად ახალი მიმართულება მისცა და, ამავე დროს, პირველყოფილ ფორმასთან დააბრუნა.

XIXს-ის მიწურულს რუმინეთსა და უკრაინაში აღმოჩენილი ადრეული ბრინჯაოს (ენეოლითის) ხანის დასახლებების (ტრიპოლის და კუკუტენის) კულტურული მემკვიდრეობა (ჭურჭელი, თიხის კერპები და სხვა) ვიზუალურად ძალიან ჰგავს კიკლადური კულტურის ნიმუშებს – არაფერი მეორეხარისხოვანი – მხოლოდ მთავარი, ლაკონიური ფორმით გადმოცემული დაწურული ინფორმაცია! სწორედ ასეთ პირობით სახვით ენას, ასეთ ლაკონიურობას ეძებდა ბრანკუში. იგი პირველი მოქანდაკეა, ვინც ქანდაკებაში აბსტრაქცია შემოიტანა. მის იდეალურად გაპრიალებულ ქანდაკებებში ფორმა განზოგადებულია, ძირითადამდე დაყვანილი, ერთიანი, დეტალებისგან თავისუფალი. ბრანკუშისთვის ქანდაკებაში მთავარია არა მსგავსება, არამედ საგნის არსი. ბრანკუში თვლიდა, რომ ბუნებაში ყველაზე სრულყოფილი ფორმა კვერცხის ფორმაა. კვერცხი სიმბოლურად განასახიერებს სამყაროს, სიცოცხლეს, რომელიც იდეალურ ოვალშია მოქცეული. აბსტრაჰირების, ჩანასახის

ფორმამდე დაყვანის სურვილმა ბრანკუში სწორედ იმ საწყისებამდე მიიყვანა, პრეისტორიულ ხელოვნებას რომ ახასიათებს.

„კოცნის“ შესახებ ბრანკუშის უთქვამს – „ეს არის ჩემი დამასკოს გზაო“. გადმოცემით, დამასკოსკენ გზად ქრისტეს მოციქულ სავლეს მოქცევა მოხდა. მას შემდეგ ეს გამოთქმა ცხოვრებისეულ გზაჯვარედინზე დგომისას სწორი არჩევანის გაკეთების მეტაფორად იქცა, გონება რომ გაგინათდება, იმ მომენტის აღმნიშვნელ ფრაზად. ეს ქანდაკება იქცა ბრანკუშის შემოქმედებითი ძიებებისა და „ხეტიალის“ დაგვირგვინებად, საეტაპო ნამუშევრად. „კოცნის“ პირველი ვერსია 1907 წელს შეიქმნა. ორი ადამიანის სხეული ერთ მთლიანობად იქცა, განუყოფელ მონოლითად. ეს უკვე ორი ადამიანის კი არა, მათი „ერთ სულ და ერთ ხორცად“ შერწყმის იდეის ქანდაკებაა. წლების მანძილზე ბრანკუში რამდენჯერმე უბრუნდება ამ თემას. „კოცნა“ საფუძვლად დაედო ბრანკუშის „კოცნის კარიბჭეს“, რომელიც რუმინეთში, ქალაქ ტირგუ-ჟიუში პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის სკულპტურული ანსამბლის ნაწილია. ამ კომპლექსის ნაწილებია „უსასრულო სვეტი“, „მდუმარების მაგიდა“ და სკამებიც.

„უსასრულო სვეტი“, კომპლექსის ცენტრალური ობიექტი, მოოქრული ფოლადის 30-მეტრიანი კოლონაა. სვეტის ქვედა ელემენტი მიწიდან იზრდება. ზედა თასივით იშლება, თითქოს ზეციურ მადლს აგროვებს და ცის კაბადონს იჭერს. ეს არის სრულიად აბსტრაქტული ფორმა, რომელიც ორგანულადაა ჩაწერილი გარემოში, და თან ძველი რუმინული ხალხური წარმოდგენის განსახიერებაცაა, რომლის მიხედვით, სვეტი ის გზაა, რომლითაც სულები ზეცაში ადიან. სვეტი ხომ ომში დაღუპულ გმირებს ეძღვნება.

საინტერესო ეპიზოდი ბრანკუშის ცხოვრებიდან – 137 სმ. სიმაღლის ქანდაკება „ჩიტი სივრცეში“ (1928 წ.) ბრანკუშის ნიუ-იორკში, გამოფენაზე მიჰქონდა. საბაჟოზე არ დაიჯერეს, რომ ეს ხელოვნების ნაწარმოებია, ლითონის ნედლეული ეგონათ. ავტორი დააჯარიმეს. ბრანკუშიმ სასამართლო პროცესი კი მოიგო, მაგრამ თავად პროცესი იქცა საინტერესო კამათად იმის შესახებ, თუ რა არის ხელოვნება – როგორ გავიგოთ, რომ ეს ხელოვნებაა და არა უბრალოდ ლითონის საგულდაგულოდ გაპრიალებული ნაჭერი.

რაში მდგომარეობს აქ ხელოვანის ჩანაფიქრი?

ეს რომელიმე კონკრეტული ჩიტის, მერცხლის, შაშვის ან ტოროლას ქანდაკება კი არ არის, არამედ ეს ფრენის შეგრძნების ქანდაკებაა, ცაში აჭრის, დაუბრკოლებლად სრიალის, სივრცის გაპობის. ეს უკვე ნამდვილი აბსტრაქციაა, ფიგურაციულობისგან სრულიად თავისუფალი. ბრანკუში კვლავ და კვლავ უბრუნდება და ხვეწს ფრენის შეგრძნების გადმოცემას. არსებობს ამ ქანდაკების 22 საავტორო ვერსია.

**კონსტანტინ ბრანკუშის ნამუშევრები:** https://www.wikiart.org/en/constantin-brancusi
**დავით კაკაბაძე (1889-1952წ.):** http://bit.ly/2KBtUvP

- **დავალება 1, შედარებითი ანალიზი:**
- რა განსხვავებაა ბრანკუშის „კოცნის კარიბჭესა“ და რომაულ ტრიუმფალურ თაღებს შორის ფუნქციისა და ფორმის თვალსაზრისით?
- ბრანკუშის რომელ ნაწარმოებს ეხმიანება ეს მონუმენტი და რა ნიშნით?

**სავარაუდო პასუხები:** რომაული ტრიუმფალური თაღი ძველი რომის სამხედრო გამარჯვებებისა და იმპერატორების განდიდებას ემსახურებოდა. ისინი გამოირჩევა მონუმენტურობით, არქიტექტურული და სკულპტურული დეკორის სიუხვით. ბრანკუშის კარიბჭე კი ადამიანური ურთიერთობების ყველაზე ამაღლებულ, ლირიკულ გამოხატულებას - კოცნას ეძღვნება. მისი მასშტაბი და დეკორი არ არის დამთრგუნველად გრანდიოზული.
ბრანკუშის „კოცნის კარიბჭე“ ეხმიანება მისსავე ქანდაკებას „კოცნა“.

- **დავალება 2** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
  - გამოძერწე ცხოველის ან ფრინველის განზოგადებული, დეტალებისგან სრულიად თავისუფალი ფორმა და დაამაგრე სადგამზე.

- **დავალება 3, კონსტრუქცია ჟოან მიროს ნაწარმოებების თემაზე** (პრაქტიკული სამუშაო):

***მინიშნება მასწავლებელს:** მიუხედავად იმისა, რომ დავალება არ არის კომპლექსური, მას მოსწავლეები გაჰყავს საკმაოდ ბევრ შედეგზე. ამის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ შეფასების ფორმის შემოთავაზება (შეფასების ფორმა იხ. ამავე მატრიცის ბოლოს, კომპლექსური დავალების ფორმის ქვემოთ).

**სავარაუდო მასალა:**

მავთული
მუყაო ან სქელი ქაღალდი
ქაღალდის და მავთულის საჭრელი მაკრატელი
ბრტყელტუჩა
ცხელი წებო

**დავალების პირობა:**

- ჟოან მიროს რომელიმე აბსტრაქციული ფერწერული ნამუშევრის მიხედვით, მისთვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით (ხაზი, ფერი, ფორმა, წონასწორობა, ასიმეტრია, დინამიკა, რიტმი) შექმენი მოძრავი ან უძრავი სამგანზომილებიანი კომპოზიციის მოდელი, რომელიც დაამშვენებდა შენი სკოლის გარემოს.
- დაათვალიერე ჟოან მიროს ნამუშევრები.
- დააკვირდი და მოიფიქრე, ტექნიკურად როგორ შეიძლება მათი გადატანა სამ განზომილებაში?
- შენი სკოლის რომელ ადგილს მოუხდება შენ მიერ შექმნილი კონსტრუქცია?

**წარდგენისას ისაუბრე:**

- ჟოან მიროს რომელი ფერწერული ნამუშევარი შეარჩიე სამგანზომილებიან კომპოზიციაში გადასატანად და რატომ?
- როგორ იყენებს ჟოან მირო სახვით საშუალებებსა და ხერხებს სასურველი ეფექტის მისაღწევად?
- როგორ გამოიყენე ჟოან მიროს შემოქმედებისთვის დამახასიათებელი სახვითი ენა საკუთარ ნამუშევარში?
- რა მასალა და ტექნიკური ხერხები გამოიყენე საკუთარ ნამუშევარში?
- როგორი იყო შენი წინასწარი ვარაუდი, მოლოდინი?
- რა ტექნიკურ სირთულეს წააწყდი და როგორ დაძლიე პრობლემა?

***ჟოან მიროს შემოქმედება:***
https://bit.ly/3u0B263 , https://bit.ly/32ysuaK

1  2. 

ჟოან მიროს ქანდაკებები (1967 წ.):

1. პერსონაჟი https://bit.ly/3xcQXk0
2. ჩიტის ალერსი https://bit.ly/3gmmZnP

- **დავალება 4** (პრაქტიკული სამუშაო):
- გამოძერწე აბსტრაჰირებული ფორმები და შეადგინე მათგან კომპოზიცია.
- ეცადე, ფორმებითა და კომპოზიციით გამოხატო რაიმე იდეა ან განწყობა.

* ნამუშევრის შესაქმნელად შეგიძლია გამოიყენო ნებისმიერი მასალა და, თუ საჭიროდ ჩათვლი, მცირე ზომის ნივთებიც.

- **დავალება 5** (პრაქტიკული სამუშაო):
- შეაგროვე უსარგებლო ნივთები. დააკვირდი მათ ფორმასა და ფაქტურას. რას გაგონებენ ისინი?
- ამ ნივთებისა და მათი დეტალების კომბინაციით შექმენი კონსტრუქცია - უცნაური არსების ქანდაკება.

- **დავალება 6** *(მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
- გამოიცანი სახელმძღვანელოში მოცემული ალბერტო ჯაკომეტის ქანდაკებებიდან რომელია კუბისტური, რომელი – აფრიკული პერიოდისა და რომელი – სიურეალისტური?

**პასუხი:**

კუბისტური – „ადამიანი“
სიურეალისტური – „მაგიდა“
აფრიკული – „ქალი-კოვზი“



*ჯაკომეტის ქანდაკება „ქალი-კოვზი“ შთაგონებული იყო აფრიკული რიტუალური კოვზებით.

**ნაბიჯი 5**

გაკვეთილი 31. ქანდაკება საქართველოში **რესურსი 10**

*ამ გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ ქართველი მოქანდაკეების ნამუშევრებს, გაიაზრონ ქართული ქანდაკების ისტორიული კონტექსტი, შინაარსი, მხატვრული თავისებურებები და მათი მიზეზები. ასევე, გააცნობიერონ ქანდაკებისა და გარემოს ურთიერთმიმართება, სივრცის მაორგანიზებელი როლი.

- **დავალება -მსჯელობა**
- გაიხსენე, სად და რა ქანდაკებები გინახავს?
- ვის ან რას ეძღვნება, რა შთაბეჭდილებას, რა ფიქრებსა და გრძნობებს აღძრავენ ისინი?

- **დავალება 1, ელექტრონული ალბომი**
- მოიძიე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ძეგლები.
- შექმენი ქართველი ისტორიული პირების ძეგლების ელექტრონული ალბომი.

**თბილისის ძეგლების კატალოგი:** http://bit.ly/3odqkWx

- **დავალება 2** *(მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
- შეადარე მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებები „მუზა“, „გიორგი სააკაძე“ და „კიდევაც დაიზრდებიან“.
- იმსჯელე ერთი ავტორის მიერ შექმნილ ნაწარმოებებში გამოყენებულ განსხვავებულ მხატვრულ ხერხებზე.

- **დავალება 3, კვლევა** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*
- მოიძიე ცნობები ქართველი მოქანდაკეებისა და მათი ნამუშევრების შესახებ.
  შეადარე ერთი და იგივე ავტორის სხვადასხვა ქანდაკება. იმსჯელე ქანდაკებების შექმნის ადგილზე (გარემო), ისტორიაზე, შინაარსზე, სტილზე, გავლენებზე, დამახასიათებელ და განმასხვავებელ ნიშნებსა და მათ სავარაუდო მიზეზებზე.

- **დავალება 4, „ისტორიული კონტექსტი, საზოგადოება და ხელოვანი“:**
  კვლევა და მსჯელობა თემაზე, თუ რა გავლენა იქონია ამა თუ იმ ისტორიულმა კონტექსტმა რომელიმე კონკრეტულ ნამუშევარზე.

**დავალების პირობა:**

- გამოიკვლიე ოგიუსტ როდენის მიერ სკულპტურული კომპოზიციის - „კალეს მოქალაქეები“ – შექმნის ისტორია.
- გაუზიარე მოპოვებული ინფორმაცია მეგობრებს.

*მოსწავლეები ეცნობიან ქალაქ გორში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა და სტალინური საბჭოთა რეპრესიის მსხვერპლთა მონუმენტის პროექტს (ავტორები თამარ კვესიტაძე, პაატა სანაია) და იკვლევენ მის გარშემო არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიზეზებს.

**ოპონენტთა არგუმენტები:**

ა) ისედაც ომგადატანილი ქალაქის მცხოვრებლებზე დაჩეხილი ფიგურების ყოველდღე ხილვა დამთრგუნველად იმოქმედებს;
ბ) მსგავსება როდენის სკულპტურულ ჯგუფთან „კალეს მოქალაქეები“;
გ) ადგილი, სადაც ადრე სტალინის ძეგლი იდგა, უნდა დარჩეს ხელუხლებლად.
ე) საზოგადოება ჯერ მზად არ არის საქართველოში თანამედროვე სკულპტურული ფორმების აღსაქმელად.

- მოსწავლეები მსჯელობენ ჩანაფიქრზე, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას.
- შეისწავლიან ქანდაკებათა მსგავსების სხვა შემთხვევებს (დ. მიქატაძის გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი თბილისში და ოგიუსტ როდენის „ბალზაკის ქანდაკება“).
- მოსწავლეები წერენ ესეს: „გავლენა, ინტერპრეტაცია და პლაგიატი ხელოვნებაში“.

***დამატებითი ინფორმაცია დავალებისთვის:**
**ოგიუსტ როდენის „კალეს მოქალაქეების“ შექმნის ისტორიიდან:**

1346 წელს ინგლისის მეფე ედუარდ III-მ იერიში მიიტანა საფრანგეთის საკვანძო ციხესიმაგრე კალეზე. ალყამ ერთ წელიწადს გასტანა. ბოლოს შიმშილმა აიძულა კალეს მოქალაქეები, დანებებულიყვნენ. როდესაც მათ მოლაპარაკება წამოიწყეს, ედუარდ III-მ ექვსი სახელოვანი მოქალაქის სიცოცხლე მოითხოვა. მათი სიკვდილით დასჯით მეფეს უნდოდა სხვებისთვის ჭკუა ესწავლებინა. პირველი მოხალისე იყო ქალაქის ერთ-ერთი მდიდარი მოქალაქე, იუსტაშ დე სენ-პიერი. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მეფის მოთხოვნით, მათ კისერზე თოკმობმულებს უნდა მიერთმიათ ქალაქის გასაღები. ფრანგებმა ეს მოთხოვნა შეასრულეს. ინგლისის ორსულ დედოფალ ფილიპას შეებრალა შიმშილით ღონემიხდილი მოქალაქეები და მეუღლეს სთხოვა, მომავალი შვილის სახელზე მათთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

ქალაქ კალეში XIX საუკუნიდან გაჩნდა თავდადებულ მოქალაქეთა უკვდავყოფის იდეა. მონუმენტს უნდა აესახა ფრანგთა გრძნობები – დამარცხების სიმწარე და გმირული თავგანწირვით აღტაცება. მაგრამ ქალაქის მუნიციპალიტეტს გაუჭირდა საკმარისი თანხის მოძიება, რომ ძეგლი კარგი მოქანდაკისთვის შეეკვეთა. 1884 წელს, როცა საფრანგეთი ცდილობდა შეჭგუებოდა ფრანკო-პრუსიულ ომში დამარცხებას, კალეს მერი დევავრინი თანხის შეგროვებას შეუდგა და მონუმენტი ოგიუსტ როდენს შეუკვეთა.

როდენი სკულპტურაზე 1884-1888 წლებში მუშაობდა. დამკვეთები ღელავდნენ და ბევრს კამათობდნენ მოქანდაკის ჩანაფიქრზე. მათ ძეგლი წარმოედგინათ ერთი ფიგურის – იუსტაშ დე სენ-პიერის სახით. როდენი კი ექვსი ფიგურისგან შემდგარ სკულპტურულ ჯგუფს ქმნიდა. კამათი კიდევ ერთი საკითხის გარშემო გაიმართა –

ადრე ყველა გმირის ძეგლი იდგმებოდა შემაღლებულ ადგილზე და გარემოში დომინანტს წარმოადგენდა. როდენი ამ თვალსაზრისს არ ეთანხმებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ მსგავსი თავგანწირვა ყველა მოქალაქის ვალია და ქუჩაში გამვლელებს XIV საუკუნის მოქალაქეებთან თავის გაიგივება უნდა შესძლებოდათ.

მზა მონუმენტი ყველას მოეწონა, მაგრამ მაინც მაღალ პიედესტალზე დადგეს და ჯებირით შემოსაზღვრეს. მხოლოდ როდენის გარდაცვალების შემდეგ, 1924 წელს შესრულდა მისი ნება – სკულპტურული ჯგუფი მიწაზე, ოდნავ შემაღლებულ ცოკოლზე მოათავსეს.

**თანამედროვე მოქანდაკის თამარ კვესიტაძის *(1968 წ.)* შემოქმედება:**
http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000671/
https://www.youtube.com/watch?v=UO9y2waKvb0
https://artefuse.com/2020/09/24/tamara-kvesitadzes-passage-at-kornfeld-galerie-berlin/
https://artsandculture.google.com/exhibit/QAKyAru4gngKKQ

**დამატებითი ილუსტრაციები გაკვეთილისთვის:**
მერაბ ბერძენიშვილი: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001497/
ელგუჯა ამაშუკელი: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000028/
გოგი ოჩიაური: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001422/
თენგიზ კიკალეიშვილი (1938 წ.): http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00013230/
დიმიტრი მიქატაძე (1932-2005 წ.): http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00003250/
https://www.facebook.com/watch/?v=1522986651314014
სიმონ ვაჟა მელიქიშვილი: კატალოგი „ვაჟა მელიქიშვილი, ქანდაკება“, პროექტის ავტორი თამარ მელიქიშვილი, თბილისი, 2011 წ.

**შეფასების კრიტერიუმები:**
- ქმნის ნამუშევარს თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენებით; (ს.გ.საბ.1).
- ნამუშევრის შექმნისას თავად სახავს და ჭრის შემოქმედებით ამოცანას, მიზნის შესაბამისად არჩევს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს, მასალას, ტექნიკას, მხატვრულ სტილს (ს.გ.საბ.2).

შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალებისთვის „მემორიალი“

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------
საგანი: ხელოვნება
საკითხები/ქვეცნებები:
**სახვითი საშუალებები და ხერხები:** ფორმა (ბრტყელი და მოცულობითი, გეომეტრიული და ბუნებრივი, უტრირებული, სტილიზებული და სხვ), ფაქტურა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება; მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, კომპოზიციური მთლიანობა
**სახვითი ხელოვნების დარგი:** ქანდაკება
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ძერწვა. მოდელირება-კონსტრუირება
**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის მხატვრული მახასიათებლები:** XX ს-ის ხელოვნება
კომპლექსური დავალების **„მემორიალი“** პირობა:
შექმენი მემორიალის ესკიზი (ციფრული ან ხელით შესრულებული) და სამგანზომილებიანი მოდელი (ქანდაკება ან კონსტრუქცია), რომელიც შენი თაობის მოზარდების საერთო ინტერესს ასახავს.

ნამუშევრის წარდგენისას დაასაბუთე შენი იდეა. იმსჯელე შერჩეული თემის, გამოყენებული მასალის, ტექნიკის, ფორმისა და ფაქტურის შესახებ.
**წარდგენისას იმსჯელე:**

- რა იყო შენი იდეის შთაგონების წყარო?
- რას უძღვნი შენს ნამუშევარს?
- სად ისურვებდი მის განთავსებას და რატომ?
- როგორი ფორმა, ფერი, ფაქტურა და ზომა შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის და რატომ?
- რა მასალითა და ტექნიკით შეასრულე სამგანზომილებიანი მოდელი და რატომ?
- რა სირთულეებს წააწყდი მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე და როგორ დაძლიე ისინი?
- რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ამ პროექტზე მუშაობას?

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები | სახვითი ხელოვნების დარგი | სახვითი ხელოვნების მასალა და ტექნიკა | სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის /მიმდინარეობის/სტილის მხატვრული მახასიათებლები |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლე სიღრმისეულად გაიაზრებს საკითხის არსს/ არსობრივ მახასიათებლებს, რაც აძლევს ამ ცოდნის განზოგადების, დეკონტექსტუალიზების/ მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას. განსახილველ საკითხს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას. | დავალებაში დასახული ამოცანის გადასაჭრელად შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს. ჩანს ეფექტური, ორიგინალური ხედვა. ჩანაფიქრის შესაბამისად, ადეკვატურად ირჩევს მასალასა და ტექნიკას, მსჯელობს თავისი ნამუშევრის ყველა ტექნიკურ მახასიათებელზე, გამოთქვამს ვარაუდებს ალტერნატიული გზების შესახებ. წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად დამოუკიდებლად პოულობს გონივრულ, ორიგინალურ, ოპტიმალურ გამოსავალს. სიღრმისეულად ესმის თანამედროვე ქანდაკების არსობრივი მხატვრული მახასიათებლები და შეუძლია მათი განზოგადება; ამომწურავად ასაბუთებს საკუთარი ნამუშევრის იდეისა და მხატვრული სახის მიმართებას თანამედროვე ქანდაკების მახასიათებლებთან, მოჰყავს შესაბამისი მაგალითები; ამომწურავად აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სახავს მრავალფეროვან სამომავლო ამოცანებს და მათი მიღწევის გონივრულ გზებს. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სახავს რამდენიმე სამომავლო ამოცანას და მათი მიღწევის გონივრულ გზებს. დასახული ამოცანის გადასაჭრელად ადეკვატურად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს. | | ჩანაფიქრის შესაბამისად ირჩევს მასალასა და ტექნიკას, მსჯელობს თავისი ნამუშევრის რამდენიმე ტექნიკურ მახასიათებელზე. წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად მასწავლებლის მინიშნებით პოულობს გონივრულ გამოსავალს. | თანამიმდევრულად ესმის თანამედროვე ქანდაკების არსობრივი მახასიათებლები; ძირითად მხატვრულ მახასიათებლებზე დაყრდნობით ადარებს თავის ნამუშევარს XX ს-ის ქანდაკებებს; |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ მხარეებს. მასწავლებლის დახმარებით სახავს ორიოდე სამომავლო ამოცანას. სახვითი ხერხები ბუნდოვნად უკავშირდება ამოცანას. | | მასალისა და ტექნიკის არჩევანი ბუნდოვნად უკავშირდება დასახულ მიზანს. ასახელებს თავისი ნამუშევრის ორიოდე ტექნიკურ მახასიათებელს. წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად მასწავლებლის დახმარებით პოულობს გამოსავალს. | ესმის თანამედროვე ქანდაკების რამდენიმე მახასიათებელი; მწირ მხატვრულ მახასიათებლებზე დაყრდნობით ადარებს თავის ნამუშევარს XX ს-ის ქანდაკებებს; |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მასწავლებლის დახმარებითაც უჭირს საკუთარი ნამუშევრის სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვა. მასწავლებლის დახმარებითაც უჭირს თუნდაც ერთი სამომავლო ამოცანის დასახვა. სახვითი ხერხების გამოყენებას აქვს შემთხვევითი ხასიათი. | | მასალისა და ტექნიკის არჩევანი შემთხვევითია და არ შეესაბამება დასახულ ამოცანას. ასახელებს თავისი ნამუშევრის ერთ ტექნიკურ მახასიათებელს. უჭირს წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად მასწავლებლის მიერ შეთავაზებული გამოსავლის მიზანშეწონილობის გაცნობიერება. | ასახელებს თანამედროვე ქანდაკების ერთ არსობრივ მახასიათებელს; ერთ მხატვრულ მახასიათებელზე დაყრდნობით ადარებს თავის ნამუშევარს XX ს-ის ქანდაკებას; |
| **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება დასახულ ამოცანას. | | | |
| **მასწავლებლის კომენტარი:** | | | | |

**შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით დავალებისთვის „კონსტრუქცია ჟოან მიროს ნაწარმოებების თემაზე“:**

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------
საგანი: ხელოვნება

საკითხები/ქვეცნებები:
**სახვითი საშუალებები და ხერხები:** ხაზი, ფერი, ფორმა; წონასწორობა, ასიმეტრია, დინამიკა, რიტმი
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** მოდელირება-კონსტრუირება
**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის მხატვრული მახასიათებლები:** აბსტრაქცია

დავალების **„კონსტრუქცია ჟოან მიროს ნაწარმოებების თემაზე“** პირობა:
ჟოან მიროს რომელიმე აბსტრაქციული ფერწერული ნამუშევრის მიხედვით, მისთვის დამახასიათებელი სახვითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით (ხაზი, ფერი, ფორმა, წონასწორობა, ასიმეტრია, დინამიკა, რიტმი) შექმენი მოძრავი ან უძრავი სამგანზომილებიანი კომპოზიციის მოდელი, რომელიც დაამშვენებდა შენი სკოლის გარემოს.
**წარდგენისას იმსჯელე:**
- ჟოან მიროს რომელი ფერწერული ნამუშევარი შეარჩიე სამგანზომილებიან კომპოზიციაში გადასატანად და რატომ?
- როგორ იყენებს ჟოან მირო სახვით საშუალებებსა და ხერხებს სასურველი ეფექტის მისაღწევად?
- როგორ გამოიყენე ჟოან მიროს შემოქმედებისთვის დამახასიათებელი სახვითი ენა საკუთარ ნამუშევარში?
- რომელი ტექნიკური ხერხი გამოიყენე საკუთარ ნამუშევარში?
- როგორი იყო შენი წინასწარი ვარაუდი, მოლოდინი?
- რა ტექნიკურ სირთულეს წააწყდი და როგორ დაძლიე ის?
- შენი სკოლის რომელ ადგილს მოუხდება შენ მიერ შექმნილი კონსტრუქცია?

| **კრიტერიუმი –/– სამიზნე ცნება** | **სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები** | **სახვითი ხელოვნების ტექნიკა** | **სხვადასხვა ეპოქის/კულტურის /მიმდინარეობის/ სტილის მხატვრული მახასიათებლები:** |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლე სიღრმისეულად გაიაზრებს საკითხის არსს/ არსობრივ მახასიათებლებს, რაც აძლევს ამ ცოდნის განზოგადების, დეკონტექსტუალიზების/ მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას. განსახილველ საკითხს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას. | სიღრმისეულად ესმის აბსტრაქციის არსობრივი მახასიათებლები;<br>მხატვრულ მახასიათებლებზე დაყრდნობით სიღრმისეულად ადარებს ჟოან მიროს ფერწერულ ტილოს თავის ნამუშევარს; ამომწურავად აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სახავს მრავალფეროვან სამომავლო ამოცანებს და მათი მიღწევის გონივრულ გზებს.<br>დავალებაში დასახული ამოცანის გადასაჭრელად შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს. ჩანს ეფექტური, ორიგინალური ხედვა, ძიების პროცესი.<br>დავალებაზე მუშაობის შედეგად მიღებული პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ამომწურავად მსჯელობს შექმნილ კონსტრუქციაზე. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას და ასაბუთებს მრავალფეროვანი არგუმენტების მოშველიებით.<br>გამოთქვამს ვარაუდებს და მსჯელობს თავისი ნამუშევრის ყველა ტექნიკურ მახასიათებელზე.<br>წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად დამოუკიდებლად პოულობს გონივრულ, ორიგინალურ, ოპტიმალურ გამოსავალს. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | ძირითად მხატვრულ მახასიათებლებზე დაყრდნობით ადარებს ჟოან მიროს ფერწერულ ტილოს თავის ნამუშევარს; აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სახავს რამდენიმე სამომავლო ამოცანას და მათი მიღწევის გონივრულ გზებს. დასახული ამოცანის გადასაჭრელად ადეკვატურად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს. | დავალებაზე მუშაობის შედეგად მიღებული პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, მწყობრად მსჯელობს კონსტრუქციის რამდენიმე ტექნიკურ მახასიათებელზე. წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად მასწავლებლის მინიშნებით პოულობს გონივრულ გამოსავალს. | თანამიმდევრულად ესმის აბსტრაქციის არსობრივი მახასიათებლები; |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | მწირ მხატვრულ მახასიათებლებზე დაყრდნობით ადარებს ჟოან მიროს ფერწერულ ტილოს თავის ნამუშევარს; აანალიზებს საკუთარი ნამუშევრის ძლიერ მხარეებს. მასწავლებლის დახმარებით სახავს ორიოდე სამომავლო ამოცანას. სახვითი ხერხები ბუნდოვნად უკავშირდება ამოცანას. | ასახელებს თავისი ნამუშევრის ორიოდე ტექნიკურ მახასიათებელს. წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად მასწავლებლის დახმარებით პოულობს გამოსავალს. | ესმის აბსტრაქციის რამდენიმე მახასიათებელი; |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | ერთ მხატვრულ მახასიათებელზე დაყრდნობით ადარებს ჟოან მიროს ფერწერულ ტილოს თავის ნამუშევარს; მასწავლებლის დახმარებითაც უჭირს საკუთარი ნამუშევრის სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვა. მასწავლებლის დახმარებითაც უჭირს თუნდაც ერთი სამომავლო ამოცანის დასახვა. სახვითი ხერხების გამოყენება შემთხვევითია. | ასახელებს თავისი ნამუშევრის ერთ ტექნიკურ მახასიათებელს. უჭირს წარმოქმნილი ტექნიკური სირთულეების გადასაჭრელად მასწავლებლის მიერ შეთავაზებული გამოსავლის მიზანშეწონილობის გაცნობიერება. | ასახელებს აბსტრაქციის ერთ არსობრივ მახასიათებელს; |
| **პრე-სტრუქტურული დონე** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება დასახულ ამოცანას. | ნამუშევარი არ შეესაბამება დასახულ ამოცანას. | არ იცის, რა არის აბსტრაქცია. |
| **მასწავლებლის კომენტარი:** | | | |

**თემატური მატრიცა 6**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თემატური ბლოკი:** | **საზოგადოება და ხელოვნება** | | |
| **თემა:** | **საზოგადოებრივი არქიტექტურა და დიზაინი** | | |
| **გაკვეთილები:** | **32-35** | **საათების რაოდენობა:** | **5 + 1 სთ.** |

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები:**

**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):** ფერი, განათება, ფორმა (ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.), ფაქტურა;

**სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):** კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, რიტმი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, კონტრასტი, მასშტაბი, თანაფარდობა, პროპორცია/დისპროპორცია.

**ტექნიკა:** მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები.

**დარგები:** არქიტექტურა, დიზაინი, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვა.

**ეპოქა/კულტურა/მიმდინარეობა/სტილი/და მათი მხატვრული მახასიათებლები:** თანამედროვე ხელოვნება.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- საზოგადოებრივი მოთხოვნილება განსაზღვრავს არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციურ მხარეს, ხოლო ესთეტიკურს განსაზღვრავს არქიტექტორის ხედვა.
- არქიტექტურას შეუძლია დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს გარემოზე, საზოგადოებასა და ადამიანზე.
- არქიტექტურული ნაგებობის სივრცითი ორგანიზება, ფორმა, მასალა, ფაქტურა ზემოქმედებს ჩვენს განწყობაზე, ჯანმრთელობაზე, შრომისა და დასვენების ხარისხზე.
- სტილი პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს და გამოხატავს ავტორის ხედვას.

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- ვინ და რა განსაზღვრავს არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციას და ესთეტიკურ მხარეს?
- როგორ ზემოქმედებს არქიტექტურა გარემოზე/საზოგადოებაზე/ადამიანზე?
- რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს არქიტექტურაში სივრცეს, ფორმას, მასშტაბს, მასალას, ფაქტურას?
- რა შეიძლება გახდეს სტილის ცვალებადობის მიზეზი?
- როგორ გამოხატავს სტილი საზოგადოებისა და ავტორის მსოფლმხედველობას?
- სად და რა სახით გვხვდება ხელოვნება ჩვენ გარშემო?

| **სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** *(გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)* | **ქვეცნებები:** | **საკვანძო შეკითხვები:** | **კომპლექსური დავალებები** *(შუალედური სასწავლო მიზნები)* |
|---|---|---|---|
| | <u>**კომპლექსური დავალება 6**</u><br>**სახვითი საშუალებები და ხერხები:**<br>ფერი, ფორმა, ფაქტურა, სივრცე, განათება;<br>კომპოზიციური განაწილება.<br>**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:**<br>კონსტრუირება-მოდელირება, ხატვა.<br>**დარგი:**<br>არქიტექტურა, დიზაინი. | <u>**კომპლექსური დავალება 6**</u><br>რა ურთიერთმიმართებაა არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციასა და ესთეტიკურ მხარეს შორის?<br>როგორ ზემოქმედებს არქიტექტურული სივრცე შიგ შეკრებილ ადამიანებზე?<br>რა დატვირთვა აქვს არქიტექტურაში სივრცეს, ფორმას, მასშტაბს, მასალას, ფაქტურას, გამწვანებას?<br>როგორია თანამედროვე არქიტექტურისა და დიზაინის მხატვრული მახასიათებლები?<br>როგორი გარემო შემიწყობს ხელს უკეთ სწავლაში? | **პროექტი „XXI ს-ის სკოლის იდეალური გარემო“:**<br>თანასკოლელების გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი სურვილების საფუძველზე, XXI ს-ის იდეალური სკოლის შენობის ესკიზისა და მაკეტის შექმნა შენობის ფუნქციის, ესთეტიკური მხარის, ტერიტორიის/ინტერიერის გამწვანების გათვალისწინებით;<br>სკოლის შესაფერისი ავეჯისა და სასკოლო ფორმის დიზაინის ესკიზების შექმნა. |

<table>
<tr>
<td>
სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: ს.გ.საშ.1, 2, 3, 4)
<ul>
<li>ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;</li>
<li>სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასებისას.</li>
</ul>
სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: ს.გ.საშ.1, 2, 3, 4)
<ul>
<li>ხელოვანი მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;</li>
<li>კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.</li>
</ul>
</td>
<td>
კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (რესურსები, შეკითხვები, აქტივობები)<br><br>
<u>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა:</u><br><br>
კომპლექსური დავალება 6: პროექტი „XXI ს-ის სკოლის იდეალური გარემო“<br><br>
დავალების პირობა:<br>
ჯგუფებში, თქვენ მიერ შედგენილი კითხვარით თანასკოლელების გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი სურვილების საფუძველზე, შექმენით XXI ს-ის იდეალური სკოლის ესკიზი და მაკეტი, რომელშიც გაითვალისწინებთ შენობის ფუნქციას, ესთეტიკურ მხარეს, ტერიტორიის/ინტერიერის გამწვანებას.<br>
ცალკე დახატეთ ამ სკოლის შესაფერისი ავეჯისა და სასკოლო ფორმის ესკიზები.<br>
ამისათვის:
<ul>
<li>დაათვალიერეთ თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშები. ჩაინიშნეთ თქვენთვის საინტერესო იდეები.</li>
<li>გაეცანით სხვადასხვა ქვეყნის სკოლების არქიტექტურასა და დიზაინს.</li>
<li>როგორი უნდა იყოს იდეალური სკოლის გარემო, არქიტექტურა, საკლასო ოთახის ინტერიერი, ავეჯი, სასკოლო ფორმა?</li>
<li>შეადგინეთ კითხვარი. ჩაატარეთ გამოკითხვა მეგობრებს შორის, როგორ სასკოლო გარემოში (სივრცე, ფაქტურა, მასალა, ფერი, განათება, ავეჯი, სასკოლო ფორმა) ისურვებდნენ სწავლას.</li>
<li>შეაჯერეთ პასუხები. მოიფიქრეთ კონცეფცია. ეცადეთ, სამომავლო პროექტში გაითვალისწინოთ გამოკითხვის შედეგები.</li>
<li>გაერთიანდით ჯგუფებად, დაინაწილეთ ფუნქციები (არქიტექტურული ესკიზის, მაკეტის, ავეჯისა და სასკოლო ფორმის ესკიზების შესრულება).</li>
<li>მოიფიქრეთ სკოლის დიზაინი. დახატეთ ესკიზი და ააგეთ მაკეტი. იფიქრეთ იმაზე, როგორი შეიძლება იყოს XXI ს-ის სკოლის გარემო, რომელიც ემოციურად გაგაბედნიერებთ და სწავლისთვის განგაწყობთ.</li>
<li>გაითვალისწინეთ, რომ „იდეალურ სკოლაში“ მოსწავლეების განწყობისა და კომფორტის უზრუნველმყოფელ ერთ-ერთ კომპონენტად უნდა მოიაზრებოდეს გამწვანება.</li>
</ul>
წარდგენისას ისაუბრეთ:
<ul>
<li>რამ დაგაინტერესათ XX ს-ის არქიტექტურის ნიმუშებში? რა მხატვრული მახასიათებლები ან იდეები გამოიყენეთ თქვენს პროექტში?</li>
<li>როგორი კითხვარი შეადგინეთ? რამდენი მოსწავლე გამოკითხეთ? როგორ შეაჯერეთ გამოკითხვის შედეგები?</li>
<li>რა მოსაზრებები გამოიკვეთა გამოკითხვის შედეგად XXI ს-ის სკოლის იდეალური არქიტექტურის შესახებ (კედლის ფერი, ფორმები, სივრცე, განათება, ავეჯი, გამწვანება...), რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოთ და სწავლისთვის განეწყოთ?</li>
<li>რას გულისხმობს თქვენი კონცეფცია?</li>
<li>რა გააკეთეთ იმისთვის, რომ თქვენმა პროექტმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს?</li>
<li>რა უპირატესობა აქვს თქვენს პროექტს XX ს-ის სკოლების ტიპურ არქიტექტურასთან?</li>
<li>ავეჯისა და სასკოლო ფორმის როგორი დიზაინი მიუსადაგეთ თქვენი სკოლის პროექტს და რატომ?</li>
<li>რა მასალა და ტექნიკა გამოიყენეთ თქვენი მაკეტისთვის?</li>
<li>რა იყო მთავარი სირთულე და როგორ დაძლიეთ ის? კიდევ რას შეცვლიდით?</li>
</ul>
თანამედროვე სკოლების არქიტექტურა და დიზაინი:<br>
http://bit.ly/399al7t<br>
http://bit.ly/2Y8QfUM<br>
http://bit.ly/3qDJGWu
</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** ***(შედეგები: ს.გ.სამ.1, 2, 3, 4)***<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით;<br>• ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.<br><br>**სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული** | **<u>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა</u>**<br><br>**<u>ნაბიჯი 1</u>**<br><br>გაკვეთილი 32. აგორადან მონიტორამდე **რესურსი 1**<br><br>*ამ გაკვეთილზე მოსწავლეები გაეცნობიან რამდენიმე არქიტექტორის ნამუშევარს, რომლებიც ნათლად აჩვენებენ, თუ როგორ ზრუნავენ არქიტექტორები იმაზე, რომ მათი ცოდნის, გემოვნების, ხედვისა და ფანტაზიის ნაყოფი მოერგოს გარემოს, ხოლო გარემო, რომელშიც ადამიანებს მოუწევთ შრომა ან დასვენება, სასიამოვნო შესახედავიც იყოს და მოსახერხებელიც.<br>ურბანული გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები – სივრცე, სადაც ადამიანები იკრიბებიან სამუშაოდ, სასწავლებლად, დასასვენებლად, გასართობად, სავარჯიშოდ და სხვა. საცხოვრებელ სახლებთან შედარებით, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების სპეციფიკიდან გამომდინარე, არქიტექტორებს საკუთარი იდეების, ფანტაზიის განხორციელების მეტი საშუალება აქვთ. ეს აისახება როგორც ნაგებობის ექსტერიერის არქიტექტურასა და ინტერიერზე, ასევე მიმდებარე გარემოს დაგეგმარებასა და დიზაინზე.<br><br>• **დავალება - მსჯელობა:**<br>XXI ს-ში სულ უფრო მეტი ადამიანი ურთიერთობს ვირტუალურად. როგორ ფიქრობ, შეიძლება ოდესმე დადგეს დრო, როცა თავშეყრის ადგილად არქიტექტურული სივრცე საზოგადოებას აღარ დასჭირდება და მონიტორთან შეკრებებს დასჯერდება? გამოთქვი ვარაუდი და დაასაბუთე შენი აზრი.<br><br>• **დავალება 1, მსჯელობა:**<br>• როგორ არქიტექტურულ სივრცეში გრძნობთ შენ და შენი მეგობრები თავს კომფორტულად და რა განსაზღვრავს ამ კომფორტს?<br>• რას შეცვლიდი შენი სკოლის გარემოში იმისთვის, რომ იქ გატარებული დრო სასიამოვნოც იყოს და ნაყოფიერიც?<br><br>• **დავალება 2, მსჯელობა:**<br>• დააკვირდი თბილისის ახალი უბნისა და თელავის ხედებს. როგორ მოქმედებს არქიტექტურული განაშენიანება ქალაქის იერზე, იქ მცხოვრებ მოქალაქეთა განწყობაზე?<br>• როგორ ფიქრობ, რა განსხვავებაა მეგაპოლისსა და პროვინციულ ქალაქში ცხოვრებას შორის?<br>**სავარაუდო პასუხი:** ცათამბჯენებისგან თავისუფალ პროვინციულ ქალაქებში მეტი ინდივიდუალიზმი, სითბო იგრძნობა. აქ ადამიანებიც უფრო მშვიდნი და კეთილგანწყობილნი არიან.<br><br>• **დავალება 3, ციფრული კოლაჟი** (პრაქტიკული სამუშაო):<br>შექმენი ციფრული კოლაჟი:<br>• გადაუღე ფოტო რომელიმე უსახურ შენობას. დაამუშავე ფოტო კომპიუტერულ პროგრამაში.<br>• მოიფიქრე, რომელი მხატვრის ნამუშევარი მოუხდება ამ გარემოს.<br>• შეარჩიე შესაბამისი ნამუშევარი და გაალამაზე შენ მიერ გადაღებული ფოტო ამ ნამუშევრით.<br>**ნიმუში დავალებისთვის:**<br>თანამედროვე სირიელი ხელოვანის, თამამ აზამის ციფრული ნამუშევრები: https://bit.ly/3aWjalO |

| მახასიათებლები *(შედეგები: ს.გ.სახ.1, 2, 3, 4)*<br>• ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);<br>• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ურთიერთზეგავლენა;<br>• ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და | <u>ნაბიჯი 2</u><br>**გაკვეთილი 33. ფუნქცია თუ ფორმა** — **რესურსი 2**<br>*ამ გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, თუ როგორ ზემოქმედებს არქიტექტორის ქმნილება ადამიანთა განწყობასა და საქმიანობაზე. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ როგორ პასუხობს თანამედროვე არქიტექტურა ეკოლოგიურ გამოწვევებს, რათა კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეებმა ჩართონ თავიანთ პროექტებში სკოლის ეზოს, ფასადის ან ინტერიერის გამწვანება.<br><br>**დამატებითი ვიდეომასალა გაკვეთილისთვის:**<br>ფრენკ გერის მასტერკლასი: https://www.youtube.com/watch?v=Az-m56vUjgw<br>ტელესკოლა, IX კლასი, თ. მელიქიშვილი, „ბუნებისა და არქიტექტურის ერთობა „ვილა ბარბარო და „სახლი ჩანჩქერზე“: https://bit.ly/2KJn9bu<br>ტელესკოლა, IX კლასი, ანი კლდიაშვილი, ვიდეოლექცია მწვანე არქიტექტურის შესახებ: https://www.youtube.com/watch?v=8N3c8gaT13g&t=46s<br><br>• **დავალება - მსჯელობა:**<br>• შენი აზრით, შენობის დაპროექტებისას რა უნდა იყოს არქიტექტორისთვის ამოსავალი - ნაგებობის ფუნქცია თუ ფორმა? დაასაბუთე შენი აზრი.<br>• შენ რა უფრო მოგწონს - მოხერხებულობა თუ სილამაზე? სისადავე თუ უხვი დეკორი?<br><br>• **დავალება 1, შედარებითი ანალიზი** *(სტილის მხატვრული მახასიათებლები)*:<br>• მოიძიე ფრენკ გერისა და ფრენკს ლოიდ რაიტის გუგენჰეიმის მუზეუმების ინტერიერის ფოტოები და შეადარე ისინი ერთმანეთს.<br>• შენი აზრით, რომელი უფრო შეეფერება ხელოვნების მუზეუმის ფუნქციას?<br><br>• **დავალება 2, დისკუსია:**<br>• ისაუბრეთ თემაზე, რა უფრო მნიშვნელოვანია არქიტექტურული ნაგებობისთვის – მისი ფუნქცია თუ გარეგნული სილამაზე?<br>• რომელია უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის?<br>• დაიყავით მოსამართლეებისა და ადვოკატების ჯგუფებად. მოაწყვეთ სასამართლოს ინსცენირება.<br>• „გაასამართლეთ“ თქვენ მიერ შერჩეული არქიტექტორის ნაგებობა.<br>**რეკომენდაციები:**<br>• არგუმენტების გასამყარებლად მოიძიეთ ინფორმაცია ანტონიო გაუდის, ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერის, ლე კორბუზიეს, ოსკარ ნიმეიერის, ფრენკ გერისა და სხვათა არქიტექტურის შესახებ.<br>• ამოკრიბეთ და დაახარისხეთ მაგალითები ორივე პოზიციის გასამყარებლად.<br>**სავარაუდო კითხვები:**<br>• ამ არქიტექტორების იდეებიდან რამ გაამართლა და რამ – არა?<br>• როგორ გრძნობენ თავს ადამიანები მათ მიერ დაპროექტებულ ნაგებობებში?<br>• რამდენად მოსახერხებელია ისინი თავისი დანიშნულებისთვის?<br>• რა არის ამის მიზეზი?<br>• რა ღირსება-ნაკლოვანებები აქვთ მათ მიერ დაპროექტებულ ნაგებობებს?<br>• როგორი უნდა იყოს იდეალური არქიტექტურა? |
|---|---|

| | |
|---|---|
| კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება. | • **დავალება 3**<br>• როგორი წარმოგიდგენია XXI ს-ის ტაძარი, თეატრი ან მუზეუმი, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და იდეების გათვალისწინებით?<br>• რამდენ საუკუნეს ითვლის სტადიონის არქიტექტურული ფორმა? გაიხსენე, ადამიანთა თავშეყრისთვის განკუთვნილმა კიდევ რა შენობებმა გაუძლო ათასწლეულებს ფორმისა და ფუნქციის უცვლელად და რატომ?<br>* სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ კოლიზეუმს ან სხვა რომაულ ამფითეატრებს.<br><br>• **დავალება 4** *(სტილის მხატვრული მახასიათებლები):*<br>არქიტექტურული ნაგებობა იმავე კატეგორიებით შეგიძლია დაახასიათო, როგორითაც ადამიანი – პირქუში, კეკლუცი, მაღალი, დაბალი, ტლანქი, მოქნილი...<br>• მოიფიქრე და ჩამოწერე ადამიანის ტიპის დამახასიათებელი ზედსართავი სახელები თავისი ანტონიმებით.<br>• ორ სვეტად დახატე ამ მახასიათებლების მქონე შენობისა და ადამიანის მარტივი გამოსახულება. აჩვენე მეწყვილეს. გამოიცნობს ის გამოსახულებების მიხედვით შენ მიერ ჩაფიქრებულ ზედსართავ სახელს?<br><br>**<u>ნაბიჯი 3</u>**<br>გაკვეთილი 34. სტილი და ხელწერა — **რესურსი 3**<br>• **დავალება** (საკითხი II):<br>• რას გულისხმობ, როდესაც ამბობ - „მომიხდება, ან ჩემი სტილი არ არის“?<br>• რა ნიშნები ახასიათებს შენს სტილს?<br>• გადახედე ილუსტრაციებს. რა საერთო ნიშნებით ხასიათდება აქ მოყვანილი არქიტექტურისა და დიზაინის ნიმუშების სტილები?<br><br>• **დავალება** 1 (საკითხი II):<br>• ინტერნეტის ვებგვერდზე შექმენი თამაში-ვიქტორინა, რომელიც მოითხოვს მხატვრობის, ქანდაკებისა და არქიტექტურის წარმომადგენელ ხელოვანთა დიზაინით შექმნილი ნივთების დაწყვილებას ამავე ავტორის მიერ ხელოვნების სხვა დარგში შესრულებულ ნამუშევართან.<br>ვებგვერდი დავალების შესასრულებლად: https://learningapps.org/<br><br>• **დავალება** 2 *(სტილის მხატვრული მახასიათებლები,* პრაქტიკული სამუშაო):<br>• შეარჩიე რომელიმე არქიტექტურული ნაგებობა.<br>• შექმენი დეკორაციულ-გამოყენებითი ნივთის ესკიზი, რომელიც შენ მიერ შერჩეული არქიტექტურული ნაგებობის ხასიათს, მის სტილს შეეხამება.<br><br>• **დავალება** 3 *(სტილის მხატვრული მახასიათებლები):*<br>• იმსჯელე, რა არის ხელწერა, ხედვა და გემოვნება?<br>• რა აკავშირებს და რა განასხვავებს ამ ტერმინებს?<br>• დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს. რაში ვლინდება ავტორის ხელწერა?<br>• **დავალება** *(სტილის მხატვრული მახასიათებლები, ნაწარმოების ანალიზი):*<br>• მოიძიე ცნობილი მხატვრებისა და მოქანდაკეების – პაბლო პიკასოს, ჟოან მიროს, სალვადორ დალის, კით ჰარინგის, ალექსანდრე კალდერის და სხვათა დიზაინით შექმნილი ავეჯი, კერამიკული ან საიუველირო ნაკეთობები.<br>• შეადარე ისინი იმავე ხელოვანის სხვა ნამუშევრებს.<br>• რაში ჩანს ამ ხელოვანთა სტილის თავისებურება? |

- **დავალება - მოხსენება თემაზე „ხელოვანი და საზოგადოება“** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები)*:
  - დაწერე მოხსენება თემაზე „ხელოვანი და საზოგადოება“ და შექმენი ციფრული პრეზენტაცია შენი მოხსენების საილუსტრაციოდ.
  - წარადგინე მოხსენება და ციფრული პრეზენტაცია კლასის წინაშე.

**რეკომენდაციები დავალების შესასრულებლად:**

- სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ განუსაზღვროს მოხსენების მოცულობა. მაგ. მოხსენება შესაძლოა მოიცავდეს 500-მდე სიტყვას (დაახლოებით 3 ნაბეჭდი გვერდი), შრიფტის ზომა: 12, სტრიქონებს შორის დაცილება – 1 ან 1,5.

კვლევა:

- მოიძიე მაგალითები XIX-XXI სს-ის ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა პერიოდიდან, რომლებიც წარმოაჩენს ხელოვანისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას.
- დაახარისხე შენ მიერ მოძიებული ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:
- უარყოფითი დამოკიდებულება (მიუღებლობა, კრიტიკა, კონფლიქტი, დევნა) და მისი მიზეზები.
- დადებითი დამოკიდებულება (აღიარება, დაფასება) და მისი მიზეზები.
- დაუსვი საკუთარ თავს კითხვები:
- როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ცალკეულ ადამიანზე და მთელ საზოგადოებაზე?
- რა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით ახდენს ხელოვნება გავლენას საზოგადოების წარმოდგენებზე, დამოკიდებულებებზე, შეხედულებებზე, ღირებულებებზე?
- როგორ რეაგირებს ხელოვნება საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე?
- კონკრეტულ შემთხვევაში რა იყო ხელოვანის მიმართ საზოგადოების უარყოფითი ან დადებითი დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები?
- იყო კი ეს დამოკიდებულება საყოველთაო თუ საზოგადოების აზრი გაიყო?
- უარყოფითი დამოკიდებულების შემთხვევაში, რომელი მხარე იმარჯვებს საბოლოოდ – ხელოვანი თუ საზოგადოება?

**რეკომენდებული მიმდინარეობები:**

| | |
|---|---|
| კლასიციზმი | ფოვიზმი |
| აკადემიზმი | ექსპრესიონიზმი |
| რომანტიზმი | კუბიზმი |
| სიმბოლიზმი | ფუტურიზმი |
| რეალიზმი | აბსტრაქცია |
| იმპრესიონიზმი | სიურეალიზმი |
| არ ნუვო | პოპ არტი |
| პოსტიმპრესიონიზმი | თანამედროვე ქანდაკება |
| ნაივი | თანამედროვე არქიტექტურა |

**ციფრული პრეზენტაცია:**

შექმენი PowerPoint პრეზენტაცია შენი მოსაზრებების საილუსტრაციო ვიზუალური მასალით.

პრეზენტაციის ბოლოს არ დაგავიწყდეს მიუთითო გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი (წიგნის შემთხვევაში: ავტორი, სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი. ინტერნეტრესურსის შემთხვევაში – ბმული).

**ნაბიჯი 4**

გაკვეთილი 35. მდიდრული უბრალოება **რესურსი 4**

- **დავალება - მსჯელობა:**
  - შეუძლია ერთ ადამიანს შეცვალოს საზოგადოების ცხოვრების წესი და სტილი?
  - რა განსხვავებაა სტილსა და მოდას შორის?

**კოკო შანელის კლასიკად ქცეული მოდელები:**



„პატარა შავი კაბა“ და კლასიკური ჟაკეტი,



„მეზღვაურის სტილი“

- **დავალება 1,** მოდა და არქიტექტურა *(სტილის მხატვრული მახასიათებლები, პრაქტიკული სამუშაო):*
  - სხვადასხვა ეპოქისა და სტილის არქიტექტურული ნაგებობებიდან შეარჩიე ერთ-ერთი.
  - შექმენი ამ ნაგებობით შთაგონებული ტანსაცმლის ან აქსესუარის (ჩანთა, ქუდი და სხვა) დიზაინის ესკიზი.
  - დააკვირდი არქიტექტურული ნაგებობის ფორმებს, სილუეტს, ფერს, რიტმს, პროპორციებს, დეკორს და სხვ.
  - შექმენი ტანსაცმლის ესკიზი, რომლის დიზაინიც ამ შენობას ეხმიანება.
  - დახატე ადამიანის რამდენიმე პირობითი ფიგურა.
  - „ჩააცვი“ ფიგურებს ტანსაცმლის შენ მიერ მოფიქრებული მოდელები.
  - ნამუშევარი წარმოადგინე ნახატის და/ან კოლაჟის სახით. მასალად გამოიყენე ფოტო, ქსოვილი და სხვა ფაქტურული დეტალები.

**არქიტექტურით შთაგონებული დიზაინის ნიმუშები:**
მოდის დიზაინერთა ესკიზების ნიმუშები: https://bit.ly/3aqN0P6
გარეტ პაფი, 2009 წ.: *https://bit.ly/39bXG3*
კინტი ენდ პარკერი, 2013 წ: https://bit.ly/3sJ4Lj3 , https://bit.ly/3v6L7ie
კრისტიან დიორი, 2014 წ.: https://secretstories.hu/wp-content/uploads/PE7dRPkWOj.jpg
მილი, 2016 წ. ზაჰა ჰადიდის პროექტით ბაქოში აგებული ჰეიდარ ალიევის სახელობის კულტურის ცენტრით შთაგონებული კაბა: https://bit.ly/2Qc4DLI

- **დავალება 2** *(ისტორიული კონტექსტი და გავლენები, სტილის მხატვრული მახასიათებლები):*
  - მოიძიე ცნობები XX ს-ის მოდის შესახებ: ჩამოართვი ინტერვიუ ახლობლებს, გაეცანი ძველ ფოტოებს.
  - დააკვირდი და აღწერე დროის სხვადასხვა მონაკვეთის მოდის ტენდენციები: სილუეტი, პროპორციები, ფერი, აქსესუარები.
  - გამოიკვლიე, როგორ იცვლებოდა მოდა XX საუკუნის ყოველ ათწლეულში?
  - შექმენი ელექტრონული ალბომი „XX ს-ის მოდის დროის ხაზი“.
- **დავალება - ესე:**
  დაწერე მოკლე ესე „მოდა და პიროვნება“.
  იმსჯელე, რატომ მისდევენ ადამიანები მოდას?
  მოიყვანე მაგალითები.
  - რას ნიშნავს შენთვის ტერმინი სტილი?
  - როგორ ერგება შენი სტილი მოდას?
  - დააკვირდი, როგორ და რას იცვამენ შენი თანატოლები, მისდევენ თუ არა ისინი მოდას?
  - რა მოგწონს და რა გაღიზიანებს თანამედროვე მოდაში?
  - რა ხერხებს მიმართავ ჩაცმულობაში პიროვნული ხასიათის წარმოსაჩენად?
  - რა სიახლეს, რა ცვლილებებს შეიტანდი თანატოლთა ჩაცმულობაში?

- **დავალება - პირბადე** (პრაქტიკული სამუშაო):
  დღევანდელი სამყარო სწრაფად იცვლება და თავის პირობებს გვკარნახობს. პირბადე, რომელიც სახეს ფარავს, ყოველდღიური მოხმარების აქსესუარი გახდა.
  - შექმენი დიზაინერული პირბადე:
  - ერთფერი წელვადი ქსოვილით თავად დაამზადე, ან გამოიყენე მზა, ერთჯერადი პირბადე.
  - მოხატე პირბადე აკრილის საღებავებით, მარკერებით, ან გააფორმე იგი ნაქარგობით და/ან აპლიკაციით.







  - დახატე ქაღალდზე ნიღბის თარგი.
  - მოკეცე შუაზე ორმაგი, წელვადი ნაჭრის 13-15 სმ. სიგანის ზოლი.
  - დაადე ნაჭერს ქაღალდის თარგი და გამოჭერი ნიღბის ფორმა თარგზე ბევრად გრძელი კუდებით, რომლებსაც შემდეგ თასმებად გამოიყენებ.
  - გააფორმე ნიღაბი სასურველი დიზაინით.

**თემის საერთო რესურსები:**

https://artsandculture.google.com/

**რეკომენდებული წყაროები:**
*სხვადასხვა არქიტექტორის, არქიტექტურული სტილისა და დიზაინის ნიმუშები განმარტებებით:* https://bit.ly/2PQm3gt

***ტელესკოლა:***
*ანა კლდიაშვილი:* https://1tv.ge/user/anakldiashvili/
*ნინო ხუნდაძე:* https://1tv.ge/user/ninokhundadze/
*თამარ მელიქიშვილი:* https://1tv.ge/user/tamarmelikishvili/

**შეფასების კრიტერიუმები:**

- ქმნის ნამუშევარს მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენებით (ს.გ.საბ.1)
- ნამუშევრის შექმნისას თავად დასახავს და გადაჭრის შემოქმედებით ამოცანას; მიზნის შესაბამისად შეარჩევს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას, ტექნიკას, მხატვრულ სტილს. (ს.გ.საბ.2)

| | |
|---|---|
| **ფინალური პროექტი „ვირტუალური ექსპოზიცია“**<br><br>ფინალური პროექტის მიზანია, მოსწავლეებმა წლის მანძილზე განვლილ მასალაზე დაყრდნობით, საკუთარი დასკვნებით, შთაბეჭდილებითა და შეძენილი პრაქტიკული უნარებით შეაჯამონ მიღებული ინფორმაცია. | **წლის შემაჯამებელი ფინალური პროექტი „ვირტუალური ექსპოზიცია“:**<br>XIX-XX სს-ის ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობის გაშუქება: მოძიებული ნიმუშებით და საკუთარი ინტერპრეტაციებით ვირტუალური გამოფენის მოწყობა და ექსპოზიციის გზამკვლევის მომზადება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. |

**ფინალური პროექტის განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი 1. დავალების პირობა**

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მოაწყვეთ ვირტუალური გამოფენა თემაზე XIX-XX სს-ის ხელოვნება. მოამზადეთ ექსპოზიციის გზამკვლევი.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნამუშევრებით გააშუქეთ XIX-XX საუკუნეების სხვადასხვა მიმდინარეობა და მათი მახასიათებლები.

**ამისათვის:**

- მეგობრებთან ერთად მოიფიქრეთ ვირტუალური გამოფენის კონცეფცია, დაინაწილეთ თემები (რომელიმე ერთი ქვეყნის, პერიოდის, მიმდინარეობის ან ერთი ხელოვანის შემოქმედება). გარდა ამისა, შეგიძლიათ აირჩიოთ თემები – მაგ., „პორტრეტის დროის ხაზი“, „ნატურმორტის დროის ხაზი“, „ბუნება ხელოვნებაში“, „ბავშვის თემა XIX-XX სს-ის ხელოვნებაში“, „ომის სახე XIX-XX სს-ის ხელოვნებაში“ და სხვა).
- თითოეულმა მოიძიეთ საჭირო თეორიული და ვიზუალური მასალა. გამოიყენეთ წლის მანძილზე თქვენ მიერ შექმნილი ნამუშევრები თემასთან დაკავშირებული მიმდინარეობის, სტილის მხატვრული მახასიათებლების გათვალისწინებით.
- გადაუღეთ თქვენს ნამუშევრებს ციფრული ფოტოები და ატვირთეთ ისინი კომპიუტერში.
- მოიძიეთ სხვადასხვა მუზეუმისა თუ საგამოფენო დარბაზის ფოტოები. გაეცანით ექსპოზიციების მოწყობის ხერხებს – დააკვირდით კედლების ფერს, განათებას, ექსპონატების განლაგებას, მათ შორის მანძილს.

- აირჩიეთ ვირტუალური საგამოფენო დარბაზის ფერი და ფაქტურა.
- გაანაწილეთ ნამუშევრები, განსაზღვრეთ მათი თანამიმდევრობა, ადგილმდებარეობა, ზომა. გაუკეთეთ ნამუშევარს შესაფერისი ჩარჩო. ყველა ნამუშევარს დაურთეთ წარწერა (ავტორის ვინაობა, თარიღი და მასალის მონაცემები).
- დარბაზის კედელზე გამოფინეთ განმარტებითი ტექსტი ექსპოზიციის კონცეფციის შესახებ, რომელშიც წარმოაჩენთ მის მიზანსა და შინაარსს.
- მოამზადეთ ექსპოზიციის ელექტრონული გზამკვლევი (ბროშურა), რომელიც განუმარტავს დამთვალიერებელს, თუ რას წარმოადგენს გამოფენა. გზამკვლევში მითითებული უნდა იყოს ექსპოზიციის კონცეფცია, დათვალიერების მარშრუტი, მონაწილეთა ვინაობა და ნამუშევრების დასახელება.

**წარდგენისას იმსჯელე:**

- რას ეძღვნება გამოფენის შენი ნაწილი.
- რომელი მიმდინარეობის, სტილის ნამუშევრები შეარჩიე და რატომ?
- რაში მდგომარეობს ამ ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის არსებითი მხატვრული მახასიათებლები?
- რა სახვითი საშუალებები და ხერხები გამოიყენე შენს ნამუშევრებში, რათა უკეთ წარმოგენინა ამ მიმდინარეობის/სტილის არსებითი მახასიათებლები?
- რა არის შენი საგამოფენო სივრცის სუსტი და ძლიერი მხარეები? რა გზით გამოასწორებდი ამ ხარვეზს?
- რაში დაგეხმარა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და რა გამოცდილება შეიძინე?

***ვირტუალური გამოფენის შესაქმნელად ისარგებლეთ ვებგვერდით:***
https://www.artsteps.com/
ვირტუალური გამოფენის შესაქმნელი ეტაპობრივი ქართულენოვანი ვიდეოინსტრუქცია:
https://bit.ly/3dU2rQD

- დარეგისტრირდი მითითებულ ვებგვერდზე
- დააწკაპე ფუნქციაზე **CREATE**

ეტაპი 1 – **Define your space** (განსაზღვრე შენი სივრცე) – შეარჩიე მზა გეგმარება ან თავად დააგეგმარე საგამოფენო სივრცე, აღმართე კედლები (უფრო გაგიადვილდება, თუ გამოიყენებ მაუსს).
ეტაპი 2 – **Design your space** (გააფორმე შენი სივრცე) – მარცხნივ მდებარე პანელიდან შეარჩიე კედლისა და იატაკის ფერი და ფაქტურა.
ეტაპი 3 – **Add to place your artifacts** (დაამატე შენი ნამუშევრები) – მარცხნივ მდებარე პანელზე დააწკაპე ფუნქციაზე **Add image** (დაამატე სურათი). გაიხსნება არჩევანი – ინტერნეტიდან ან კომპიუტერიდან ფოტოს ატვირთვა. ატვირთე შენი ნამუშევრის წინასწარ დამახსოვრებული ციფრული ფოტო კომპიუტერიდან. აქვე შეგიძლია დაარქვა მას სახელი და დაურთო აღწერა (ავტორი, მასალა, ტექნიკა, ზომა და სხვ.). შემდეგ დააწკაპე ფუნქციაზე **Save** (დამახსოვრება). შენ მიერ ატვირთული ნამუშევრები გამოჩნდება მარცხენა პანელზე.

- დააწკაპე სასურველ სურათზე და თითის აუღებლად გადაიტანე გამოსახულება საგამოფენო დარბაზის კედელზე, შენთვის სასურველ ადგილზე.
- თუ დააწკაპებ პანელის ფუნქციაზე **Move** (ამოძრავე), სურათზე გამოჩნდება ისრები, რომლებითაც შეგიძლია შეუცვალო სურათს ადგილი (ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ).
- ფუნქციით **Rotate** (ატრიალე) შეგიძლია შეუცვალო სურათს ორიენტაცია – ამოატრიალო თავდაყირა ან გვერდულად.
- ფუნქციით **Scale** (მასშტაბი) შეგიძლია გაზარდო ან დააპატარაო სურათი.
- ფუნქციით **Select a frame** (შეარჩიე ჩარჩო) შეგიძლია ჩასვა შენი სურათი სხვადასხვა ფერის ჩარჩოში.
- ამ წესით შეგიძლია დაკიდო კედლებზე დანარჩენი ნამუშევრებიც.

- ფუნქციით **Text** (ტექსტი) შეგიძლია დაურთო საგამოფენო დარბაზს ექსპოზიციის კონცეფციის, თემის განმარტებითი ტექსტი (ტექსტი შეგიძლია იქვე აკრიფო ან დააკოპირო წინასწარ შექმნილი ვორდ დოკუმენტიდან და ჩასვა ვირტუალური გამოფენის შესაბამის ფანჯარაში). აქ შეგიძლია ტექსტს მიანიჭო სასურველი ფერი.
- შენ მიერ ატვირთული ტექსტი გამოჩნდება მარცხენა პანელზე. ერთი დაწკაპებით, ხელის აუღებლად გადაიტანე ის კედელზე, სასურველ ადგილზე. ისევე როგორც სურათი, შესაბამისი ფუნქციების გამოყენებით, შეგიძლია ტექსტიც ამოძრაო, გაადიდო ან დააპატარაო.

ეტაპი 4 – **Plan a guided tour** (დაგეგმე ტური) – მარცხენა პანელზე გამოჩნდება ღილაკი ფუნქციით **Add guide point** (დაამატე ტურის პუნქტი). მასზე დაწკაპებისას გამოჩნდება შესავსები ველები, რომელშიც ჩაწერ თემის სათაურს და სანახავი ნამუშევრების სათაურებს. დანომრე ტურის თანამიმდევრობა – საიდან გსურს, რომ დამთვალიერებელმა დაიწყოს ნამუშევრების ნახვა და რა გეზით გადაადგილდეს ვირტუალურ დარბაზში.

- არ დაგავიწყდეს, ყოველი ეტაპის დასრულებისას დააწკაპო ფუნქციას **Save** (დამახსოვრება).

ეტაპი 5 – **Publish your exhibition** (გამოაქვეყნე შენი გამოფენა) – მარცხენა პანელზე გამოჩნდება ფუნქცია **Capture** – (გადაუღე ფოტო). მასზე დაწკაპებით გადაუღე ფოტო შენ მიერ შექმნილ დარბაზს (შეარჩიე სასურველი ხედი). გაიხსნება ფანჯარა, რომლის ველებში უნდა ჩაწერო გამოფენის სათაური (სავალდებულო) და მოკლე აღწერა (არ არის სავალდებულო). დააწკაპე ფუნქციას **Save** (დამახსოვრება). მარცხენა პანელზე გამოჩნდება პასიური (ბუნდოვანი) ფუნქცია **Admission** (ნებართვა). გადასწიე გვერდით ღილაკი და ამით გაააქტიურე ნებართვის ფუნქცია.

- ზედა მარჯვენა კუთხეში დააწკაპე ღილაკს **View** (ნახვა). ზედა პანელზე გამოჩნდება შენი ვირტუალური გამოფენის ბმული **(URL)**. მონიშნე ის და მარჯვენა დაწკაპებით დააკოპირე.
- გაუგზავნე ბმული მათ, ვინც გსურს, რომ ნახოს შენი ვირტუალური გამოფენა.

წარმატებებს გისურვებთ!

**რესურსები ფინალური პროექტისათვის:**

საგამოფენო ინტერნეტსივრცე:
https://www.artsteps.com/ ან. http://bit.ly/3d2FE6w
ვიდეოინსტრუქცია: https://bit.ly/2Z8gpHy
ვიდეოჩანაწერი: ეკა კიკნაძე, „ეროვნული გალერეა 100 წლის", სერია: კურატორი სახლიდან:
https://www.facebook.com/watch/?v=281162829580223

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი: https://www.youtube.com/watch?v=dgWUBOd961
საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი *(ხელოვნების სასახლე)*:
http://www.artpalace.ge/ge/art_palace/15
აბრეშუმის მუზეუმი http://bit.ly/2MXYa58 _ https://www.youtube.com/watch?v=EEUOi8SIskk
ეროვნული *გალერეა:* https://www.youtube.com/watch?v=EEUOi8SIskk
ხელოვნების მუზეუმი https://bit.ly/2MXYb9c
შედევრები ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან:
https://www.youtube.com/watch?v=W6TpB1vbh5E

**შეფასების კრიტერიუმები:**

- ნამუშევარში იყენებს შერჩეული მიმდინარეობის/სტილის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს (ს.გ.საბ.1,4);
- აანალიზებს თანამედროვე ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს ისტორიული, რელიგიური, სოციალური და/ან კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით (ს.გ.საბ.3,4);
- შეარჩევს თანამედროვე ხელოვნების სასურველ ფორმას (მაგ. ვირტუალური გამოფენა), და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ მიმდინარეობის/სტილის მიმართ (ს.გ.საბ.1,2,4).

შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით კომპლექსური დავალებისთვის „XXI ს-ის სკოლის იდეალური გარემო“:

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------
საგანი: ხელოვნება

საკითხები/ქვეცნებები:
**სახვითი საშუალებები და ხერხები:** ფერი, ფორმა, ფაქტურა, სივრცე, განათება; კომპოზიციური განაწილება, სიმეტრია/ასიმეტრია; მასშტაბი, პროპორცია.
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** კონსტრუირება-მოდელირება, ხატვა.
**დარგი:** არქიტექტურა, დიზაინი.
**ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი და მისი მახასიათებლები:** თანამედროვე არქიტექტურა და დიზაინი
**კომპლექსური დავალების „XXI ს-ის სკოლის იდეალური გარემო“ პირობა:**
ჯგუფებში, თქვენ მიერ შედგენილი კითხვარით თანასკოლელების გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი სურვილების საფუძველზე, შექმენით XXI ს-ის იდეალური სკოლის ესკიზი და მაკეტი, რომელშიც გაითვალისწინებთ შენობის ფუნქციას, ესთეტიკურ მხარეს, ტერიტორიის/ინტერიერის გამწვანებას. ცალკე დახატეთ ამ სკოლის შესაფერისი ავეჯისა და სასკოლო ფორმის ესკიზები.
**წარდგენისას ისაუბრეთ:**
- რამ დაგაინტერესათ XX ს-ის არქიტექტურის ნიმუშებში? რა მხატვრული მახასიათებლები გამოიყენეთ თქვენს პროექტში?
- როგორი კითხვარი შეადგინეთ? რამდენი მოსწავლე გამოკითხეთ? როგორ შეაჯერეთ გამოკითხვის შედეგები?
- რა მოსაზრებები გამოიკვეთა გამოკითხვის შედეგად XXI ს-ის სკოლის იდეალური არქიტექტურის შესახებ (კედლის ფერი, ფორმები, სივრცე, განათება, ავეჯი, გამწვანება...), რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნოთ და სწავლისთვის განეწყოთ?
- რას გულისხმობს თქვენი კონცეფცია?
- რა გააკეთეთ იმისთვის, რომ თქვენმა პროექტმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს?
- რა უპირატესობა აქვს თქვენს პროექტს XX ს-ის სკოლების ტიპურ არქიტექტურასთან?
- ავეჯისა და სასკოლო ფორმის როგორი დიზაინი მიუსადაგეთ თქვენი სკოლის პროექტს და რატომ?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენეთ თქვენი მაკეტისთვის?
- რა იყო მთავარი სირთულე და როგორ დაძლიეთ ის? კიდევ რას შეცვლიდით?

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | დარგი | საშუალებები და ხერხები | ტექნიკა | ეპოქა/მიმდინარეობა/სტილი და მისი მახასიათებლები: |
|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლე სიღრმისეულად გაიაზრებს საკითხის არსს /არსობრივ მახასიათებლებს, რაც ცოდნის განზოგადებისა და დეკონტექსტუალიზების /სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. განსახილველ საკითხს უკავშირებს საკუთარ პირად გამოცდილებას. | აცნობიერებს ფუნქციისა და ფორმის ურთიერთკავშირს. მრავალფეროვანი არგუმენტებით ამომწურავად ასაბუთებს საკუთარი იდეის მიზანშეწონილობას და უპირატესობას ძველ სასკოლო გარემოსთან.<br>პროექტით გათვალისწინებული მხატვრული საშუალებები და ხერხები (ფერი, ფორმა, ფაქტურა, სივრცე, განათება; კომპოზიციური განაწილება, სიმეტრია/ასიმეტრია, პროპორცია, მასშტაბი) სრულად შეესაბამება ჩანაფიქრს, ხელს უწყობს „სკოლაში“ სასურველი ატმოსფეროს შექმნას, ითვალისწინებს სასწავლო გარემოს მიმართ მოზარდი თაობის მოთხოვნებს.<br>ნაგებობის, ავეჯისა და სასკოლო ფორმის ესკიზები და მაკეტი სრულიად შეესაბამება ერთმანეთს და სრულყოფილად ასახავს ორიგინალურ ჩანაფიქრს, ან აჩვენებს იდეის განვითარებას. ესკიზი სუფთაა, დასრულებული. მაკეტი მყარია, მასალის გამოყენებაში ჩანს ორიგინალური მიდგომა. ავეჯისა და სასკოლო ფორმის დიზაინი შეესაბამება სკოლის იერს.<br>გაიაზრებს საკუთარ ნამუშევარს თანამედროვე არქიტექტურისა და XX ს-ის სკოლის ტიპურ ნიმუშებთან კავშირში (ასახელებს, რა იდეებით ისარგებლა ამ მაგალითებიდან). გამოკვეთს თანამედროვე არქიტექტურის არსებით მახასიათებლებს. | | | |
| **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს | მასწავლებლის მინიშნებით აცნობიერებს არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციისა და ფორმის ურთიერთკავშირს, | პროექტით გათვალისწინებული მხატვრული საშუალებები და ხერხები, | ნაგებობის, ავეჯისა და/ან სასკოლო ფორმის ესკიზები და მაკეტი, უმეტესწილად, შეესაბამება ერთმანეთს და | ადარებს საკუთარ ნამუშევარს XX ს-ის სკოლის ტიპური არქიტექტურის ნიმუშებს. ესმის თანამედროვე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მასწავლებლის მინიშნებით, რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებს საკუთარი იდეის მიზანშეწონილობას და უპირატესობას ძველ სასკოლო გარემოსთან. | უმეტესწილად, შეესაბამება ჩანაფიქრს, ხელს უწყობს „სკოლაში" სასურველი ატმოსფეროს შექმნას, აკმაყოფილებს უმეტეს მოთხოვნას. | ასახავს ჩანაფიქრს. ესკიზებს აკლია სისუფთავე, საჭიროებენ მცირეოდენ კორექტივებს. მაკეტი, ძირითადად, მყარია, მასალა გამოყენებულია გონივრულად. | არქიტექტურის ძირითადი მახასიათებლები, გამოკვეთს თანამედროვე არქიტექტურის უმეტეს არსებით ნიშანს. |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | მასწავლებლის დახმარებით აცნობიერებს არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციისა და ფორმის ურთიერთკავშირს. მწირი არგუმენტებით ასაბუთებს იდეის მიზანშეწონილობას. | პროექტით გათვალისწინებული მხატვრული საშუალებები და ხერხები ნაწილობრივ შეესაბამება ჩანაფიქრს, ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. | ესკიზი და მაკეტი ნაწილობრივ ასახავენ ჩანაფიქრს და საჭიროებენ მნიშვნელოვან კორექტივებს. მაკეტს აკლია სიმყარე. მასალის გამოყენება შემთხვევითია. | ადარებს საკუთარ ნამუშევარს XX ს-ის სკოლის ტიპური არქიტექტურის ნიმუშებს, გამოკვეთს თანამედროვე არქიტექტურის ორიოდე არსებით მახასიათებელს. |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | მასწავლებლის დახმარებითაც კი უჭირს არქიტექტურული ნაგებობისა და ფორმის ასპექტების ურთიერთდაკავშირება. ერთი არგუმენტით ასაბუთებს იდეის მიზანშეწონილობას. | პროექტით გათვალისწინებული მხატვრული საშუალებები და ხერხები ბუნდოვნად შეესაბამება ჩანაფიქრს, მწირად აკმაყოფილებს მოთხოვნას. | ესკიზი და მაკეტი დაუმთავრებელია, არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში და ბუნდოვნად ასახავს ჩანაფიქრს. | ასახელებს სკოლის ტიპური არქიტექტურის ერთ არსებით მახასიათებელს. |
| **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას. | | | |
| **მასწავლებლის კომენტარი:** | | | | |

**შეფასების ფორმა ფინალური პროექტისთვის „ვირტუალური ექსპოზიცია“:**

IX კლასის მოსწავლის სახელი, გვარი ------------------------------------------------------------------------------------------

საგანი: ხელოვნება

**საკითხი/ქვეცნებები:**

**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** ციფრული ტექნოლოგიები

**სხვადასხვა ეპოქა/კულტურა/სტილი/მიმდინარეობა და მისი მხატვრული მახასიათებლები:** მოსწავლის არჩევანით

**ფინალური დავალების „ვირტუალური ექსპოზიცია“ პირობა:**

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მოაწყვეთ ვირტუალური გამოფენა თემაზე XIX-XX სს-ის ხელოვნება. მოამზადეთ ექსპოზიციის გზამკვლევი. ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნამუშევრებით გააშუქეთ XIX-XX საუკუნეების სხვადასხვა მიმდინარეობა და მათი მახასიათებლები.

**წარდგენისას იმსჯელე:**

- რას ეძღვნება გამოფენის შენი ნაწილი.
- რომელი მიმდინარეობის, სტილის ნამუშევრები შეარჩიე და რატომ?
- რაში მდგომარეობს ამ ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის არსებითი მხატვრული მახასიათებლები?
- რა სახვითი საშუალებები და ხერხები გამოიყენე შენს ნამუშევრებში, რათა უკეთ წარმოგეჩინა ამ მიმდინარეობის/სტილის არსებითი მახასიათებლები?
- რა არის შენი საგამოფენო სივრცის სუსტი და ძლიერი მხარეები? რა გზით გამოასწორებდი ამ ხარვეზს?
- რაში დაგეხმარა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და რა გამოცდილება შეიძინე?

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | სახვითი ხელოვნების ტექნიკა: ციფრული ტექნოლოგიები | სხვადასხვა ეპოქა/კულტურა/მიმდინარეობა/ სტილი და მისი მხატვრული მახასიათებლები |
|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც აძლევს ცოდნის განზოგადებისა და დეკონტექსტუალიზების/ მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას. განსახილველ საკითხს უკავშირებს პირად გამოცდილებას. | ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებლად ქმნის ორიგინალურ ვირტუალურ ექსპოზიციას, რომლისთვისაც მიზანმიმართულად იყენებს ყველა ტექნიკურ ფუნქციას – შეარჩევს საგამოფენო დარბაზის ფართობს, ფერს, ფაქტურას.<br>გონივრულად ანაწილებს ნამუშევრებს, განსაზღვრავს მათ თანამიმდევრობას, ადგილმდებარეობას, ზომას, უკეთებს შესაფერის ჩარჩოს. ყველა ნამუშევარს ახლავს წარწერა (ავტორის ვინაობა, თარიღი და მასალის მონაცემები).<br>თან ურთავს საინტერესო განმარტებით ტექსტს ექსპოზიციის კონცეფციის შესახებ. კონცეფციის აღწერაში სრულყოფილად წარმოაჩენს მის მიერ შერჩეული ქვეთემის კავშირს გამოფენის საერთო თემასთან.<br>ამომწურავად წარმოაჩენს შერჩეული კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ყველა არსობრივ მხატვრულ მახასიათებელს, მათ ურთიერთმიმართებას და ისტორიულ/პოლიტიკურ/რელიგიურ/ სოციალურ კონტექსტს.<br>დამოუკიდებლად გამოთქვამს ორიგინალურ ვარაუდს, კიდევ რაში შეუძლია გამოიყენოს მოცემული ციფრული პროგრამა. | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის ვირტუალურ ექსპოზიციას, გონივრულად იყენებს უმეტეს ტექნიკურ ფუნქციას – შეარჩევს საგამოფენო დარბაზის ფართობს, ფერს და/ან ფაქტურას.<br>სწორად ანაწილებს ნამუშევრებს, განსაზღვრავს მათ თანამიმდევრობას, ადგილმდებარეობას, ზომას, უკეთებს შესაფერის ჩარჩოს. უმეტეს ნამუშევარს ახლავს წარწერა (ავტორის ვინაობა, თარიღი და/ან მასალის მონაცემები).<br>მასწავლებლის მინიშნებით გამოთქვამს ვარაუდს, კიდევ რაში შეუძლია გამოიყენოს მოცემული ციფრული პროგრამა. | ექსპოზიციის კონცეფციის აღწერაში მწყობრად წარმოაჩენს შერჩეული კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ძირითად მხატვრულ მახასიათებლებს და მათ ისტორიულ/პოლიტიკურ/რელიგიურ/სოციალურ კონტექსტს.<br>მწყობრად მსჯელობს, როგორ გამოიყენა თავის ნამუშევრებში ამ მიმდინარეობის/სტილის ძირითადი მხატვრული მახასიათებლები. |

| | | |
|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, მასწავლებლის მინიშნებებით, ქმნის ვირტუალურ ექსპოზიციას, რომლისთვისაც იყენებს რამდენიმე ტექნიკურ ფუნქციას – შემთხვევითობის პრინციპით შეარჩევს ფართობს, ფერს და/ან ფაქტურას.<br>ნამუშევრების განაწილება, თანამიმდევრობა, ადგილი, ზომა, ჩარჩო შერჩეულია ზედაპირულად. წარწერა (ავტორის ვინაობა, თარიღი და/ან მასალის მონაცემები) ახლავს მხოლოდ რამდენიმე ნამუშევარს.<br>მასწავლებლის დახმარებითაც კი უჭირს ვარაუდის გამოთქმა, კიდევ რაში შეუძლია გამოიყენოს მოცემული ციფრული პროგრამა. | ექსპოზიციის კონცეფციის აღწერაში ბუნდოვნად წარმოაჩენს შერჩეული ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის რამდენიმე მხატვრულ მახასიათებელს. ასახელებს მისი ისტორიული/პოლიტიკური/რელიგიური/სოციალური კონტექსტის რამდენიმე ასპექტს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხზე. | ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ვირტუალური ექსპოზიცია მოითხოვს დამატებით დამუშავებას.<br>ნამუშევრები განაწილებულია უსისტემოდ. წარწერა (ავტორის ვინაობა, თარიღი და/ან მასალის მონაცემები) ახლავს მხოლოდ ერთ ნამუშევარს. | ექსპოზიციის კონცეფციის აღწერა არასრულია, ბუნდოვნად წარმოაჩენს შერჩეული კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ერთ მხატვრულ მახასიათებელს. ასახელებს მისი ისტორიული/პოლიტიკური/რელიგიური/სოციალური კონტექსტის ერთ ასპექტს. |
| **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | ნამუშევარი არ შეესაბამება დასახულ ამოცანას. | |
| **მასწავლებლის კომენტარი:** | | |